საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გერონტი გასვიანი

ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან

თბილისი
„მეცნიერება"
1991

63.3 (2Г)
ბ231

ნაშრომში მოცემულია დადიშქელიანთა გენეალოგია, სვანეთის სამთავროს წარმოშობა, მისი საზღვრები და მოსახლეობა, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა, სამთავროსა და ბატონყმობის გაუქმება. დახასიათებულია ეკლესია და სვანეთზე გამოთქმულ შეხედულებათა არსი.

დამატებაში განხილულია ისტორიული სვანეთის ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხი, ვინ იყვნენ აფხაზეთის მკვიდრი მესიმიანები და სხვ.

განკუთვნილია ისტორიკოსებისა და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ისტორიულ მეცნ. დოქტ. გ. მ ა რ გ ი ა ნ ი

რეცენზენტები ისტორიულ მეცნ. დოქტორები: ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი
გ. ა ფ რ ა ს ი ძ ე

ბ $\frac{0503020906}{М\ 607\ (06)—91}$ 135—91 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1991

ISBN 5—520—00935—1

შესავალი

დიდი ხანია საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის სვანეთის ისტორია მკვლევართა შეუნელებელ ყურადღებას იპყრობს. როგორც ადრე, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების წლებში განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო სვანეთის საზოგადოებრივ ყოფაში შემჩნეული გადმონაშთების კვლევა-ძიებამ.

უძველესი დროის გადმონაშთურ მოვლენათა მეტისმეტმა გაზვიადებამ და საზოგადოების განვითარების დამახასიათებელი ძირეული საკითხების ყურადღების მიღმა დატოვებამ თავისთავად ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს სვანეთის საზოგადოების ყველა სფეროში პირველყოფილური ინსტიტუტები და შესაბამისი ურთიერთობა იყო გაბატონებული. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყურადღება არ ექცეოდა საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი ისეთი წამყვანი დარგების კვლევასა და გამოვლენას, როგორიცაა საკუთრებისა და მეურნეობის ფორმები (მიწისმფლობელობა, მესაქონლეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა, და სხვ.), აგრეთვე საზოგადოების სოციალურ-წოდებრივი შემადგენლობა, მისთვის დამახასიათებელი ურთიერთობა, წოდებრივ-კლასობრივი ბრძოლა და სხვ.

ეთნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევებში დავიწყებას მიეცა არა მხოლოდ ის, რომ სვანეთი წარმოადგენდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ორგანულ და განუყოფელ ნაწილს, მისი განვითარებისა და წარმატების მონაწილეობა და მოზიარეს, არამედ არავითარი ანგარიში არ ეწეოდა სვანეთის შინაგან ყოფა-ცხოვრებას, მის ამსახველ წერილობით და მატერიალურ ძეგლთა მონაცემებს.

არცთუ ვრცელი ქვეყნის — საქართველოს მთისა და ბარის — ისტორიული პროცესის ხელოვნური გათიშვითა და დაშორიშორებით, მთის მოსახლეობის ყოფის ასევე ხელოვნური არქაიზაციით და იქ შემორჩენილი გადმონაშთების უნივერსალური ხასიათის მტკიცებით, ზოგიერთ ნაშრომში ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი წყობილება ბევრად უფრო პრიმიტიულად წარმოისახა, ვინემ ის სინამდვილეში იყო. ასეთ ნაშრომებში ანგარიში არ გაეწია და არაფრით იქნა გათვალისწინებული არა მხოლოდ ადგილობრივი მატერიალური და სულიერი კულტურა, ~~ასევე~~ ისიც, რომ თავის დროზე საქართველოს

ფეოდალურმა ცივილიზაციამ არა მარტო თავისი ქვეყნის ბარი მოიცვა და მძლავრი ზემოქმედება მოახდინა თავისი ქვეყნის მთის მოსახლეობის ცხოვრების გარდაქმნაზე, არამედ კეთილმყოფელი ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების კულტურულ განვითარებაზე.

რიგ ეთნოგრაფიულ და ისტორიულ გამოკვლევებში შეინიშნება ტენდენცია, რომელიც ერთიმეორისაგან გამოყოფს არა მხოლოდ საქართველოს მთისა და ბარის განვითარებას, არამედ თვით პატარა კუთხის — სვანეთის — სხვადასხვა თემისა და სოფლის ყოფა-ცხოვრებას, ეპოქალურად და ფორმაციულად განასხვავებს მათ განვითარებას.

წინაზრახულად მოპოვებულ და შეთხზულ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაფუძნებული ზოგიერთი ნაშრომი და გამოკვლევა საქმეს ისე ხატავს და წარმოგვიდგენს, თითქოს „თავისი მთური მდებარეობის გამო ე. წ. „თავისუფალი“ სვანეთის განვითარება მთელ შუა საუკუნეებში ერთ წერტილზე იყო გაყინული და XIX საუკუნემდე ვერ გასცდა პატრიარქალურ-გვაროვნულ წყობილებას“; თითქოს „შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე იქაურ საზოგადოებაში წოდებრივ-ფეოდალური დაყოფა არ შეინიშნებოდა“, თითქოს „მთელი საზოგადოება თავისუფალი და თანასწორუფლებიანი იყო“, თითქოს „თავისუფალ სვანეთში სოციალური დიფერენციაცია მეთემის გაგლეხებაზე შორს არ წასულა“. ზოგიერთის შეზღუდულობა და გაუთვითცნობიერებლობა იქამდეც კი მიდის, რომ ამტკიცებს, თითქოს ე. წ. „თავისუფალ სვანეთში ვარგ-აზნაური და გლეხი ფორმალურად არსებობდა“, თითქოს „როგორც ქონებრივად, აგრეთვე უფლებრივად აზნაური გლეხს არაფრით აღემატებოდა, პირიქით ნაკლებიც კი იყო“?! (იმასაც კი წერს, რომ „თხა-თხაზე ნაკლებიო...“).

მსგავსი ტენდენცია და ცალმხრივობა, სამწუხაროდ, მთელი კავკასიის მთიანეთის ხალხის ისტორიის შეფასებას დასჩემდა.

მართალია, დღეს თითქმის არავინ იზიარებს სვანეთზე ძველ შეხედულებას (თვით მისმა ავტორებმაც შეაქციეს ზურგი), მით უფრო, რომ ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი ნიკო ბერძენიშვილი თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხანს სინანულით წერდა: „მე მაინც სვანეთი მიდგას თვალწინ... რა უსუსური წარმოდგენა გვქონდა ამ ქვეყანაზე. რა უმადურები ვიყავით.

ხომ ყოველად აშკარაა, რომ XIX საუკუნეში სვანეთი საგვარეულო წყობილების ქვეყანა არაა. კიდევ მეტი: თავისუფალი სვანეთიც

კი (რომ არაფერი ვთქვათ სადადიანო, სადადეშქელიანოზე) XIII—XIV საუკუნებში დიდი ხანია გამოსულია საგვარეულო წყობიდან»[1].

შაგრამ როგორც უახლესი ლიტერატურიდან ჩანს, კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების კვლევა-ძიებაში კვლავ ორი შაგისტრალური თვალსაზრისი შეინიშნება: დავა დაიწყო და კვლავ გრძელდება ფეოდალური ხანის სვანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონის და ხასიათის განსაზღვრასთან, აგრეთვე ე. წ. „თავისუფალ“ სვანეთთან დაკავშირებით. დღესაც ერთიმეორეს უპირისპირდება ორგვარი გაგება (ანგარიშში არ ვთვლი ზოგიერთი ოპონენტის უაღრესად პრიმიტიულ-დილეტანტურ განცხადებებს, რომლებიც არავითარ ჩარჩოში არ თავსდება):

ერთი თვალსაზრისი, რომელსაც XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, ერთიმეორესაგან თიშავს და ეპოქალურად აშორიშორებს საქართველოს მთისა და ბარის საზოგადოებრივ განვითარებას, რაშიც გადამწყვეტ როლს გეოგრაფიულ გარემოს ანიჭებს (აქედან ე. წ. „მთური ფეოდალიზმი“). თითქოს მთური და მწირი მდებარეობის გამო საქართველოს მთიანეთში საზოგადოების ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის პირობები არ არსებობდა; თითქოს „მთაში ფეოდალური ურთიერთობა იმიტომ ვერ წარმოიქმნა და დაფუძნდა, რომ იქ ზედმეტი პროდუქტი არ იწარმოებოდა, ამიტომ მისი მითვისებაც არ არსებობდა“.

მეორე თვალსაზრისი, რომელიც აგრეთვე XIX ს. ჩაისახა, რეალურად აფასებს საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, სვანეთის საზოგადოების განვითარებას და მიუთითებს, რომ მიუხედავად გეოგრაფიული გარემოს უარყოფითი ზემოქმედებისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთა თავისი საარსებო პირობებით ბარს ბევრად ჩამორჩებოდა (და ამის გამო საზოგადოების განვითარებაც), შინაგანი პირობების (კერძო საკუთრების, მეტ-ნაკლებად განასხვავებული იარაღების, შრომისნაყოფიერებისა და სხვათა), აგრეთვე გარედან მოქმედი ისტორიული გავლენის წყალობით (ბართან თუ მთასთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან თუ საერთოდ გარე სამყაროსთან ურთიერთობის), თავისი მასშტაბის შესაბამისად, სვანეთშიც ხდებოდა საზოგადოების ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცია, მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა და წინაურდებოდა იქაური საზოგადოება და მისი წარმომადგენლები (როგორც ნაშრომში ვნახავთ, მთურ მდება-

---

[1] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ნ. ბერძენიშვილის ფონდი $\frac{3.-3}{6}$ =298, გვ. 1.

რეობას თუ შედარებით სუსხიან კლიმატს არ შეეძლო საზოგადოების თანასწორობისა და ჰარმონიის დაცვა საუკუნეთა მანძილზე, არ შეეძლო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შეჩერება, ასე ვთქვათ, ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების გამორიცხვა).

ნაშრომში ვერ გამოვუდგებით სვანეთზე გამოთქმულ ყველა შეხედულების დეტალურ გარჩევას, რაც სხვადასხვა საკითხის განხილვისასაა რამდენადმე გარჩეული; არ შევჩერდებით იმ ნაძალადევ და შეკოწიწებულ ფსევდომეცნიერულ აზრებზე, რომლებიც არ შეიცავენ რაიმე ღირებულ მოსაზრებას, მეცნიერულ განზოგადებას, სამაგიეროდ, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაყალბებით ხასიათდებიან.

წინამდებარე შრომაში მიზნად ვისახავთ გავარკვიოთ დადიშქელიანთა გენეალოგია, მათი სამთავროს წარმოშობა, სამთავროს მოსახლეობა და საზღვრები, სოციალური ურთიერთობა, სამთავროსა და ბატონყმობის გაუქმება, სვანეთის ეკლესიის რაობა, სვანეთის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასთან დაკავშირებულ მოსაზრებათა არსი, აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმის სვანური ტოპონიმიკა და სხვ.

ნაშრომი დაწერილია წერილობით-საისტორიო ძეგლების, სათანადო ლიტერატურის, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ და სხვა მასალათა მონაცემების საფუძველზე.

თავი პირველი

სვანეთის სამთავრო

1. დადიშქელიანთა გენეალოგია

დადიშქელიანთა ანუ დადეშქელიანთა საგვარეულოს წარმოშობის ისტორია ჯერჯერობით დაუდგენელია. ეს გვარეულობა წერილობით წყაროებში პირველად XV საუკუნის მეორე ნახევარში მოიხსენიება.

დადიშქელიანთა ფეოდალური გვარეულობის წარმომავლობაზე სხვადასხვა თქმულება-ლეგენდა არსებობს, მათ შორის აღსანიშნავია თვით ამ გვარის წარმომადგენლის, თათარყანის მიერ XIX ს. მეორე ნახევარში მოხუცებულებისაგან ჩაწერილი სხვადასხვა თქმულება.

ერთ-ერთ თქმულებაში ნათქვამია: შორეულ ყუმიყთა ქვეყანაში, სადაც არც ერთი სვანი არ დადიოდა, ცხოვრობდა ორი ძმა. უფროსს, რომელიც უცოლშვილო იყო და სამფლობელოს მეთაურად ითვლებოდა, ფუეში ერქვა, უმცროსი, ცოლიანი, არაფრით იყო ცნობილი.

გადმოცემაში ნათქვამია, რომ უმცროსი ძმის სხვაგან ყოფნის დროს, ფუეშისგან დაორსულდა მისი ცოლი და ვაჟიშვილი შეყოლა. როცა შინდაბრუნებულმა ძმამ ეს შეიტყო, თავისი ძმა სახალხო სასამართლოში გამოიწვია და ადათ-წესის დარღვევის გამო სამფლობელოდან და ქვეყნიდან გააძევა.

სახლიდან გაგდებულმა ფუეშმა, ხანგრძლივი სიარულის შემდეგ, კავკასიის დიდი მთები გადალახა და თავი ამოყო სვანეთის ერთ-ერთ უდაბურ ხეობაში, საიდანაც დათვის კვალმა, ლენხერის გზით, ჩუბეხევში მიიყვანა.

გადმოცემა გვეუბნება, რომ უცხო კაცი არც იქ გაჩერდა, გზა განაგრძო. ამასობაში, გვიან ღამე, სოფელ ეცერამდე მიაღწია, მაგრამ იქ სახლში არავინ შეუშვა. უცხო კაცმა ბოლოს წმ. გიორგის სახელობის ყურაშის ეკლესია შენიშნა და იქითკენ გასწია. რაკი მისი კარები ღია იყო, დაღლილ-დაქანცული კაცი შიგ შევიდა და იქ შეაფარა თავი.

თქმულება ამბობს, რომ ძველად ხალხი ღმერთის მორწმუნე იყო და ქურდობას არავინ კისრულობდა. ამიტომ, მიუხედავად დიდი სიმდიდრისა, ეკლესიის კარები მუდამ ღია იყო.

როგორც წესი, წირვა-ლოცვის ჩასატარებლად ეკლესიას დილაადრიანად მოადგა მღვდელი, რომელიც უცხო და გოლიათური აღნაგობის მამაკაცის დანახვის გამო გაოცებული დარჩა. როცა მღვდელი დარწმუნდა, რომ ეკლესიაში მყოფი კაცი სამტროდ არ იყო მოსული და თავშესაფარს ეძებდა, ის თავის სახლში წაიყვანა და სარდაფში საიდუმლოდ დამალა.

იგივე გადმოცემა გვეუბნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს, სარდაფში დამალული უცხო სტუმარი შენიშნა მღვდლის ერთადერთმა ქალიშვილმა, რომელიც განთქმული იყო თავისი სილამაზით. ქალიშვილმა უცხო კაცი პირველსავე შეხედვაზე შეიყვარა, ამისი წინააღმდეგი თითქმის მამამისიც არ იყო, მაგრამ მან თავისი ქალიშვილი მაინც მკაცრად გააფრთხილა, რომ საქმის საბოლოო დადგენამდე და სტუმრის სათანადო გამოცდამდე თავი წმინდად შეენახა.

გადმოცემა გვაუწყებს, აგრეთვე, რომ იმ დროს, როდესაც ეცერში ვიღაც უცხო პირი მივიდა, სვანეთში „სვიმრობა" იყო და ხალხი თავისუფლად ცხოვრობდა. ამავე გადმოცემით, სვიმრობამდე სვანეთს ჰყავდა თავისი მეუფე ფუსდ-ფუსტ, რომელიც ტომით სვანი იყო და ბაგრატიონ ხელმწიფეს ემორჩილებოდა. სვანეთის ფუსდი თავის მეფეს გადასახადებად ბავშვებს აძლევდა, ხოლო ომიანობის დროს ჯარით ეხმარებოდა.

გადმოცემაში ნათქვამია, რომ ერთხელ, როდესაც სვანეთში მეფის მოხელე ვარგები (აზნაურები) ახალგაზრდებს კრებდნენ მეფესთან წასაყვანად, ერთ-ერთმა დედამ, რომელსაც ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, იმ ვარგს, რომელსაც მისი ვაჟიშვილი მიჰყავდა, ნაჯახი ჩაარტყა თავში. რადგან ვერავინ ურიგდებოდა თავისი შვილის შორეულ ქვეყნებში წაყვანას საომრად, ხსენებულ ქალს სხვებმაც მიბაძეს, დაბოლოს მთელი სვანეთი აჯანყდა, თავიდან მოიშორა თავისი უფალი, მისი ვარგები, საქართველოს მეფის დაწესებული ვალდებულება და თავისუფლება მოიპოვა.

ამავე გადმოცემით, როდესაც მთელ სვანეთში თავისუფალი მმართველობა დამყარდა, ეცერის ორ სოფელში — ისკარსა და ლადრერში — ცხოვრობდნენ რიჩგვიანები, რომლებიც მთელ თემში პირველობდნენ და ყველას ჩაგრავდნენ. ეს ვითარება ძალიან აღელვებდა ეცერის სხვა სოფლების — ბარშის, სვიფის, ჩელირისა და ყურაშის — მოსახლეობას (ვგეშლარებს), რომლებიც შესაფერის მომენტს ეძებდნენ რიჩგვიანების დასამხობად. მღვდელიც ამ მიზნით ინახავ-

და თავისთან უცხო სტუმარს, რომელსაც წმ. გიორგის (ჯგერაგის) მოვლენილად ასაღებდა.

გადმოცემა გვაუწყებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფხოტრერის მთავარანგელოზის თეთრი ეკლესიიდან საყვირის გაბმული ხმა მოისმა, რომელიც ხალხს აუწყებდა სასწრაფოდ შეგროვილიყო. საქმე იმაში იყო, რომ ამ ეკლესიის ეზოში მოსულა ვიღაც ომახიანი ოსი (მგსავ), რომელიც ეცერლებს ჭიდაობას სთავაზობდა იმ მიზნით, რომ თუკი გაიმარჯვებდა, ყველანი მისი მორჩილი გამხდარიყვნენ, ხოლო თუ თვითონ დამარცხდებოდა, მაშინ თავის უმდიდრეს აღჭურვილობას დათმობდა.

უცხო კაცის ასეთი უტიფრობით ეცერლები ძალიან შეშფოთებული იყვნენ, თუმცა მასთან შერკინებასაც ვერავინ ბედავდა. ამ დროს წინ წამოდგა ყურაშის ეკლესიის მღვდელი, რომელმაც ხალხის ასეთი დაბეჩავებისათვის რიჩგვიანები დაადანაშაულა. აქვე დასძინა, რომ ხალხის ღირსებას თვითონ დაიცავდა და სახლისაკენ გასწია, საიდანაც წამოიყვანა სტუმარი („ყუმიყი“), რომელიც წმ. გიორგის სახელით წარუდგინა ხალხს. როცა ფხოტრერის ეკლესიის ეზოში თავმოყრილმა ხალხმა გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცი დაინახა, შვებით ამოისუნთქა. გარკვეული ჩოჩქოლის შემდეგ, ხალხმა მღვდელს მიმართა, თუკი მის მიერ მოყვანილი კაცი ოსს დაამარცხებდა, ჯილდოდ მისცემდნენ ყველაფერს, რასაც მოიწადინებდა.

გადმოცემა ამბობს, რომ მალე უცხო პირები ერთიმეორეს შეერკინენ, მაგრამ ბრძოლა არცთუ ხანგრძლივი აღმოჩნდა, გამარჯვება წმ. გიორგის „მოყვანილ“ ყუმიყს დარჩა, დამარცხებული ოსი სირცხვილნაჭამი და აღჭურვილობააყრილი გააძევეს.

შეპირებისამებრ ეცერის თითოეულმა კომლმა გამარჯვებულ ყუმიყს თითო ხარი, თითო ძროხა და თითო ცხვარი მიგვარა. ამგვარად შეგროვებული პირუტყვის ჯოგი საღამოჟამს ეცერის დასავლეთით გარეკეს, იმ პირობით, რომ სადაც ის მეორე დღეს აღმოჩნდებოდა, იქ საპატიო გადამთიელისათვის სასახლე აეშენებინათ. ლეგენდა ამბობს, რომ ჯოგი წმ. გიორგის მფარველობითა და სურვილით მეორე დღეს აღმოჩნდა ჭელირში, სადაც პირობისამებრ სტუმარს სასახლე და კოშკი აუშენეს.

თქმულება-ლეგენდის ეს ვარიანტი ირწმუნება, რომ ხსენებულმა ყუმიყმა (რომელიც წმ. გიორგიმ მოუვლინა სვანეთს) დაუდო სათავე სვანეთის დადიშქელიანებს, რომლებიც მალე მომრავლდნენ და გაძლიერდნენ.

ლეგენდის მეორე ვარიანტი გვაუწყებს, რომ ყუმიყთა ქვეყნიდან დევნილი კაცის სახელი (რომელიც წმ. გიორგიმ შეიფარა) იყო ფუთა, რომელიც დათვის კვალმა მიიყვანა ეცერში. თითქოს ამის გამო ამ კა-

ცის შთამომავალი დაშდანგელად (დაშდე სვანურად დათვია) ანუ დადიშგელიანად იწოდა.

როგორც ვხედავთ, მთელ ამ ერცელ გადმოცემას დადიშქელიანთა წარმომავლობაზე ზღაპრულ-ფანტაზიური შინაარსი აქვს. საერთოდ, მსგავსი რამ დაუჯერებელია. თვით ამ გადმოცემათა ჩამწერი თ. დადიშქელიანიც ეჭვობდა თავისი გვარის ამგვარ წარმოშობაზე, ამიტომ წერს: ჩვენ შორს ვართ იმისგან, რომ მოცემული გადმოცემის უეჭველობა ვამტკიცოთ, მითუმეტეს, როგორც ყველა ზეპირი გადმოცემა, ესეც არ არის რომელიმე ძველი წერილობით წყაროს მიერ დამტკიცებული, ამიტომ ის საჭიროებს გულმოდგინე შემოწმებას, მაგრამ მასალებ იმდენად მცირე და ძუნწია, რომ საკითხი, ალბათ, გადაუჭრელი დარჩება[1].

აქ შევეხეთ თქმულება-გადმოცემას დადიშქელიანთა გვარის უცხო წარმომავლობაზე, მაგრამ მარტო ეს გვარი როდია უცხოური წარმოშობისად მიჩნეული. როგორც წესი, ლეგენდა-თქმულებებით, თითქმის ყველა დიდგვაროვანი ქართველი უცხოა: ზოგიერთი ინდოელი, ჩინელი, არაბი, ზოგიერთიც ებრაელი, ეგვიპტელი და ა. შ. ბუნებრივია, ყველაფერი ეს იმისათვის იყო მოგონილი, რომ დიდგვაროვანნი არაჩვეულებრივ, განსაკუთრებულ, ზეციურ წარმოშობისად ყოფილიყვნენ მიჩნეული და ამით მათ ბატონობას კანონზომიერი ხასიათი მისცემოდა; როგორც ჩანს, დადიშქელიანთა შესახებ თქმულებაც ამ ტრადიციას მისდევდა.

საერთოდ, შესაძლებელია დადიშქელიანების წარმოშობის დაკავშირება სვანეთის მიმდებარე ჩრდილო კავკასიასთან. ჯერ ერთი, ცნობილია, რომ მეზობელ ჩრდ. კავკასიის მთიანეთის ნაწილი (აწინდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის უკიდურესი სამხრეთი ხეობები) თავის დროზე სვანებით იყო დასახლებული. ამდენად, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ იქ დადიშქელიანებსაც ეცხოვრათ და იქიდან წამოსული სვანეთში უცხოდ მიეღოთ.

მეორეც, ჩრდილო კავკასიაში ფეოდალურ გვარეულობათა შორის გამოირჩეოდნენ ყრიმშამხალოვებიც, რომლებიც დაღესტნის გარდა თავის გავლენას სხვა მოსაზღვრე ტერიტორიებზეც ავრცელებდნენ, რაც ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩრდ. კავკასიაში მოსახლე სვანებისთვისაც. ამიტომ უცნაური არაფერია იმაში, რომ თავისი წარმომავლობა დადიშქელიანებს ამ ძლევამოსილი გვარეულობისათვის დაეკავშირებინა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადიშქელიანი ანუ დადეშქელიანი წერილობით ძეგლში პირველად XV საუკუნეში გვხვდება, ესაა ე. წ.

---

1 კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros, 284, ფ. 39—40.

„ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი“ ანუ „წიგნი“, რომელშიც მოთხრობილია სვანებსა და იმერეთის სამეფოს მესვეურთა შორის მტრობაზე და ამ ნიადაგზე სვანების შევიწროებაზე. ძეგლში ნათქვამია, რომ მეფისაგან შეწუხებულმა სვანებმა ბჭობა გამართეს და რიჩგვიანსა და დადიშქელიანს შეეხვეწნენ, რათა დადიანის მეშვეობით იმერეთის მეფესთან შერიგებულიყვნენ: „და მერმე შევიყარენით სრულიად სუანთ ჩენილები და ვქენით ეაზირობა. მივედით ეცერს, რუჩაგიანსა და დადიშქელიანს შეეეხუეწენით და დადიანთან გავგზავნეთ“[2].

ხსენებულ ძეგლში დადიშქელიანები (ასევე რიჩგვიანები) ყოველგვარი წოდებისა და ეპითეტის გარეშე არიან მოხსენიებული ეცერის მცხოვრებად. მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ გვარეულობებს, როგორც პრივილეგირებულ წოდებას, უკვე საკმაო ძალა და გავლენა ჰქონდათ მოპოვებული. ბუნებრივია, ამის გარეშე მათ დადიანთან შუამავლად არავინ გამოარჩევდა. ცხადია, ისინი, როგორც ფეოდალური გვარეულობა, დადიანთან ურთიერთობის ღირსნი იყვნენ. საგულისხმოა, აგრეთვე, რომ ასეთი ღირსების გარეშე ვერც თვითონ აკისრებდნენ ოდიშის მთავართან უშუალო შუამავლობას.

დადიშქელიანის გვარ-ჩამომავლობისა და სადაურობის დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა აქვს ე. წ. „სუანეთის საეკლესიო კრებათა მატიანეს“ ანუ „სუანეთის სულთა მატიანეს“, რომელშიც ეკლესიისადმი შემვედრებელი და შემწირველი სვანებია ჩამოთვლილი[3].

მართალია, ამ უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლში (სხვათა შორის, ამ ძეგლში იმდენი გვარეულობებია აღნუსხული, რომ ამ მხრივ მისი შესადარი თითქმის არაფერი მოგვეპოვება) უშუალოდ დადიშქელიანი არ ჩანს, მაგრამ მისი მსგავსი გვარი თუ სახელი არაერთხელ მოიხსენიება. მაგალითად, ასეთთა შორის არიან ივანე ეცერის მცხოვრებნი: დადიშველა წარეკელიანი, დადიშველა აშტიანი, აგრეთვე მრავალი დადისშვილი[4].

როგორც ცნობილია, გვარეულობა ხშირ შემთხვევაში სახელიდან წარმოიქმნებოდა. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დადიშქელიანი რომელიმე ხსენებული სახელიდან წარმოიშვა, ანდა შესაძლებელია ის ივანე ეცერ-ცხუმარის მცხოვრები დადისშვილის სვანური ფორმაა, მით უფრო, რომ დადისშვილი, როგორც გვარეულობა, ეცერ-ცხუმარში XIV საუკუნის შემდეგ არ გვხვდება (მას შემდეგ, რაც დადიშქელიანი გაჩნდა).

---

2 სვანეთის საისტორიო ძეგლები, წ. 2, გვ. 32.

3 იქვე, გვ. 115—160.

4 იქვე. გვ. 132—134, 139, 144.

44.

ამდენად, დადიშქელიანის (ასევე მისი ვარიაციების: დადეშქელიანი, დადიშგელიანი, დადიშკელიანი, დადჩქელიანი, დაჩქლიანი, დაშგელიანი და სხვ.) სვანური წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

როგორც აღვნიშნე, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ დადიშქელიანი, როგორც სვანი, მიმდებარე ჩრდ. კავკასიიდან იყოს წამოსული. ამას გვაფიქრებინებს არა მხოლოდ ის, რომ ჩრდილო კავკასიიდან სვანეთში გადმოსულად ითვლებიან ისეთი გვარეულობები, როგორიცაა გოშთელიანი, ჯაჭვლიანი, ბახსოლიანი და სხვა, არამედ იმისი დადასტურებაც, რომ დღევანდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის (იგივე მალყარეთის) რიგ ხეობებში (ბაქსანის, ჩეგემის, ტებერდის და სხვ.) უწინ მრავალი სვანი ცხოვრობდა, მაგრამ საქართველოს დაშლა-დასუსტებისა და თურქულენოვანი ტომების მოძალების გამო იქ სვანური მოსახლეობა თანდათან გაქრა (ნაწილი გაწყდა, ნაწილი გაითქვიფა და ნაწილიც სვანეთში გადმოსახლდა).

თუ დადიშქელიანთა გვარ-ჩამომავლობაზე ზოგადი მონაცემებით ვმსჯელობთ, სამაგიეროდ მათ სოციალურ აღზევებასა და გათავადებაგაბატონებაზე შესაბამისი წერილობითი ძეგლები მოგვეპოვება. ამ ძეგლთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ე. წ. „სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე“ ანუ „სვანეთის სულთა მატიანე“.

ამ წერილობითი ძეგლიდან (რომელიც XVII, XVIII საუკუნეებს განეკუთვნება) ირკვევა, რომ დადიშქელიანები საბოლოოდ XVII საუკუნეში გათავადდნენ, როდესაც მათი მფლობელობა და მმართველობა შეიქმნა.

აღნიშნულ ძეგლში, რომელიც ექ. თაყაიშვილმა XVIII საუკუნით დაათარიღა, აღნუსხულია 13 საეკლესიო კრება, რომელთაგან ექვსი დადიშქელიანთა სახლებს ეხება. მოცემულ ძეგლში დადიშქელიანთა სახლის უფროსები „დიდებულსა და ბატონის“ ეპითეტებით მოიხსენიებიან: „დიდებულ ალმაიზ დადიჩქელიანს შეუნდვენ ღმერთმან“, „დიდს დიდებულს ალაგიყეს დადიშქელიანს შეუნდვენ ღმერთმან“, „დიდსა დიდებულსა სათუთ დადიშგელიანსა შეუნდვენ ღმერთმან“, „დიდებულს ბატონს გელახსან დადიშქელიანს...“, „ბატონს ციოყ დადიშქელიანს...“ და ა. შ.

ცხადია, დადიშქელიანთა ბატონად და დიდებულად მოხსენიება შემთხვევითი არ არის, რადგან იმავე სოფლების სხვა რიგითი გვარეულებები ასეთდაგვარად არც ერთ შემთხვევაში არ მოიხსენიებიან. ეს კი იმისი უთუო და უთუმცა მაჩვენებელია, რომ ისინი დიდგვარიანსა და სოციალურად გაბატონებულ ძალას წარმოადგენდნენ.

მოცემული ძეგლიდან ჩანს, აგრეთვე, რომ ხსენებულ დროში დადიშქელიანთა ფეოდალური სახლების უფროსები იყვნენ: დუდარუყე, ისლამ, გელახსან, ციოყ, სორთმან და სხვ. მათთან ერთად მატიანეში

ჩამოთვლილი არიან: ალმაიზ, ფუთა, ჭეყან, დადიშქელ, ალაგიყე, ბისლუხ დადაში, ახლავ, მურზაყან, ჯანსულ, სუმაა, საულუხ და სხვა პირები.

ჩანს, აქ მოხსენიებული ფუთა დადიშქელიანია ის პირი, რომელთანაც არაერთი თქმულება-გადმოცემაა დაკავშირებული და რომელიც უშგულში მოკლეს კოლექტიურად. როგორც ჩანს, არც ისაა შემთხვევითი, რომ ამ ფუთას მკვლელობა დაკავშირებულია უშგულის მოსახლეობისაგან გადასახადად პირუტყვის ჯოგის აკრეფასთან.

დადიშქელიანთა ისტორიის დასადგენად ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაცემს გვაწვდის რუსეთის გენერალური შტაბის თანამშრომელი, სწავლული პ. უსლარი, რომელმაც გასული საუკუნის 50-იან წლებში შეადგინა დადიშქელიანთა ფეოდალური გვარეულობის გენეალოგიური ტაბულა.

პ. უსლარის მონაცემებით დადიშქელიანთა ფეოდალური სახლის ფუძემდებლად ითვლება ხოშა ოთარ („დიდი“ ოთარი), რომელსაც ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: ხოჩა ოთარ („კარგი“ ოთარი), სორთმანი და დადავი (სხვანაირად დუდაუ). უფროსი ძმის, კარგი ოთარის მემკვიდრეები იყვნენ: როსტომხანი და თენგიზი; სორთმანის — გელა, ხოლო მესამე ძმის — დადავის: აზნავირი და მურზაყანი.

როსტომხანის (კარგი ოთარის ძის) მემკვიდრეები იყვნენ: ოთარი და ჯანსული. პირველ მათგანს ჰყავდა ერთი შვილი — ისლამი, ხოლო მეორეს — ოთარი, თათარყანი (ძმამ მოკლა) და მურზაყანი.

როსტომხანის მომდევნო ძმას — თენგიზს (რომელიც თანამოძმეებს მოუკლავთ) — ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: ციოყი („ბაბა“ ციოყად წოდებული, რომელიც 1812 წ. გარდაიცვალა), გელა და ჯანბულათი.

ისლამს (ოთარის ძეს) ჰყავდა ოთხი მემკვიდრე: აზნავირი (მოკლულ იქნა), გელახსანი (მოკლულ იქნა), გელა და ჯანბულათი:

ბაბა ციოყს ჰყავდა ორი ვაჟიშვილი — თენგიზი და ჯანსული (მოკლულ იქნა), მის მომდევნო ძმას — გელას: გელა, ლევანი, ისლამი (1832 წ. გარდაიცვალა) და თათარყანი (მეფის მთავრობის მიერ ნიკოლოზად წოდებული, რომელიც 1850 წ. გარდაიცვალა). მესამე ძმა ჯანბულათი უმემკვიდრეოდ დარჩა.

თათარყანს (ნიკოლოზს) ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: ოთარი (1852 წ. მოკლეს), ჯანსული და მოსოსტრი (1846 წ. მოკლეს).

სორთმანს („ხოშა“ ოთარის ძეს) ჰყავდა ეროი ვაჟიშვილი — გელა, გელას—თენგიზი, თენგიზს-ნეჩშა, ხოლო ამ უკანასკნელს ორი ვაჟიშვილი: ციოყი და თენგიზი (1853 წ. გარდაიცვალა).

დადავს („ხოშა“ ოთარის ძეს) დარჩა ორი მემკვიდრე: აზნავირი და მურზაყანი. პირველს — სამი ვაჟიშვილი: თენგიზ, ციოყი და ქერიმი, ხოლო მეორეს — ბესლუხი; ამათგან მემკვიდრე მხოლოდ ბე-

სლუხს დარჩა: ხაჟიკი, მურზაყანი და სორთმანი. ამ სამთაგან ვაჟიშვილები მხოლოდ პირველს ეყოლა: ხაპუკი, მურზაყანი და სორთმანი.

აღსანიშნავია, რომ ძმების ბაბა ციოყისა და გელას მემკვიდრეობის ხელში დადიშქელიანთა ერთიანი სახლი ორად გაიყო (ეს ფაქტი ცნო მეფის მთავრობამ 1833 წელს, დადიშქელიანთა ქვეშევრდომად მიღების დროს), ხოლო 1857 წ. დადიშქელიანთა მმართველობა (სამთავრო) საერთოდ გაუქმდა.

პ. უსლარის გენეალოგიური სქემით, დადიშქელიანთა ფეოდალური სახლის (სამთავროს) მეთაურები იყვნენ (თანმიმდევრობით): „ხოშა" ოთარი (პირველი), „ხოჩა" ოთარი (მეორე), სორთმანი, როსტომხანი, თენგიზი (პირველი), „ბაბა" ციოყი (1821—1841 წწ.), კონსტანტინე ანუ მურზაყანი (1841—1857 წწ.).

დადიშქელიანთა მეორე (გამოყოფილი) შტოს უფროსები იყვნენ: თათარყანი ანუ ნიკოლოზი (821—1850 წწ.), ოთარი (1850—1852 წწ.), ლევანი (1852—1857 წწ.).

თ. დადიშქელიანის მიერ შედგენილი სქემით, ამ გვარის ისტორია იწყება XIV საუკუნეში, როდესაც თითქოს ყუმიყთა შამხლები გაიფანტნენ; ერთ-ერთმა მათგანმა სვანეთში მოაღწია და აქ დააფუძნა დადიშქელიანთა გვარი. ამ სქემით, პირველ დადიშქელიანს დაჩქლანი ერქვა, შემდეგს — ფუთა (რომელიც უშგულში მოკლეს), მას მოყვებიან: ისლამბერარ, ისლამარ და ხოშა ისლამ.

მოცემული სქემით, ხოშა ისლამს ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი: ოთარი (აქედან მოდიან ოთარშერები), სორთმან (სორთმანშერები), დუდაუ (დუდაუშერები) და ქერიმ (ქერიმშერები).

ყველაზე უფროსს, ოთარს ჰყავდა ორი ვაჟიშვილი: თენგიზი და ლევანი; თენგიზს — ოთარი და ჯანსუღი, ხოლო ლევანს — თენგიზი, გელა და ციოყი.

თ. დადიშქელიანის გენეალოგიური სქემით, დადიშქელიანთა ბოლო უფროსები იყვნენ: ციოყი, ისლამი და ქერიმი[5].

სხვათა შორის, თ. დადიშქელიანის ხელნაწერებში ინახება აღნიშნული გენეალოგიის სხვა ვარიანტიც, რომლის მიხედვით, პირველი დადიშქელიანია ჩერპლან, შემდეგი (თანმიმდევრობით): ხოშა ისლამ, თენგიზ, ფუთა, ისლამბერარ, ოთარ, სორთმან, დუდაუ და სხვ.[6].

უდავოა, რომ პ. უსლარის მიერ შედგენილი გენეალოგიური სქემა შედარებით სრულყოფილი და სარწმუნოა. ის ყველაზე უკეთ ასახავს დადიშქელიანთა ისტორიას.

---

[5] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი, Ros, ფ. 284, ფურცელი 44.

[6] იქვე.

2. დადიშქელიანთა სამთავროს მოსახლეობა და საზღვრები

დადიშქელიანთა (ანუ დადეშქელიანთა) სამთავრო მოიცავდა ჩუბეხევს, ეცერს, ცხუმარს, ლეჩყანსა[7] და ბეჩოს თემებს (ანუ ე. წ. ბალსქვემო ხევებს).

როგორც აღვნიშნეთ, XVII—XVIII საუკუნეებში დადიშქელიანებსა და რიჩგვიანებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაჩაღდა. XVIII საუკუნის შუა ხანებამდე ცხუმარში რიჩგვიანები მძლავრობდნენ, ხოლო ეცერში დადიშქელიანები. ერთიცა და მეორეც თავგამოდებულ ბრძოლას ეწეოდნენ პირველობისათვის. ჩანს, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ცხუმარის გარდა, რიჩგვიანები სახლობდნენ ფარისა და ბეჩოს ზოგიერთ სოფელშიც.

რიჩგვიანებსა და დადიშქელიანებს შორის შუღლი ფართოდ აისახა სვანურ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ გადმოცემებში.

ერთი გადმოცემის მიხედვით, ცხუმარის რიჩგვიანთა მეთაურს ერქვა გუგჩა, რომელიც გოლიათური აღნაგობისა და შესანიშნავი შეხედულების კაცი იყო. მას თავის დასაცავად ჰყავდა მრავალი მსახური, რომელთაც ჩრდილო კავკასიაში ნაყიდი ქვემეხიც ჰქონდათ. ეს ქვემეხი ანუ ზარბაზანი შესანიშნავად ისროდა თურმე მიზანში.

გადმოცემა გვამცნობს, რომ ცხუმარის რიჩგვიანებს სამი კოშკი და რამდენიმე სახლი ედგათ, თითოეულ მათგანში დაახლოებით 60—60 მცველი ეყენათ. ამავე გადმოცემით, რიჩგვიანთა უფროს გუგჩასა და მის მეუღლე იმახათს მცველად ჰყავდათ მეზობელ სოფ. ზაგარიდან გახიზნული კაცი, რომელსაც ცოლ-ქმრის დიდი ნდობა დაუმსახურებია, მაგრამ თურმე ოთარ დადიშქელიანის მიერ იყო მოსყიდული. ამ კაცმა გუგჩა დაარწმუნა, რომ ზარბაზანი დაეშალათ და ერთი ადამიანის სახმარი გაეხადათ, რათა მხოლოდ თვითონ მომსახურებოდა. გუგჩას უფიქრია თურმე, რომ ეს ნაკლებ ხარჯებს მოითხოვდა, თანაც თავისი ერთგული კაცის ხელში ასეთი ზარბაზანი ბევრად საიმედო იქნებოდა. ამიტომ მას ბეჩოდან მოუწვევია მჭედლები, რომელთაც ზარბაზნის გადაკეთებას ერთი კვირა მოანდომეს. ბოლოს, როცა ქვემეხი გამოსცადეს, გუგჩამ დაინახა, რომ თუ ზარბაზანი ადრე შესანიშნავად ისროდა მიზანში, ახლა კოშკსაც კი ვერ მოახვედრეს.

როდესაც ზაგარელმა კაცმა თავისი ვერაგული მისია შეასრულა, ის ოთარ დადიშქელიანთან გაიპარა და ახარა, რომ ზარბაზანი უკვე გაფუჭებული იყო, თან ანუგეშა და წააქეზა — ახლა თქვენ გაიმარჯვებთო.

---

7 ლეჩყანში შედიოდა სოფლები: ქართვანი, დოლი და ჭკიდანარი, რომლებიც შემდეგ ბეჩოს თემს შეუერთდნენ.

გახარებულმა ოთარმა რიჩგვიანების დასაზვერად თავისი მსახურები წაიყვანა, მაგრამ შენიშნა, რომ გზებსა და ხიდებზე ყველგან დარაჯები იყვნენ ჩაყენებული. ამიტომ დაზვერვის საშუალება მხოლოდ დაღამების შემდეგ ჰქონდა. მტერს რომ არაფერი გაეგო — ოთარის კაცები იძულებული იყვნენ მდინარეზე ჭოკები გადაედოთ, რათა ასე შიახლოვებოდნენ რიჩგვიანების სასახლის მისადგომებს. ეს ამბავი გუგჩამ შეიტყო და თავის მეუღლე იმახათს უთხრა: ჩვენი საქმე ცუდად არის, რადგან დადიშქელიანი მოგვეძალა და ქვემეხიც გაფუჭებული გვაქვსო.

გუგჩა მიხვდა, რომ ყველაფერი ოთარის მოხერხება იყო, მიხვდა, რომ მარტო ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ ლატალისკენ გასწია დახმარების სათხოვნელად. მაგრამ გზა გაყინული აღმოჩნდა, გუგჩას ფეხი აუსხლტა და რივენში (ენგურში) გადაეშვა.

ამ დროს ოთარის მსახურები მდინარეზე ჭოკებს დებდნენ, მათ წყალში შენიშნეს რაღაც შავი, რომელიც წყალმა მათკენ წაიღო. როცა წყალწაღებული მდინარის ნაპირზე გადმოათრიეს, იცნეს, რომ ის გუგჩა იყო. რაკი ოთარმა თავისი მეტოქე ჩაიგდო, შალე პირდაპირ იერიშზე გადავიდა და გუგჩას მთელი სასახლე დაიპყრო, თუმცა იმახათი გაექცა და ლატალში წავიდა[8].

ძნელი გასარკვევია, თუ XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში დადიშქელიანის რამდენი კომლი სახლობდა სვანეთში (ჩუბეჩევში) და რა ოდენობის ყმა-მამულს ფლობდა თითოეული მათგანი. დადიშქელიანთა მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივრებიდან ჩანს, რომ ისინი სამ ჯგუფად იყოფოდნენ: ოთარშერებად (ოთარის შთამომავლებად), სორთმანშერებად (სორთმანის შთამომავლებად) და დუდაუშერებად (დუდავის შთამომავლებად). ჩანს, დადიშქელიანები თანდათან გამრავლდნენ, თუმცა, ფაქტობრივად, ყველანი ერთიმეორის ნათესავები იყვნენ.

დადიშქელიანები, რიჩგვიანების გარდა, დანარჩენ პრივილეგირებულ გვარეულობებსაც დაუპირისპირდნენ, მაგრამ ერთიმეორესაც არანაკლებ ეჭიშპებოდნენ. ბრძოლის ცენტრში ხოჩა ოთარის შვილები, როსტომხანი და თენგიზი იდგნენ. ძმათა შორის ბრძოლაში თენგიზი დამარცხდა, მაგრამ მისმა შვილებმა — ბაბა ციოყმა (+1812 წ.), გელამ და ჯამბულათმა — ძლიეს როსტომხანის შვილებს — ოთარსა და ჯანსუღს, ხოლო ბაბა ციოყის შვილებმა — თენგიზმა, ჯანსუღმა და გელამ — სასტიკად დაამარცხეს როსტომხანის შვილები. თვით როსტომხანის შვილიშვილებიც — ოთარი და თათარყანიც — ერთიმეორეს გადაეკიდნენ, რაც თათარყანის მოსპობით დამთავრდა. სამა-

---

[8] სვანური პროზაული ტექსტები, II. თბ., 1957, გვ. 81—82.

ჯიეროდ ოთარის მცირეწლოვანი ეაჟიშვილები ბაბა ციოყის შვილმა— თათარყანმა (ნიკოლოზად წოდებულმა) — დახოცა.

საბოლოო ჯამში, როსტომხანის შთამომავალმა მხოლოდ მეოთხე თაობამდე მიაღწია (მისი უკანასკნელი ნაშიერი — შვილიშვილის შვილთაშვილები ისლამი და ქერიმი (ყერიმი) — სვანეთიდან გააძევეს), ლეჩხუმში დასახლდნენ, სადაც საბოლოოდ გადაშენდნენ.

ჩანს, ძმათამკვლელ (შინაფეოდალურ) ომში ყველაზე მეტი ძალა ბაბა ციოყის მემკვიდრეებს (ექვს ვაჟიშვილსა და მათ მემკვიდრეებს) აღმოაჩნდათ. მათ მეთოდურად და თანდათანობით შეავიწროვეს არა მხოლოდ სხვა მეტოქეები (რიჩგვიანები და სხვ.), არამედ თანამოძმეებიც — უშუალო წინაპრის, ხოშა ოთარის ძმების — სორთმანისა და დუდავის — შთამომავალიც (სორთმანის მემკვიდრეებმაც მხოლოდ მეოთხე თაობას მიაღწიეს, დაახლოებით ასევე დუდავისაც).

ბოლოსდაბოლოს, XIX ს. პირველ მეოთხედში მთელ ბალსქვემო თემებს ბაბა ციოყის შთამომავალი დაეუფლა (მთავრის უფლებებში). რუსეთთან შეერთების პერიოდში დადიშქელიანთა ორი საბლი გამოჩრჩოდა. ერთს ბაბა ციოყის უფროსი შვილის, თენგიზის შვილიშვილი ციოყი (მოსოსტრის ძე +1821 წ.) ედგა სათავეში, მეორეს თენგიზის ყველაზე უმცროსი ძმა თათარყანი.

აღნიშნულთა გარდა, ჩუბე ხევში (ეცერში, ცხუმარსა და ბეჩოში) დადიშქელიანთა რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ ყველა მათგანს მხოლოდ რიგითი მემამულის უფლებები ჰქონდა და ამდაგვარად ფლობდა თავის ყმა-მამულს.

დადიშქელიანთა უფროსი შტო განაგებდა მამულს ფარიდან დაწყებული (ჩუბე ხევებს) ვიდრე სამეგრელოსა და აფხაზეთ-ყარაჩაი-ბალყარეთის საზღვრებამდე, დაახლოებით 40-მდე სოფელს, ხოლო ამდენივეს უმცროსი შტო.

რაც შეეხება დადიშქელიანთა სამფლობელოს მოსახლეობის რაოდენობას, მასზე ცნობები ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ ზოგადი რაოდენობის დადგენა მაინც შესაძლებელია.

ერთ-ერთი ცნობით, რომელიც XIX ს. პირველ მეოთხედს ეხება, დადიშქელიანთა სამთავროში სულ 11 ათასამდე სული ცხოვრობდა. მეორე ცნობით, რომელიც ფინანსთა მინისტრის კანკრინის ხელში მოხვდა (როზენის მეოხებით) დადიშქელიანთა საბატონოში 9 ათასამდე სული ითვლებოდა (აქედან 4000-მდე ციოყის, ხოლო 5000 თათარყანის)[9].

სხვათა შორის, კავკასიის სამხედრო კორპუსის 1830 წლის მონაცემით (გენერალ-ფელდმარშალ ეარშავსკისადმი რაპორტით), დადიშქელიანთა სამფლობელო 12 ათასი სულისაგან შედგებოდა, აქედან

[9] ЦГИАЛ, ф. 561, д. 141, л. 14—16.

ციოყის (შემდეგში მიხაილად წოდებულის) სამფლობელოში 7 ათასი სული, თათარყანის (ნიკოლოზად წოდებული) — 5 ათასი. აქვეა დასახელებული ე. წ. თავისუფალი სვანეთის მოსახლეობაც — 8 ათასი სული და ე. წ. სადადიანო სვანეთისაც — 5 ათასი[10]. როგორც ვხედავთ, სულ მთელი სვანეთი 25 ათასი სულისაგან შედგებოდა.

დადიშქელიანთა ფეოდალური სახლების მფლობელობაში არსებული ყმა-გლეხობის რაოდენობაზე, დაახლოებით, მსგავს ციფრებს გვაწვდის სვანეთის საქმეებში გათვითცნობიერებული გენშტაბის წარმომადგენელი — შტაბ-კაპიტანი შახოვსკი (ის XIX ს. 30-იან წლებში ორჯერ იყო სვანეთში), რომლის მონაცემებით, ციოყის სამფლობელოში 500-მდე, ხოლო თათარყანისაში 760-მდე კომლი ცხოვრობდა[11]. თუ ვივარაუდებთ, რომ ოჯახის წევრების რაოდენობა საშუალოდ 8 სულს უდრიდა, გამოვა, რომ დადიშქელიანთა სამფლობელოში სულ 9—10 ათასი სული ცხოვრობდა, რაც მიახლოებით სწორი უნდა იყოს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სვანეთის, კერძოდ, დადიშქელიანთა სამფლობელოს მოსახლეობა, XIX ს. 30-იან წლებთან შედარებით, XIX ს. დასაწყისში უფრო მრავალრიცხოვანი იყო, რადგან მაშინ დადიშქელიანთა კუთვნილი გლეხობა კავკასიის ქედის ჩრდილოეთითაც (ბახსანში და სხვაგან) ცხოვრობდა; ამასთან, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში (განსაკუთრებით 1811—1812 წწ.) დასავლეთ საქართველოში გავრცელებულმა ინფექციურმა დაავადებამ სვანეთშიც ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. ეტყობა, ამის გამო სვანეთის მოსახლეობა ძალზე შემცირდა. ეს ჩანს იქიდან, რომ XIX ს. შუახანებში დადიშქელიანთა სამფლობელოში მხოლოდ 460 კომლი ცხოვრობდა (ჩუბეხევში — 115, ეცერში — 171, ფარში — 79, ბეჩოში — 84)[12].

კამერალური აღწერის მასალებით, ზემო სვანეთში XIX ს. 60-იან წლებში სულ 10050 სული ითვლებოდა (5968 მამრ. და 4086 მდედრ. სული), აქედან ნახევარზე ნაკლები დადიშქელიანთა სამფლობელოზე მოდის[13].

XIX ს. პირველი ნახევრის ზემო სვანეთში მრავალი სოფელი განადგურდა. მაგალითად, საქმეში ჩახედული სვანეთის მკვიდრის ი. მარგიანის ცნობით, „სვანეთში ბევრ ალაგას შეხვდებით სახლების ნან-

---

[10] ЦГВИА, ВУА, д. 18505.

[11] ЦГИАЛ, ф. 561, д. 141, л. 16.

[12] Тепцов В. Я. СМОМПК, вып. X, отд. I, с. 36.

[13] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II. сост. проф. П. Гугушвили, Тбилиси, 1950, 414.

გრუვებს და მიტოვებულ პატარა სოფელს, რომელთა განადგურება-დაცარიელებას 1812 წლის „ჟამს“ მიაწერენ[14].

სვანეთის მოსახლეობის შემცირება მიგრაციასაც უნდა გამოეწვია, მაგალითად, XIX ს. შუახანებში აფხაზეთის სვანეთში 100-მდე კომლი გადასახლდა.

3. დადიშქელიანთა სამთავროს შეერთება რუსეთთან

როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ ცალკეული ერთეულები დიდხანს განაგრძნობდნენ არსებობას, მათ შორის სვანეთიც, რომლის ნაწილში დადიშქელიანთა სამთავრო ჩამოყალიბდა.

ცნობილია აგრეთვე, რომ რუსეთს ჯერ აღმოსავლეთ საქართველო შეუერთდა, შემდეგ სამეგრელოს სამთავრო, იმერეთის სამეფო და აფხაზეთის სამთავრო.

ცხადია, სვანეთის სამთავროს (დადიშქელიანთა სამფლობელოს) და მთელი ე. წ. ზემო სვანეთის ჯერიც დადგა. რაც შეეხება ე. წ. ქვემო სვანეთს, ანუ ცხენისწყლის ზემო წელში განლაგებულ სვანეთს, რაკი ის დადიანს ექვემდებარებოდა, ამიტომ სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროსთან ერთად შეიერთა რუსეთმა. როგორც ცნობილია, ზემო სვანეთი არცთუ ისე იოლად დაიმორჩილა თვითმპყრობელობამ. საქმე იმაშია, რომ ის საკმაოდ გამიჯნული იყო დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკური ერთეულებისაგან და ძნელად მისაღწევ მთებში მდებარეობდა.

ცარიზმმა გამოცდილებით იცოდა, რომ მთიელები შედარებით თავისუფლად ცხოვრობდნენ და არცთუ ისე იოლად ნებდებოდნენ სხვას. თუმცა, რაკი დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი უკვე ცარიზმის ხელში იყო, ამიტომ მისი დამოუკიდებელი არსებობა მას დიდ საფრთხეს არ უქადდა, მით უფრო, რომ სვანეთი კავკასიის მთების სიღრმეში მდებარეობდა და შორს იყო რუსეთისათვის სასიცოცხლო-სამიმოსვლო გზა-მაგისტრალებიდან (რუსეთის საგარეო პოლიტიკაში პირველხარისხოვან როლს შავი ზღვა და მისკენ მიმართული გზები ასრულებდნენ).

ყოველივე ამის გამო, სვანეთის დამოუკიდებელი არსებობა ცარიზმს მაინცდამაინც ისე არ აღელვებდა. ჯერჯერობით ყველაფერი შავი ზღვის სრუტეების პრობლემას ეწირებოდა.

როგორც კი რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომები დამთავრდა, ცარიზმმა თავისი ყურადღება მიაპყრო კავკასიის მთიანეთს,

---

[14] ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1973, გვ. 160—161.

ჯერეოდ, სვანეთსაც. მან კარგად იცოდა, რომ კავკასიის მტკიცე დაუფლებისათვის აუცილებელი იყო ჯერ კიდევ თავისუფალი მთიელების დამორჩილება.

სხვათა შორის, მეფის თვითმპყრობელობის ზოგიერთი მოხელე სვანეთს დასავლეთ კავკასიის სტრატეგიული პლაცდარმის მნიშვნელობას ანიჭებდა. გენერალური შტაბის ოფიცრის შახოვსკის აზრით, სვანეთის ხელში ჩაგდებით რუსეთს შეეძლო იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სხვა მეზობლების თავის კონტროლის ქვეშ მოეცევა სამხედრო მოხელის პოლკოვნიკ უსლარის ბრძანებით, რომელსაც კავკასიის არმიის სარდლობაც იზიარებდა, სვანეთი არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაის სტრატეგიული დასაყრდენიც იყო[15].

ცხადია, სვანეთის დაკავებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის მთიელთა საერთო მოთოკვისათვის, მაგრამ მისთვის ისეთი უდიდესი მნიშვნელობის მინიჭება, როგორც ამას მეფის ზოგიერთი სამხედრო მოხელე ეარაუდობდა, უთუოდ საქმის გაზვიადება იყო.

ზემო სვანეთის შეერთებაში თვითმპყრობელობა თავდაპირველად სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის გამოყენებას ცდილობდა. ამ უკანასკნელმა შუამავალის როლი იკისრა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.

თვითმპყრობელობის არაერთგზის ცდა ზემო სვანეთი მშვიდობიანი გზით მიეღო თავის ქვეშევრდომობაში, XIX ს. 20-იან წლებში მარცხით დამთავრდა. სხვათა შორის, ამ მისიაში, გარდა დადიანებისა, იმერეთის, ლეჩხუმისა და რაჭის მფლობელებიც და ეკლესიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

როგორც ჩანს, კავკასიის ომის გამო, რომელიც მეოთხედი საუკუნე გრძელდებოდა, მეფის მთავრობა სვანეთში საქმის გართულებას ერიდებოდა, ძალა არ გამოუყენებია.

XIX ს. 30-მან წლებში კავკასიის სამხედრო კორპუსის სარდალმა, გენერალ-ფელდმარშალმა პასკევიჩმა სვანეთის დაზვერვა და საჭირო ცნობების შეგროვება გენერალ-მაიორ გესეს დაავალა. მეფის მოხელეებმა სვანეთის მშვიდობიანი დამორჩილების გეგმაც შეადგინეს (პრივილეგიებისა და საჩუქრების დაპირებით). სხვათა შორის, მეფის მოხელეებს ამ საქმეში ადგილობრივი აზნაურებიც ჩაუბამთ (ცერძოდ იოსელიანები, დეედარიანები, ქურდიანები, ჯაფარიძეები, გოშთელიანები, ჩარკვიანები და ჟორჟოლიანები, სულ 49 აზნაური)[16].

---

[15] Акты собранные Кавказской археографической коммиссией, т. VIII, 455; Т. XII, 369.

[16] ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი. ძველი და ახალი სვანეთი. თბ., 1925, გვ. 73.

მართალია, კავკასიის ადმინისტრაციამ მთელი ზემოსვანეთის შეერთება ვერ მოახერხა, მაგრამ ერთიმეორეს მოქიშპე დადიშქელიანთა მესვეურების თანხმობას მაინც მიაღწია.

რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლისა და სათანდო აქტის გაფორმების მიზნით თბილისში მიდის დადიშქელიანთა ერთ-ერთი სახლის უფროსის — მოსოსტრის (+1821 წ.) — ქვრივი დიგორხან გარდაფხაძე-დადიშქელიანისა, რომელმაც თავისი ვაჟიშვილის ციოყის სახელით საქართველოს მთავარმართებელს გენერალ-ადიუტანტ ბარონ როზენ პირველს წერილობითი პირობა დაუდო, რომ ამიერიდან ჩუბეხევის მფლობელი რუსეთის ქვეშევრდომობას იღებდა[17].

მართალია, დადიშქელიანთა მეორე სახლის მეთაურმა თათარყანმა (ციოყის ბიძამ, აწ გარდაცვლილ ძმებს შორის ყველაზე უმცროსმა) მეფის მოხელეებთან მოლაპარაკება უფრო ადრე დაიწყო იმ მიზნით, რომ ის დადიშქელიანთა ერთადერთ უფროსად ეცნოთ, მაგრამ რაკი ამისი პირობა ვერ მიიღო, თავისი სურვილის მიღწევის მიზნით საქმეს აჭიანურებდა. თუმცა, რაკი დიგორხანის გადაწყვეტილება შეიტყო და თავისი ვერ გაინაღდა, იძულებული გახდა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებას დაყაბულებულიყო.

1833 წლის აპრილში ციოყმა, ხოლო მაისში თათარყანმაც გაფორმა რუსეთის ქვეშევრდომობის აქტი და „სათხოვარი პუნქტები".

ციოყ (მიხაილად წოდებული) დადიშქელიანის „სათხოვარ პუნქტებში" ჩამოთვლილი იყო ყველა პირობა, რაც, ერთი მხრივ, თვითონ და, მეორე მხრივ, თვითმპყრობელობას უნდა შეესრულებინა, აგრეთვე ის უფლებები და პრივილეგიები, რაც ციოყს ენიჭებოდა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებით:

«Просительные пункты».

Сванетского князя Циоха Дадишкелиани, удостоенные Высочайшего утверждения.

I

Я нижепоименованный князь Циох Мисустров, сын Дадишкелиани, один из владетелей Сванетцев, храброго и в древности славного народа и законный владелец оного; от дня подписки сего акта, по совершении клятвенного обещания по обряду, предаю себя со всем моим настоящим и будущим потомством и со всеми моими владениями[18]„ лежащими меж Кав-

---

17 АКАК, т. VIII, с. 493.

18 У князя Татархана оговорено: «Мне в собственность независимо от другого соседственного мне владетеля, князя Циоха Мисустрова, сына Да-

казских гор на вершинах рек Ингура, Баксани, граничащими с большою Кабардою, Аланию, Мингрелию и Рачинским округом, в вечное и верное рабство и подданство Высочайшей Всероссийской Державы, ныне счастливо царствующему, Всепресветлейшему, Державнейшему государю императору Николаю Павловичу, самодержцу всея России и Его Императорского Величества Всероссийского престола Наследнику Его Императорского Высочества, Государю Цесаревичу, Великому Князю Александру Николаевичу и Высоким Его приемникам.

2

Да благостью Его Императорского Величества Всемилостивейшего моего Государя и повелителя, предоставлено будет мне, сыну моему и всему моему потомству по старшинству колена пользоваться правами и преимуществами владетеля со всеми обязанностями верноподанного раба Всероссийского Государя Императора, яко верховного моего и приемников моих Великого Государя и повелителя, на что да буду осчастливлен Высочайшею Его Императорского Величества Грамотою. —

3

Да милосердием Его Императорского Величества Всемилостивейшего моего Государя и повелителя, предоставлены будет мне и приемникам моим суд и расправа во владении моем по делам гражданским, исключая уголовных по смертоубийству или измене, в каковых случаях обязываюсь преступников представлять всегда ближайшему Российскому Начальству для поступления с ними по законам.

Маловажныя же поступки, у горцев таковыми почитаемые, воровство, грабеж и побой от одного другому причиняемый, да позволено будет мне наказывать по прежнему до времени, пока подвластные мне Сванетцы выйдут из полудикого состояния и ознакомятся с законами и обычаями Российскими. —

4

Да силою Высокославного оружия Его Императорского Величества Всемилостивейшего Государя моего и повелителя ограждены будут земли и народ мне принадлежащие, в случае

дешкеляна, принадлежащими, которые находятся в смежности с владением сего последнего».

надобности в такой защите от могущих быть внешних врагов моих. —

5

Да от щедрот Его Императорского Величества Всемилостивейшего Государя моего и повелителя, не оставлен я буду некоторою частью дохода в случае разрабатывания во владении моем золоты, серебряных или иных каких руд. —

6

Во взаимность вышесказанных моих просьб к его Императорскому Величеству Всемилостивейшему моему Государю и повелителю, я ниже поименованный с преемниками моими обязуюсь от Его Императорского Величества постановленным, как то Главноуправляющему Грузии, или кто от него из Генералов или других чиновников будет прислан повиноваться во всем, якобы верноподанный раб Всероссийскому Государю Императору, и всеми зависящими от меня мерами стараться склонить к поступлению в вечное рабство и подданство и неподвластных мне племен Сванетского народа, в горах обитающего. —

7

Я с преемниками моими обязуюсь Российским войскам, если бы они пришли в мое владение, способствовать к выстройке домов или временных саклей и доставлять дрова безденежно. —

8

Я с преемниками моими обязуюсь оным войскам доставлять ячмень, по неимению пшеницы и других зерновых хлеба и сена за цены умеренные, стараясь всеми мерами по всеподданнейшему моему усердию, чтобы недостатка ни в чем не было, сколько способы земли то дозволяют. —

9

Я с преемниками моими обязуюсь, в случае отыскания и разрабатывания руд Российскими художниками доставлять по

возможности число рабочих за цену от горного начальства определенную. —

10

В доказательство чистосердечного верноподданнического моего усердия, залогом верности к Всемилостивейшему моему Государю, я ныне же представил сына моего князя Бекирбея Дадишкелиани Сванетского Его Императорского Величества Генерал-Адъютанту Барону Григорию Владимировичу Розену I-ому для оставления его в Тифлисе. —

11

Прибегая к неизреченному милосердию Его Императорского Величества Всемилостивейшего Государя моего и повелителя, осмеливаюсь всеподданнейше просить в знак Высочайшего благоволения ко мне, осчастливить владельческий дом мой пожалованием мне Грамоты и знаков отличия по благоусмотрению Правительства, которые бы оставались в роде моем навсегда. —

12

По Высочайшей конфирмации сих пунктов, я прошу точную с оных копию, за свидетельством Главноуправляющего Грузией Генерал-Адъютанта Барона Розена I-го, сообщить мне для хранения в доме моем.

В заключение всего моего обещания, я за свое лицо и за всех преемников моих утверждаю сие мое всеподданнейшее моление к Его императорскому Величеству приложением собственной руки моея, предавая все на благоусмотрение Великого императора Всемилостивейшего Государя моего и повелителя. — подп. Ген.-Адъютант[12]».

ასეთივე „სათხოვარი პუნქტები“ გაფორმდა თათარყან დადიშქელიანზეც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ციოყის „სათხოვარ პუნქტებში“ აღნიშნულია მისი სამფლობელოს საზღვრები, კერძოდ: ყაბარდო, ალანეთი, სამეგრელო და რაჭა. აქვე ნათქვამია, რომ ციოყის სამფლო-

---

[19] ЦИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 85—90.

ბელო მოქცეული იყო მდინარეების—ენგურისა და ბახსანის[20] — ხეობებში. რაც შეეხება თათარყანის „სათხოვარ პუნქტებში“ არც სამფლობელოს კონკრეტული დასახლება და არც მისი საზღვრები არ ჩანს, მხოლოდ ზოგადადაა ნათქვამი, რომ მის სამფლობელოს, ერთი მხრივ, ციოყის (მიხაილის) სამფლობელო ეკვროდა, მეორე მხრივ ე. წ. თავისუფალი სვანეთი.

სათანადო აქტის („სათხოვარი პუნქტების“) ოფიციალური გაფორმების შემდეგ დადიშქელიანთა ორივე სახლის მეთაურმა მიიღო მეფის სიგელები და ხელისუფლების ნიშნები. ამასთან დაკავშირებით თათარყანის (ნიკოლოზად წოდებულის) სახელზე შედგენილ საბუთში ნათქვამია:

На титуле

«Нам любезно верноподанному Сванетскому князю Татархану Дадишкеляну. Наша Императорская милость и благоволение из донесения Нашего Генералъ-Адъютанта Генералъ от Инфантерии Барона Розена. Мы с удовольствием усмотрели, что Вы учинили присягу в непоколебимой верности Вашей, к Высочайшему Нашему Престолу, а потому, снисходя на прошение Ваше утверждаем и признаем Васъ, Нашего любезного верноподданного Князя Татархана, Правителем зависящей ныне от Вас части Сванетов, под верховным покровительством, державою и защитою Российской Империи, и приемля Васъ с домом Вашим в число Наших верноподданных на основании пунктов, представленных Вами помянутому Генералу Барону Розену, обещаем Вам и всем приемникам Вашим, которые будут удостоены и признаны от Нас звания и Нашу Императорскую милость и благоволение. В ознаменование же достоинства Вашего, жалуем Вам саблю и кинжалъ украшенные драгоценными камнями, которые пребудут в роде Вашем знаком Всемилостивейшего Нашего к Вам благоволения. За сим, поручая Вам управлять зависящею от Вас частью Сванетского народа, с кротостию и правосудием надеемся мы, что Вы и Наследники Ваши, как в преданности к нашему престолу, так и в точном исполнении обязанностей Ваших пребудут непоколебимы— Во упование и в залог Монаршей Нашей к Вам и Сванетскому народу милости дано сия Наша императорская Грамота за собственноручным Нашим подписанием и с приложением Государственной печати в престольном Нашем Граде

---

20 როგორც ჩანს, XIX ს. 30-იან წლებში დადიშქელიანთა უფროსი შტო ბიწაწყალს ფლობდა კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთითაც, კერძოდ, ბახსანის ხეობაში (ასეთი სურათი ჩანს დიგორხანის საჩივარ წერილში კავკასიის ადმინისტრაციისადმი), მაგრამ შემდეგში ეს ტერიტორიები დაკარგეს.

Святого Петра, Декабря 26 дня в лето от Рождества Христова 1833, царствования же Нашего в девятое. Наподлинной собственною его императорского Величества рукою подписано Николай»[21].

როგორც ვხედავთ, დადიშქელიანთა ორივე სახლის უფროსებს (ციოყს — მიხაილად და თათარყანს — ნიკოლოზად წოდებულს) 1833 წ. დეკემბერში (გარდა დამტკიცებული „სათხოვარი პუნქტების“) ებოძათ სიგელები და ხელისუფლების ნიშნები, ძვირფასი ხმლები და ხანჯლები (ბრილიანტებით გაწყობილი).

ამიერიდან ციოყი და თათარყანი სვანეთის მფლობელებად („ელადეტელი სვანეტიი“) იწოდებოდნენ, მთავრის უფლებებში. ხელისუფლების ნიშნების გადაცემისთანვე ორივე მფლობელს მაიორის ჩინი ებოძა[22].

მეფის თვითმპყრობელობის მიერ დადიშქელიანთა სამთავროს ორ სათავადო სახლად დაყოფის ოფიციალური ცნობის შემდეგაც არც ერთმა მხარემ არ შეწყვიტა პირველობისათვის ბრძოლა. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდა თათარყანი, რომელიც, მართალია, უმცროსი შტოს მეთაური (თავადი) იყო, მაგრამ ბაბა ციოყის ექვს ვაჟიშვილთაგან (ჯანსული და ლევანი თანამოძმეებთან ბრძოლაში დაიღუპენ) ცოცხალი მხოლოდ თვითონ თათარყანი იყო და იგი, როგორც უხუცესი, მთელ დადიშქელიანთა მეთაურობას ესწრაფოდა. იგი არა მხოლოდ დაპირისპირებულ — უფროსი შტოს — მეთაურს ებრძოდა, არამედ დადიშქელიანთა სხვა ოჯახებსაც, რომელთაც პირველობის პრეტენზია არ ჰქონდათ.

დადიშქელიანთა შინა არეულობით სარგებლობდნენ მათი ზოგიერთი ჰოსაზღვრე მფლობელებიც, ისინი ავიწროებდნენ დადიშქელიანებს, ზოგჯერ საძოვრებსაც სტაცებდნენ, ანდა უარს ეუბნებოდნენ ამ საძოვრების სარგებლობისათვის დაწესებულ ქირაზე (იჯარაზე).

თავის მხრივ, მეფის მოხელეები ნაკლებად იწუხებდნენ თავს დადიშქელიანთა ინტერესების დაცვაზე. მაგალითად, კავკასიის მმართველობამ 1834 წელს დადიშქელიანების საქმეების მოსაგვარებლად სვანეთში მიაელინა გენერალური შტაბის ოფიცერი შახოვსკი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოდავე სამეგრელოს, წებელდის, ყარაჩაისა და ბალყარეთის საზღვრების მოწესრიგება (ამასთან, შახოვსკის დაევალა მოლაპარაკება გაემართა ბალსზემო სვანეთის აზნაურებთან რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე).

შახოვსკის მეშვეობით დადიშქელიანებს საკმაოდ დიდი ტერიტორიები ჩამოეჭრათ, მაგალითად, სამეგრელოს მხრიდან — ცხეიმზაგა-

---

21 ЦГИАЛ. ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 82—84.

22 АКАК. т. VIII, с. 380, 465, 466.

რიდან (ჯვართან) მდ. ეცამდე, ტყაბედნიერამდე და ბოგურჯელამდე (სამხრეთ-დასავლეთით დაახლ. 25 ვერსი); ყარაჩაის მხრიდან — კავკასიის მთავარ ქედამდე („ლაბგვიარიდან"), ყაბარდოს მხრიდან — კავკასიის მთავარ ქედამდე (ნაქმუკვარი, თეგენეკის მთა და ჩეგემი).

ამასთან დაკავშირებით ციოყის (მიხაილის) დედა („მთავრინა") დიგორხანი საპროტესტო საჩივარს წერს ბარონ როზენის სახელზე, რომელშიაც ნათქვამია:

„სვანეთის მამული დღემდის ყოფილა ქუეშე ჩვენსა და არისცა. მათ მამულთა საზღვრავს ჩერქეზების მხრიდან მთა თეგენეკი და ყარაჩაების მხრით არის საზღუარი, სადაც დასრულდება ვაკე ადგილი, რომელსაც ეწოდების ლაბგვიარი და ეს ლაბგვიარი არის ჩვენი და იმას იქეთ ყარაჩაელთა, ხოლო სამეგრელოს მხრივ საზღურავს ჩუენსა მამულსა მთა, წოდებული ცხვიმზაგელად („ცხვიმზაგარ" — გ. გ.)"[23].

დიგორხანი როზენს წერდა, რომ ჩერქეზების (იგულისხმ. დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორია, რომელიც ყაბარდოს ხელში იყო) მოსაზღვრე ბახსანში მცხოვრები გლეხები მათი საკუთარი ყმები იყენენ, რომ ამჟამად ბახსანში მოსახლე მირზაყულა (ისმაილის ძე) ვერსპილოვი დიდი ხანი არ არის რაც აქ ჩასახლებულა, ხოლო ამ ხეობის მკვიდრი მოსახლეობის ნაწილი (დადიშქელიანების ყმები) შავ ჭირს ამოუწყვეტია, ნაწილიც ციოყს გადმოუსახლებია (ამ ადამიანებმა დღესაც იციან თავიანთი ნამოსახლარიო) სვანეთის სოფლებში — ღუშდერსა (ე. ი. ფარის თემში) და ლაშხრაში (ეცერის თემში). აქვე ნათქვამია, რომ ბახსანის მოსახლეობა დადიშქელიანებს ემსახურებოდნენ ბატონყმური წესით (ვითარცა საკუთარი ყმები), იცავდნენ საზღვრებს და სხვ.[24].

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ კავკასიის ჩრდილოეთით — მთავარი ქედიდან ლაბგვიარამდე — საძოვრები დადიშქელიანების ხელში იყო" „ყარაჩელნი როდესაც მოიხმარებდნენ მამულსა ჩვენსა ლაბგვიარად წოდებულსა და ანუ სხვისი პირუტყვისა საძოვნელად გვაძლევდნენ თვინიერ ყოველისა უარის ყოფისა შესახევედრსა საბალახოსა, რაიც შეხუდებოდათ ჩვეულების მიერ"[25].

საჩივარში ნათქვამია, აგრეთვე, რომ „სამეგრელოს მხრიდან ოდეს გარდმოელენ იქაურნი მცხოვრებნი ხსენებულსა მთასა ცხვიმზაგელასა. მაშინ იმათ ვართმევთ პირუტყვსა თვის საბალახოსა და სხუა, რაც საჭსახურსა. ამა საზღვრებსა იქეთ მდებარეობს სოფელი ჯვარი,

---

[23] ЦГВИА, ф. 792, д. I; ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, გვ. 49—51.

[24] ЦГВИА, ф. 792, д. I.

[24] იქვე; ე. გაბლიანი, დასახელებული შრომა, გვ. 50.

რომელიც არის და ეკუთვნის თავად დადიანს... ერთხელ გადმოსულიყო ამა საზღვარსა გარდაცვალებული გიორგი დადიანი ცოლით და შვილებით და გაეკეთებინა კოშკი და დამდგარიყო მუნ, თვინიერ დაკითხვისა ჩუენისა და ოდეს ჰცნეს ქმარმან ჩემმან მოსოსტრმა (+1821 წ.) და მურზაყანმა (მოსოსტრის უმცროსი ძმა) იმავე დროს განდეენეს იქიდან და დაუქციეს კოშკი იგი. რომელსაც არა უარს ყოფენ შვილნი მისნი გიორგი დადიანისანი კაცია და ვამეყი. რომელნიცა ამჟამად ისინიცა იყუნეს იქ თავის ცოლებით და შიდ რაოდენსამე წლისა თხოვნითა მათ დადიანთა, რადგანაც არს მამული იგი საჭირო მათის სოფლისა ჯვარისათვის. მივეცით ნება, რათა იბმარონ მათ და მისთვის გვაძლევენ ჩუენ პირუტყვსა თვისა საბალახოსა და თაფლსა, რადგანაც იმ ჩვენ ხმელში კეთილობს ფუტკარი"[26].

საჩივარში ნათქვამია, აგრეთვე, რომ დადიშქელიანებს ცხვიმწყაგარს იქეთ ჯვარშიც ჰყავდათ ყმები, რომლებიც გრიგოლ დადიანს სვანეთის მთავრის თენგიზისათვის (ბაბა ციოყის მამისათვის) მიუცია იმერეთის მეფე სოლომონ მეორის წინააღმდეგ ლაშქრობაში დამარებისათვის (ლაშქრობაში დახოცილთა სამაგიეროდ).

დაბოლოს, დიგორხანი ბარონ როზენს წერდა: „გვიბოძეთ წერილი თქუენი ხელის მოწერით ესრეთ რომელ რაიცა დღემდის ყოფილ იყო სამფლობელოსა ქუეშე და გვესარგებლინოს მითი იგი მიგვეღოს და აღწერილობა ქნიაზ შახოვსკისა მოიშალოს..."[27].

როგორც ე. გაბლიანი შენიშნავს, დიგორხანის კანონიერი საჩივარი მეფის მთავრობას ყურად არ უღია. ამიტომ დადიშქელიანებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალღონით დაეცვათ თავისი საზღვრები[27].

როგორც საარქივო მასალიდან ჩანს, ჩუბეხევის მფლობელებს დიდი უთანხმოება ჰქონდათ მეზობელ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან, განსაკუთრებით ურუსბიეველ მურზაყულთან, რომელსაც დადიშქელიანთა მსახურებმა არაერთი ადამიანი დაუჭრეს და მოუკლეს. დადიშქელიანებს ასეთივე დავა და უკმაყოფილება ჰქონდათ ყარაჩაელებთან და ჩეგემლებთან. ამის გამო ჩრდ. კავკასიის ზოგიერთი მფლობელი იმუქრებოდა, რომ თუ დადიშქელიანები შარიათის წესით არ შეურიგდებოდნენ, მაშინ მათ მიწა-წყალზე სვანებს არ გაატარებდნენ[29].

როცა დასახელებულ ადგილებში მეზობელი მფლობელები ჯოგებს შემორეკავდნენ საბალახოდ, დადიშქელიანები თავს ესხმოდნენ მათ და ხშირად იტაცებდნენ მეჯოგეებს და პირუტყვს. ასეთი თავდა-

---

25 ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50—51.

27 იქვე, გვ. 51, 53.

28 იქვე.

29 ЦГВИА, ВУЛ, д. 19247, л. 13—14.

სხმები და შეხლა-შემოხლა დიდხანს გრძელდებოდა, სანამ საერთოდ არ გაუქმდა დასავლეთ საქართველოს ცალკეული პოლიტიკური ერთეულები (ე. ი. 60-იან წლებამდე). ამ შეხლა-შემოხლის დროს არაერთი თანამოძმე იხოცებოდა, ჩანაგდებოდა ოჯახები და სოფლები. სხვათა შორის, ამ დავაში ე. წ. თავისუფალი სვანეთის მოსახლეობაც ერეოდა, მათ შორის ლატალისა და მულახის საზოგადოებები.

დადიშქელიანები, მეზობელ სამეგრელოს, წებელდის, ყარაჩაის, ყაბარდოსა და ბალყარეთის მფლობელებთან ჩაბმულ ბრძოლასთან ერთად, ერთიმეორეს ეურჩებოდნენ და ებრძოდნენ. მეფის მთავრობა XIX ს. 30—40-იან წლებში აქტიურად ვერ ერეოდა სვანეთის საქმეებში. ის უფრო კავკასიის ომითა და შავი ზღვის პრობლემით იყო დაკავებული. მიუხედავად მრავალგზის პროტესტისა, დადიშქელიანთა სამართლიანი მოთხოვნის მხარდასაჭერად მეფის მთავრობამ არავითარი ზომები არ მიიღო, რადგან მისთვის უფრო სასარგებლო იყო დადიშქელიანებისადმი დაპირისპირებული დიდი მფლობელებისადმი მხარდაჭერა, მათ შორის დადიანებისადმი, რომლებიც თვითმპყრობელობისადმი განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდნენ. 1837 წ. ბარონი როზენი წერდა: დადიანი იმპერატორის ტახტისადმი უქვეშევრდომილესი ერთგულებით გამოირჩევა, ხელისუფლების ყველა ღონისძიებისადმი აქტიური მხარდაჭერის და ხელშეწყობის გამო, მე შეუძლებლად მიმაჩნია, ამ მთავრის უფლებების რაიმე შეზღუდვა[30].

კავკასიის ომის ქარცეცხლიან დღეებში მეფის მთავრობას არაფრით აწყობდა აგრეთვე აფხაზეთის, ყაბარდოსა, ყარაჩაის მფლობელთა კიდევ უფრო განაწყენება, ამიტომ ერიდებოდა მათ გაბოროტებას. 1838 წ. კავკასიის ადმინისტრაციამ დადიშქელიანთა საჩივრების გასარჩევად სვანეთში მიავლინა ნემიროვიჩ-დანჩენკოც, რომლის მისიას დაზარალებულთა სასარგებლოდ არაფერი მოჰყოლია.

აჰასობაში დაღესტანსა და ჩერქეზეთში კიდევ უფრო გამწვავდა მდგომარეობა. ჩრდ. კავკასიის მაჰმადიან მთიელებთან ერთად აფხაზეთის მაჰმადიანი მოსახლეობაც ჩაება მიურიდიულ მოძრაობაში და მეფის რუსეთის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა. მეფის მოხელეებმა სცადეს 1840 წელს მაჰმადიან მთიელთა წინააღმდეგ დადიშქელიანებიც ჩაებათ. გენერალმა გოლოვინმა ციოყსა და თათარყანს თხოვა, სამეგრელოსა და იმერეთის რაზმებთან ერთად, თავიანთი ძალაც გამოეყენათ აფხაზეთის (წებელდის) მფლობელების შაბათ და ეშავ მარშანიების (წარმოშობით მარუშიანების) წინააღმდეგ. როგორც სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი გოლოვინის პატაკიდან ჩანს, თათარყანი (რომელიც მეფის მთავრობამ დადიშქე-

---

30 АКАК, т. XII, с. 185.

ლიანთა ერთმანერთ მეთაურად არ ცნო) განაწყენებული იყო და ამიტომ მან დავალება არ შეასრულა, ხოლო ციოყს თავისი რაზმი წაუყვანია[31]. მალე ციოყს მონაწილეობა მიუღია გენერალ ანრეპის უქსპედიციაში (შაფსუღებისა და უბიხების წინააღმდეგ), სადაც კიდევაც დალუპულა.

როგორც ჩანს, თათარყანმა ციოყის დაღუპვით ისარგებლა და კიდევ უფრო აქტიური ბრძოლა დაიწყო მთელი სადადიშქელიანო სამფლობელოს ხელში ჩასაგდებად. მან ციოყის ცოლშვილზე მეურვეობის უფლება მოითხოვა და ამით საწადელსაც მიაღწევდა, მაგრამ, როდესაც ამაზე თანხმობა ვერ მიიღო, 1843 წ. მოულოდნელად დაესხა თავს ციოყის სასახლეს ფარში. აღმოჩნდა, რომ (ყვავილის ეპიდემიის გამო) ციოყის ცოლ-შვილი, მათ შორის: მურზაყანი (ჩვენთვის ცნობილი კონსტანტინე, სვანეთის მთავარი), ბექირბი (ანუ ალექსანდრე, რომელიც გენერალი გახდა), ისლამი, თენგიზი და ციოყი, სამეგრელოში აფარებდნენ თავს ლევან დადიანთან.

თათარყანმა სხვა რომ ვერაფერი იღონა, თანამოძმის სასახლე ცეცხლს მისცა, მოწინააღმდეგე მცველები (17) დახოცა, ციოყის ქალიშვილი დაატყვევა. ციოყის დედა დიგორხანი (გარდაფხაძე-დადიშქელიანისა), რომელიც კოშკში იყო შეხიზნული და ჩაკეტილი, იძულებული გახდა, ირგვლივ გამძვინვარებული ხანძრის გამო, კოშკიდან გადმომხტარიყო, მაგრამ ძირს დაცემისთანავე დაიღუპა[32].

ციოყის ცოლ-შვილი, მთავრობის მხრივ დახმარების მოლოდინში, დადიანებთან აფარებდნენ თავს, მაგრამ კავკასიის ომისა და თურქეთთან გამწვავებული ურთიერთობის ვითარებაში მათ არავინ მიეშველა. კავკასიის ადმინისტრაციის მხრივ იმედგადაწურული კონსტანტინე და მისი ძმები იძულებული გახდნენ სვანეთში დაბრუნებულიყვნენ და მამული თავისი ძალით დაებრუნებინათ.

დადიშქელიანთა თვითნებობით განაწყენებულმა მთავრობამ კავკასიის მთავარსარდალს, გენერალ-ადიუტანტ ნეიდგარდტს დაავალა სვანეთის მფლობელთა სახელისუფლო ტიტულებისადმი გადაეხედა. ასეთ ვითარებაში დადიშქელიანებს „ვლადეტელი სვანეტი“ შეეცვალათ „სვანეტსკი ვლადეტელით“ (ე. ი. „სვანეთის მფლობელების“ ნაცვლად „სვანი მფლობელები ეწოდათ). თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი კვლავ „ბრწყინვალების“ ეპითეტით მოიხსენიებოდნენ.

დადიშქელიანთა საქმის მოგვარება კავკასიის მეფისნაცვალმა, ვორონცოვმაც სცადა. მან სვანეთში გააგზავნა პროტორეა (მღვდელი) ქუთათელაძე, რომელმაც თითქოს მოქიშპე მხარეებიც შეარიგა. ვორონცოვი ამით არ დაკმაყოფილდა და 1846 წ. სვანეთში გაგზავნა თა-

---

31 АКАК, т. IX, с. 497.

32 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, д. 466, л. 12—13.

ვისი ადიუტანტი ლობანოვ-როსტოვსკი, რომელმაც თათარყანს წერილობითი პირობა დაადებინა, რომ ჩუბეხევის დადიშქელიანების წინააღმდეგ მტრობას შეწყვეტდა. ამის შემდეგ დადიშქელიანთა ორ შტოს შორის შუღლი შენელდა, ხოლო თათარყანის გარდაცვალების (1850 წ.) შემდეგ, 1851 წ. მისი შვილები ჯანსუღი და ოთარი სვანური წესით შეურიგდნენ კონსტანტინესა და მის ძმებს, რომელთაც სისხლის საურავად 24 ყმა და სხვა ქონება გადაუხადეს.

სხვათა შორის, თათარყანის გარდაცვალებისთანავე მისმა შვილებმა ჯანსუღმა და ოთარმა თავიანთი სამფლობელო ორად გაიყვეს: ეცერ-ცხუმარი ჯანსუღს (უმცროს ძმას) ერგო, ხოლო ბეჩო — ოთარს (მათი მესამე ძმა — მოსოსტრი 1846 წ. გარდაიცვალა, რომლის შვილს მოსოსტრს შედარებით მცირე მამული მისცეს).

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ დადიშქელიანთა შორის მტრულ დამოკიდებულებას აღვივებდნენ დადიანები, რომლებიც ხშირად უნათესავდებოდნენ (ან ქორწინებით ან ნათლიმამობით) დადიშქელიანთა ამა თუ იმ შტოს და მოხერხებულად უპირისპირებდნენ დანარჩენს. ჩანს, XIX ს. 50-იან წლებში დადიანებს, მათ შორის დავით დადიანის მეუღლეს ეკატერინე ჭავჭავაძეს, კავშირი შეუკრავს თათარყანის წყმკვიდრეებთან, რომელთაც არა მხოლოდ ისინი გამოუყენებიათ კონსტანტინესა და მისი ძმების წინააღმდეგ, არამედ მათი სიძე ბაგრატიონ-მუხრანსკიც (გენერალი, გურიაში დაბანაკებული სამხედრო რაზმის უფროსი). ეს გარემოება კი კიდევ უფრო ამწვავებდა დაპირისპირებულ მხარეთა უთანხმოებას.

დადიშქელიანთა შორის ურთიერთობა XIX ს. 50-იანი წლების დასაწყისში ისევ გამწვავდა. ეტყობა, ჩუბეხევის სათავადო სახლს მოსვენებას უკარგავდა თათარყანის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა. კონსტანტინესა და ალექსანდრეს უმცროსი ძმები სულ იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ ესისხლათ ბებია დიგორხანი და მამიდა (რომელიც დატყვევების შედეგად გარდაიცვალა). მალე, ყირიმის ომის დაწყების შედეგად (როცა ქვეყნის მართვაგამგეობა აირია) ჩუბეხევის დადიშქელიანებს ხელსაყრელი მომენტი დაუდგათ.

ყირიმის ომთან დაკავშირებით მოქმედ არმიაში იქნენ გაწვეული დადიშქელიანთა რაზმები. როდესაც ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერ ჯარში გამოძახებული ჯანსუღი (თათარყანის ეაჟიშვილი), თავისი 40-კაციანი ამალით, დანიშნული ადგილისკენ მიდიოდა, მათ, 1853 წ. აპრილში, ლაბამულაში (გზაზე) ისლამი და თენგიზი ჩაუსაფრდნენ, ჯანსუღი მოკლეს, მისი უფროსი ეაჟიშვილი თენგიზი დაჭრეს, დანარჩენები უვნებლად გაიქცნენ. შურისმაძიებლები ამით არ დაკმაყოფილდნენ და ჯანსუღის მამულსაც დაეპატრონენ, ხოლო მისი ცოლშვილი,

80 ვსახურითა და ძოახლით, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს შეეხიზნენ ლეჩხუმში[33].

ამ აქტმა არა მხოლოდ ეკატერინე და მისი ახლობლები გააცხარა, არამედ მეფის მთავრობა და ყველა, ვინც თურქეთისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ იყო დასავლეთ საქართველოში მობილიზებული.

ეკატერინეს აქტიური მოქმედებით დასავლეთ საქართველოს სამხედრო რაზმების მეთაურმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ჯანსუღის მკვლელობას პოლიტიკური სარჩული დაუდო და კონსტანტინესა და მის ძმებს უდიდესი ბრალდება წარუდგინა. საბრალდებო დასკვნის ოფიციალურ წაყენებამდე, მოწინააღმდეგე დადიშქელიანებზე ეკატერინე დადიანმა რამდენიმე საჩივარი შეადგინა; ერთ-ერთ მათგანში ის წერდა, რომ ჯანსუღ დადიშქელიანი კონსტანტინეს ძმებმა დადიანებისაღმი ერთგულების გამო მოკლესო. მეორეში აღნიშნავდა, თითქოს თავისუფალი სვანები დადიანებს ემორჩილებოდნენ, მაგრამ კონსტანტინესა და მის ძმებს მათი ძალით დაპყრობა სურდათ. მესამეში ირწმუნებოდა, რომ კონსტანტინეს ძმები ყაჩაღურად აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ ჯანსუღის მამულს და ა. შ.[34].

ყოველივე ამის გამო ეკატერინე დადიანი მოითხოვდა დადიშქელიანთა სასტიკ დასჯას.

ჩანს, ეკატერინეს არაერთმა საჩივარმაც იმოქმედა მეფის მოხელეებზე, რომელთაც კონსტანტინეს ძმების ისლამისა და თენგიზის მოქმედებას, ბოროტ შურისძიებასთან ერთად, პოლიტიკური სარჩულიც დაუდეს.

რთული ვითარების გამო მეფის მოხელეებმა სვანეთში სამხედრო რაზმის გაგზავნაზე დროებით თავი შეიკავეს. ბაგრატიონ-მუხრანსკის მიეთითა იქამდე არაფერი ეღონა, სანამ კონსტანტინეს განმარტებას მიიღებდა. თუკი დადიშქელიანებს რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედება დაუდგინდებოდათ, მაშინ ისინი სამხედრო ძალით უნდა დაეთრგუნათ.

სვანეთში საქმის გასარკვევად გაიგზავნა მოქმედი არმიის ოფიცერი დემიანოვიჩი, რომელმაც, საქმის დაზუსტებასთან ერთად, გენერალ ბაგრატიონ-მუხრანსკის კონსტანტინეს წერილიც წაუღო. კონსტანტინე მთავრობას წერდა, რომ მისმა ძმებმა მკვლელობა მხოლოდ შურისძიების მოტივით ჩაიდინეს და არა სხვა რაიმე მიზნით.

---

33 ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი. ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925, გვ. 75.

34 Акты, собранные Кавказской археологической комиссией (АКАК), т. XI, с. 944—948.

რაკი მეფის მოხელეები დარწმუნდნენ, რომ კონსტანტინეს ძმები მთავრობის წინააღმდეგ არ აპირებდნენ აჯანყებას, მათი საქმის გარჩევა დროებით გადადეს და იმით დაკმაყოფილდნენ, რომ „როტმისტრ“ კონსტანტინეს და მის ძმას „პორუჩიკ“ ალექსანდრეს ხელფასის მიცემა შეუწყვიტეს, ხოლო ამ უკანასკნელს ებრძანა დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო მოქმედ არმიაში (ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკში)[35].

როგორც ითქვა, ყირიმის ომის ვითარებაში მეფის მთავრობამ თავი შეიკავა სვანეთში სამხედრო ძალით გალაშქრებაზე, ხელსაყრელ დროს დაელოდა. სხვათა შორის, კავკასიის მეფისნაცვალი მურავიოვი უშუალოდ იცნობდა ალექსანდრეს, შესაძლებელია გარკვეულად ამანაც განაპირობა სვანეთში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნისაგან თავის შეკავება.

ერთი წლის შემდეგ კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა გენერალ-ადიუტანტმა ბარიატინსკიმ დადიშქელიანთა საქმეს უფრო ენერგიულად და მკაცრად მოკიდა ხელი.

როგორც კი ყირიმის ომი დამთავრდა, ახლა დადიშქელიანთა წინააღმდეგ ერთად დაირაზმნენ მეფის მოხელეები და დაპირისპირებული დადიანები. ბარიატინსკი, ერთი მხრივ, დაჟინებით მოითხოვდა პორუჩიკ ალექსანდრეს გარიცხვას სამხედრო სამსახურიდან, მეორე მხრივ, დადიშქელიანთა მკვლელობის გამოსაძიებლად გენერალ-მაიორი ლორის მელიქოვი (კავკასიის სამხ. კორპუსის თანამშრომელი) გამოყო[36].

მიუხედავად არაერთი დაჟინებითი მოთხოვნისა ალექსანდრე დადიშქელიანი სამხედრო სამსახურში არ ცხადდებოდა, სანამ ძმების აწეწილ-დაწეწილ საქმეებს არ მოაგვარებდა, ხოლო უგზოობის გამო სვანეთში ვერ მიდიოდა სამხედრო ექსპედიცია, რომელსაც ლორის მელიქოვიც უნდა გაჰყოლოდა.

განაწყენებული მეფისნაცვალი ბარიატინსკი სამხედრო მინისტრს სუხოზანეტს თხოვდა — რაც შეიძლებოდა მალე შეეყვანა მეფე საქმის კურსში ალექსანდრე დადიშქელიანის სამხედრო სამსახურიდან გარიცხვის დასადასტურებლად[37].

---

35 ალექსანდრე (ბექირბი) მიხეილის ძე (ციოყის ძე) დადიშქელიანმა თავადაზნაურთა კადეტთა კორპუსი დაამთავრა და 1843 წელს, „პრაპორშჩიკის“ ჩინით ჩუბეხევში იქნა ხანგრძლივ შვებულებაში გაშვებული — თავისი უფროსი ძმის კონსტანტინეს დასახმარებლად (ალექსანდრე ოფიციალურად ნიკეგოროდის დრაგუნთა პოლკში ირიცხებოდა, ჯერ „პრაპორშჩიკის“, ხოლო 1848 წლიდან „პორუჩიკის“ ჩინით. როგორც კონსტანტინე, აგრეთვე ალექსანდრე სამხედრო ხელფასს ღებულნენ).

36 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 10.

37 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 3—4.

როგორც ჩანს, ლორის მელიქოვი ავად გახდა, ამიტომ სვანეთის მფლობელთა საქმეების გამოძიებას პოლკოვნიკი უსლარი აწარმოებდა. ამასობაში დადიშქელიანების წინააღმდეგ არაერთი ბრალდება იქმნებოდა, ერთ-ერთ ბრალდებად კონსტანტინესა და მის ძმებს უყენებდნენ თავისუფალ სვანთა შევიწროებას (თითქოს მათ დაშინებითა და ძალით აიძულეს ორი თავისუფალი საზოგადოება მორჩილება აღეთქვათ). დადიშქელიანთა წინააღმდეგ ცნობებს აგროვებდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინიც, რომელსაც, საჭირო შემთხვევაში, სვანეთში გასაგზავნად სამხედრო რაზმები უნდა შეეკრიბა სამეგრელოსა და წებელდაში. თუკი დადიშქელიანები ნებაყოფლობით არ დაემორჩილებოდნენ მთავრობას, მაშინ მათ წინააღმდეგ სამხედრო ნაწილები უნდა მომზადებულიყო ნალჩიკსა და ყარაჩაიშიც და ყველა ერთად დაძრულიყო სვანეთისაკენ.

საბოლოო ჯამში, დადიშქელიანთა წინააღმდეგ მძიმე ბრალდებები შემუშავდა: ერთ-ერთში (პოლიტიკურ ბრალდებაში) ლაპარაკია, თითქოს, ყირიმის ომის დროს, დადიშქელიანებს კავშირი ჰქონდათ თურქეთის აგენტებთან. ამ ბრალდებას მეფის მოხელეები იმითაც ამაგრებდნენ, რომ კონსტანტინემ და მისმა ძმებმა საკუთარი რაზმი არ გამოიყვანეს ომარ ფაშას წინააღმდეგ, ხოლო ჯანსუღის მოკვლით მათ ჩაშალეს დაპირისპირებულ დადიშქელიანთა რაზმის გამოცხადება მოქმედ ჯარში. ამ ძირითად ბრალდებას ემატებოდა ისიც, რომ თითქოს კონსტანტინეს მბარე თავისუფალ სვანთა დაპყრობასაც ცდილობდა.

ბოლოს და ბოლოს, 1857 წ. ივლისში სვანეთში იგზავნება სამხედრო ექსპედიცია, რომლის მეწინავე ნაწილს პოლკოვნიკი უსლარი მეთაურობდა, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გაგარინს ევალებოდა, გადაწყვეტილი იყო—თუკი დადიშქელიანები წინააღმდეგობას გაბედავდნენ, სვანეთისაკენ ერთდროულად უნდა დაძრულიყვნენ ყარაჩაიში, კისლავოდსკში, ნალჩიკში და წებელდაში შექმნილი სპეციალური რაზმები[38].

სვანეთში წასელის წინ მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ თავისთან გამოიძახა უსლარი და სპეციალური ინსტრუქციის მიცემასთან ერთად, კონსტანტინესათვის გადასაცემი წერილიც გაატანა.

სამხედრო ექსპედიციამ 1857 წ. ისე შემოიარა სვანეთი, რომ არავითარ წინააღმდეგობას არ წაწყდომია. ცხადია, სვანეთში არც პიატიგორსკის, კისლავოდსკის, ყარაჩაისა და არც სამეგრელო-წებელდის რაზმები არ გაუგზავნიათ.

სვანეთში წასული სამხედრო რაზმის მეთაურთან, უსლართან გამოცხადნენ კონსტანტინე და ალექსანდრე, რომლებიც მალე მეფისნა-

---

38 АКАК, т. XII, с. 369—370.

ცვალ, თავად ბარიატინსკისაც ეწვივნენ თბილისში; რაც შეეხება ისლამსა და თენგიზს, ისინი სვანეთშივე დაიმალნენ.

ახლა, მკვლელობიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ისლამისა და თენგიზის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ხოლო კონსტანტინე, რომელსაც ჯანსუღის მკვლელობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია (იმ დროს თბილისში იმყოფებოდა), დამნაშავედ იქნა ცნობილი თათარყანის მამულის დაპატრონების გამო.

რაც შეეხება ალექსანდრეს, ის იმაში იქნა დადანაშაულებული, რომ, მიუხედავად არაერთი ბრძანებისა, მოქმედ ჯარში არ გამოცხადდა, რის გამო კიდევაც გაირიცხა სამხედროდან, მაგრამ ამის მიუხედავად, ბარიატინსკის მიაჩნდა, რომ მან ახალგაზრდობის დროს სრულყოფილი, რუსული აღზრდა მიიღო ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკში. კარგად წერდა და ლაპარაკობდა რუსულად, დაჯილდოებული იყო გონებრივი ნიჭით, ამიტომ ის სასარგებლო კაცი იყო და შეიძლებოდა მისი ჯარში აღდგენა რუსეთის რომელიმე შიდა გუბერნიის პოლკში.

აქედან გამომდინარე, ბარიატინსკიმ სამხედრო მინისტრის წინაშე იშუამდგომლა ალექსანდრეს (პორუჩიკის ჩინით, წლიური ხელფასი 200 მან. ვერცხლით — ჩინისათვის კუთვნილის ზემოთ) აღდგენაზე სამხედრო ნაწილში. ოღონდ მისი შვებულებაში წასვლა წინდაწინ უნდა ყოფილიყო შეთანხმებული კავკასიის კორპუსის მთავარსარდალთან, რათა მას ძმებზე ზემოქმედების საშუალება არ მისცემოდა[39].

ბარიატინსკიმ საბოლოოდ შეათანხმა, რომ ალექსანდრე დაუყოვნებლივ წასულიყო ნოვოჩერკასკში (საგზლად უნდა მისცემოდა 1000 მან. ვერცხლით) სათანადო პოლკში გასამწესებლად, ოღონდ მას დაუწესდა სამუდამო საიდუმლო მეთვალყურეობა[40].

ამასთან, ბარიატინსკის აზრით, საჭირო იყო დადიშქელიანთა მამულების სასწრაფო გამიჯვნა და მეზობელ მფლობელებთან საქმის მოგვარება. ბარიატინსკიმ დაადასტურა აგრეთვე, რომ დადიშქელიანთა ორივე მეთაური კვლავინდებურად „სიატელნად“ წოდებულიყო.

ბარიატინსკიმ კონსტანტინე ქუთაისში გაისტუმრა, ხოლო, გარკვეული ლოდინის შემდეგ, ალექსანდრე თავდაპირველად ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკში აღადგინეს.

ამავე დროს, მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ კანცელარიის მმართველს დაავალა გადაეხედა დადიშქელიანების შესახებ არსებული ყველა სახის საბუთისათვის, რათა საბოლოოდ გარკვეულიყო მათი საკითხი.

---

39 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 23.

40 იქვე. ფ. 26.

ამასობაში კავკასიის მმართველობის რეორგანიზაციის საკითხიც მომწიფდა. მეფის მთავრობის პოლიტიკას ხელს უშლიდა ცალკეული ავტონომიების არსებობა. ამიტომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა გაუქმებულიყვნენ. მალე ბატონყმობის გაუქმების საკითხიც დაისვა, მაგრამ ყველაფერი ეს დიდ სამუშაოს შესრულებასა და დროს მოითხოვდა.

რადგან 1857 წ. ივლისის სამხედრო ექსპედიციამ ისლამი და თენგიზი ვერ დაიჭირა, და ზამთრის მოახლოების გამო სვანეთში ექსპედიციის ხელახალი მოწყობა შეუძლებელი გახდა, ძმების დაჭერა სვანეთის ბოქაულს ა. მიქელაძეს დაევალა. ეტყობა, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი ჩქარობდა დადიშქელიანთა საქმის მოგვარებას. მან უსლარსა და ბარტლომეს დაავალა, რომ კონსტანტინე ხელიდან არ გაეშვათ და ჩუბეხევის დადიშქელიანებზე ყველა ცნობა და მასალა შეეგროვებინათ.

რადგან მეფის მთავრობას განზრახული ჰქონდა დადიშქელიანთა სამთავროს გაუქმება, გაგარინმა გადაწყვიტა კონსტანტინე მანამ არ გაეშვა ქუთაისიდან, სანამ მისი ოჯახის მომავალი ბედი არ გაირკვეოდა. რაკი ეს საქმე გვიანდებოდა, გაგარინმა განიზრახა, საქმის საბოლოო გარკვევამდე, კონსტანტინე ერევანში გაეგზავნა.

კონსტანტინეს ქუთაისში დაკავების, აგრეთვე ერევანში გაგზავნის მიზეზი ისიც იყო, რომ მისი უმცროსი ძმები — ისლამი და თენგიზი — დაჭერილი არ იყვნენ.

ბარიატინსკის მიაჩნდა, რომ კონსტანტინეს ძმების მიერ ჩადენილი დანაშაული, ნაწილობრივ მაინც, თავიანთი ქვეყნის წარმოდგენებისა და ტრადიციის ბრალი იყო, ამიტომ შეიძლებოდა მათ გარკვეული შეღავათი მისცემოდათ, მით უფრო, რომ ისინი ახალგაზრდები იყვნენ და მათი გამოყენება შეიძლებოდა რუსეთის სასარგებლოდ. ყოველივე ამის გამო, მეფის ნაცვალმა შესაძლებლად მიიჩნია ისლამისა და თენგიზის რუსეთის რომელიმე შორეულ გუბერნიაში გადასახლება (ამის სათანდო ხარჯი უფროსი ძმების ანგარიშზე უნდა გაღებულიყო)[41].

მოფიქრებული გეგმის შესაბამისად, 1857 წ. 24 ოქტომბერს გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა კონსტანტინე დადიშქელიანი თავის კაბინეტში გამოიძახა და განუცხადა, რომ გადაწყვეტილი იყო მისი სამთავროს გაუქმება, ამიტომ, სანამ მისი მომავალი საცხოვრებელი გამოინახებოდა, დროებით ერევანში უნდა წასულიყო.

ჩამს, კონსტანტინე ისედაც განერვიულებული იყო უსლარისა და ბარტლომეს უხეში მოპყრობით და თვალთვალით. ამას დაემატა

---

[41] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 24.

გენერალ-გუბერნატორის მბრძანებლური, უხეში ტონი, რამაც კონსტანტინე კიდევ უფრო ააფორიაქა. ასეთი ცხარე კამათის დროს კონსტანტინემ გამოსავალი ვერ იპოვა, ხანჯალი იძრო და მყისვე სიცოცხლე მოუსწრაფა გაგარინს, შემდეგ მის ორ მცველს, დიდი დანით შეტევაზე გადმოსულ მზარეულს და ბოლოს ჯაჭვის ხიდის მიმართულებით გაიქცა.

როგორც ჩანს, ჯაჭვის ხიდი და ყველა გზა სწრაფად ჩაიკეტა, ხოლო მდინარე რიონი ადიდებული აღმოჩნდა, ამიტომ კონსტანტინე იძულებული გახდა მდინარის პირას ბაქრაძის სახლისათვის შეეფარებინა თავი. მალე ეს სახლი ჯარის მიერ იქნა გარშემორტყმული. კონსტანტინემ სახლის პატრონები სასწრაფოდ გააქცია, კარები მძიმე საგნებით ჩახერგა და ფანჯრიდან სროლა დაუწყო მის შესაპყრობად მისულ სამხედრო ნაწილს. მან რამდენიმე ჯარისკაციც დაჭრა, მაგრამ სხვა ვერაფერი იღონა; ჯარის ნაწილმა სახლს ირგვლივ ჩალა და თივა მიაყარა და ცეცხლი წაუკიდა. კონსტანტინე იძულებული გახდა ცეცხლმოდებული სახლიდან გადმომხტარიყო, რის შემდეგაც მალე შეიპყრეს.

მთავრობის წინააღმდეგ ჩადენილი უდიდესი დანაშაულისათვის კონსტანტინე (მურზაყანი) სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით სასწრაფოდ დახვრიტეს[42].

ჯერი კონსტანტინეს ძმებსა და ცოლ-შვილზე დადვა. მთავრობის სამხედრო მოხელის, პოლკოვნიკ პ. უსლარის (სხვათა შორის, ის არქეოლოგი და ენათმეცნიერიც იყო) მიერ დეტალურად იქნა გამოკვლეული ჩუბეხევის დადიშქელიანთა ისტორია. აღნუსხულ იქნა მათ მიერ ჩადენილი მკვლელობები და სხვა დანაშაული (პ. უსლარის მიერ

---

42 აღსანიშნავია, რომ 1862 წ. 25 აპრილს კონსტანტინე დადიშქელიანის ნეშტი დახვრეტის ადგილიდან გადაასვენეს ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც მეუღლემ, ეპისკოპოს გაბრიელის, ნათესავებისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობით (პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ), სამოქალაქო პანაშვიდი (წირვა და ქელები) გადაიხადა.

როდესაც ეს საქმე გახმაურდა, საქართველო-იმერეთის სინოდიალური კანტორის პროკურორმა ახმატოვმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა და 1863 წ. იანვარში წერილით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს, რომელშიც შეშფოთებული წერდა, რომ თითქოს ამ საქმით გაოცებულია თვით მეფისნაცვალი გენერალ-ფელდმარშალი ალექსანდრე ბარიატინსკიც კი (ის უკვე მეფისნაცვალი არ იყო), ამიტომ კითხულობდა — რანაირად მოხდა ყოველივე ეს.

საქართველოს ეგზარქოსმა პროკურორს მოახსენა, რომ კონსტანტინეს ნეშტის გადასვენება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ კოლიუბაკინის ნებართვით მოხდა. ეგზარქოსმა თავი იმით იმართლა, რომ კავკასიის უოფილმა მმართველობამ კ. დადიშქელიანის დასაფლავებისა და ქელეხისათვის 3 ათასი მანეთი (ვერცხლით) გამოყო (იხ. ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, Л. 130—131).

შედგენილი დადიშქელიანთა გენეალოგიური ტაბულა წიგნს თან ახლავს).

უსლარის დასკვნით, „დადიშქელიანებისათვის სისხლის აღება ჩვეული საქმე და შთამომავლობითი მოვალეობაა". ამის გამო, მისივე განსჯით, მოსალოდნელი იყო კონსტანტინეს დახვრეტისათვის დადიშქელიანების მიერ სისხლის აღება მეფის მოხელეებზე.

ამის გამო, კავკასიის ადმინისტრაციის აზრით, აუცილებელი იყო ჩუბეხევის ყველა დადიშქელიანის გადასახლება სვანეთიდან და საერთოდ კავკასიიდან.

რაკი ისლამისა და თენგიზის დაპატიმრება 1857 წელს ვერ მოხერხდა და სვანეთის ბოქაული ბიქელაძეც ვერაფერს გახდა, 1858 წ. შემოდგომაზე, გენერალ-ლეიტენანტ ერისთავის მეთაურობით, ზუგდიდიდან ჩუბეხევში სამხედრო რაზმი გაიგზავნა. სახლში მყოფი ძმები მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობა უმიზნო იყო, ამიტომ უბრძოლველად დანებდნენ. ისინი თბილისში წაიყვანეს.

როგორც ნავარაუდევი იყო, ახალგაზრდული ასაკისა და სისხლის აღების ჩვეულების ტრადიციული ვალდებულების გამო, ისლამსა და თენგიზს გარკვეული შეღავათი მიეცათ. კავკასიის ადმინისტრაციამ საკითხი დასვა, რომ ძმები (მესამე ძმა ციოყიც) რუსეთის რომელიმე შორეულ გუბერნიაში გადაესახლებინათ საცხოვრებლად.

საქმის შეთანხმებასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას დრო დასჭირდა. ამასობაში ალექსანდრე დადიშქელიანი ირკუტსკში გაამწესეს აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორის, გრაფ ნიკოლაი მურავიოვ-ამურსკის ადიუტანტად[43].

ჩანს, ალექსანდრემ გავლენა მოახდინა თავის უშუალო უფროსზე, თხოვა თავისი უმცროსი ძმების — ისლამის, თენგიზისა და ციოყისადმი დახმარება. ეტყობა მურავიოვმა გულთან მიიტანა თავისი ადიუტანტის თხოვნა და კავკასიის მეფისნაცვლის, აგრეთვე სამხედრო მინისტრის სახელზე შუამდგომლობა გააგზავნა ძმები დადიშქელიანებისადმი სასჯელის შემსუბუქების თაობაზე. ის გულმოდგინედ ითხოვდა, რომ ძმები შეეწყნარებინათ და კავკასიაში დაეტოვებინათ.

ძმებთან ერთად კონსტანტინეს ცოლ-შვილის საკითხიც დაისვა, გადაწყდა, რომ ქვრივი რუსუდან შერვაშიძე შეიძლებოდა საცხოვრებლად თავისიანებთან დარჩენილიყო აფხაზეთში. მისი უფროსი ვაჟიშვილი მოსოსტრი, რომელიც თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა, ციმბირის კადეტთა კორპუსში უნდა გადაეყვანათ, დანარჩენი ვაჟიშვილები — ოთარი, ლევანი და მურზაყანი, რომლებიც დებთან ერთად იმყოფებოდნენ დედასთან აფხაზეთში, სრული ასაკის მიღწე-

---

[43] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 34.

ვისთანავე ციმბირის კადეტთა კორპუსში ჩარიცხულიყვნენ, ხოლო ქალიშვილებს — კესარიას, გიგოხანს, დიორხანსა და მელახანს — ნება მიეცათ აფხაზეთში დარჩენილიყვნენ დედულებთან ან ყველანი ერთად წასულიყვნენ ძმებთან ომსკში[44].

რაკი მთავრობამ ჩუბეხევის დადიშქელიანებს სვანეთიდან სამუდამო გადასახლების განაჩენი გამოუტანა, საკითხი დაისვა მათი მატერიალური უზრუნველყოფისა და ჩუბეხევის მმართველობის შემდგომი მოწყობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, კავკასიის ადმინისტრაციამ საჭიროდ ჩათვალა ირკუტსკში გამწესებული ალექსანდრეც გამოეყენებინა.

საქმე იმაშია, რომ მეფის მთავრობა ფორმალურად მაინც ცდილობდა დადიშქელიანების მომავალი ბედის უკონფლიქტოდ გადაჭრას, ამიტომ გადაწყვიტა ალექსანდრეს მეშვეობით დანარჩენებზეც ემოქმედა. მთავრობას მიაჩნდა, რომ ალექსანდრეს, ისლამს, თენგიზსა და ციოყს, აგრეთვე კონსტანტინეს ოთხ ვაჟიშვილს (უფროსი ვაჟი, ჯერჯერობით, თბილისის გიმნაზიის მოსწავლე იყო) შეეძლოთ რუსეთისათვის კეთილი სამსახური გაეწიათ. ამ მიზნით, კავკასიის ადმინისტრაციამ, ჯერ კიდევ 1958 წ. დეკემბერში, წერილით მიმართა აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორ მურავიოვ-ამურსკის, რათა თავისი ადიუტანტი ალექსანდრე ჩაერთო საქმეში. მართალია, ამ დროს ალექსანდრეს ექსპედიცია ჰყავდა ამურის მხარეში წაყვანილი, მაგრამ როგორც კი ის დაბრუნდა (1859 წ. აპრილში), მურავიოვი საგანგებოდ მოელაპარაკა. ამის თაობაზე, ის 1859 წ. 10 აპრილს კავკასიის ადმინისტრაციას ატყობინებდა: დადიშქელიანების მომავალ ბედზე ძე ალექსანდრეს დაბრუნებისთანავე ვესაუბრე, რაც თქვენ მომწერეთ. მთავრობის გადაწყვეტილება მან გულთან მიიტანა და თანახმაა მოწყალე ხელმწიფის მიერ გამოტანილი განაჩენის[45].

მურავიოვ-ამურსკი წერს: „ალექსანდრე დადიშქელიანი დაწვრილებით მომიყვა სვანეთის უკანასკნელ ამბებს, თავისი ძმებისა და თავის საქმეებზე და გულწრფელად ინანიებს ყოველივეს. ?ე მოვისმინე მისი ღრმა ნაფიქრი, პატიოსანი და ჯანსაღი აზრი, რომელიც გაჟღენთილია თანამედროვე შეგნებით და მთავრობისადმი სიყვარულით. რაკი საქმე მისი ოჯახის მომავალს ეხება, მან მთხოვა რამდენიმე დღე მიმეცა, რათა ყოველივე ღრმად განესაჯა და ყველაფრისთვის სრულყოფილი პასუხი გაეცა, რასაც მას ეკითხება მთავრობა. ალექსანდრე დამპირდა, რომ ყველაფერ ამაზე წერილობით პასუხს მომახსენებდა პატიოსნად და გულღიად.

---

[44] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 111.

[45] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 38.

მე ამაზე დავთანხმდი — წერს გენერალ-გუბერნატორი, — და, თქვენს მაღალკეთილშობილებას (ლაპარაკია კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსზე) გაახლებთ თავად დადიშქელიანის წერილს, რომელიც მე წარმომიდგენია და რომელშიც გულწრფელად და პატიოსნად აცხადებს — რასაც მთავრობა მოიმოქმედებს მის ოჯახზე და ნათესავებზე ყოველივეს უყოყმანოდ და განუხრელად მიიღებს[46].

რაც შეეხება თავად ა. დადიშქელიანის პირად აზრს — თავიანთ გლეხებზე, — იტყობინება გენერალ-გუბერნატორი, — ის თანახმაა მათ განთავისუფლებაზე, იმაზე, რომ მათი საქმე გადაწყდეს სასიკეთოდ და უყოყმანოდ, რაც კარგად ახასიათებს მისი აზრების განვითარებულობასა და თანამედროვეობას, რაც ძალიან შორსაა, აგრეთვე, აზიური შეგნებიდან. შეეხე რა გლეხთა განთავისუფლებას, — დასძენს გენერალ-გუბერნატორი, — ალექსანდრემ შემახსენა თავიანთი უფლებები ამ გლეხებისადმი, მაგრამ ის ახლა არ მოითხოვს ამ უფლებების შემდგომ გავრცელებას თავისი წინაპრების სახლისადმი კუთვნილ გლეხებზე, მიწა-წყალზე და მთის საძოვრებზე. ა. დადიშქელიანს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს, აგრეთვე, სვანეთის მმართველობის ახლებური მოწყობისა და არ აცხადებს ამ მმართველობაში მონაწილეობის პრეტენზიას, მაგრამ, როგორც ყველა მემამულე, ის იტოვებს მამულებისადმი საკუთრების უფლებას[47].

რაც შეეხება ალექსანდრეს უმცროსი ძმების საცხოვრებლად გადასახლებას ირკუტსკში, — წერს მურავიოვ-ამურსკი — მიმაჩნია, რომ ა. დადიშქელიანს მართლაც შეუძლია თავის ძმებზე იმოქმედოს, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეიძლება მის მოსაზრებას არ დაეთანხმო, რომ ირკუტსკში გადასახლებას მისი ძმები მიიღებენ, როგორც უმძიმეს სასჯელს, თუნდაც უცხო ენის, უცხო ჩვეულებებისა და სხვათა გამო, რაც გამოიწვევს უიმედობას კავკასიაში ოდესმე დაბრუნებაზე. ამასთან, მისი აზრით, ძნელი წარმოსადგენია, რომ ისინი ამ უცხო მხარეში როდისმე დაკორწინდებიან. თავის მხრივ, გუბერნატორი მზად იყო თავისი ადიუტანტის უმცროსი ძმებისათვისაც აღმოეჩინა მეურვეობა, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ თავისი მოღვაწეობა აღმოსავლეთ ციმბირში პირობითი და დროებითი იყო, ხელმძღვანელობის შეცვლამ კი შეიძლება მათი ყოფისა და მდგომარეობის განუსაზღვრელობა და გაუარესება გამოიწვიოსო[48].

იქიდან გამომდინარე, — წერს გენერალ-გუბერნატორი — რომ ალექსანდრეს ზედმიწევნით კარგად იცნობს და იცის მისი ოჯახური

---

[47] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 39.

[47] იქვე, ფურც. 39.

[48] იქვე. ფ. 40.

ურთიერთობა, რაც ასე წმინდად აკავშირებს მთიელთა ოჯახურ საკითხებს. მე ჩემი მხრიდან, — აღნიშნავს მურავიოვი, — მესმის მისი თავდებობა და სიყვარული ძმებისადმი, რომ მათი ცუდი საქციელი ციმბირში მყოფ უფროსი ძმის მომავალ ბედზეც ცუდად იმოქმედებს. ამასთან, თავიანთ სამშობლო — სვანეთში — დაბრუნების იმედი, მათ უთუოდ გაუღვიძებს მადლობისა და ერთგულების გრძნობას მთავრობისადმი, ხოლო ციმბირში გადასახლება, პირიქით, სასურველ შედეგს არ გამოიღებს, მათი ისედაც მღელვარე ნატურას გააღიზიანებს, რწმენას დაუკარგავს და მთავრობისადმი სიძულვილს გაუღვივებს. შესაძლებელია ამან მთელ სვანეთზე და მეზობელ მთიელებზეც უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოს.

შემდეგ გენერალ-გუბერნატორი წერს: რაც შეეხება დაღიშქელიანებისადმი დასანიშნ სავარაუდო ხელფასს და სვანეთის მამულის საფასურს, ამაზე თავადი ალექსანდრე არ აყენებს რაიმე მოთხოვნას, ის კმაყოფილია თავისი დღეანდელი ყოფით და არ აპირებს მთავრობის მდგომარეობის დამძიმებას თავის მხრიდან. მაგრამ გვთხოვს: მიეცეთ საშუალება გააგრძელოს სამსახური და აღით დაამტკიცოს თავისი ერთგულება ხელმწიფე-იმპერატორისა და რუსეთისადმი. გვთხოვს, აგრეთვე, ძმებს მიეცეთ უფლება დარჩნენ კავკასიაში მისი თავდებობით, თუ ეს არა, დაუტოვოთ მათ ერთი ბეწვი იმედი მაინც, რომ ოდესმე დაბრუნდებიან თავიანთი მშობლების მამულში, იმ მიწის მფლობელად, რომელიც მათ ეკუთვნოდათ. ეს იმედი იქნება უდიდესი ჯილდო მათი მომავალი წუნდაუდებელი სამსახურისათვის.

გენერალ-გუბერნატორი ერთხელ კიდევ იმეორებს თავის შუამდგომლობაში, რომ ალექსანდრეს თავდებობით კავკასიაში დაეტოვებინათ მისი უმცროსი ძმები: ისლამი, თენგიზი და ციოყი, რომლებისთვისაც ყველაფერზე ძვირფასია მამა-პაპათა სამშობლო და მამული[49].

დაბოლოს, გენერალ-გუბერნატორი, გრაფი ნიკოლაი მურავიოვ-ამურსკი კავკასიის მმართველობას თხოვდა, საკითხის მოხსენიების დროს, იმპერატორისათვის წარედგინათ თავისი შუამდგომლობა და აგრეთვე ალექსანდრეს წერილი[50].

მალე, 1859 წ. 12 აპრილს გენერალ-გუბერნატორმა მურავიოვ-ამურსკიმ ასეთივე შინაარსის მოკლე წერილით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს, თავად ა. ბარიატინსკის, რომელსაც კვლავ თხოვდა ალექსანდრეს ძმების დატოვებას კავკასიაში, ან იმის იმედს, რომ ისინი როდესმე დაბრუნდებოდნენ შინ — მამა-პაპათა მამულში[51].

---

[49] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 40—41.
[50] იქვე. ფ. 41—42.
[51] იქვე, ფ. 43—37.

გენერალ-გუბერნატორის წერილებს თან ახლდა ალექსანდრე დადიშქელიანის წერილი ძმებისადმი:

ძვირფასო ძმებო — ისლამ, თენგიზ და ციოყ!, — წერს ალექსანდრე — აქაურმა გენერალ-გუბერნატორმა დაწვრილებით შემატყობინა თქვენი ამბები. ალექსანდრე ძმებს თხოვდა დამშვიდებულიყვნენ და ამით აეცილებინათ ყოველგვარი საყვედურები, ის შეახსენებდა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს, მათი ბედი ამ ქვეყანას დაუკავშირდა მტკიცედ. ის მადლობას უხდიდა ძმებს მთავრობის გადაწყვეტილებისადმი დამორჩილებისათვის და აღნიშნავდა: ჩვენ ვერ შევიტყვეთ მთავრობის სურვილი, რომ როგორც სვანეთში, აგრეთვე მთელ საქართველოსა და სხვაგანაც ამიერიდან ბატონობა და მონობა არ იარსებებს. თქვენ თვითონ დაინახავთ, რომ მარტო ჩვენ არ ჩამოგვერთმევა გლეხები, არამედ ყველას, ვისაც ისინი ჰყავს. თუ კარგად და გულმოდგინედ მოვიქცევით რუსეთისადმი, მაშინ არ დავკარგავთ არც სახლს, არც მიწას და არც სამშობლოს. ჩვენ თავიდან უნდა ამოვიგდოთ ის აზრი, რომ დაგვიბრუნდება გლეხობა, რადგან ბატონყმობა ამიერიდან არ იარსებებს. სამაგიეროდ მთავრობა თვითონ მოგვცემს სათანდო გასამრჯელოს. იმედი მაქვს, — განაგრძნობს ალექსანდრე, — ჩვენი ძმური და ოჯახური სიყვარულისათვის. ჩვენი მამა-პაპათა ხსოვნისათვის ვუერთგულებთ რუსეთსა და მის მთავრობას[52].

აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორის მურავიოვ-ამურსკის შუამდგომლობისა და მისი ადიუტანტის ა. დადიშქელიანის წერილების მიღების შემდეგ კავკასიის ადმინისტრაციამ საბოლოოდ დააზუსტა თავისი გადაწყვეტილება და 1859 წ. 20 ივნისს სამხედრო მინისტრს სუხოზანეტს აცნობა, რომ დადიშქელიანების საქმე დროებით გადაიდო, სანამ მეფისნაცვალი ა. ბარიატინსკი თბილისში დაბრუნდებოდა. ისიც აცნობა, რომ კავკასიის ადმინისტრაციას ამ საქმეზე მეფის კართან წინასწარი შეთანხმება უკვე ჰქონდა[53].

ასე თუ ისე, როგორც ა. დადიშქელიანმა, აგრეთვე მისმა ძმებმაც ხელი აიღეს თავიანთ ყმა-მამულზე ჩუბეხევში, სამაგიეროდ მთავრობამ მათ 150 ათასი მანეთი (ვერცხლით) გამოუყო. ამ თანხის ნახევარი მიეცა ძმებს: ალექსანდრეს, ისლამს, თენგიზსა და ციოყს, ნახევარი კონსტანტინეს ქვრივს და მის რვა შვილს. ოღონდ შვილების კუთვნილი თანხა ბანკში ირიცხებოდა, რომლის გამოტანა და დახარჯვა მათ მხოლოდ სათანადო ასაკის მიღწევის შემდეგ შეეძლოთ. ბანკში შენახული თანხის პროცენტი კონსტანტინეს ქვრივს, რუსუდან

---

[52] იქვე, ფ. 93—94.

[53] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 93—94.

შერვაშიძეს უნდა მიეღო სარჩენად, რაც ყოველწლიურად 1000 მანეთს შეადგენდა[54].

კავკასიის ადმინისტრაციის მიერ იმპერატორთან შეთანხმების საფუძველზე 1860 წ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ისლამი, თენგიზი და ციოყი, ვიატკის ნაცვლად (რაც თავიდან იყო ნავარაუდევი), დონის კაზაკთა პოლკში ჩარიცხულიყვნენ (ის პოლონეთში იყო განლაგებული). ივარაუდებოდა, რომ თუკი ძმები რუსეთისადმი ერთგულებას გამოიჩენდნენ და საუკეთესოდ მოიქცეოდნენ, გარკვეული დროის შემდეგ, მათ გადმოიყვანდნენ იმ რეგულარულ არმიაში, რომელიც უშუალოდ იმპერიის ევროპულ ნაწილში იმყოფებოდა[55].

ამის შემდეგ საბოლოოდ გაუქმდა და მოისპო ჩუბეხევის დადიშქელიანთა ის სახელისუფლებო ნიშნები და წოდებები, რომლებიც თავიდან ჰქონდათ მიღებული. ამასთან, ჩუბეხევი ხაზინას გადაეცა და მას საგლეხო რეფორმა უკვე არ შეეხო (გლეხთა ყველა კომლს ხელუხლებლად დარჩა ის მიწა, რომელსაც დადიშქელიანების დროს ფლობდნენ ნადელის სახით).

ასევე მოისპო ეცერ. ცხუმარ, ბეჩოს მფლობელ დადიშქელიანთა სახელისუფლებო ნიშნებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ა. დადიშქელიანი, რომელიც გენერალ-გუბერნატორ მურავიოვ-ამურსკის ადიუტანტი იყო, მთელი სიცოცხლე ირკუტსკში დარჩა (იქ საკმაოდ დიდ ადგილ-მამულსაც ფლობდა).

თავისი უშუალო უფროსის მურავიოვ-ამურსკის დახასიათებით, ა. დადიშქელიანი იშვიათი ნიჭის, დიდი ცოდნისა და სიმამაცის პატრონი იყო. მან, გენერლის ჩინთან ერთად, დიდი მეცნიერული ცოდნაც მიიღო. ამასთან, არაერთი ნაშრომიც შექმნა (მათ შორის — ამურის ტოპოგრაფია, კორეის გეოგრაფია და სხვ.), რომლებიც სპეციალური ჯილდოებით (ორდენებით) აღინიშნა. ალექსანდრემ მრავალ, ურთულეს ექსპედიციაში (იმიერ-ბაიკალში, იაპონიაში, კორეაში, ჩინეთში და სხვ.) მიიღო მონაწილეობა და ყველგან უდიდესი ქებადიდება დაიმსახურა[56].

4. სოციალური ურთიერთობა

როგორც ვნახეთ, დადიშქელიანები თანდათან გაძლიერდნენ და ყველა მოწინააღმდეგის დაძლევის შემდეგ ნამდვილი მებატონეები

---

55 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 100.

55 იქვე, ფ. 100.

56 იქვე, ფურც. 114—128.

გახდნენ. მართალია, XVIII საუკუნეში დადიშქელიანებს კვლავ უპირისპირდებოდნენ რიჩგვიანები, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი ჩუბეხევის, ეცერის, ცხუმარისა და ბეჩოს თემებში გაბატონებულ ძალად და თავადად გადაიქცნენ. როგორც ისტორიული წყაროები და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალები, აგრეთვე მატერიალური კულტურის ნაშთები ცხადყოფენ, რომ XVII ს. დასასრულსა და XVIII საუკუნეში სვანეთში დადიშქელიანთა სამთავრო ჩამოყალიბდა.

როდესაც საკითხი სოციალურ ურთიერთობას ეხება, უნდა ვიცოდეთ, რომ დადიშქელიანებამდე სვანეთში, კერძოდ, ბალსქვემო ხეებში, არაერთი პრივილეგირებული გვარი ცხოვრობდა, მათ შორის ერთ-ერთი რიჩგვიანები (რიჩქიანები, რუჩაგიანები, რუჩეგიანები) იყვნენ. მათთან ერთად სოციალურად დაწინაურებულ გვარეულობებს შეადგენდნენ ბაბიანები, გოშუანები, მილდანები, კვიციანები, დევდარიანები, ჩარკვიანები და სხვ. ჩანს, ყველა მათგანი, XVIII საუკუნეში, დადიშქელიანებს ჰყავდათ დამორჩილებული.

საკითხაია, თუ რა ედო საფუძვლად სვანეთში და კერძოდ დადიშქელიანთა სამფლობელოში სოციალურ ურთიერთობას — მიწის საკუთრება თუ პოლიტიკური მოტივი?

სადავო არ არის, რომ სვანეთში, კერძოდ ბალსქვემო ხეებში, დადიშქელიანებამდე მიწა დიდი ხნის დასაკუთრებული და დაპატრონებული იყო. ყოველ შემთხვევაში, წერილობითი წყაროების მონაცემებით, ე. წ. ბალსზემო ხეებში სახნავ-სათიბი მიწა და ტყე XIV—XVI საუკუნეებში ვაჭრობის ანუ ყიდვა-გაყიდვის საგანი იყო, რაც იმისი მაჩვენებელიცაა, რომ დანარჩენ სვანეთშიც ასეთივე სურათი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სვანეთში გვაროვნული წყობილების საფუძველი — მიწის საერთო-თემური მფლობელობა — ხსენებულ საუკუნეებში დიდი ხნის გამქრალი იყო.

შესაძლებელია სვანეთში, სადაც სახნავ-სათესი მიწის ნაკლებობა იყო, მიწის დასაკუთრება ადრე განხორციელდა, ვიდრე საქართველოს ბარის ზოგიერთ რეგიონში, სადაც ასეთი მიწა უხვად იყო (მაგალითად, ქიზიყში). ამაზე მეტყველებს ფ. ენგელსის დაკვირვებაც ევროპის მაგალითზე. მაგალითად, ფ. ენგელსის აზრით, გერმანიაში მიწის კერძო დაპატრონება მთიან და ვიწრო ხეობებში გაცილებით ადრე დაიწყო და განხორციელდა, ვინემ გაშლილ და უხვმიწიან ბარის რაიონებში[57].

ფაქტი ის არის, რომ დადიშქელიანების გაბატონებამდე ჩუბეხევის მიწა დიდი ხნის დაპატრონებული იყო, ამიტომ მათი ბატონობის საფუძველი თავდაპირველად პოლიტიკური ძალა უნდა ყოფილიყო.

---

[57] ფ. ენგელსი. გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1932, გვ. 165.

ძნელია იმისი ზუსტი თქმა, თუ დადიშქელიანებამდე რა სახის ვალდებულებითი ურთიერთობა არსებობდა ე. წ. ბალსქვემო სვანეთში. როგორც ცნობილია, საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დროს, სვანეთის მოსახლეობის მთავარი სახელმწიფო ვალდებულება ლაშქრობაში მონაწილეობა იყო. ამიტომ უნდა ვიეარაუდოთ, რომ სვანეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (როგორც გლეხობა, აგრეთვე სხვა) სამეფო ყმებს შეადგენდნენ. რაც შეეხება აზნაურებს, მათი უშუალო ვალდებულება სვანეთის ლაშქრის წინამძღოლობა უნდა ყოფილიყო (ისინი იყვნენ სამეფო კარის აგენტები ანუ მთავარი დასაყრდენი).

აღნიშნულის გარდა, სვანეთში, როგორც საერისთავოში, სხვა სახის ვალდებულებაც არსებობდა. გლეხობის ნაწილი აზნაურებისადმი იყვნენ ვალდებული, ხოლო აზნაურები და გლეხები ერთად — ერისთავისადმი. ჩანს, ამასთან ერთად, გლეხთა სხვა, არაპირდაპირი ვალდებულებაც არსებობდა, რაც გზების, ხიდების, ციხეების მოვლა-შენებლობაში, მოხელეების გამასპინძლებაში და მსგავს მოვალეობაში გამოიხატებოდა.

როგორც წერილობით, აგრეთვე ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ XVII საუკუნემდე სვანეთის სხვადასხვა ნაწილებს შორის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობებში რაიმე არსებითი განსხვავება არ შეინიშნება. მართალია, XV საუკუნეში ბალსქვემო ხევებში მოიხსენიებიან შედარებით მსხვილი აზნაურები, დადიშქელიანები და რიჩგვიანები, მაგრამ ამ მხრივ მსგავსი სურათი გვაქვს ბალსზემო ხევებშიც (XIX ს. „თავისუფალ სვანეთად" წოდებულ მხარეშიც), სადაც იმჯანად რიჩგვიანებისა და დადიშქელიანების შესადარი და კიდევ უფრო ძლიერი აზნაურული გვარეულობები ცხოვრობდნენ, კერძოდ გელოვანები. თავის დროზე (XVII საუკუნემდე), რიჩგვიანებსა და დადიშქელიანებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ, აგრეთვე, ყიფიანები და ჩარკვიანები. ეტყობა, ბალსქვემო ხევების ძლიერი აზნაურების მისწრაფებას — მთელი ზემო სვანეთი ჩაეგდოთ ხელში — წინ ლატალის ჩარკვიანები გადაეღობნენ და წარმატებითაც. ამ მხრივ საინტერესოა არაერთი ლეგენდა-თქმულება, რომელთა მიხედვით, დადიშქელიიანები ჩარკვიანებს ვერაფერს აკლებდნენ, პირიქით, ზოგჯერ ჩარკვიანები აღემატებოდნენ, როგორც ყმა-მამულით, აგრეთვე შეიარაღებული რაზმებით.

XVII—XVIII საუკუნეებში კი დადიშქელიანები ტოლს არავის უდებდნენ სვანეთში არც თავიანთ უშუალო მეტოქე რიჩგვიანებს, არც ჩარკვიანებსა და ყიფიანებს და არც სვანეთის ერისთავთა ჩამოშავალ გელოვანებს.

XVII, XVIII და XIX სს. (რეფორმამდე) დადიშქელიანებმა ბატონყმობის მძიმე უღელი დაადგეს ბალსქვემო ხევების გლეხობას. ამ მხრივ ისინი ტიპიური მებატონეები იყვნენ და გლეხებისადმი სუსხიანი დამოკიდებულების მხრივ არაფრით განსხვავდებოდნენ ბარის ცნობილი მებატონეებისაგან.

მიუხედავად თავისი მასშტაბის სიმცირისა, ბატონყმური ურთიერთობა სვანეთის სამთავროში არსებითად ისეთივე ხასიათს ატარებდა, როგორც მეზობელ სამეგრელოში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში. ბატონყმური ვალდებულება დადიშქელიანთა სამფლობელოში უფრო მძიმე და მრავალფეროვანი იყო, ვიდრე ქვემო სვანეთში (გელოვანთა და გარდაფხაძეთა სამფლობელოებში, მით უფრო ლენტეხის თემში, სადაც ადგილობრივი პრივილეგირებული გვარეულობა გამქრალი იყო და XVIII საუკუნეში დადიანები გაბატონდნენ).

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მიწა-წყალი დადიშქელიანთა კუთვნილებას არ შეადგენდა, ამან ხელი ვერ შეუშალა მათ გაბატონებულიყვნენ, გლეხობისათვის მძიმე ნატურით გადასახადები და შრომითი ბეგარა დაეკისრებინათ. სამეგრელოს, იმერეთის, გურიისა და სხვა მხარეების მსგავსად, სვანეთის სამთავროშიც გლეხთა ბეგარა-ვალდებულება უმეტესად ადათ-წესის ხასიათს ატარებდა (წერილობით ნაკლებად ფორმდებოდა).

დადიშქელიანთა სამფლობელოში გლეხის კომლი ვალდებული იყო გამწევი ძალით, შრომის იარაღებითა და თავისი ხარჯით მებატონის პირად მეურნეობაში ემუშავა ნებისმიერ დღეს, როგორც ხვნა-თესვის, აგრეთვე მკა-თიბვის დროს. ამასთან, გლეხები ვალდებული იყვნენ მითითებისამებრ დადიშქელიანების ყანები შეეღობათ, გაენოყიერებინათ, გაემარგლათ, მოსავალი დაებინავებინათ, ხორბლეული გაესუფთავებინათ და დაეფქვათ, თივა და შეშა დაემზადებინათ, შინ მიეზიდათ, მონაწილეობა მიეღოთ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობაში და, საერთოდ, ნებისმიერი სამუშაოს შესრულებაში, რასაც დადიშქელიანები მოისურვებდნენ. ამასთან, გლეხები იხდიდნენ ღალას (მოსავლის მესამედს ან მეოთხედს) ან მის ფულად ღირებულებას (ეს უკანასკნელი ბოლო დროს საკმაოდ გავრცელებული იყო). ამის გარდა, გლეხის კომლს ევალებოდა განსაზღვრულ დროში გადაეხადა ცხვარი, თხა, ძროხა ან ხარი (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ერთ ან ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო წვრილფეხა — უფრო მოკლე დროში).

ამ მძიმე ბეგარა-მოვალეობასთან ერთად, გლეხის კომლი ვალდებული იყო აგრეთვე მებატონე დადიშქელიანისათვის ერთი შინა მოსამსახურე მიეცა ყოველწლიურად, ლაშქრობაში მიეღო მონაწილეობა (კომლიდან ერთს, ან ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცს), აგ-

რეთვე ბატონი გაეცილებინა მგზავრობისას, მისი ბარგი გაეზიდა და სხვ.

აღნიშნულთან ერთად, გლეხობას სხვა არაპირდაპირი მოვალეობაც ეკისრა: ბატონისათვის წელიწადში ერთხელ კარგი პურმარილი მოეწყო, ყოველ დღესასწაულზე არაყი, ყველი, ხორცი, ქათამი, კვერცხი და მისთანა ძღვენ-საჩუქრები მიერთმია და სხვ.

გლეხი მოვალე იყო, აგრეთვე, დაქვრივების შემთხვევაში — საქვრივო (60 მანეთი), გათხოვების ან ცოლის შერთვის შემთხვევაში— 120 მანეთი გადაეხადა. არსებობდა გასამყრელო თუ შესამყრელო გადასახადი; ამასთან, სატირალის, ორმოცის და წლისთავის გადახდის შემთხვევაში, გლეხს დადიშქელიანებისათვის განსაზღვრული პური, ხორცი და არაყი მიეცა. სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გლეხებს დიდი ჯარიმა-გადასახადი ეკისრებოდათ; მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში — 120 მანეთი (ზოგიერთი ცნობით — 300 მანეთი), ჩხუბის შემთხვევაში სხეულის მძიმე დაზიანებისთვის — 60 მან. და ა. შ.

გლეხი ვალდებული იყო მებატონის ყოველი ჭირი და ლხინი გაეზიარებინა.

დადიშქელიანთა გლეხების მძიმე მდგომარეობას ასურათებს საქმეში გათვითცნობიერებული მეფის არაერთი მოხელე, აგრეთვე სხვადასხვა მკვლევარი და მოგზაური, მათ შორის გენერალური შტაბის ოფიცერი შაბოვსკი, რომელიც აღნიშნავს, რომ საბატონო სვანეთში ყოველგვარ საქმეებს მხოლოდ დადიშქელიანები წყვეტდნენ, ისინი აკეთებდნენ იმას, რაც მოუნდებოდათ, გლეხებისაგან იღებდნენ ყველაფერს, რასაც მოისურვებდნენ[58].

ე. გაბლიანი წერს: „თავად დადიშქელიანებს საშინელ მდგომარეობაში ჰყავდათ ჩაყენებული თავისი ქვეყნის გლეხკაცობა. გლეხები სულიან-ხორციანად ბატონების ხელში იყვნენ. ისინი ხშირად თავის ქვეშევრდომებს ოსეთში და სხვაგან ყიდდნენ, დამნაშავეებს ასამართლებდნენ, აჯარიმებდნენ, ფიზიკურად და სიკვდილითაც სჯიდნენ"[59].

ე. გაბლიანი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ დადიშქელიანები გლეხებს ჯარიმად ახდევინებდნენ: მკვლელობის ჩადენის გამო 300 მანეთს, ქურდობის — 200 მანეთს, დაჭრის გამო 100 მანეთს. მისივე ცნობით, დადიშქელიანი გლეხის თითოეულ კომლს წელიწადში 20 მანეთს ახდევინებდა, სამ წელიწადში — ძროხას, ყოველწლიურად — მოსავლის ნახევარს. ამასთან, სახლის აშენების შემთხვევაში გლეხს ეკისრებოდა კირის, ხე-ტყისა და ქვა-სილის ნებართვის მიღებისათ-

---

58 ЦГВИА, ВУА, д. 19247, л. 13.

59 ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი. ძველი და ახალი სვანეთი. გვ. 69.

ვის — 25 მანეთის გადახდა. თუ ბატონს გლეხის ცხენი, ხარი, ძროხა ან სხვა პირუტყვი მოეწონებოდა, უფასოდ მიჰყავდა, ყოველგვარი ნებართვის გარეშე და სხვ.[60].

„ბატონის ნებადაურთველად — წერს ე. გაბლიანი, — გლეხის ქალს არ შეეძლო გათხოვება, კაცს — ცოლის თხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე ისჯებოდა. ხოლო სასიძო ვალდებული იყო ბატონისათვის სასყიდელი მიეცა[61].

ბატონყმობას ეხება ივანე მარგიანიც, რომლის დახასიათებით, სვანეთში ცხოვრობდნენ თავადები, აზნაურები და გლეხები. მისივე მტკიცებით, თავადებსა და აზნაურებს ვარგს უწოდებდნენ. თვითმხილველი ი. მარგიანისავე განსჯით, „თავად დადიშქელიანებს სვანეთში დიდი პატივისცემა აქვთ... მათ, როგორც მეფეს ისე უყურებენ მათნი გლეხნი და ეძახიან „ფუსდს“ (პატრონს)“[62].

დადიშქელიანთა სამთავროში ბატონყმობის არსებობის ფაქტს აღიარებენ არა მხოლოდ მეფის თვითმპყრობელობა და მისი მოხელეები (რომელთაც ბატონყმური უფლებები სპეციალური სიგელებით, „სათხოვარი პუნქტებითა“ და ხელისუფლების ნიშნებით დაადასტურეს), არამედ სვანეთის საქმეში ჩახედული უცხო მოგზაურ-მკვლევრებიც, მათ შორის: ლობანოვ-როსტოვსკი, შახოვსკი, ბარტოლომე, უსლარი, გილევი, დობროვოლსკი, ა. ლავრენტიევი, ნ. დუბროვინი, ვ. ტეპცოვი, მ. კოვალევსკი, ე. კოვალევსკი, ი. ივანიუკოვი, ე. კალვეიტი, ფ. სობოლი, ს. ანისიმოვი და სხვა მრავალი.

სვანეთში და, კერძოდ, დადიშქელიანთა სამთავროში, ბატონყმობის არსებობა უდავო ფაქტად მიიჩნდათ ისეთ ცნობილ ისტორიკოსებს, როგორიც იყვნენ დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, ა. ხახანაშვილი, ს. ავალიანი და სხვ.

როგორც თვითმხილველები, აგრეთვე ზერელე დამკვირვებლები შენიშნავენ, დადიშქელიანებისადმი ვალდებულება სხვადასხვა სოფლებში და თვით ერთი და იგივე სოფელშიც ერთიმეორისაგან განსხვავდებოდა

ბატონყმური ბეგარა-ვალდებულება ხშირად წინდაწინ არ იყო მტკიცედ განსაზღვრული, ამიტომ დადიშქელიანები (რომელთა ხელში იყო ძალაუფლება) გლეხებს ზოგჯერ უდებსაც უწესებდნენ. ნ. დუბროვინის გადმოცემით, შეუძლებელი იყო დადიშქელიანთა გლეხები ბედნიერი ყოფილიყვნენ. რადგან ყველა შემთხვევაში თავიანთი მებატონეებისადმი იყვნენ ვალდებული[63]. ასევე წერს საქმის თვითმხილვე-

60 ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი. იქვე.

61 იქვე.

62 ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე. თბ., 1973, გვ. 157.

63 Д у б р о в и н Н. Ф. История войны и владычество русских на Кавказе, т. I, кн. II, Спб., 1871, с. 97.

ლი, თვითმპყრობელობის სამხედრო მოხელე ლობანოვ-როსტოვსკი: დადიშქელიანები გლეხებს უმოწყალოდ ძარცვავენ სხვადასხვა სახის გადასახადებითა და ჯარიმებით[64].

სხვადასხვა მოგზაურ-მკვლევართა ჩვენებით, გლეხთა ექსპლუატაციით მითვისებული ქონება დადიშქელიანთა არსებობის ძირითადი წყარო იყო.

დადიშქელიანთა ბატონყმურ უფლებებზე წერენ ცნობილი მკვლევრები — მ. კოვალევსკი და ი. ივანიუკოვი, მათი რწმუნებით, ხვნა-თესვისა თუ თივის დამზადებისას სვანეთის მემამულეს უფლება ჰქონდა ყოველი კომლიდან იმდენი მუშა მოეთხოვა, რამდენიც მას დასჭირდებოდა და რამდენის გამოყვანაც კომლს შეეძლო. ამასთან, გლეხები სხვა ვალდებულებასაც ასრულებდნენ. სამ წელიწადში თითოეული კომლი ძროხას იხდიდა. ამას გარდა, გლეხი ზამთარში მებატონის ერთ რქოსან პირუტყვს კვებავდა, თუ ის მოკვდებოდა, გლეხს სამაგიერო უნდა მიეცა. იგი ვალდებული იყო საახალწლოდ მებატონისათვის 20 მანეთად ღირებული ძღვენი მიეცა, აღდგომას ეთელი ამალით დაეპატიჟებინა და ნადიმი მოეწყო. ამას გარდა, გლეხები ვალდებული იყვნენ მებატონისათვის ქორწილში ცხვარი მიეძღვნათ, სისხლის ფასის გადახდისას გვარიანი შესაწევარი მიეცათ. ამასთან, თუ გლეხს ვინმე შემოაკვდებოდა, ის ვალდებული იყო ბატონისათვის 300 მან. ჯარიმა მიეცა, თუ ქურდობა დაუდგინდებოდა— 200 მანეთი, თუ ვინმეს დაჭრიდა — 100 მანეთი და ა. შ.

არაერთი მკვლევრის აზრით, ყველაფერი ეს იმას ნიშნავდა, რომ სათავადო სვანეთში ყმა ორმაგად ისჯებოდა[65].

ზემოაღნიშნული გარემოება სადადიშქელიანო სვანეთის ყმათა მძიმე და მრავალფეროვან ვალდებულებაზე მეტყველებს. თუ ყმა გლეხობის პირდაპირ და არაპირდაპირ ვალდებულებასა და ჯარიმა-გადასახადებს დაეუმატებთ სალაშქრო ვალდებულებას, რაც ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მძიმე და ძნელი ასატანი იყო მათი ყოფა-ცხოვრება.

მიუხედავად იმისა, რომ დადიშქელიანთა სამფლობელოში ბატონყმობა არსებითად ისეთივე ხასიათს ატარებდა, როგორსაც ბარის რეგიონებში, ის გარკვეული თავისებურებებითაც ხასიათდებოდა, რასაც ადგილობრივი პირობები, მისი კონკრეტული სპეციფიკურობა განაპირობებდა, მათ შორის ისიც, რომ დადიშქელიანები არავის კონ-

---

64 Кавказ, 1852, № 16.

65 В Сванетии. Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского. — Вестник Европы, 1886, т. 5, кн. 8-я, с. 607.

ტროლქვეშ არ იმყოფებოდნენ (მბედველობაშია რუსეთთან შეერთებამდე), ამის გამო ისინი უზენაესი კანონმდებლებიც და მმართველებიც იყვნენ.

საინტერესოა მ. კოვალევსკისა და ი. ივანიუკოვის დაკვირვება სადადიშქელიანო სვანეთის მიწისმფლობელობისა და საკუთრების წესებზეც. მათი აზრით, საბატონო სვანეთში, სადაც ბატონყმობა მონობაში არ გადაზრდილა, არათავისუფლება (ყმობა) არავის უკრძალავდა მიწის კერძო საკუთრების უფლებას. მათივე რწმუნებით, „ნადელი" ანუ მიწის ნაკვეთი თაობიდან თაობაში მემკვიდრეობით გადადიოდა, მაგრამ თუ ოჯახი ამოწყდებოდა, მაშინ, მოგვარეებთან შედარებით, უპირატესობა დადიშქელიანებს ენიჭებოდათ, ზუსტად ისე, როგორც დასავლეთში ფეოდალ-სენიორი ითვისებდა თავის „მაინ მორტაბლეს" მიწას, როდესაც ის გარდაიცვლებოდა[66].

დასახელებული მკვლევრების ამ მოსაზრებაზე, აგრეთვე სვანეთის სამთავროს, საადგილმამულო ურთიერთობისადმი საკუთარი დაკვირვების საფუძველზე მკვლევარმა ა. ჩარკვიანმა დაასკვნა, რომ გლეხთა ვალდებულების საფუძველი ზოგჯერ მიწა კი არ იყო, არამედ პოლიტიკური მფარველობა[67].

სვანეთის ისტორიული პროცესებისადმი შიგნიდან თუ გარედან დამკვირვებელთა აზრით, სადადიშქელიანო სვანეთში ყველა გლეხს ერთნაირი ვალდებულება არ ეკისრა. ზოგი მეტ ღალას იხდიდა, ზოგიც მეტ შრომით ბეგარას, ზოგიერთი ორივეს ერთნაირად, ზოგიერთიც შრომით თუ ნატურით ვალდებულებისაგან თავისუფალი იყო და ა. შ.

მაგალითად, ბეჩოს თემში მცხოვრები კეციანების 30 ოჯახი, რომლებიც ჩვენი და ზოგიერთის აზრით, აზნაურები ან მსახურები იყვნენ, გაცილებით მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ, ვიდრე ნებისმიერი გლეხი. ვფიქრობთ, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი დადიშქელიანთა მოლაშქრე-მსახურები ანუ დამსახურებული და პრივილეგირებულნი იყვნენ. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ ჩხვიმიანები, სვიფლიანები, მილდანები, დევნოზიანები, გოშუანები და სხვ.

„დადიშქელიანთა სამფლობელოში მიწაზე გლეხთა კერძო საკუთრების არსებობის შემთხვევები და ზოგიერთი ყმა-გლეხის შედარებით თავისუფლება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ მებატო-

---

66 მ. კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი, ი. ი ვ ა ნ ი უ კ ო ვ ი. მითითებული ნაშრომი. გვ. 606—607.

67 ა. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი. სვანეთი. თბ., 1967, გვ. 85.

ნისა და ყმის ურთიერთობას სხვადასხვაგვარი საფუძველი და ფორმა ახასიათებდა"[68].

დადიშელიანთა სამფლობელოში გლეხთა კატეგორიებს შორის (მკვიდრი ყმა — მებეგრე, შინაყმა, აზატი, ხიზანი) ყველაზე უკიდურეს პირობებში შინაყმები იყვნენ. ეს უკანასკნელნი ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთს შეადგენდნენ ნაყიდნი და ნატყვევარნი, ხოლო მეორეს — გლეხის კომლიდან დროებით წაყვანილნი (საბეგრო ვალდებულებით). როგორც ჩანს, ისეთი შინაყმები, რომელთაც საკუთარი მეურნეობა არ გააჩნდათ, დადიშელიანებს საკმაოდ ბევრი ჰყავდათ, მაგალითად, ერთ-ერთი ცნობით, თათარაულ (ნიკოლოზ) დადიშელიანს 200-მდე შინაყმა ჰყავდა (ძირითადად ნაყიდი და ნატყვევარი)[69].

ასეთი კატეგორიის ყმები მებატონის ნება-სურვილზე იყვნენ ყოველმხრივ დამოკიდებული. ისინი ძირითადად შინასამუშაოს ასრულებდნენ, კერძოდ, სახლკარსა და პირუტყვს უვლიდნენ, ყანებსა და სათიბებს დარაჯობდნენ, პირუტყვს მწყემსავდნენ, წისქვილსა და სხვა ნაგებობებს უვლიდნენ და ა. შ.

დადიშელიანები შინაყმებს (მოჯალაბეებს) ხშირად ისე ექცეოდნენ, ვითარცა მონას: მათ ყიდდნენ, საჩუქრად აძლევდნენ, მზითვში ატანდნენ და ა. შ.

სხვადასხვა ცნობებიდან ჩანს, რომ დადიშელიანები (საქართველოს სხვა თავადაზნაურთა მსგავსად) ყმებითაც ვაჭრობდნენ. ჰაქტჰაუზენის ცნობით, ისინი ბიჭს 400, ხოლო გოგონას 200 მანეთად ყიდდნენ[70].

დადიშელიანების მიერ ადამიანებით (ტყვეებითა და შინაყმებით) ვაჭრობის ფაქტებზე მიუთითებს ლობანოვ-როსტოვსკიც; ის, როგორც თვითმხილველი, ამ ფაქტის შედარებით ფართო ხასიათზე მიუთითებს და იქვე დასძენს, რომ ამ გარემოებას აქ უფრო დიდი მასშტაბი ჰქონდა, ვინემ ქვემო სვანეთის ფეოდალურ სახლებში[71].

ადამიანებით ვაჭრობას დადიშელიანები მეზობელ მაჰმადიანურ მხარეებში — აარაჩაიში, აბაზარდო-ჩერქეზეთსა და აფხაზეთში — ეწეოდნენ[12], როგორც საარქივო, აგრეთვე ფოლკლორულ-ეთნოგრა-

---

68 გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თბ., 1973, გვ. 266.

69 რ. კანდელაკი. სვანეთი XIX ს. პირველ ნახევარში, საკანდ. დისერტაცია, 1961 (ხელნაწერი, ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ.ბიბლიოთეკაში). გვ. 81—82.

70 Гактгаузен. Закавказский край. Спб., 1857, ч. I, с. 6—8.

71 Кавказ, 1852, № 16.

72 Авалиани С. Крестьянский вопрос в Закавказье. Т. I. Одесса, 1913, с. 10.

ფეოდალი მასალები მოგვითხრობენ, რომ ტყვეთა სყიდვის მხრივ, XIX ს. მეორე მეოთხედში, განსაკუთრებით გამოუჩენია თავი თათარყან დადიშქელიანს, რომელიც, როგორც ჩაერთოდ, ასევე თანამოძმეებშიც დაუნდობელ და სუსხიან პიროვნებად ითვლებოდა. ჩანს, მის მუხანათურ მოქმედებას, ადამიანების დატყვევებასა და ტყვეებით ვაჭრობას, წინ აღუდგა ეკლესია და ბოლოს მეფის თვითმპყრობელობაც. მაგრამ თავსგასული ფეოდალი ამ საქმიანობას უკავშირებდა საარსებო პირობებს და ყოველივე ამის შეწყვეტისათვის დაჟინებით მოითხოვდა უზრუნველ ცხოვრებას, პენსიის დანიშვნას[73]. აღსანიშნავია, რომ XIX ს. 40-იანი წლების ბოლოს დადიშქელიანებს ოფიციალურად აეკრძალათ ადამიანებით ვაჭრობა[74].

როგორც ვხედავთ, სვანეთის ფეოდალ-მემამულეები, აღნიშნულის მხრივაც, თანამოძმე ბარის მემამულეებს შეედრებოდნენ.

ბატონყმური ურთიერთობა საკმაოდ რელიეფურად და ფართოდ აისახა სვანურ ფოლკლორში და, საერთოდ ხალხურ თქმულება-გადმოცემებში. ის, ვინც რეალურად გაეცნო და შეისწავლა სვანური ფოლკლორი, დარწმუნდა, რომ სვანეთში ბატონყმური ურთიერთობა საკმაოდ ფეხმოკიდებული და დამკვიდრებული ყოფილა. მაგალითად, აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია „სვანური პოეზიის“ პირველი ტომის შესავალში წერენ, რომ მათ მიერ გამოცემულ ტექსტებში „შესანიშნავად არის გაშუქებული ბატონყმური ურთიერთობა სვანეთში და ამ ნიადაგზე გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლა“[75]. აღნიშნულის მაჩვენებლად მეცნიერები ასახელებენ სიმღერას „ცენას დათუნა“, რომელშიც დადიშქელიანებზე ნათქვამია:

„ეცერში ცერცვის მოსავალი ბლომად აქვთ;
ერთი წილი იმათია,
ცხრა წილი ბატონებს მიაქვთ.
საუკეთესო ხარები ბატონებს (ფუსდებს) ეკუთვნით,
კარგი ქალიშვილები მათ უწვანან,
კარგი ხორბალი იმათია,
საბრალო ეცერლებს ნაყარ-ნუყარი აქვთ“[76].

აქვე აღწერილია მებატონე დადიშქელიანების მიერ პირველი ღამის უფლების მცდელობის წინააღმდეგ ბრძოლა:

„ჩვენ ქუდები თავზე გვეხურება,
შუბლზე ჩვენ სინდისი გვაქვს,

---

73 АКАК, т. 8, с. 466—468.
74 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 25.
75 სვანური პოეზია. I. თბ., 1939, წინასიტყვაობა.
76 იქვე. გვ. 231—232.

ცოლები ჩვენი ჩვენთვის გვინდა,
ჩვენ დავიხოცებით სირცხვილისათვის“[77].

უკანონობის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხები ბატონს კლავენ, მაგრამ თვითონაც იღუპებიან:

„სორთმანს სული ჰხდება,
ძმებს ციხე ენგრევათ;
სორთმანს სული ამოხდომია,
ძმებს ციხე დანგრევიათ“[78].

აღსანიშნავია, რომ სვანურ პოეზიასა და პროზაში კარგად აისახა არა მხოლოდ ფეოდალური წოდების ტერმინოლოგია და სახელწოდება („ვარგი“, „ფუსტ-ფუსდი“, აგრეთვე „გლეხი“, „ფამლი“, „ლეგდიანე“, „ქორსმერდე“, „ლაჯირი“, „ჯალჩი“) და სხვა, არამედ ზოგიერთი ძველი სახელწოდების ახალი შინაარსიც. მაგალითად, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის დამკვიდრების შედეგად „ქორა მახვში“ (ოჯახის უფროსი) ზოგ შემთხვევაში გაბატონებული პირის ეპითეტად და სოციალური ვითარების ამსახველად გადაიქცა („სვანეთის მახვში“, „ხევის მახვში“, „სოფლის მახვში“ და ა. შ.)[79].

ბატონყმური ურთიერთობა კარგადაა ასახული სვანურ სიმღერა „ვიცბილ-მაცბილშიც“. ამ სიმღერის ერთ-ერთ ვარიანტში ბეჩოელთა სახელით ნათქვამია:

„ეცერ-ცხუმარი უხნავ-უთესად დაგვიტოვებია.
თავი მოჰბეზრებიათ ეცერ-ცხუმარს,
იმ ნაბიჭვრებს, უსინდისოებს,
რად სჭირდებათ ასე „მალულად“
ოთარშერების ლაქუცი?!
ისინი არ უკადრისობენ, ნეტავი მათ,
მეტად რბილი გულის პატრონს;
თავიანთი ცოლები იქით მიჰყავთ;
მათ არ ჰრცხვენიათ, ნეტავი მათ,
ბეგარა თავის ხელით იქით მიაქვთ;
მათ არ ჰრცხვენიათ ნეტავი მათ,

---

77 სვანური პოეზია. I, შესავალი.

78 იქვე. გვ. 83.

79 იქვე. გვ. 26, 27, 72, 116, 117; სვანური პროზაული ტექსტები, I, თბ., 1939, გვ. 3, 113, 123, 371; სვანური ენის ქრესტომათია. თბ., 1978, გვ. 67, 76, 98.

თავიანთ საცემს ხელით აძლევენ;
მათ არ ჰრცხვენიათ, ნეტავი მათ
ოთარშერების შინაყმობა"[80].

ყოველგვარი ტენდენციურობისა და წინაზრახვის გარეშე შეკრებილ და აღწერილ სვანური პოეზიის ნიმუშებში პირდაპირ და ნათლად ჩანს დადიშქელიანთა ურჩი, უხეში და ბატონკაცური დამოკიდებულება არა მხოლოდ თავიანთი გლეხებისადმი, არამედ სვანეთის აზნაურობისა და მეზობელი მხარეების რიგითი ხალხისა და მფლობელების წინააღმდეგ, ასევე ერთიმეორისადმი მტრული დაპირისპირება.

სადადიშქელიანო სვანეთში (სვანეთის სხვა ნაწილებშიც) ბატონყმური ურთიერთობა და მის წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლა ასევე ფართოდაა ასახული სვანურ პროზაში, რომლის ნიმუშები სამ ტომად გამოიცა ვ. თოფურიას, ა. შანიძის, მ. ქალდანის, ა. დავითიანისა და სხვათა მიერ.

აღნიშნულ ტექსტებში გადმოცემულია აგრეთვე დადიშქელიანთა შინაფეოდალური ბრძოლა პირველობისათვის. ამ მხრივ ნიშანდობლივია ბაბა ციოყისა და ოთარის დაპირისპირება: ბაბა ციოყი ფარში ცხოვრობდა, ხოლო ოთარი ფხოტერერში. ისინი ერთმანეთთან არ დადიოდნენ, რადგან ღალატის ეშინოდათ. მ. ქალდანის მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ გადმოცემაში ნათქვამია, რომ ბაბა ციოყმა ოთართან სტუმრობა გადაწყვიტა და წასელის წინ თავის ვეზირებს უთხრა: წმ. გიორგი სვიფისა, ეს ოთარი ჩვენი კი არა, ღმერთების ჩამომავალიაო, თორემ მთლად ასეთი საიდან გამოვიდოდა, მას ისეთ რაიმეს მოუხერხებ, რომ მთელი ეცერი ჩვენ დაგვრჩებაო. ვეზირებს გაცინებიათ და უკითხავთ — მთლად ასეთს რას მოუხერხებო? — რას, ჩემს შვილს ცოლად მივცემ, ძვალი გაუტყდება და ამოწყდებაო. აქვე ნათქვამია, რომ დიდი ყოყმანის შემდეგ ბაბა ციოყმა თავისას მიაღწია, თითქოს ნათესაობისა და გვარის გატეხვის გამო ოთარი ცხენით მგზავრობისას დაიღუპა, ხოლო შემდეგ ბაბა ციოყმა ოთარის ორ ვაჟიშვილსაც უღალატა და მათ ყმა-მამულსაც დაეპატრონა[81].

ყოველივე ესეც იმაზე მეტყველებს, რომ პირველობისათვის დადიშქელიანები (მეზობელი სამეგრელოს, ლეჩხუმისა და სხვა), ფეოდალების მსგავსად, ერთიმეორესაც ებრძოდნენ და ხოცავდნენ, რაც,

---

80 სვანური პოეზია. I, გვ. 80—81.

81 სვანური პროზაული ტექსტები. II, 1957, გვ. 125—128.

ბუნებრივია, არა მხოლოდ მათ ასუსტებდა, არამედ მთელ მათ სამფლობელოს და სვანეთს. ამასთან, ძალას მატებდა მტერს, რომელიც თავის სასარგებლოდ აქეზებდა და ახალისებდა ძმათამკვლელ ომს.

5. საგლეხო რეფორმა დადიშქელიანთა სამფლობელოში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX ს. 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ცალკეული ფეოდალური ერთეულების ავტონომიები, მათ შორის დადიშქელიანთა სამთავროც, გაუქმდა. ამასთან, დადიშქელიანთა უფროსი შტოს წარმომადგენლებიც (კონსტანტინეს მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მოკვლის გამო) რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს, ხოლო ჩუბეხევის ყმა-მამულის საზღაურად მათ საკმაოდ დიდი სახსრები მიიღეს (ეს ყმა-მამული ხაზინას გადაეცა)[82].

რაც შეეხება დანარჩენ დადიშქელიანებს, რომლებიც ეცერ-ცხუშარ, ბეჩოს ფლობდნენ, ხსენებულ სამთავროს გაუქმების შემდეგ, მათ ჩვეულებრივი მემამულური უფლებები დარჩათ. ამასთან, მთელი ზემო სვანეთი (ე. წ. სადადიშქელიანო და ბალსზემო სვანეთი) ერთ საბოქაულოდ გადაკეთდა, რომლის ცენტრად ბეჩო იქნა შერჩეული. მალე მთელი სვანეთის გაერთიანების საკითხიც დაისვა, რაც 1869 წ. სისრულეში იქნა აგრეთვე მოყვანილი[83].

XIX ს. 60-იან წლებში, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში, სვანეთშიც საგლეხო რეფორმის პრაქტიკული განხორციელების საკითხი დაისვა. ამ მიზნით საჭირო გახდა სვანეთის თავად-აზნაურთა მდგომარეობისა და მათი საადგილმამულო ურთიერთობის საბოლოო დადგენა. ამას მოყვა სპეციალური კომისიების შექმნა, მოსახლეობის აღწერა და სათანადო წესების შემუშავება.

1863 წ. სამეგრელოს მმართველს გ. ვლასტოვს დაეკალა შეექმნა სამეგრელოს სარეფორმო კომისია, რომელშიც უნდა შეეყვანა სვანეთის თავად-აზნაურთა ორი წარმომადგენელიც[84].

მართალია, მეფის მთავრობამ სვანეთში საგლეხო რეფორმის გატარება სამეგრელოს მმართველს გ. ვლასტოვს შიანდო, მაგრამ მას და მის მიერ შექმნილ კომისიას ოდნავი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა სვანეთის კონკრეტულ ვითარებაზე.

ზუგდიდში დაარსებულ სამეგრელო-სვანეთის სარეფორმო კომისიას მიეთითა, რომ, გარდა დადიანებისა და დადიშქელიანებისა

---

82 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 95—99; АКАК, т. XII, с. 383.

83 იქვე ф. 416, оп. 3, д. 91, д. 1.

84 საქ. სსრ ცსსა, ფ. 16, ს. 59, ფურც. 98—99.

(რომელთაც იმპერატორის ოფიციალური სიგელები ჰქონდათ), ყველა თავად-აზნაურისათვის მოეთხოვა ბატონყმური უფლებების დამადასტურებელი საბუთები, რომლებიც კომისიისათვის უნდა წარედგინათ (ამ საბუთში ზუსტად უნდა ყოფილიყო ასახული, თუ ვის რამდენი ყმა და მამული ეკუთვნოდა), მაგრამ როგორც დანარჩენ საქართველოში, ამ სამფლობელოებშიც ბატონყმობის რიგი წერილობით იშვიათად იყო აღნუსხული (ის ადათ-წესის ხასიათს ატარებდა). მთავრობის ეს მოთხოვნა, როგორც თავის დროზე ქართლ-კახეთში და იმერეთში, ასევე სამეგრელოსა და სვანეთშიც, ვერ შესრულდა, ამის გამო სამეგრელოსა და სვანეთშიც ყოველივე მეფის მთავრობის სპეციალურ კომისიებს უნდა გადაეწყვიტათ (საჭირო შემთხვევაში ძიებისა და მოწმეების მეშვეობით).

გ. ვლასტოვის მიერ შექმნილი საგლეხო რეფორმის კომისია 1865 წ. მუშაობას შეუდგა, მაგრამ, პირველ რიგში, მან დადიანის სამფლობელოს (სამეგრელოს, ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის) საქმე განიხილა.

წინდაწინ მოლაპარაკების შემდეგ, 1866 წ. იანვარში, სამეგრელოს მმართველმა წერილობით მიმართა დადიშქელიანთა უმცროსი შტოს წარმომადგენელს — თენგიზ დადიშქელიანს (რომელიც, მებატონის გარდა, ამ დროს სვანეთის ბოქაულის თანაშემწეც იყო), რათა რეფორმის მოსამზადებლად საჭირო მასალები გაემზადებინა და წარედგინა.

1866 წ. 14 აპრილს თენგიზ დადიშქელიანი სამეგრელოს მმართველთან გამოცხადდა თავისი სამფლობელოს აღწერის მონაცემებით. მალე სამეგრელოს მმართველმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკის სთხოვა ნება დაერთო დადიშქელიანთა საკითხი განეხილა, მაგრამ სანამ გენერალ-გუბერნატორი თავის მითითებებს აცნობებდა და დავალებას მისცემდა, იქამდე, ყმა-მამულის კუთვნილებასთან დაკავშირებით, ეცერ-ცხუმარ-ბეჩოს მფლობელ დადიშქელიანთა შორის სასტიკი დავა გაჩაღდა. ამას დაემატა სამეგრელოს მფლობელთა მიერ დაჩემებული საძოვრების გამო აურზაურიც (ამ საძოვრებით სარგებლობისათვის იჯარის მიუცემლობის გამო დადიშქელიანები და მათი მოსაზღვრე სვანები თავს ესხმოდნენ სამეგრელოს მეჯოგეებს და ჯოგიანად იტაცებდნენ).

ასეთი გარემოების გამო, გ. ვლასტოვი თვლიდა, რომ სვანეთში ჯერ სამიმოსვლო საშუალება და ხელისუფლების საქმე უნდა მოგვარებულიყო და რეფორმა შემდეგ გატარებულიყო[85].

---

85 Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, сост. проф. П. В. Гугушвили. Тбилиси, 1950, с. 515—516.

გ. ელასტოვის აზრით, ეცერ-ცხუმარ-ბეჩოში რეფორმის განსატარებლად აუცილებელი იყო ჯერ მუსლიმან დადიშქელიანების (რომლებიც ჩრდ. კავკასიაში ცხოვრობდნენ და ბეჩოში მამულებს ფლობდნენ) საქმის მოგვარება, მათთვის მამულების ჩამორთმევა. ამასთან ერთად, მისი მითითებით აუცილებელი იყო დადიშქელიანებისადმი კუთვნილი მიწა-წყლისა და ყმათა რაოდენობის ზუსტი აღრიცხვა, აგრეთვე დადიშქელიანებსა და ყმა-გლეხობას შორის არსებული საადგილმამულო ურთიერთობის დადგენა[86].

სამეგრელოს მმართველს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორსა და მეფისნაცვლის კანცელარიას შორის ხანგრძლივი მიმოწერის მიუხედავად დადიშქელიანთა ყმა-გლეხების განთავისუფლება 1966 წელს ვერ გადაწყდა.

რეფორმის საქმის მოსაგვარებლად 1869 წ. ივლისში სვანეთში მიდის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ლევაშოვი, რომელიც თ. დადიშქელიანს შეუთანხმდა, რომ თითოეული გლეხის კომლისათვის ოთხ-ოთხი ქცევა სახნავ-სათიბი მიწა დაეტოვებინა, სამაგიეროდ აღუთქვა, რომ შუამდგომლობას აღძრავდა თითოეული ყმა-მამაკაცის განთავისუფლებისათვის 50 მანეთის მიცემაზე.

გუბერნატორთან მოლაპარაკების საფუძველზე, ეცერ-ცხუმარის მფლობელებს — თენგიზს (უფროსი), გელას, ბექირბისა და ზოსოსტრს — კერძო საკუთრებაში უნდა დარჩენოდათ ტყეები, საძოვრები. ყოფილი სათავისთავო მამულები და გლეხთა ჩამონაჭრები[87].

ბოლოს და ბოლოს კავკასიის ადმინისტრაციამ 1871 წ. ეცერ-ცხუმარის გლეხობის განთავისუფლებაც გადაწყვიტა, იმ პირობით, როგორც ეს თ. დადიშქელიანთან იყო შეთანხმებული. 1871 წ. შემოდგომაზე კავკასიის საგლეხო კომიტეტმა დაადგინა, რომ სვანეთში თითოეულ განთავისუფლებულ გლეხის კომლს მიეღო 4 ქცევა სახნავ-სათიბი მიწა — ყოველგვარი დროებითი ვალდებულების გარეშე. ამასთან, ტყითა და საძოვრებით სარგებლობისათვის თითოეული გლეხის კომლისაგან დადიშქელიანებს შეეძლოთ ყოველწლიურად 5—5 მანეთი გადასახადი მიეღოთ. რაც მთავარია, თითოეული მამაკაცის განთავისუფლებაში დადიშქელიანებს მთავრობისაგან უნდა მიეღოთ 50—50 მანეთი (ჩვეულებრივთან შედარებით ორმაგი) საზღაური, რაც მალე დამტკიცდა უმაღლესად[88].

რეფორმის შედეგად ეცერ-ცხუმარის 130-მდე გლეხის კომლმა წინდაწინ ნავარაუდევზე ცოტა მეტი მიწა მიიღო, სულ 709 ქცევა, ანუ კომლზე დაახლოებით 5 ქცევამდე, ხოლო, როგორც პირად მფლობე-

---

86 იქვე, გვ. 518.
87 СХИАО, т. II, с. 523.
88 იქვე, გვ. 537.

ლობაში არსებული მიწები, ასევე გლეხთა ჩამონაჭრები, აგრეთვე საბალახო-საძოვრები და ტყეები დადიშქელიანებს დარჩა. ამასთან, თითოეული მამაკაცის განთავისუფლებისათვის მათ 50 მანეთი ნაღდი ფული მიიღეს (სულ 30.700 მან.)[89].

როგორც ვხედავთ, დასაწყისში რეფორმა მხოლოდ ეცერ-ცხუმარის გლეხობას შეეხო და იგი ყოველგვარი დროებითი ვალდებულების გარეშე, მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში იქნა გადაყვანილი.

სადადიშქელიანო სვანეთში დიდხანს გადაუჭრელი რჩებოდა ბეჩოს გლეხობის განთავისუფლების საკითხი, რადგან ვერ იქნა და ვერ გადაწყდა მათი კუთვნილების საკითხი[90]. მართალია, ოთარ დადიშქელიანის მიერ მაჰმადიანობის მიღებისა და მისი ოჯახის ჩრდ. კავკასიაში ცხოვრების გამო, ბეჩოს მიწა-წყალი ხაზინის კუთვნილებად გამოცხადდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად არ განხორციელდა. ამიტომ 1871 წ. 11 აგვისტოს ბეჩოს გლეხკაცობის საკითხიც დაისვა. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნატორი წერდა. მე შეჩვენება, რომ ამჟამად ძნელია ბეჩოს მფლობელობაზე ბექირბი დადიშქელიანისადმი (ოთარის ძისადმი) უარის თქმა, იმ საბაბით, რომ ის ხაზინის კუთვნილებადაა გამოცხადებული, რადგან კონსტანტინეს მემკვიდრეებმა, ჩამორთმეული მამულის საზღაურად, მონარქისაგან დიდი წყალობა (თანხა) მიიღეს. ამიტომ შესაძლებელია მისმა უდიდესებულებამ ბექირბისაც ასეთივე წყალობა მისცეს.

საქმე იმაშია, რომ ბექირბი (ოთარის ძე) ყაბარდოდან ბეჩოში დაბრუნდა და იქ ცხოვრობდა, ამიტომ ყმა გლეხობის განთავისუფლებისათვის საზღაურს დაჟინებით მოითხოვდა.

ქუთაისის გუბერნატორი ლევაშოვი თვლიდა, რომ ბეჩოს მამულები გაცილებით მწირი იყო, ამიტომ მიაჩნდა, რომ იქაურ გლეხებს ეცერ-ცხუმარის გლეხებზე მეტი მიწა უნდა მიეღოთ, რომ უკმაყოფილობას არ ეჩინა თავი. ამასთან, ლევაშოვი მოითხოვდა აგრეთვე, რომ ბეჩოს მიწის ნაწილი ხაზინასაც დარჩენოდა სვანეთში გამწესებული სამხედრო ოჯახებისათვის[91].

საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის ლევაშოვმა ოთარ დადიშქელიანის სამი მემკვიდრის (ბექირბის, ლევანისა და ციოყის), ასევე შათი უფროსი ძმის შვილის — ჯანსულის — მატერიალური უზრუნველყოფის საკითხიც დასვა, რადგან უამისოდ შეუძლებლად მიაჩნ-

---

89 СХИАО, т. II, с. 530.

90 როგორც წინა პარაგრაფშია ნაჩვენები, ჩუბეხეი (რომელშიაც ფარიც შედიოდა) უკვე ხაზინის გამგებლობაში იყო, ამიტომ მას რეფორმა არ შეეხო (იქაური მფლობელების გადასახლების შედეგად ბატონყმობა თავისთავად გაუქმდა).

91 СХИАО, т. II, с. 528—529.

და დადიშქელიანთა შორის დავა-მტრობისა და მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილების აღკვეთა.

რაკი სხვადასხვა ინსტანციაში ჩივილის გამო ბეჩოს კუთვნილების საკითხი დიდხანს გადაუჭრელი რჩებოდა, იქაურმა გლეხობამ, ეცერ-ცხუმარში გატარებული რეფორმის შემდეგ, საერთოდ უარი განაცხადა რაიმე ვალდებულების შესრულებაზე[92].

1893 წლის მონაცემებით, ბეჩოში ცხოვრობდა 114 გლეხის კომლი (275 მამაკაცი). იქაური სავარგული 7397 დესეტინას უდრიდა, აქედან 328 დესეტინა სათიბ-საძოვარი მიწა სადავო იყო ბეჩოსა და ლატალს შორის, ხოლო 44 დესეტინა ეკლესიას ეკუთვნოდა. 1893 წელს ბეჩოში ცხოვრობდა დადიშქელიანთა (ბექირბის, ციოყის, ჯანსუღისა და მათი უფროსი ძმის ქვრივის) ოთხი ოჯახი, რომელთა წლიური შემოსავალი 1640 მანეთს შეადგენდა[93].

ხანგრძლივი დავისა და საქმის საბოლოო შესწავლის შემდეგ კავკასიის ადმინისტრაციამ დაადგინა: 1) ბეჩოს თითოეულ განთავისუფლებულ კომლს 10 ქცევა სახნავ-სათიბი მიწა მიეღო; 2) ივანე დადიშქელიანს, რომელიც ბეჩოს მამულების მონაწილე მფლობელად ჩაითვალა, თითოეულ განთავისუფლებულ მამაკაცზე 100—100 მანეთი გამოყოფოდა (სულ 36000 მან.), 3) ივანე დადიშქელიანს ეს თანხა (36 ათასი მან.) ოთაროვებისათვის (ოთარის შთამომავლისათვის) მიეცა — უზრუნველსაყოფად, სამაგიეროდ მას 5 ათასი დესეტინა მიწა უნდა დარჩენოდა. ამასთან, ოთაროვების ოჯახებს მიკუთვნებოდათ 38 დესეტინა სახნავ-სათიბი მიწა, რომელსაც ისინი თავის დროზე ფლობდნენ უშუალოდ, ე. ი. სათავისთავო მეურნეობის საზით[94].

ასეთი გადაწყვეტილება 1898 წ. 19 მაისს უმაღლესად დამტკიცდა[95].

როგორც ვხედავთ, საგლეხო რეფორმა დადიშქელიანთა სამფლობელოში XIX ს. 50-იან წლებიდან საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა, სამაგიეროდ იქ გლეხთა დროებითი ვალდებულება არ იქნა შემოღებული, თუმცა მიწა-წყლის (საძოვარ-საბალახოს, სათიბისა და ტყეების) უკმარისობის გამო გლეხობა კვლავ დიდხანს დარჩა დადიშქელიანებზე დამოკიდებული.

---

92 СХИАО, т. II, с. 531—532.

93 ა. ჩარკვიანი, სვანეთი, გვ. 96—97.

94 იქვე, გვ. 100.

95 იქვე. გვ. 101.

*
* *

დადიშქელიანთა ფეოდალური საგვარეულოდან არაერთი პირთ დაწინაურდა რუსეთის თვითმპყრობელურ სახელმწიფო აპარატში და გამოჩენილი მოღვაწე გახდა.

მათ შორის აღსანიშნავია ალექსანდრე (სვანურად ბექირბი) დადიშქელიანი, რომელიც დაიბადა დაახლოებით 1826 წელს, სოფელ ფარში, ჩუბეხევის მფლობელის სახლში.

ალექსანდრეს მამა ციოყ დადიშქელიანი (მიხაილად წოდებული) დაიღუპა კავკასიის ომში 1841 წ. შაფსუღებთან და უბიხებთან ბრძოლის დროს (გენერალ ანრეპის ექსპედიციაში).

ა. დადიშქელიანს ჰყავდა ოთხი ძმა, მათ შორის ყველაზე უფროსი იყო კონსტანტინე ანუ იგივე მურზაყანი (სვანეთის უკანასკნელი მთავარი), ხოლო დანარჩენები იყვნენ: ისლამი, თენგიზი და ციოყი.

ა. დადიშქელიანმა კარგი შინაური აღზრდა მიიღო პატარაობიდანვე. მას წერა-კითხვა შეასწავლა ბებია დიგორხან გარდაფხაძემ (დადიშქელიანისა).

დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ა. დადიშქელიანი ჩაირიცხა თავად-აზნაურთა სამხედრო სასწავლებელში (პეტროგრადის კადეტთა კორპუსში), რომელიც დაამთავრა 1843 წ. „პროპორშჩიკის“ ჩინით.

სასწავლებლის დამთავრებისთანავე ა. დადიშქელიანი ჩაირიცხა ნიკეგოროდის დრაგუნთა პოლკში, ჯერ „პროპორშჩიკის“, ხოლო 1848 წლიდან „პორუჩიკის“ ჩინით[96].

მამის დაღუპვის შემდეგ (1841 წ.) ჩუბეხევის მართვა-გამგეობა ახალგაზრდა კონსტანტინეს დაეკისრა, რომელსაც, მართალია, ბებია დიგორხანი ეხმარებოდა, მაგრამ მალე ის თათარყან (იგივე ნიკოლოზ) დადიშქელიანის თავდასხმის მსხვერპლი შეიქმნა (1843 წ.), ამიტომ მეფესთან შეთანხმებით ა. დადიშქელიანს ნება მიეცა სვანეთში ყოფილიყო ხანგრძლივი შვებულებით (სამხედრო ხელფასის შენარჩუნებით), რათა უფროს ძმას დახმარებოდა სამფლობელოს მართვა-გამგეობაში.

იმის გამო, რომ 1855 წ. კონსტანტინესა და ალექსანდრეს უმცროსმა ძმებმა ისლამმა და თენგიზმა შურისძიების საფუძველზე მოკლეს გურიის სამხედრო რაზმში გამოძახებული (ყირიმის ომის გამო) ჯანსუღ დადიშქელიანი (თათარყანის ძე, რომელიც 1850 წ. გარდაიცვალა), ალექსანდრეს ებრძანა დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო

---

[96] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64.

ნიკეგოროდის დრაგუნთა მოქმედ პოლკში, მაგრამ საშინაო საქმეების აწეწვის გამო, ის სამხედრო ნაწილში წასვლას აყოვნებდა, მით უფრო, რომ მისი საბლის წინააღმდეგ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანმა თავის ნათესავ-ახლობლები და საქართველოში მყოფი სამხედრო მოხელეები ერთად აამოძრავა.

ბრძანების დაუყოვნებლივ შეუსრულებლობის გამო მეფისნაცვალმა მურავიოვმა (რომელიც კავკასიის არმიის მთავარსარდლადაც ითვლებოდა) საკითხი დასვა ა. დადიშქელიანის სამხედრო სამსახურიდან გარიცხვაზე. საქმე გაართულა სვანეთის სამთავროს გაუქმების გადაწყვეტილებამ. ამასთან დაკავშირებით ქუთაისში გამოძახებულმა კონსტანტინემ, 1857 წ. ოქტომბერში, გუბერნიის რეზიდენციაში, დახოცა გენერალ-გუბერნატორი და მისი რამდენიმე თანამშრომელი. საქმის ამგვარი დასასრულის გამო მეფემ 1857 წ. დეკემბერში დაადასტურა კავკასიის ადმინისტრაციისა და სამხედრო სამინისტროს შუამდგომლობა ა. დადიშქელიანის სამხედრო სამსახურიდან გარიცხვაზე.

მეფის მთავრობამ ამასობაში კონსტანტინეს დახვრეტა, ხოლო ჩუბეხევის ყველა დადიშქელიანს, მათ შორის ალექსანდრესაც, იმპერიის შორეულ მხარეში მუდმივი გადასახლება მიუსაჯა.

რაკი ა. დადიშქელიანს სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია უშუალოდ, სამხედრო მინისტრისა და კავკასიის ადმინისტრაციის აზრით, შესაძლებელი იყო მისი აღდგენა სამხედრო სამსახურში. კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობის დახასიათებით, ალექსანდრემ ახალგაზრდობის დროს სრულყოფილი რუსული აღზრდა მიიღო, შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენას, სამხედრო პოლკში ცამეტნახევარი წლის განმავლობაში ოფიცრად მსახურობის პერიოდში არც ერთი ჯარიმა და შენიშვნა არ მიუღია, რაც მთავარია, გამოირჩეოდა ბუნებრივი ნიჭით[97].

გათვალისწინებული იქნა რა ყოველივე ეს, მეფის დასტურით, ა. დადიშქელიანი აღდგენილ იქნა სამხედრო სამსახურში, ოღონდ იმ პირობით, რომ ის კავკასიაში არასოდეს დაბრუნდებოდა[98]. ამასთან, ა. დადიშქელიანს მუდმივი მეთვალყურეობა დაუწესდა, მისი შვებულებაში წასვლა წინდაწინ უნდა შეთანხმებულიყო კავკასიის კორპუსის მთავარსარდალთან[99].

მალე ა. დადიშქელიანი გაიგზავნა ნოვოჩერკასკში, სათანდო სამხედრო სამსახურის მისაჩენად. რამდენიმე კვირის შემდეგ ის გაიგზავნა იმიერბაიკალის კაზაკთა ცხენოსანთა პოლკში, იმ მითითებით, რომ

---

97 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 10, 12, 23.

98 იქვე, ფურ. 14—16.

99 იქვე. ფურც. 23.

სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე არსად წასულიყო აღმოსავლეთ ციმბირიდან.

ა. დადიშქელიანმა, როგორც ყოველმხრივ მომზადებულმა ოფიცერმა, აღმოსავლეთ ციმბირის კაზაკთა პოლკში მუშაობის დაწყებისთანავე, მიიპყრო მეთაურთა ყურადღება. ის მალე მოხვდა გენერალ-გუბერნატორის ყურადღების ცენტრშიც. ჩანს, გენერალ-ადიუტანტი მურავიოვი ალექსანდრეს ჯერ კიდევ კავკასიაში მეფისნაცვლად მუშაობის დროს იცნობდა. სამსახურის დაწყებიდან ორი-სამი კვირის თავზე ალექსანდრე გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტად დაინიშნა (იასაულის ჩინით). რამდენიმე დღის შემდეგ ალექსანდრეს სპეციალური რაზმი მიეცა და ამურის მხარის დასაზვერად გაიგზავნა

აქედან იწყება ალექსანდრეს დაუცხრომელი შემოქმედებითი მუშაობა და მოგზაურობა უზარმაზარ სივრცეში გაშლილ, ჯერ შეუსწავლელ აღმოსავლეთ ციმბირის მიწა-წყალზე.

1858 წლის დასასრულს ა. დადიშქელიანის ექსპედიცია გაიგზავნა ამურის სათავე ტერიტორიების შესასწავლად.

ამასობაში შუბეხევის დადიშქელიანთა საქმის გარჩევაც საბოლოოდ დასრულდა. ამ საქმეზე მურავიოვ-ამურსკიმ, 1859 წ. დეკემბერში, ირკუტსკში მიიღო კავკასიის მეფისნაცვლის ბარიატინსკის წერილი, რომელშიაც მურავიოვს თხოვდა თავის ადიუტანტის მეშვეობით ემოქმედა მის უმცროს ძმებზე: ისლამზე, თენგიზზე და ციოყზე, რათა ისინი ნებაყოფლობით დათანხმებულიყვნენ სვანეთიდან სამუდამო გადასახლებასა და ყმა-მამულში საზღაურის მიღებაზე.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს მურავიოვ-ამურსკის მეორე საპასუხო წერილი, რომელიც 1859 წ. აპრილში გაუგზავნა კავკასიის ადმინისტრაციას. ამ წერილში მოცემულია ა. დადიშქელიანის მოღვაწეობის დახასიათება და შეფასება. გენერალ-გუბერნატორ მურავიოვ-ამურსკის დახასიათებით, ა. დადიშქელიანმა, ჯერ კიდევ 1859 წ. ზამთარში, სწრაფად და ბრწყინვალედ შეასრულა სახელმწიფო დავალება — შეესწავლა ირკუტსკსა და ამურის ნიკოლაევსკს შორის ტერიტორია და შეედგინა სათანადო ტოპოგრაფიული რუკა. ამ დავალების მაღალ დონეზე შესრულებისათვის ალექსანდრემ უმაღლესი შეფასება და წმ. ვლადიმირის ორდენიც დაიმსახურა[100].

კავკასიის ადმინისტრაციისათვის გაგზავნილ წერილში გენერალ-გუბერნატორი მურავიოვ-ამურსკი თავის ადიუტანტ ა. დადიშქელიანზე უშუალოდ წერდა: „კარგად გაცნობის შემდეგ მე დავრწმუნდი მისი აზრების სწორ მიმართულებასა და კეთილშობილებაში, რამაც ხასიათის ნატიფობასთან, გულღიაობასთან („ობშიტელნოსტ"), სულიერ

---

[100] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 81.

სიკეთესთან და თანამედროვე დონეზე განვითარებულობასთან ერთად, მას აქ (ლაპარაკია ირკუტსკზე — გ. გ.) უმოკლეს დროში მოუპოვა საყოველთაო პატივისცემა და ბევრი მეგობარიც შესძინა. რაც შეეხება სამსახურს, თავადი დადიშქელიანი ყოველთვის ახერხებს, დაამტკიცოს თავისი გულმოდგინება, ერთგულება, მის მიერ მიცემული ფიცის გაუტეხლობა, საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის თავდადებული ბრძოლა. ეს ადამიანური ღირსებები, რაც შეერთებულია შესანიშნავ ნიჭთან და გონებრივ განვითარებასთან, გულწრფელად მახარებს; მისი სახით მე შევიძინე ადიუტანტი, რომელსაც მემიძლია დავაკისრო ურთულესი და უმნიშვნელოვანესი დავალებები, იმის ღრმა რწმენით, რომ ეს დავალებები კეთილგონივრულად და პატიოსნად შესრულდება.

მე თავად დადიშქელიანს ყოველთვის უმნიშვნელოვანეს საქმეებს ვავალებ; და ახლაც, იაპონიასა და ჩინეთში გამგზავრების წინ, მე ის ავირჩიე; ამ მოგზაურობის დროს სამხედრო საქმეში ჩემი ერთადერთი დასაყრდენი იქნება ჩემი ადიუტანტი, თავადი დადიშქელიანი"[101].

ამ დახასიათებასთან ერთად, დადიშქელიანის თანადროულ აზროვნებაზე მეტყველებს ისიც, რომ მას ბატონყმობა ქვეყნის შემდგომი განვითარების შემაფერხებელ, დრომოჭმულ მოვლენად მიაჩნდა. ეს გარემოება ჩანს მის წერილში ძმებისადმი, რომელიც, მურავიოვ-ამურსკის შუამდგომლობასთან ერთად, კავკასიის მმართველობას გაეგზავნა. 1859 წ. 31 მარტს ალექსანდრე ისლამს, თენგიზსა და ციოას წერდა: ძვირფასო ძმებო! აქაურმა გენერალ-გუბერნატორმა დაწვრილებით შემატყობინა თქვენი ამბავი, გემუდარებით დამშვიდდით. რითაც თავიდან აიშორებთ ყოველგვარ საყვედურს. რაკი ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომობა მივიღეთ, ჩვენი ბედი მჭიდროდ დაეუკავშირეთ რუსეთის ბედს. მადლობელი ვარ თქვენი, რადგან მთავრობის გადაწყვეტილებას დაემორჩილეთ.

შემდეგ წერდა: მინდა შეგატყობინო, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ბატონყმობა („ბატონობა და მონობა") გააუქმოს არა მხოლოდ სვანეთში, არამედ საქართველოში („იმერეთში და საქართველოში") და სხვაგან. თქვენ თვითონ დაინახავთ, რომ გლეხობა არა მხოლოდ ჩვენ ჩამოგვერთმევა, არამედ ყველას, ვისაც ისინი ჰყავს... ამიტომ, ძვირფასო ძმებო, თავიდან უნდა მოიშოროთ ის აზრი, რომ გლეხობა კვლავ ჩვენს მონობაში დარჩება. გთხოვთ ხელი აიღოთ გლეხობაზე, სამაგიეროდ მთავრობა ყოველივეს საკადრისად აგვინაზღაურებს. თვითონ კი მზად იყო ხელი აეღო თავის კუთვნილ გლე-

---

101 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 41.

ხებზე თუნდაც საზღაური არ მიეღო. თუ თქვენ კარგად მოიქცევით და გულმოდგინედ მოეკიდებით რუსეთს, მაშინ არ დავკარგავთ არც სახლკარს, არც მიწა-წყალს და არც სამშობლოს.

დაბოლოს წერდა: ძვირფასო ძმებო! თუ თქვენ გახსოვთ ჩვენი ძმობა, თუ თქვენ გიყვართ ჩვენი ოჯახები, და პატივს სცემთ ჩვენს მამა-პაპათა ხსოვნასა და საფლავებს, უმორჩილესად გთხოვთ რუსეთისა და მისი მთავრობის ერთგული იყავით[102].

ცნობილია, რომ XIX ს. 60-იან—80-იან წლებში ა. დადიშქელიანმა შემოიარა და რამდენადმე შეისწავლა აღმოსავლეთ ციმბირი, კორეა, იაპონია, ჩინეთი და სხვა, შეადგინა რიგი მათგანის ტოპოგრაფიული რუკები. მაგალითად, მის კალამს ეკუთვნის ამურის მხარის გეოგრაფიული გამოკვლევა, კორეის გეოგრაფიულ-პოლიტიკური მიმოხილვა და სხვ.[103].

სხვათა შორის, ა. დადიშქელიანის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, 1888 წ. 28 მარტს ამურისპირეთის სამხედრო ოკრუგის უფროსი აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორს წერდა, რომ ა. დადიშქელიანის ექსპედიციამ აღწერა ამურის მხარის უდიდესი ნაწილი (მდ. ამურს, ამგუნსა და გურეის შორის ტერიტორიები, აგრეთვე იქ მობინადრე უცხო ხალხები), სადაც ჯერ არც ერთ ევროპელს არ შეუღწევიაო[104].

ა. დადიშქელიანმა (მიუხედავად სამშობლოდან გაძევებისა და მუდმივი თვალთვალისა) ციმბირში თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა სამხედრომ და მკვლევარმა. მან გენერალ-მაიორის ჩინი და გამოკვლევებისათვის მრავალი ჯილდო დაიმსახურა.

ა. დადიშქელიანი სიკვდილამდე ირკუტსკში, ახლად მიღებულ მამულში დარჩა (გარდაცვალების თარიღი და ოჯახური მდგომარეობა ჩვენთვის უცნობია). მისი მოღვაწეობა, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივაა ცნობილი.

*

* *

დადიშქელიანთა საგვარეულოდან მეორე გამოჩენილი მოხელე იყო გიორგი თენგიზის ძე დადიშქელიანი, რომელიც დაიბადა 1858 წ. სვანეთის სოფ. ეცერში.

---

102 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 64, л. 49—50.

103 გ. ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები. თბ., 1966.

104 ЦГВИА СССР, ВУА, ед. хр. 18548, л. 1—2.

გიორგის მამა — თენგიზ დადიშქელიანი, როგორც ოფიცერი, დიღხანს მუშაობდა თვითმპყრობელობის ბიუროკრატიულ აპარატში, სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე ის გამოირჩეოდა გლეხებისადმი ულმობელი დამოკიდებულებით. მან, როგორც მეფის ერთგულმა მოხელემ, აქტიური მონაწილეობა მიიღო სვანეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებაში და საქართველოს გლეხთა არაერთი ამბოხების ჩაქრობაში. თენგიზმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი კავკასიის ომში (რომელიც მიმართული იყო მთიელთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ), აგრეთვე კავკასიაში ცარისტული რეჟიმის შემდგომ განმტკიცებაში.

გ. დადიშქელიანმა, როგორც მდიდარი და იმჟამინდელ კვალობაზე განათლებული ოჯახის შვილმა, კარგი საშინაო აღზრდა და დაწყებითი განათლება მიიღო, ჯერ თბილისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა, ხოლო შემდეგ იუნკერთა სამხედრო სასწავლებელი, სადაც თავი გამოიჩინა. როგორც ნიჭიერმა, ყოველმხივ მომზადებულმა და დისციპლინირებულმა ახალგაზრდამ, თეორიულ ცოდნასთან ერთად გიორგიმ დაბალი რანგის ოფიცრის ჩინიც მიიღო და ისე შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას.

გ. დადიშქელიანი ჯერ წვრილ მობელედ მუშაობდა ქუთაისში, ხოლო 1893 წ. დაინიშნა ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ. მან, როგორც მომზადებულმა და ერთგულმა მუშაკმა, მალე მოიპოვა მეფის მოხელეთა სიმპათია და მხარდაჭერა, რის გამოც თანდათანობით დაწინაურდა თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული იერარქიის კიბეზე. მან ჩქარა (1893—1899 წწ.) გაიარა ოზურგეთის, ზუგდიდის, რაჭისა და ქუთაისის მაზრების უფროსობა და ისევ გუბერნიის აპარატს მიაშურა (ამასობაში სამხედრო ჩინიც ემატებოდა).

მრავალგზის გამოცდის შემდეგ, თავდადებისა და ერთგულების გამოჩენისათვის, მეფის მთავრობამ 1906 წ. გ. დადიშქელიანი დანიშნა ქუთაისის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად. მალე მან გენერლის ჩინიც მიიღო და ყარსის ოლქის გუბერნატორის თანამდებობაც.

1908 წ. გიორგი დაინიშნა დაღესტნის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ. სამხედრო სამსახურის შესრულებასთან ერთად, გ. დადიშქელიანი 1912—1915 წლებში იყო ბაქოს ოკრუგის სამოქალაქო საქმეების საპატიო მოსამართლეც, აგრეთვე — პირველი მსოფლიო ომის დროს სვანეთიდან კავკასიის ფრონტზე გაწვეულთა მეურვე და ზედამხედველიც (ამ ომის მონაწილე, სოფელ ხალდეს მკვიდრი, ალექსანდრე გასვიანი დღემდე იგონებს გ. დადიშქელიანის გულუხვ მატერიალურ მზრუნველობასა და რჩევა-დარიგებას ჯარისკაცებისადმი აზერბაიჯანის ფრონტზე).

განსაკუთრებული დამსახურების, წუნდაუდებელი სამსახურის, დიდი გამჭრიახობისა და თვითმპყრობელობისადმი მუდმივი ერთგულების გამო 1915 წ. ივნისში გ. დადიშქელიანს გენერალ-ლეიტენანტის ჩინი და დაღესტნის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა ებოძა.

გ. დადიშქელიანი, როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკის ერთგული გამტარებელი და მტკიცე დასაყრდენი კავკასიაში, ხშირად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოსა და დაღესტნის გლეხთა მღელვარებისა და აჯანყების ლიკვიდაციაში.

ყოველივე ამის გამო გ. დადიშქელიანმა მრავალჯერ დაიმსახურა მთავრობის ქება-დიდება, სხვადასხვა ორდენები და მედლები (1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მისი კვალი საერთოდ არ ჩანს).

თავი მეორე

სვანეთის ეკლესიის ისტორიისათვის

(ქორეპისკოპოსი და საუდრისშვილები)

ფეოდალიზმის ეპოქაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეს დამახასიათებელი თავისებურებანი და მათი შესაბამისი ინსტიტუტები გააჩნდა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არ წარმოადგენდა სვანეთიც, რომელსაც ერისთავ-მთავართან ერთად მეპურეტლე და მელომეც ჰყავდა.

ფეოდალური ეპოქის სვანეთის სინამდვილეში არაერთხელ მოიხსენიება ქორეპისკოპოსიც. ამ ინსტიტუტის შესწავლას ჩვენში არც თუ ხანმოკლე ისტორია აქვს.

ქორეპისკოპოსის სახელწოდებითა და შინაარსით დაინტერესდა გამოჩენილი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი, რომლის განმარტებით „ქორეპისკოპოზი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძნულად". მან შენიშნა, რომ ამ ტერმინის მაგიერ ზოგჯერ ქორიკოზი მოიხსენიება. სულხან-საბას განსჯით, ქორეპისკოპოსი სასულიერო ტიტულია, ხოლო ქორიკოზი „მეფის მონაცვლეს ჰქვიან, რომელმან ვერ იკადროს მეფედ სახელისა დება, არამედ გამოითარგმნების მწყემსად"[1].

ვახუშტი ბატონიშვილის დაკვირვებით, კახეთისა და ჰერეთის მმართველთა ქორეპისკოპოზად სახელდება შეცდომაა. ამიტომ, როცა საქმე კახეთის მმართველს ეხება, ქორეპისკოპოზს ყველგან ქორიკოზად ასწორებს[2].

ქორეპისკოპოსს მხოლოდ სასულიერო ფუნქციის მქონედ მიიჩნევს დ. ბაქრაძე, რომელიც წერს: მერვე-მეთერთმეტე საუკუნეებში კახეთის საერო და სასულიერო საქმეების გამგებლებს ქორიკოზები

---

1 სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის გამოც. თბ., 1973, გვ. 129, 140, 557—560.

2 ვახუშტი ბატონიშვილი. ქართლის ცხოვრება, IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973, გვ. 129, 140, 557—560.

ერქვათ და არა ქორეპისკოპოზები[3]. მკვლევარი დასძენს, რომ ქორეპისკოპოზი ეიკარი (დამოკიდებული) ეპისკოპოზი იყო. ამის მაგალითად ასახელებს წილკნელს, რომელსაც ორი ქორეპისკოპოზი ექვემდებარებოდა (ერთი დარიალის კარამდე მოქმედებდა, მეორე კი ბოდორნაში, რომელიც XV საუკუნეშიც არსებობდა).

რაც შეეხება წანარეთისა და კახეთის მმართველებს, მერვე-მეთერთმეტე საუკუნეებში, დ. ბაქრაძის განსჯით, ისინი სასულიერო და საერო საქმეებს განაგებდნენ, ამიტომ მათ ქორიკოზები ეწოდებოდათ[4].

გ. წერეთლის აზრით, ქორეპისკოპოზები დასავლეთ ევროპაში სასულიერო და საერო საქმეების გამგებლები იყვნენ, ისინი გრაფებად და დამოუკიდებელ მთავრებად იწოდებოდნენ. მისი მტკიცებით, ქორეპისკოპოზები თავის სამფლობელოში აპრეკინებდნენ ფულს, მართავდნენ ბაზრობებს, ახდევინებდნენ ბაჟს, აშენებდნენ ციხე-სიმაგრეებს, ასამართლებდნენ ქვეშევრდომებს და სხვ. ერთი სიტყვით, ეპისკოპოზები და ქორეპისკოპოზები ფაქტობრივად სამეფო რეგალიებს ფლობდნენ[5].

გ. წერეთელი ერთიმეორესთან აიგივებს ქორეპისკოპოზსა და ქორიკოზს. მას მიაჩნია, რომ კახეთ-ჰერეთ-წანარეთის მთავრები ქორეპისკოპოზები ანუ ქორიკოზები იყვნენ. ამიტომ მას ორივე ეს სახელწოდება ერთი და იგივე შინაარსის მატარებლად მიაჩნია[6].

ქორეპისკოპოზი ანუ ქორიკოზი, გ. წერეთლის აზრითაც, ბერძნული სიტყვაა და მოადგილეს ანუ მაგივრის ნიშნავს[7].

გ. წერეთლის დაკვირვებით, ქორეპისკოპოზობა სათავეს იღებს მეოთხე საუკუნიდან, როცა ქრისტიანულ სამყაროში განდგომილი ცხოვრება გავრცელდა. ასეთ ვითარებაში ზოგმა ეპისკოპოზმა საერო საქმეების მმართველად გაიჩინა მოადგილეები (მთავარი დიაკვნები ანუ არხიდიაკვნები), რომლებიც ქორეპისკოპოზად იწოდნენ. მისივე განცხადებით, ქორეპისკოპოზებს ზოგჯერ ეპისკოპოზის საქმეების შესრულებაც ევალათ.

გ. წერეთლის დაკვირვებით, ზოგიერთი ქორეპისკოპოზი, დროთა ვითარებაში, ისე გაძლიერდა და ამაღლდა, რომ მან, რიგ შემთხვე-

---

3 დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე. ტფ., 1880, გვ. 6.

4 Д. Бакрадзе. Бодорна, Записки общества любителей кавказской археологии, кн. I. Изд. А. Берже и Д. Бакрадзе. Тифлис, 1875, с. 41.

5 გ. წერეთელი. ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა. — კვალი, 1893, № 39, გვ. 10.

6 გ. წერეთელი. დასახელებული შრომა. — კვალი, № 39, გვ. 11; № 40, გვ. 9.

7 იქვე. გვ. 8.

ვაში, ეპისკოპოზსაც გადააჭარბა, რაც არაერთხელ იქნა დაგმობილი.

ქორეპისკოპოზის რაობაზე ს. კაკაბაძემ სულხან-საბასა და ვახუშტის მოსაზრება გაიზიარა. მას ქორეპისკოპოზი სასულიერო ტიტულად, ხოლო ქორიკოზი სვანური სახლის უფროსის („ქორა-ხოშა") სახეცვლილ ფორმად მიიჩნია[8].

ქორეპისკოპოზის კახეთის მფლობელობა ივ. ჯავახიშვილმა სარწმუნოდ ჩათვალა. აქედან გამომდინარე, ის საერთო და სასულიერო ფუნქციების მქონედ მიიჩნია[9].

ზოგიერთი წინამორბედი მკვლევრის მსგავსად, ქორეპისკოპოზი მხოლოდ სასულიერო საქმეების გამგებლად მიაჩნიათ ნ. ბერძენიშვილსა და გ. ჩუბინაშვილს, რომელთა აზრით, თავის დროზე კახეთის მმართველებს უთუოდ ქორიკოზი ერქვათ[10].

ქორეპისკოპოზითა და ქორიკოზით დაინტერესდა ლ. მელიქსეთ-ბეგი, რომელმაც, სულხან-საბასა და ვახუშტიზე დაყრდნობით, ეს ტერმინები სხვადასხვა შინაარსის გამომხატველებად მიიჩნია, მისი მსჯელობით, ქორეპისკოპოზი სასულიერო ტიტულია (ვიკარის გაგებით), ხოლო ქორიკოზი საერო თანამდებობაა. ამიტომ კახეთის მმართველის ქორეპისკოპოზობა გაუგებრობად ჩათვალა[11].

კახეთის მმართველთა ქორეპისკოპოზობა სარწმუნოდ მიაჩნიათ ს. ჯანაშიას, ი. აბულაძეს და პ. ინგოროყვას, ასევე გ. მელიქიშვილს, მ. ლორთქიფანიძეს, დ. მუსხელიშვილს და შ. ბადრიძეს, აგრეთვე უცხოელ მკვლევრებს — მ. ბროსეს, ი. მარკვარტს, ვ. მინორსკისა და სხვ.

ქორეპისკოპოზი და ქორიკოზი, პ. ინგოროყვას რწმენით, ერთი და იგივე შინაარსის გამომხატველი ცნებებია. მისი განსჯით, VIII—XI საუკუნეებში კახეთის მმართველს ქორეპისკოპოზი ანუ ქორიკოზი ერქვა[12].

---

8 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. — საისტ. მოამბე. წ. I, თბ., 1924, გვ. 106—107; მისივე. О племени цанар. — საისტ. კრებული. წ. III, ტფ., 1928, გვ. 109—111.

9 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. I, ტფ., 1928, გვ. 201—202.

10 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, — საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 254; Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, с. 22.

11 ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი. ჩრდილო მხარის სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, ტფ., 1928, გვ. 26; მისივე, კახეთ-ჰერეთ-სომხითის ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის გარკვევისათვის („ქორეპისკოპოზი თუ ქორიკოზი") — თსუ, სამეცნიერო სესიის თეზისები, 1951, გვ. 100—101.

12 პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. თხზ., კრებული, IV, თბ., 1976, გვ. 544.

შ. ლორთქიფანიძის აზრით, „ქორეპისკოპოზი არაა შებღალული ქორიკოზი, კახეთის მთავრებს ადრე ნამდვილად ქორეპისკოპოზები ეწოდებოდათ“[13].

კახეთის მფლობელთა ქორეპისკოპოზობა შ. ბადრიძემ ეპიგრაფიკული წარწერის მონაცემებითაც დაადასტურა. ამდენად, ეს საკითხი მას სადავოდ არ მიაჩნია[14].

ქორეპისკოპოზის ინსტიტუტზე ბოლო დროს ყურადღება გაამახვილა თ. პაპუაშვილმა, რომელმაც პირველწყაროთა მონაცემებისა და სათანადო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ ქორეპისკოპოზი და ქორიკოზი კახეთის სინამდვილეში ერთი და იგივე თანამდებობის (საერო და სასულიერო) შემცველი ცნებებია. მკვლევრის აზრით, სულხან-საბამ ქორიკოზი — ვითარცა „მეფის მონაცვლე“ ქორეპისკოპოზის ანალოგიით განმარტა[15].

თ. პაპუაშვილიც იმ აზრისაა, რომ კახეთის მთავრები VII—XI საუკუნეებში ნამდვილად ქორეპისკოპოსის ტიტულს ატარებდნენ.

ანკვირის მე-13, ნეოკესარიის მე-14, ანტიოქიის მე-8 და მე-10 და ლაოდიკიის 57-ე მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებიდან გამომდინარე, მკვლევარი დაასკვნის, რომ ეს ტიტული საერთოდ ქრისტიანობის შემოღებისთანავე იქნა დაწესებული და დიდხანს არსებობდა.

როგორც ძველ ქართულ არქიჰიერატიკონშია აღნიშნული, როდესაც ერისკაცი სასულიერო ხაზით წავიდოდა, ის ჯერ წიგნისმკითხველად, შემდეგ დიაკვნად, მღვდელად, ქორეპისკოპოსად და ეპისკოპოზად ეკურთხებოდა[16].

ჩანს, ქორეპისკოპოზის ტიტული ეკლესიის იერარქიის მაღალ საფეხურზე იდგა და დიდი პატივით სარგებლობდა: „პატივი უმეტესი მღვდელობისა ქორეპისკოპოსობა იყო“[17]. ამასთან, ქორეპისკოპოზი, პირველ რიგში, სოფლის ეკლესიათა გამგებელი იყო. მის მოვალეობას „ყოველთაჳ საქრისტიანოთა წესთაჳ“ დაცვა შეადგენდა.

---

13 შ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ვაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII—IX სს.). — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, ნ. 31, გვ. 30.

14 შ. ბ ა დ რ ი ძ ე, მმართველი ქორეპისკოპოზის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში. — მაცნე, № 5, 1964, გვ. 94—95.

15 თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982, გვ. 265.

16 Древнегрузинский Архиератикон, грузинский текст, изданный комитетом церковного музея под ред. и предисловием К. С. Кекелидзе. Тифлис, 1912.

17 იქვე.

ქორეპისკოპოზს, ჩვეულებრივ, სოფლის მღვდელ-დიაკვნები ემორჩილებოდნენ. მას ევალებოდა „ობოლ-გლახაკთა და მოღუაწე-ქურივთა მამობა“, აგრეთვე ეკლესიის ქონების გამგებლობა. ყოველივე ამის გამო, ქორეპისკოპოზად ხელდასმული „სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი“ უნდა ყოფილიყო[18].

მიუხედავად იმისა, რომ ქორეპისკოპოზი სოფლის ეკლესიის გამგებელი იყო. ზოგჯერ ის ქალაქის ეპისკოპოზსაც უტოლდებოდა, თუმცა. საეკლესიო კანონმდებლობით, ქორეპისკოპოსის უფლებებს, თითეულ ცალკეულ შემთხვევაში, თავის ზემდგომი, ქალაქის ეპისკოპოსი განსაზღვრავდა.

როგორც ჩანს, ქორეპისკოპოზის მიერ უფლებების გადაჭარბება ეპისკოპოზის უკმაყოფილებასა და შფოთს იწვევდა.

ქორეპისკოპოზთა მიერ მეტისმეტი უფლებების მოხვეჭის გამო ანკვირის 314 წ. საეკლესიო კრების მიერ მიღებულ კანონში ნათქვამია: „ხორეპისკოპოსსა არა ჯელეწიფების ჯელთ-დასხმაი ხუცისა ანუ დიაკონისაი, არამედ არცა ხუცესთა ქალაქისათა, თჳნიერ გარნა თუ წიგნითა უბრძანოს ეპისკოპოსმან სხუათა შინა სამრეველოთა“[19].

ჩანს, არაერთი აკრძალვის მიუხედავად, ქორეპისკოპოზები ზოგჯერ ხუცესთა და დიაკონთა ხელდასხმასაც ეწეოდნენ, რაც თავის დროზე ჯერ ნიკეის პირველმა მსოფლიო კრებამ დაგმო (325 წ.), ხოლო შემდეგ ანტიოქიის 341 წლის კრებამაც. ამ დადგენილებებმა დაადასტურეს, რომ ქორეპისკოპოზს უფლება არ ჰქონდა ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე ემოქმედა. ანტიოქიის კრების მიერ შემუშავებულმა კანონმა ქორეპისკოპოზის უფლებები ასე განსაზღვრა: „ნებათა შინა ანუ სოფელთა ხორეპისკოპოსად სახელდებულთა მათ, დაღათუ ჯელთდასხმაი ეპისკოპოსთაი მიუღებიეს, სთნდა მათთჳს წმიდასა კრებასა, რაჲთა თჳსი საზომი უწყოდინ და განაგებდნენ მათ-და რწმუნებულთა ეკლესიითა და მათსა ხოლო კმა-იყოფდნენ ზრუნვასა და ზედამდგომელობასა. ხოლო დაადგინდნენ წიგნის-მკითხველთაცა და კერძო-დიაკონთა და მაფუცებელთა და ამათი ხოლო კმა-ეყოფოდის მათ მოყვანებაი. ხოლო ნუმცა ეკადრებიეს მათ ჯელთ-დასხმაი ნუცა ხუცისა, ნუცა დიაკონისაი თჳნიერ ქალაქისა მის ეპისკოპოსისა, რომელსა მიმდგომ არს იგიცა და ადგილნიცა მის სოფლებისანი. ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს გარდასვლაი საზღვართაი ამათ, კანიკუეთენ იგი ხუედრებულისაგანცა მისდა პატივისა. ხოლო ხორეპისკოპოსი განიჩინებოდნენ ეპისკოპოსისაგან მის ქალაქისა, რო-

---

18 დიდი სჯულის კანონი, ე. გაბიძაშვილის, ე. გიუნაშვილის, ნ. დოლაქიძისა და გ. ნინუას გამოც., თბ., 1975, გვ. 239.

19 დიდი სჯულის კანონი, გვ. 249.

მელისა ქუეშე იყვნენ სოფელნი მისნი"[20]. ეტყობა, ვერც ამ შეზღუდვამ და ვერც სხვა რომელიმე გადაწყვეტილებამ ვერ დააოკა ქორეპისკოპოზთა მისწრაფება მღვდელმთავრის უფლებების მისატაცებლად, რის გამოც ლაოდიკიის 57-ე საეკლესიო კრებამ მკაცრი განაჩენი გამოიტანა, რათა ამიერიდან საერთოდ არ კურთხეულიყო ქორეპისკოპოზი[21].

ეს გადაწყვეტილება იმას ნიშნავდა, რომ ქორეპისკოპოზების გარდაცვალების შემდეგ ეს ტიტული უნდა გამქრალიყო. მაგრამ საქმე არც ამით დამთავრდა. ქორეპისკოპოზები შემდგომაც განაგრძნობდნენ არსებობასა და თვითნებობას. ისინი ხშირად აჭარბებდნენ თავის ფუნქციებს და უღირს მსახურთა კურთხევა-მიღებას განაგრძნობდნენ, რასაც ბასილ დიდის ეპისტოლეც გმობდა: „ყოველითურთ მწუხარ ვარ მე, რამეთუ უგულებელქმნილ არიან კანონნი მამათანი და ყოველი უცთომლობაჲ ეკლესიათა დავიწყებულ არს". კანონში ნათქვამია: „განწმინდეთ ეკლესიაჲ განკდითა უღირსთა მისთაჲრა და ამიერიდან გამოეძიებდით ღირსთა და შეიწყნარებდით"[22].

ამის მიუხედავად, ქორეპისკოპოზის ტიტული აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიას დიდხანს შემორჩა, რასაც მოწმობს ნიკეის მეორე მსოფლიო კრების გადაწყვეტილებაც (787 წ.). კრებამ ფაქტად ცნო ქორეპისკოპოზთა არსებობა და მათ მიერ დადგენილი უფლებების ხშირი ხელყოფა. ამიტომ მან ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა: „ხორეპისკოპოსთაგანცა ჯერარს კელთდასხმაჲ წიგნისმკითხველთაჲ ბრძანებითა ეპისკოპოსისაჲთა"[23].

დადგენილია, რომ უფლებამოსილების სისტემატური გადაჭარბებისა და მღვდელმთავრებთან შუღლის გამო ქორეპისკოპოზის ტიტული აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში XII საუკუნისათვის უკვე ლიკვიდირებულ იქნა.

ძნელი სათქმელია, საქართველოში როდიდან გაჩნდა ქორეპისკოპოზი. გ. წერეთლის აზრით, ეს ტიტული ჩვენში IV საუკუნიდან უნდა იყოს შემოღებული, მას შემდეგ, რაც საქართველოს ღვთისმსახურებაში ბერძნულის შესაბამისი ვანდგომილი ცხოვრება გავრცელდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ტიტული ჩვენში შემოვიდა, როდესაც ეკლესიის მღვდელმთავრებმა საერთო საქმის გამგებელ-თანაშემწეები გაიჩინეს.

---

20 დიდი სჯულის კანონი, გვ. 249.

21 იქვე, გვ. 259.

22 იქვე, გვ. 504.

23 იქვე, გვ. 427.

გ. წერეთლის ვარაუდით, ეპისკოპოსის თანაშემწეები თავდაპირველად არქიდიაკონად და დეკანოზად იწოდებოდნენ, შემდეგ კი ქორეპისკოპოზად იქცნენ.

როგორც თ. პაპუაშვილი და ზოგიერთი სხვა მკვლევარი ვარაუდობს, ქორეპისკოპოსის ინსტიტუტი საქართველოში თავდაპირველად უეჭველად საბერძნეთიდან შემოვიდა, თუმცა ამის წერილობითი დადასტურება ყველაზე ადრე VII—VIII სს. აბასთუმნის ეპიგრაფიკულ წარწერაში მოგვეპოვება. ამ ძეგლზე დაყრდნობით თ. პაპუაშვილი დაასკვნის, რომ „ქორეპისკოპოზი სამხრეთ საქართველოში სასულიერო და საერო ხელისუფლებით იყო აღჭურვილი[24].

VIII საუკუნის შემდეგ ქორეპისკოპოზი არაერთ ძეგლში მოიხსენიება. მათ შორის „მატიანე ქართლისაჲ“ — თხზულებაშიც. მაგრამ, როგორც თ. პაპუაშვილი შენიშნავს, არც ერთ მათგანში არ მოგვეპოვება ამ ინსტიტუტის მნიშვნელობისა და შინაარსის მაჩვენებელი ცნობები[25].

სამაგიეროდ, ქორეპისკოპოზის რაობა ნაწილობრივ მაინც გარკვეულია დავით აღმაშენებლის ისტორიაში: „უღირსთა და უწესოთა... დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოზნი, ვითარცა აეაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინეს...“[26].

ქორეპისკოპოზის ფუნქცია შედარებით კარგად ჩანს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის სათანადო განწესებაში, რომლის მიხედვით ხუცესის თუ დიაკვნისაგან კურთხეულ ქორეპისკოპოზს ევალება: „...უბიწოდ დაცვაჲ ყოველთავე საქრისტიანოთა წესთაჲ, რაჲთა არა რაჲ მათგანი გასცეს ქრთამისათჳს, არცა რაჲ განყიდოს ეერცხლად, ვითარცა იუდა უფალი, რაჲთ არა შიშთვილცა მისი დაიმკჳდროს“[27].

ქორეპისკოპოზის სასულიერო ტიტული სომხეთშიც ცნობილია. მხითარ გოშის სამართლის წიგნში (XII ს. მეორე ნახევარი), რომელიც ვახტანგ მეექვსემ თავის სამართლის წიგნში შეიტანა, ნათქვამია: „და ქორეპისკოპოზსა და სხვა იმის ქუეით ბერსა და უფროს მღვდლებსა, თუ მთავარეპისკოპოზმან უბრძანოს და ბრძანება მისცეს, შეუძლიათ მათაც მისი ბრძანებით“[28]. აქ აღნიშნულია, რომ თუ საღვთო ცერემონიალს ქორეპისკოპოზი თვითნებურად შეასრულებ-

---

24 თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 277.

25 იქვე, გვ. 271—272.

26 ქართლის ცხოვრება. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1955, გვ. 327.

27 ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1979, გვ. 118.

28 ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 325—326.

და, მისი გაუქმება შეეძლო მთავარეპისკოპოზს. როგორც ჩანს, ქორეპისკოპოზებიც განსხვავებული იყვნენ: „შესატყობია, ქორეპისკოპოზნი ორნი არიან: ერთი მიიღებს კურთხევასა და ერთი კი ვერა, ბერეტუტია"[29].

ამავე ძეგლში ნათქვამია: „...ქორეპისკოპოსნი არიან მგზავსობით და რიგით სამოცდათორმეტთა მეუღლეთ (მღვდელთა) და მოსაქმეთა (ეპისკოპოზთა) მათ მორჩენისათჳს, რომელი სულიერს საქმეზედ გლახად ყდებოდეს. ქვეყნის ნახვითა და დახედვით იქადაგოს და ითარგმნოს. ქორეპისკოპოსნი არიან მიმცემი მდაბალ-მდაბალ რიგისა უფროსთა მთავარეპისკოპოსთა მორჩილობითა.

და თუ ჭნას მღვდლის რიგი, მტერია კანონისა და სამართლის წიგნისა. ეპისკოპოზისაგან და სხვის (არა იქნება) ერისკაცისგან ქორეეპისკოპოზთა შექმნა, ანუ უცოდინარის მღვდლის, (ანუ) მგლეჯელი გლეხისაგან. — არ არის მნახველი, და ეპისკოპოზი მნახველად ითარგმნება და ესენი — მოსაქმენი"[30].

აღნიშნულთან ერთად, ქორეპისკოპოზის ინსტიტუტის არსებობა საქართველოში შემდგომაც არაერთ წერილობით ძეგლში დასტურდება[32].

საეკლესიო ძეგლებიდან ირკვევა, რომ ქორეპისკოპოზი საკმაოდ მაღალი სამღვდელო ტიტული იყო და ჩვეულებრივ საქართველოსაც ახასიათებდა. „მცნებაჲ სასჯულოჲ"-ში (XV ს.) ნათქვამია: „აწ ყუალად ესენნეთ ებისკოპოზთა და ქორებისკოპოზთა ვითარცა წმიდათა კრებათა ვანაჩინეს, ეგრეთ უთნევარად დადექით. ნუ ვის ათნევ, სამწყსოჲ შენი სწავლით და მაგრად დაიჭირეთ, რათა მეორედ მოსლვაჲ თქუენგან არ ითხოოს სიტყჳს მიგება"[32]. აქვე ეკითხულობთ: „რომელი ხუცესი ცუდად ზღაპრობდეს, ანუ ცუდად მეტყუელებდეს, ანუ წესსა აკლებდეს სამწყსოთა სოფელთა და ქუეყანათა, და მისისა სამრეველოჲსა ცოდვა კათალიკოზსა და ქორებისკოპოზსა არა გამოუცხადოს..."[33].

ივეე ძეგლში აღნიშნულია, რომ ეკლესიის დაბეჭდვა ეპისკოპოზის გარდა ქორეპისკოპოზსაც შეეძლო, ხოლო დანარჩენ ქვემდგომთაგან — არც ერთს[34].

---

29 ქართული სამართლის ძეგლები. I, გვ. 326.

30 იქვე, გვ. 333.

31 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 116, 118, 163, 226, 228, 229, 231, 232, 358, 472.

32 იქვე, გვ. 228.

33 იქვე, გვ. 229.

34 იქვე, გვ. 226.

რაკი ამ ინსტიტუტის არსებობა სვანეთში სპეციალური დაკვირვების საგნად არ გამხდარა, ქვემოთ შეეეცდებით მასზე ყურადღების გამახვილებას, მით უფრო, რომ, როგორც ჩანს, ქორეპისკოპოზი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. სვანეთის ქორეპისკოპოზი პირველად XIII საუკუნეშია მოხსენიებული საეკლესიო კრების მატიანეში. სვანთაგან სამი ქორეპისკოპოზია (ქუცრე—ებისკოპოზი, ქვერებისკოპოზი) დასახელებული, მათ შორის: იოანე (ხუცესი) სტეფანიანი, გიორგი სეტელიანი და ბაბიანი[35].

აღნიშნულთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სეტიელი (სეტელიანი), რომელიც მესტიის უძველეს მკვიდრადაა მიჩნეული.

ჩანს, სეტიელი მესტიას — სეტს (მის მთავარმოწამის ეკლესიას)— უკავშირდება (ცაიშელის, ჭყონდიდელის, ცაგარელისა და სხვათა მსგავსად)

საინტერესოა ისიც, რომ სეტელიანი მესტიის მკვიდრ ფალიანის გვარს შეეზარდა, მის განშტოებად — სეტელშად — ვადაიქცა (ამაზე ქვემოთ).

ეჭვს გარეშეა, რომ სვანეთში (შუა საუკუნეებში) ერთდროულად რამდენიმე ქორეპისკოპოზი მოღვაწეობდა, მათ შორის ერთ-ერთი მესტიაში (აღსანიშნავია, რომ მესტია წმ. სვეტ-სეტ — მე-სვეტ-იასგან წარმოიშვა).

მღვდლების — ქუთათელაძისა და ბაქრაძის[36], აგრეთვე მკვლევრების — დ. ბაქრაძისა და ე. თაყაიშვილის — რწმუნებით, ქორეპისკოპოზის მოღვაწეობის კვალმა სეტის მთავარმოწამის ეკლესიაში XIX საუკუნემდე მოაღწია[37].

ე. თაყაიშვილი წერს: ზეპირი გადმოცემით ვიცით და სამწერობელიც მოწმობს, რომ მესტიაში ეპისკოპოზი იჯდა, მაგრამ, როგორც სინამდვილეში ჩანს, ის დამოუკიდებელი ქორეპისკოპოზი იყო და არა ეპისკოპოზი[38].

---

35 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 121, 136, 155.

36 ბლაღოჩინ ქუთათელაძე 1858 წელს გაიგზავნა სვანეთის ზოგიერთი ეკლესიის აღსაწერად (კონსტანტინე დადიშქელიანის მიერ გუბერნატორ გაგარინის მკლელობასთან დაკავშირებით), ხოლო ბერი ბაქრაძე სვანეთის მღვდელი იყო XIX ს. შუახანებში.

37 ს. ბერნოვილის ცნობით, სეტის მთავარმოწამის ორსართულიანი ეკლესია ფრესკებით იყო დამშვენებული. მისი სიგრძე 25 მეტრს, ხოლო სიგანე 9-ს აღწევდა. ა. სტოიანოვის განცხადებით, ეს ეკლესია სვანეთში ყველაზე მაღალი იყო. სეტის მთავარმოწამის ეკლესია (ორ კოშკთან ერთად) გალავანში ყოფილა მოქცეული (იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია... გვ. 263).

38 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სვანურ სულთა მატიანე ეტრატისა. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის ფონდი, ს. 166.

საეარაუდოა, რომ ქორეპისკოპოზის ტიტული სვანეთში საეკლესიო მშენებლობის გაშლისთანავე იქნა შემოღებული, ხოლო, როგორც ვნახეთ, XIII საუკუნიდან ეს წერილებითაა დადასტურებული.

საფიქრებელია, რომ სვანეთში ერთდროულად სამი საქორეპისკოპოზო მაინც არსებობდა. ამაზე მიგვანიშნებს არა მარტო საეკლესიო მატიანეში სამი ქორეპისკოპოზის ჩამოთვლა, არამედ ისიც, რომ გარკვეულ დროს (XV საუკუნემდე მაინც), სვანეთის ეკლესიათა ნაწილი (ე. წ. „ბალსზემო" და ქვემო სვანეთი) მთავარეპისკოპოზ ცაგარელს ემორჩილებოდა, ხოლო ნაწილი (ე. წ. ბალსქვემო) მთავარეპისკოპოზ ცაიშელს (როგორც ჩანს, ეს მთავარეპისკოპოზები დროდადრო სვანეთის ეკლესიებსა და ღვთისმსახურებსაც აკურთხებდნენ). ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთი ქორეპისკოპოზი ე. წ. ბალსქვემოთ იჯდა (საფიქრებელია, ფსოტრერში, მიო უფრო მატიანეში დასახელებული ორი ქორეპისკოპოზი იქაურია), ხოლო მეორე ქვემო სვანეთში — ლაშხეთის თემის ე. წ. „ქალაქოლში" (ძუღვარეშში), რადგან იქ იყო სახელოსნო-სავაჭრო ცენტრი „ქალაქოლ", რაც ჩვეულებრივ შედარებით მსხვილ და განვითარებულ ეკლესია-მონასტერს ახასიათებდა.

ერთ-ერთი საქორეპისკოპოზო მესტიაში იყო. ამას, პირდაპირ ჩვენებასთან ერთად (ქორეპისკოპოსი სეტიელი და სამწერობელი), მოწმობს იქ ე. წ. „ქალაქის" არსებობაც. წერილობით საბუთში ნათქვამია: „... ვინც სეტიასა სახლობს ყოველმან... ერთობილმან **მოქალაქემან**... მთავარ მოწამე **ქალაქისა**..."[39].

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი არსებობდა სვანეთის ე. წ. „მთიულეთში", რომელზეც ნათქვამია: „ზედქალაქსა კარგი საბატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა **საეფისკოპოზო**, მისით მოთუალმარგალიტულით ომფორითა შემკობილი, რაც **ეფისკოფოსა და იმისთანას საყდარს ეკადრების**, იმისთანას წიგნებით სრულად გათავებული, ასის კუამლით კაცითა"[40]. მართალია, XV საუკუნის შემდეგ ეს საეპისკოპოსო არ ჩანს, მაგრამ ადრე მისი არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან ე. წ. „მთიულეთში" ამ საეპისკოპოსოს გვერდით არაერთი მდიდარი ეკლესია მოქმედებდა. მაგალითად: „ბერიას ერთი მოშცრო მონასტერი წმიდის გიორგისა თექუსმეტის ჯუარხატითა, ოთხთავითა, საწინასწარმეტყველოითა, სამოციქულოითა, მარხუანითა, ტიბიკონითა, სტოდიელითა... ხიდურას... ორი მონასტერი: ერთი დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზთ მონასტერი, ორით დიდით ოქროს ხატითა, ოცდათვრამეტითა სხუა დიდით ხატითა, თორმეტით ოქროისა და ვეცხლის კანდლითა, მისით სამო-

39 სვანეთის სისტორიო ძეგლები, II, გვ. 7, 28, 49 (ხაზგასმა ჩვენია — ვ. ბ.).

40 იქვე, გვ. 33 (ხაზგასმა ჩვენია — გ. ვ.).

ნასტრო წიგნებითა, — დიდით გულანითა, ოთხთავითა, სამოციქულოითა, საწინასწარმეტყველოითა, მარხუანითა, მეტაფრასითა, დავითითა, დავითის თარგმანითა, ოთხთავის თარგმანითა, ენქეროსნით წინამძღურითა, მეორე წმიდის გიორგის საჯანის დიდი სიონი მონასტერი, ოცდათორმეტით ჯუარ-ხატითა და რაც სამონასტრო წიგნი არის მით სრულიად გათავებული... ერთი ეკლესია თხუთმეტით პატიოსანი ხატითა და მისით წიგნებითა სრულობით შემკობილი... შოდას წმიდის გიორგის ეკლესია... ბუბას კარგი ეკლესია — ეკლესია კარგის ჯუარ-ხატითა". როგორც ვხედავთ, აღნიშნული ეკლესია-მონასტრები 128 კომლი გლეხის მფლობელები იყვნენ. აქედან ასი კომლი მარტო ეპისკოპოზს ეკუთვნოდა[41].

XIII საუკუნემდელ დროზე რომ არაფერი ვთქვათ, საფიქრებელია, რომ ქორეპისკოპოზის ინსტიტუტის არსებობა მესტიაში შვიდ საუკუნეს (XIII—XIX სს.) მაინც მოიცავს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა სეტიელის მაგალითი.

სეტიელი წერილობით ძეგლებში არაერთდროს და არაერთგან მოიხსენიება. ირკვევა, რომ სეტიელები სეტელიანის გლეხური გვარიდან მოვდინარეობენ და სასულიერო სფეროში აღზევების შემდეგ მესტიის მთავარმოწამის მემკვიდრეობით ღვთისმსახურები გახდნენ. ჩანს, ხანგრძლივ დროში, მათი ნაწილი დეკანოზის, ხუცესის ან ქორეპისკოპოზის ტიტულამდე ამაღლდა და დიდი ქონების მფლობელი გახდა. მართალია, სეტიელები მთავარეპისკოპოზ ცაგარელს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დიდ უფლებამოსილებას იბვეჭდა და დამოუკიდებელ მღვდელმთავრად იქცეოდა (მით უფრო მას შემდეგ, რაც სვანეთზე ცენტრალური ეკლესიის გავლენა დასუსტდა).

საეკლესიო მატიანეზე დაკვირვებამ ე. თაყაიშვილი დაარწმუნა, რომ სვანეთის ქორეპისკოპოზები (მათ შორის სეტიელიც) ხუცესნი და უძველესი ეპისკოპოსებივით ცოლიანები იყვნენ.

ეტყობა, სასულიერო სამსახურში დაწინაურებისათვის წოდებრიობას ყველგან და ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მართალია, ჩვენთვის ცნობილი სამი ქორეპისკოპოზიდან ერთი (ბაბიანი) უეჭველად აზნაურული ჩამომავლობის იყო, მაგრამ ასევე უეჭველია სეტიელის გლეხური ჩამომავლობაც. როგორც ეტყობა, თავდაპირველი სეტიელი ღირსებისა და დამსახურების წყალობით აღზევდა. შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა გზა გაიკაფეს წინაპრის დამსახურების და საკუთარი ქონების მეშვეობით.

---

41 სვანეთის საისტორიო ძეგლები. II. გვ. 32—33.

საისტორიო წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ მოკლე დროის მანძილზე (XIV ს. მეორე ნახ. და XV ს. პირველ ნახევარში) სეტიელებმა დიდძალი საბნავ-სათიბი მიწა შეიძინეს მკვიდრად და სამამულოდ, კერძოდ, ჯაფარიძეების, ქურდიანის, ქარდანის, გუარამიანის, გავაშელის, ქოჩორიანისა და სხვებისაგან (მათ შორის, ლემოშხაშის, ლაკაილასა და ჯანგარაშის ყანები, აგრეთვე ქორულდაშისა და ქვაჩხანის სათიბები)[42]. ეს იმაზეც მეტყველებს, რომ ეკლესიის მღვდელმსახურები სხვადასხვა საშუალებით დიდ ქონებას იხვეჭდნენ, საეკლესიო ქონებასა და შეწირულობებსაც ითვისებდნენ, ასე ვთქვათ, სვანეთის მასშტაბის შესაბამისი ფეოდალები ხდებოდნენ (სხვანაირად ამდენი მიწა-წყლის მოკლე დროში შეძენა სვანეთის პირობებში შეუძლებელიც იქნებოდა). ბუნებრივია, ღვთისმსახურების დროს დაგროვილი ქონების ნაწილს სეტიელები ეკლესიასვე აბრუნებდნენ. ყველაფრიდან ჩანს, რომ სვანეთის ეკლესიებიც ფეოდალურ-იერარქიულ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ.

საისტორიო ძეგლებიდან ჩანს, რომ სვანეთის ქორეპისკოპოზი მხოლოდ სასულიერო ფუნქციებს ასრულებდა, რის პირდაპირი მანიშნებელია ისიც, რომ სეტიელის გარდა სვანეთის ეკლესიებში არაერთი მამასახლისი, ხუცესი, დეკანოზი, ბერი და მონაზონია დასახელებული, ასევე ის, რომ სეტიელის (ე. ი. ქორეპისკოპოზის) პარალელურად ხელისუფალი — „ხევისთავი", „მელომე" ან „მეჭურჭლე"— მოიხსენიება, კერძოდ, „ხევისთავი" („თავი") ჯაფარიძე, „მელომე" ვახთანგიანი, „მეჭურჭლე" კუჭაისძე და სხვ.[43]. იგივე წყაროებიდან ეგებულობთ აგრეთვე, რომ სეტიელის (ქორეპისკოპოზი იყო ის, ხუცესი თუ დეკანოზი) შვილები (როგორც ერის კაცები) საერო ხელისუფალს ყმებად ითვლებოდნენ და მათ ემსახურებოდნენ (რაზეც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

სეტიელებს, როგორც მდიდარ მღვდელმსახურებს, არაერთი გვარეულობის გლეხი, აგრეთვე აზნაური უპირისპირდებოდა[44].

ეტყობა, ვითარების გამწვავებისა და მტრის დაპირისპირების გამო, სეტიელები ცდილობდნენ ძლიერი მოკავშირე-მფარველის გამოძებნას. ამისი მაგალითია მათ მიერ სეტის ხევისთავის პირნათელ ჯაფარიძის ოჯახთან „სამოკეთილო კავშირის" დადება (რათა ერთიმეორის მოყვარე და დამცველი ყოფილიყვნენ), რაშიც სეტიელმა ჯაფარიძის ოჯახს „ასისა თეთრისა სათიბი" მისცა[45]. ეს კი სეტიელის მიერ

---

42 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II. გვ. 6—7, 13, 28—39, 43.

43 იქვე. გვ. 7, 77.

44 იქვე. გვ. 81, 85, 86, 87, 88, 89, 91, 92.

45 იქვე, გვ. 13.

ხელისუფალ ჯაფარიძის უფროსად აღიარებას ნიშნავს (სეტიელმა კავშირი სხვასთანაც შეკრა)[46].

ჩანს, ჟამთა სიავის დროს, მღვდელმსახურმა სეტიელებმა არაერთი განსაცდელი გამოიარეს. მათ ტრაგიკულ თავგადასავალზე ზეპირსიტყვიერებამ არაერთი ლეგენდა-თქმულება შემოინახა, ე. გაბლიანის მიერ ჩაწერილი თქმულებით, „ერთ დროს მესტიის ხევში გაბატონდა ვიღაც სეტიელი მღვდელი ფუთუ ფალიანი, რომელიც თავის სახლიდან მთავარმოწამის ეკლესიამდე ფეხით წასვლასაც კი არ კადრულობდა“ (თავის სახლიდან ეკლესიამდე გვირაბი ჰქონდა გაყვანილი). ფუთუს აუტანელი ბატონობის გამო მესტიის გლეხკაცობა აჯანყდა და მისი მოკვლა გადაწყვიტა, რაც პაიდანშერების პაიდანმა მოიყვანა სისრულეში. გადმოცემით, მან მღვდელმსახური სეტიელი ლაგვნიაშის ქვებთან დამბაჩით გამოასალმა სიცოცხლეს[47]

სხვა გადმოცემით, სეტიელები დიდი ხნის მანძილზე ჩაგრავდნენ მესტიის გლეხობას. ამ უკანასკნელებმა მოილაპარაკეს, რომ მოეკლათ სეტიელის ერთადერთი მემკვიდრე, რომელიც ფალიანებს ჰყავდათ გასაზრდელად. როდესაც გლეხები საქმის აღსასრულებლად ფალიანებს მიადგნენ, ძიძამ იფიქრა, რომ თუ სეტიელის მემკვიდრეს გადასცემდა, ისინი საბოლოოდ ამოწყდებოდნენ, ამიტომ იძულებული გახდა აჯანყებულებისათვის (მოტყუებით) თავისი შვილი გადაეცა (სეტიელი კი ლეჩხუმში დამალა). როდესაც სეტიელი დაუჟეკაცდა, ის ლეჩხუმის ჯარით წაიდა სვანეთში შურის საძიებლად. როდესაც ეს მისმა ძიძამ შეიტყო, წინ შეეგება ლეჩაქმოხდილი და მოუყვა. თუ რა მოხდა, როგორ ანაცვალა მას საკუთარი შვილი, ამასთან, შეეხვეწა სისხლი არ დაეღვარა. სეტიელმა დაუჯერა მის გამო გაუბედურებულ ძიძას, ძალას არ მიმართა, თან ფალიანის გვარი მიიღო (სხვათა შორის, სეტიელთა შტო ამ გვარს დღემდე შემორჩა).

არ შეიძლება ეს გადმოცემები სინამდვილის ანარეკლი არ იყოს, რადგან სეტიელების მდიდრულ ცხოვრებას და მათდამი სხვების მტრულ დამოკიდებულებას, წერილობითი წყაროების მონაცემებთან ერთად, მატერიალური კულტურის ძეგლებიც ადასტურებს, მათ შორის 1918 წელს სეტის ეკლესიის გვერდით აღმოჩენილი აკლდამა და სპილენძის კუბო, რომელზეც, ე. გაბლიანის მოწმობით, შემდეგი წარწერა იყო: „ამას შინა დაეიკრძალვი სეტიელი მღვდელი ოთხ ძეთა ჩემთა ფალი, იოვანე, ფოვთუ და ფალიანით“...[48]. ნიშანდობლივი ფაქ-

---

46 სვანეთის საისტორიო ძეგლები. II, გვ. 90.

47 ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, გვ. 24—25.

48 იქვე. გვ. 25.

ტია ისიც, რომ აღნიშნული კუბოთი ფალიანებმა უკანასკნელი მღვდელი (ვიორგი) დამარხეს[49].

სვანეთის ეკლესია-მონასტერთა ფეოდალური ბუნების დასახასიათებლად არსებითია მის მიერ ყმა-მამულის მფლობელობა[50]. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ეკლესიებს ე. წ. „საყდრიშვილები" ჰყავდათ.

* * *

ბარის სინამდვილეში „საყდრისშვილები" ეკლესიის შემადგენლობაში შესული პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებია. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საყდრისშვილები" ეკლესიაში არსებული გავლენიანი დაწესებულება იყო[51].

ს. ჯანაშიას განმარტებით, „საყდრისშვილებში" ასევე საყდრის ანუ ტაძრის მოხელე-ხელისუფალთა პერსონალი იგულისხმება[52].

„საყდრისშვილებს" ნ. ბერძენიშვილიც ეკლესიის აზნაურ-მოხელეთა ჯგუფს მიაკუთვნებს[53].

ჭ. შარაშიძის აზრით, „საყდრისშვილები" ფეოდალურ იერარქიაში ჩართული, გავლენიან-პრივილეგირებული ჯგუფია, რომელიც ცალკეულ ეკლესიასთან ან საყდართან არიან დაკავშირებული[54].

ბ. ლომინაძის განსაზღვრით, „საყდრისშვილები" აზნაურთა ისეთი ჯგუფია, რომელიც ეკლესიის კერძო საბატონო დამოკიდებულებაში კი არ არის მოქცეული, არამედ საეკლესიო ქონების კოლეგიური მფლობელი და მმართველია[55].

ერთი სიტყვით, აღიარებულია, რომ „საყდრისშვილები" ეკლესის ირგვლივ შემოკრებილ აზნაურთა გაერთიანებაა.

---

49 ე. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, გვ. 25.

50 გ. გ ა ს ე ი ა ნ ი, დასახელებული შრომა, გვ. 60—75.

51 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია. ნ. II. ნ. 2, გვ. 10—11.

52 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 165.

53 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 52—53.

54 ჭ. შ ა რ ა შ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV„XVIII სს.), — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 249.

55 ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე. ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII—XV სს. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1972, გვ. 779—780.

სვანეთში საეკლესიო აზნაურების ანუ „საყდრისშვილების“ არსებობა ადრე არაერთგან შევნიშნეთ და აღვნუსხეთ[56], თუმცა ეს ინსტიტუტი სპეციალურად არ გამოგვიკვლევია.

სვანეთის საისტორიო ძეგლებში არაერთგან ფიქსირებული საყდრისშვილების ინსტიტუტი აბლახან გამოიკვლია ე. ხოშტარიამ, რომელმაც ეს და აღმოსავლეთ საქართველოში დამოწმებული „საყდრისშვილები“ („მცხეთისშვილები“, „ქვათახევისშვილები“, „აწყურის საყდრისშვილები“, „ვარძიისშვილები“, „რუისის საყდრისშვილები“, „გერგეტის საყდრისშვილები“ და სხვ.) არსებითად ერთი და იგივე მნიშვნელობის ინსტიტუტად მიიჩნია[57].

ე. ხოშტარიამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ „მცხეთისშვილები“, „გერგეტის საყდრისშვილები“, „რუისის საყდრისშვილები“, აგრეთვე, სვანეთის სინამდვილეში ფიქსირებული „მთავარმოწამის საყდრისშვილმან“, „სეტისა მთავარმოწამისა საყდრის შვილთა“, „მაცხოვრისა მულახისა საყდრისა შვილნი“, „მულახისა საყდრისა შვილები„ მეტ-ნაკლებად გაბატონებულ აზნაურთა ჯგუფს ან მის ცალკეულ წარმომადგენლებს გულისხმობენ[58].

დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე ე. ხოშტარიამ დაასკვნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთისა (ცხრაძმის ხეობისა და გერგეტის საყდრისშვილები) და სვანეთის საყდრისშვილები ადეკვატური ცნებებია და გულისხმობენ ცალკე გამოყოფილ პრივილეგირებულ ჯგუფს, სატაძრო კორპორაციას, რომლის მიმართ მეთემეებს გარკვეული ვალდებულება ეკისრათ[59].

უეჭველია, რომ სვანეთში საყდრისშვილები, იოსელიანები, რიჩგვიანები, გელოვანები და სხვ. აზნაურები იყვნენ.

სვანეთის ერთ-ერთი უძველესი აზნაურული გვარეულობის წარმომადგენელმა რიჩგვიანმა ლატალის თემის მოხერის მთავარანგელოზის ეკლესიას (XIII—XIV სს.) მისცა პირობა: „ქ. ესე ნიშანი დაგიწერე და მოგაჯსენე მე გიორგი როჩაგიანმა და ჩემთა შვილთა თქუენ წმიდასა მთავარანგელოზსა მოხერისასა, მას ჟამსა ოდეს ჰავისა ჟამისა შემოსვლამა ქუეყანა დააშავა. მოგანდევ ჩემი თავი და შვილნი. ვითა გმსახურებდეთ, ჰაგრეც გუწყალობდით“[60].

---

56 გ. გასვიანი, დასახელებული შრომა, გვ. 66, 85—86.

57 ე. ხოშტარია (ბროსე). ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984, გვ. 117, 118, 122.

58 იქვე.

59 იქვე, გვ. 113.

60 ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტ. მასალები (XV—XVIII სს.). — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 246, 249, 271—273; ჯ. გეგასელია, ირაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკი-

მართალია, აქ ტერმინი „საყდრისშვილი“ არ ფიგურირებს, მაგრამ საგულისხმოა, რომ რიჩგვიანი საყდრისშვილი გახდა. ჩანს, მას სწამდა, რომ ეკლესიის სახელით გაფორმების გამო, ღმერთი ავი სენისაგან იხსნიდა, რისთვისაც, ის ეკლესიის შემადგენლობაში შეეიდა, მისი „შვილი“ გახდა.

იგივე ეკლესიის „შვილობილები“ (თავდათელილი) გახდნენ გელოვანთა ორი ოჯახი (პატრონი მიქელაიძის ნებით), რომელთაც, მფარველობის მიზნით, ეკლესიას ორი ადგილ-მამული შესწირეს[61].

მულაბის მაცხოვრის „საყდრისშვილი“ გახდა იოსელიანი ამითირიზის ოჯახი[62].

საყდრისშვილთა ინსტიტუტის არსებობა დასტურდება მესტიაში. „სეტის ხევის საერთპიროში ვკითხულობთ: „ქ-მთავარ მოწამისა სეტისა თავსდებობითა და შუვამდგომლობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე საერთი საერთპირო ჩვენ ოთხმან თემმან, თავად ჯეუისარმან ჯაფარიძემან და მისთა, იოსელიანმან და მისმან კაცმან, **მთავარმოწამისა საყდრისა შვილმან** ერთობ ყველამან, ერთმან ერთისა ნდომითა მოწმებითა. მერმე ერთმან ერთსა ესე პირი უმედეთ: ქვეყანა აიშალა; ვისაც დაგვეჭიროს, მისით პირობით თაუდადებით უშველოთ ერთმან ერთსა...“[63].

საბუთიდან ჩანს, რომ აზნაური ჯაფარიძეები და იოსელიანები (რომლებიც საყდრისშვილები იყვნენ) და ეკლესია (უეჭველია მღვდელმსახური სეტიელის მეთაურობით) ქვეყნის აშლილობის გამო დებენ ერთიანობისა და ურთიერთერთგულების ხელშეკრულებას (თითქოს თანასწორობის საფუძველზე); მიუხედავად **იმისა, რომ ამ** „ხელშეკრულების“ დადების დროს სეტის ხევის (იგულისხმება დღევანდელი მესტია და ლეხთაგ-ლანჩვალის სოფლები ანუ „ლევარგესა და ლეგლეხეს“ მოსახლეობა) უფალი ანუ ხევისთავი პირნათელ ჯაფარიძე იყო.

აღნიშნულ და სხვა საბუთებშიც (სათემო აქტებში) არაფერია ნათქვამი ერისთავ-მეფეებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაზე, მიუხედავად ამისა, ეს აზნაურები ყველა ნიშნის მიხედვით ერისთავ-მეფეთა დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. თუმცა ამ საბუთიდან ისიც გამოსჭვივის, რომ ქვეყნის აშლის გამო სვანეთის აზნაურებს

თხები, — საქართველოს ისტ. გეოგრაფ. კრებული, V, თბ., 1965; ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახელებული შრომა, გვ. 51—58, 73—76, 109—129.

61 სვანეთის საისტ. ძეგლები II, გვ. 17.

62 საქართველოს მუზეუმის ქართული ხელნაწერთა აღწ. (H კოლექცია), IV. გვ. 252; სვანეთის საისტ. ძეგლები, II, გვ. 66—67.

63 სვანეთის საისტ. ძეგლები, II, გვ. 43—44 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

ცენტრალური ხელისუფლების მხრივ მხარდაჭერა მოკლებიათ, ამიტომ კლასობრივი თანამოძმეები ეკლესიის მეშვეობით გაერთიანებულან.

სვანეთის საყდრისშვილთა ინსტიტუტის გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესოა მესტიის სინამდვილის ამსახველი საბუთი: „...დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე ერთობისა და გაუყრელობისა ჩვენ **ერთობილმან ხეტიხა მთავარმოწამისა საყდრის შვილთა** მტკიცე და უქცეველი... და გავაერთეთ ჩვენი საქმე სამტროი და სამოყვროი... მტერისა მტერი სწორად ვიყოთ და მოყვრისა მოყვარე... ესე დაწერილი ფიცითაც დაგვიმტკიცებია. ვინც შეშალოს. კრულმც არს კაცი იგი ღმრთისა... ორთავე ცხოვრებათა შინა. ვინც უკუდგეს... ასისა თეთრისა პატიჟი გარდავაჯდევინოთ... ჩვენგან გავაყენოთ“[64].

აქ პირდაპირ ჩანს, რომ პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებს — ვარგ ჯაფარიძეებსა და იოსელიანებს — არ აკმაყოფილებდათ ეკლესიის სახელით საყდრისშვილებად გაერთიანება; მათ ერთიმეორეს შეჰფიცეს, რომ ერთმანეთის ერთგული და მოყვარე ყოფილიყვნენ. აქვე ჩანს ისიც, რომ ეკლესიის ირგვლივ გაერთიანებულ საყდრისშვილთა კორპორაცია არცთუ მცირერიცხოვანი იყო.

უკანასკნელ ორ საბუთში ასახული სვანეთის სინამდვილე ნათლად ადასტურებს მკვლევარ ბ. ლომინაძის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის საყდრისშვილთა ინსტიტუტზე გამოთქმული აზრის სისწორეს, რომ „საყდრისშვილები“ მეფის ხელისუფლების დასაყრდენი პრივილეგირებული ჯგუფია, რომელიც, ეკლესიის მესვეურთან ერთად, საეკლესიო ქონების კოლეგიური მფლობელ-მმართველი და დანარჩენი აზნაურების კლასობრივი თანამოძმეა.

*
* *

საქართველოს სხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელ „საყდრისშვილის“ ინსტიტუტთან ერთად, სვანეთს თავისებურებაც ახასიათებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სვანეთის ხელისუფალთა — „მელომისა“ და „მეჭურჭლის“ — ურთიერთობა ეკლესიასთან.

ერთ წყაროში, რომელიც ბენდან ვახთანგიანის ზემო სვანეთის (ლალვერსა და უშგულს შორის) „მელომედ“ (დროშის უფროსად“) არჩევას ეხება (XIV—XV სს.), ნათქვამია: „...მას ჟამსა ოდეს მთავარ-

---

64 სვანეთის საისტ. ძეგლები, II, გვ. 45 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

მოწამე სეტისა და ერთობილი ჯევი გიშვილე. დაგათუალე ჩემი სახლი, მამულ ეკლესიანი... მერმე სამართალიც სეტიელსა ჰმართებდა... ერთი სეტიელისა შვილი ჩემსა მომიყვანია. ვიდრე მე ვიყო მემსახურებოდეს, მერმე... მე ბენდანსა მისთან (ე. ი. მისი თავი — გ. გ.) დამითულია მთავარმოწამისა მებეგრედ და თქუენ ჯევისა მოსამსახურედ"[65].

როგორც ვხედავთ, ვახთანგიანი (რომელსაც მელომედ არჩევა მემკვიდრეობით ჰკუთვნებია), ვითარცა ეკლესიისა და მამულის მფლობელი, სეტის მთავარმოწამისა და მთელი ზემო სვანეთის მოსახლეობის „ვარგისა და გლეხის" „მამობილად" (პატრონად) გაფორმდა, ამასთან, მღვდელმსახური სეტიელის შვილი (საერო კაცი) პირად მსახურად მიიღო[66]. აქ ცხადად ჩანს, „მელომე"-ხელისუფალ ვახთანგიანის სიუზერენ-უზენაესობა ქორეპისკოპოს (წინამძღვარ) სეტიელისადმი. ამასთან, სეტიელი, როგორც სულიერი მამა, მთავარეპისკოპოს ცაგერელის ვასალად ითვლებოდა.

დაახლოებით ასეთივე სენიორულ-ვასალური ანუ პატრონყმური სურათი ჩანს სხვა საბუთშიც (XV ს. ბოლო), რომელიც „მეჭურჭლედ" წოდებულ ხელისუფალს ეხება: „...დაგიწერეთ და მოგაჯსენეთ დაწერილი ესე მე, კუჭაისძემან მიქაელ და ჩემმან ძმის წულთა და ჩემმან შვილმან ცოტნე და გიგიამან, შვილთა და მომავალთა ჩემთათა, თქვენ ჯევსა ბალსა ზემოცა და ატკვერს ქვემოთცა, მას ქამსა, ოდეს სეტიასა მოვედი... და **მოგაჯსენეთ და შევწირეთ უფნაშის მონასტერი სეტისა მთავარმოწამესა, მისითა შესავლითა ყოვლითა, მთითა, ბარითა, გლეხითა, ველითა, სამართლიანითა მზღვრითა, მკვიდრად და სამამულოდ...** აწ რაგვარც თქუენგან შეწყალებულსა მართებდეს, თქუენსა მეჭურჭლესა მართებდეს... არა გავნოთ, არა გიღალატოთ... და თუ ესე დაწერილი საქმითა არა გაგითავეთ-თქვენი ჯელი და მეჭურჭლეობა, — რაიცა მთავარმოწამისათვის შემომიწირავს თქუენ ჯევსა დაგრჩომოდეს....[67].

როგორც ვხედავთ, საერო ხელისუფალი „მეჭურჭლე" (რომელიც საკუთარი მონასტრისა და ყმა-მამულის მფლობელი იყო) აგრეთვე ეკლესიასთან ერთიანდება და მისი სახელით მოქმედებს.

მიუხედავად ეკლესიის სახელით გაფორმებისა, საგულისხმოა, რომ კუჭაისძე და ზემოაღნიშნული ვახთანგიანი თავიანთი ყმა-მამულისა და კერძო ეკლესიების ფაქტობრივ მფლობელებად რჩებიან.

---

65 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 6—7.

66 იქვე, გვ; 45 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

66 იქვე, გვ. 5—7.

67 იქვე, გვ. 38 (ხაზგასმა ჩვენია).

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროები (პ. ინგოროყვას, ე. თაყაიშვილის და სხვათა გამოცემული) მხოლოდ სათემო აქტებია, ამიტომ ისინი არ ეხებიან ერისთავისა თუ მეფისადმი თემის მოსახლეობის დამოკიდებულებას, რაც ზოგჯერ ერთიორად ართულებს საქმის ვითარების გარკვევას.

წყაროებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საქართველოს სახელმწიფოს დასუსტებისა და პოლიტიკური დაქუცმაცების შემდეგ სვანეთში ეკლესიის გავლენა ერთხანს ისევ ძლიერი ყოფილა. ამიტომ ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ადგილობრივი პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები ეკლესიას ეტმასნებიან, მასთან გაერთიანდნენ („შეყრილობათა" მსგავსად), რათა ქრისტიანული იდეოლოგიის ძალით ეცადათ საკუთარი ხელისუფლების სისუსტის კომპენსაცია და ძალაუფლება კვლავაც შეენარჩუნებინათ, თუმცა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში ეკლესიაც და მასთან გაერთიანებული აზნაურებიც ხშირად მარცხს განიცდიდნენ.

* * *

სვანეთის ეკლესიის ფეოდალურობაზე არაერთი სხვა გარემოებაც მიგვანიშნებს, მათ შორის სწავლულ მღვდელ-მოძღვართა არაჩვეულებრივი სიმრავლე, ქვეყნის, ასევე უცხოეთის საეკლესიო ცენტრებთან მათი ინტენსიური კავშირურთიერთობა.

ალ. ხახანაშვილის, კ. კეკელიძის, ნ. მარის, ე. თაყაიშვილის, ა. შანიძისა და სხვათა მტკიცებით, სვანეთში უკანასკნელ დრომდე შემორჩენილ უამრავ საღვთო ნაწარმოებთა ნაწილი მაინც ადგილობრივ ჰოღვაწეთა მიერაა გადაწერილი, რასაც პირდაპირ ადასტურებს უახლესი გამოკვლევები.

ზ. სარჯველაძის აზრით, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერის (XI—XII სს. კრებული) გადამწერი არის გრიგოლ სვანი, რომლის ნაწერში ვკითხულობთ: „მე, ცოდვილმან გრიგოლ სუანმან, შემოვსწირე ყოვლად წმიდასა პორტისა ღმრთისმშობელსა"[68]. მკვლევრის მტკიცებით, გრიგოლ სვანი არა მარტო ამ კრებულის ნაწილის გადამწერია, არამედ მთელი ხელნაწერის მომგებიცაა[69]. მეცნიერის ვარაუდით, აღნიშნულმა მოღვაწემ ალბათ სხვა არაერთი ხელნაწერიც შექმნა.

---

68 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის შესავალი. თბ., 1984, გვ. 153.

69 იქვე.

ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ სხვა ხელნაწერთა დამახასიათებელ თავისებურებაზე დაკვირვებამ ზ. სარჯველაძე დაარწმუნა, რომ სვან მწიგნობართა კალამს ეკუთვნის X—XI სს. შექმნილი ხელნაწერების — „საწელიწადო იადგარის", „იერუსალიმის განჩინებისა და „საგალობლების" — ნაწყვეტები[70].

სვანეთის ეკლესია-მონასტრების მოღვაწეებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ უცხოეთის ქართულ კოლონიებთან, მათ შორის გრიგოლ იოანეს ძე ქანცხიანს, რომელიც იერუსალიმში მოღვაწეობდა XIII თუ XIV საუკუნეში. ჩვენამდე მოღწეულ სახარებაში ვკითხულობთ (ტექსტისაგან ხელწერით): „წ. სახელითა ღმრთისაჲთა აღდგომისა ეკლესიასა შინა, წინაშე საფლავისა ქრისტესსა, მე ცოდვილმან და უცბად მჩხრეკელმან იოანე ქსცხიანისა-შვილმან, ჯელ ნაკლულმან, გრიგოლ ჯელ ვყავ აღწერად წმიდათა ამათ ოთხთავთა და შევსწირე სუანეთს წმიდასა მთავარანგელოზსა მუხერისა... კუამლისგან შეინახეთ. ღამე სანთელსა ნუ ვინ მიუშვებთ.

ფბტითერისა დეკანოზისა ჯელითა გამომიგზავნია, მასცა შეუნდვენ ღმერთმან. ტილოსა შინა შემიკერავს, ჩემო ძმაო მიქელ, შენდა სასუდრედ დამიჭირე"[71].

აღნიშნულის გამო ე. თაყაიშვილი წერდა: „ეჭვსგარეშეა, სახარების გადამწერი გრიგოლ სვანი ყოფილა, მუხერის სოფლიდან, სახარება მას გადაუწერია იერუსალიმში, ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში და გამოუგზავნა ფხოტერის დეკანოზის ხელით, ცხადია, აგრეთვე სვანის. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, — დაასკვნის ე. თაყაიშვილი,— რომ სვანებსაც, როგორც სხვა ქართველებს, ხშირი მიმოსვლა და კავშირი ჰქონიათ იერუსალიმთან და სხვა წმიდა ადგილებთან"[72].

უცხოეთის საეკლესიო ცენტრებთან (კერძოდ, იერუსალიმის ქართულ მონასტერთან) ახლო ურთიერთობას ადასტურებს სვანეთის საასულიერო და საერო საზოგადოების წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი შეწირულობები მათდამი, მაგალითად, ხელისუფალ ფარჯანიან-ვარდანისძე-მარუშიან-არიშიანთა წარმომადგენლებს, აგრეთვე დევდარიანის, მოზდოდიანის, ოდარიანის, ჯავესიანის, მახუჯეგიანის, ფალგოზისძეებისა და სხვათა მიერ[73].

---

70 ზ. სარჯველაძე, დასახელებული შრომა, იქვე.

71 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია... გვ. 367—368.

72 ე. თაყაიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 368; გ. გასეიანი, დასახელებული შრომა, გვ. 68—70.

73 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბ., 1962, გვ. 83, 90, 92, 96, 101, 108, 109, 117, 127, 128, 131, 134, 135, 136, 140, 141, 154, 155, 157, 161, 165, 178.

სვანეთის ეკლესია-მონასტერთა მწიგნობრები შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ ადგილზე და ქვეყნის ცენტრებში. ასეთთა შორის ე. თაყაიშვილი ასახელებს ილარიონ სოფორომისძეს, რომელიც ჯერ კლარჯეთის ოპიზის მონასტერში, შემდეგ ქედის ეკლესიაში მოღვაწეობდა. ჩანს, მეფე დავით ნარინს ამ სოფრომისძისათვის უჩუქნია სახარება, რომელიც ამ უკანასკნელს ლაბსყალდის ეკლესიისათვის უძღვნია[74].

მღვდელმსახურ მწიგნობართაგანია ტიმოთე პაპა, რომელსაც 1321 წელს სვანეთში გადაუწერია სახარება და ლატალის თემის სოფელ ლახუშტის მაცხოვრის ეკლესიისათვის უძღვნია: „ძეცა ცოდვილი ტიმოთე ღირსმყო აღწერვებად წმიდისა ამისა სახარებისა. მაცხოვრისა ლახუშტისა სამსახურებლად. შემოსითცა თჳთ ჩემითა ჴელითა; აწ ვინცა ჩვენსა შიდ მწირველნი იყვნეთ, ღვთისა მცნებისათვის ლოცვა ყავთ ჩემთვის“[75].

ეს მაგალითი იმასაც ნიშნავს, რომ სვანეთში სხვა, არაერთი საღვთო წიგნიც გადაიწერა.

არაერთი საბუთი მოგვეპოვება იმისა, რომ სვანეთის წარმომადგენლები ხელნაწერებს ეძებდნენ ქვეყნის ფარგლებში თუ ეცხოეთში. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებენ ვახტანგ და ივანე ფარჯანიანები (სვანეთის ერისთავთა საგვარეულოს უძველესი წარმომადგენლები).

ზ. სარჯველაძის შეხედულებით, კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული უძველესი ნაწერები — „წიგნი წამებაჲ წმიდისა გიორგისი და წმიდისა თეოდორესი“[76] — 1031 წელს ვახტანგ ფარჯანიანმა შეუკვეთა „სვეტსა ზედა ჭყუნდიდისა“[77].

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ვახტანგ ფარჯანიანის საქმიანობა მისმა შვილმა ივანემ გააგრძელა. მას 1050 წელს ერთ-ერთი ოთხთავი მარტვილში გადაუწერინებია.

სვანი ხეშდინიანის გადაწერილად თუ მოგებულად ითვლება ქურაშის (ეცერის თემი) სახარება, რომელშიც ვკითხულობთ: „ამის წმიდისა სახარებისა... ინაჲ ხეშტინისძემან იურვა და დაიწერა მისითა საურავითა“[78].

შესაძლებელია ეს ის ხეშდინიანია, რომელმაც იოვანე დალიდიანთან ერთად, სვანეთის საეკლესიო მატიანე განაახლებინა.

---

74 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 398—404.

75 იქვე, გვ. 375.

76 ეს ხელნაწერები XIX ს. ბოლომდე ზეგანის ეკლესიაში ინახებოდა, შემდეგ თაყაიშვილმა თბილისში წამოიღო (იხ. მისი არქეოლოგიური ექსპედიცია... გვ. 303—304).

77 ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, დასახელებული შრომა, გვ. 154.

78 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 407.

სვან მწიგნობართა შორის ჩვენთვის ცნობილია იოანე ხარიტონიანი, რომელმაც სვანეთის საეკლესიო კრებათა ძველი მატიანე დაწერა: „ძუ©ლი მატიანე იოანე ხარიტონიანისა დაწერილი იყო და იგი აჲოცა და დავიწყებასა მიეცა დღეთა გრძელებით; სულსა იოანე ხარიტონიანისა შეუნდვე ღმერთმან სულსა მოძღუარისა ჯეშდინიანისა დედასა მარიამსა...“[79].

ჩვენამდე მოღწეული მატიანის ვრცელი ტექსტის ერთ-ერთი დამწერია დემეტრე ღოღელიანი: „სულსა ამა მატიანის მწერალსა დემეტრე ღოღელიანისა შეუნდე ღმერთმან“[80].

ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლებიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეების სვანეთში სხვა მრავალი მწიგნობარი მოღვაწეობდა, მათ შორის: ანტონ, ქერაბინ, მახარობელ და დემეტრე ხოჯელიანები, გიორგი, ნინია, ფურთუხ, იოვანე და გიორგი იველდიანები, ტიმოთე, დემეტრე, ოქროპილ და გორსი დავითიანები, მიხეილ და მიქაელ დეკდარიანები, ფარსმან დობორჯგიანი, თოდანი, გაჟანიანი, გაჟეჩიანი, მოშარდიანი და სხვ.[81]. მეორე მხრივ, ყველაფერი ეს სვანეთის ეიწროთემობრივ ყოფაზე, კარჩაკეტილ და ჩამორჩენილ ცხოვრებაზე რაღი მეტყველებს.

სვან მოღვაწეთა მიერ შექმნილ, გადაწერილ თუ მოგებულ საღვთო ხელნაწერთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, რის გათვალისწინება კიდეე უფრო ზრდის სვან მწიგნობართა ნაღვაწის მნიშვნელობას.

სვანეთის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების მაღალ დონეზე მეტყველებს ამ ნაგებობათა მაღალმხატვრულობა (ფრესკები, ფერწერული ძეგლები, ჯვარ-ხატები...) ამ მხრივ სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს იმსახურებს ლენჯერის (ნესგუნის — X ს.), უშგულის (ლამარიას — X—XIII სს.), ლატალის (იფხის X ს. და მაცხვარიშის 1140 წ.), ჰადიშის (XI ს.), კალის (იფრალის 1096 წ. და კვირიკეს 111 წ.), ნაკიფარის (1130 წ.) და სხვა ეკლესიები, რომელთა მონუმენტური მხატვრობა, სპეციალისტთა შეფასებით მაღალი გემოვნებით და დახვეწილი სტილითაა შესრულებული

სახელმოხვეჭილი მეცნიერები — გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი, ვახტანგ ბერიძე და მათი მოწაფეები — აღიარებენ, რომ „სვანური მხატვრული სკოლა“ ორიგინალურია და პროფესიული ცოდნით გამორჩეული.

---

79 სვანეთის საისტ. ძეგლები, II, გვ. 160.

80 იქვე.

81 იქვე, გვ.. 7, 13, 15, 17—19, 21, 27, 39, 44 და ა. შ.

სპეციალისტთა ასეთსავე მოწონებას იმსახურებს მაღალხელოვნებით შესრულებული სვანური ოქრომჭედლობა, ქვითა და ხით ხუროობა, არქიტექტურა, სამეურნეო და საომარი იარაღის მჭედლობა და სხვ.

სვანეთის ეკლესია-მონასტერთა განვითარებასა და ზოგად ეროვნულ მნიშვნელობაზე მეტყველებს მათდამი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფალთა, სასულიერო და საერო მოღვაწეთა თითქმის განუწყვეტელი ზრუნვა, იქაური სასულიერო კერების ძვირფასეულობით შემკობა.

ჩანს, სვანეთისა და მისი ეკლესიებისადმი საერთო ზრუნვა და მეთვალყურეობა საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგაც გრძელდებოდა. ამისი მაგალითია თუნდაც XVI ს. დასასრულსა და XVII ს. დასაწყისში კახეთის მეფეთა მიერ მულახის, მუჟალის, მესტიის, ჰადიშისა და ლატალის ეკლესიებისათვის რვა ზარის მიძღვნა (სათანადო წარწერებითა და სახელდებით)[82]. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანეთის ეკლესიებში ღვთისმსახურებას ეწეოდნენ არა მარტო ადგილობრივი სასულიერო მოღვაწენი, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხის და, რაც მთავარია, სამეფო დინასტიის ზოგიერთი წარმომადგენელიც, მაგალითად, კვირიკესა და ივლიტას მონასტერში მონაზვნად შემდგარა მეფის ასული თეკლა, რომლის მიერ ამ მონასტრისადმი შეწირული ზარის ხუცური წარწერა ასეთია: „წ. ღმერთო და წმიდაო კურიკე, შეეწიე ორსავე შინა ცხოვრებასა ჯელმწიფისა შვილსა მონაზონსა თეკლას, რომელმაც შემოგწირა ზარი ესე, ამინ"[83].

ყველაფერი ეს იმაზეც მეტყველებს, რომ სვანეთი იყო საქართველოს ორგანული და განუყოფელი მხარე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მუდმივი მოზიარე და თანამონაწილე. ამაზე ღაღადებს სვანეთის მატერიალური კულტურის მრავალფეროვნება, სვანეთში დღემდე 100-ზე მეტი ეკლესიის, სხვადასხვა არქიტექტორულ ნაგებობათა, დიდძალი უნიკალური განძეულობის, მრავალი ძველი ხელნაწერის შემონახვა და სხვ.[84]. ამ ძეგლების შესწავლამ მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ

---

[82] ე. თაყაიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 234, 248, 250, 251, 261, 278, 333.

[83] იქვე, გვ. 234—235.

[84] Г. Н. Чубинашвили. О работе по учету и охране культурно-исторических памятников Сванетии; მისივე, О необходимости строительства здания краеведческого музея в Сванетии, — ძეგლის მეგობარი. № 31—32, გვ. 91—101.

მათი უმეტესობის შემოქმედი თვით სვანებია, რომ ეს ძეგლები სვანეთის ოდინდელი მაღალგანვითარებულობის მაჩვენებელია.

სვანეთში საეკლესიო ცხოვრების ფართო გავრცელებასა და ქრისტიანული იდეოლოგიის ყოვლისმომცველ ხასიათზე, ზემოაღნიშნულთან ერთად, მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული საეკლესიო კრებათა მატიანეებიც და საერო ხასიათის სხვადასხვა ხელნაწერებიც (რომელთაც ქრისტიანული დოგმების ღრმა კვალი აზის)[85].

ერთი სიტყვით, სვანეთის სულიერი და მატერიალური კულტურის ნაშთები ცხადყოფენ, რომ სვანეთი ფეოდალური საქართველოს ქრისტიანული კუთხე იყო, ხოლო მისი ეკლესია-მონასტრები ფეოდალურ-იერარქიული ორგანიზაცია.

---

[85] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, გვ. 435—436.

თავი მესამე

სვანეთის ისტორიის პროგლემები

1. სვანეთის სოციალური სტრუქტურა და მისი სხვანაირი გააზრების ზოგიერთი რეციდივი

საკარაუდოა, რომ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის სვანეთის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია ანტიკურ ხანაში დაიწყო, კერძოდ მაშინ, როდესაც ის კოლხეთისა და ეგრისის სამეფოებში შედიოდა.

ბიზანტიელი მწერლების ცნობებით, ეგრისის შემადგენლობაში შემავალ სვანებს ჰყავდათ თავისი მთავარი, ანუ ბაზილევსი, რომელსაც ეგრისის მეფე ამტკიცებდა[1], რაც იმისი მაჩვენებელია, რომ საზოგადოება უკვე სხვადასხვა უფლებრივი და ქონებრივი ელემენტისაგან შედგებოდა, ე. ი. სოციალური დიფერენციაცია დიდი ხნის დაწყებული იყო.

უძველს ხანაზე მეტი რომ არ ვთქვათ, ცნობილია, რომ აფხაზთა სამეფოში სვანეთი ცალკე საერისთაოს წარმოადგენდა. ცნობილია აგრეთვე, რომ სვანთა წარმომადგენლები, შავლიანები X ს. მეორე ნახევარში აფხაზთა მეფეები იყვნენ.

შემთხვევითი როდია სვანთა დიდი როლი საქართველოს გაერთიანებასა და მის საერთო წარმატებაში. ნ. ბერძენიშვილი წერს: „...ძველ დროს, ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, საქართველოს შემადგენელ ტომთა შორის სვანეთს ოდნავადაც ნაკლები დამსახურება არ მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ისტორიის შემოქმედებით ასპარეზზე, რომ სვანეთი სხვა მოძმე ტომთა გვერდით ორგანული და ღირსეული მონაწილეა ფეოდალური საქართველოს სოციალური და პოლიტიკური განვითარებისა“[2].

---

[1] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1965, გვ. 126; მისივე, ტ. III, გვ. 224—225.

[2] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 68.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, განსაკუთრებით დიდია სვანთა დამსახურება ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს პოლიტიკურ წარმატებაში: „ირკვევა, რომ სვანებს „თამარ დედოფალი“ დაუმსახურებლად კი არ მიუთვისებიათ, არამედ შესაფერისი საქვეყნო დამსახურების შედეგად შექმნილან ისინი ღირსეული მონაწილენი საერთო საშობლოს აყვავება-ძლიერებისა“[3].

ბუნებრივია, ყველაფერი ეს მხოლოდ სამხედრო (სალაშქრო) ძლიერებით არ განისაზღვრებოდა. როგორც წერილობითი, აგრეთვე მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლები გვიჩვენებენ, რომ X—XI საუკუნეებში სვანეთი თავისი განვითარებით მაღალ დონეზე იმყოფებოდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა ქტიტორული წარწერები პირდაპირ უჩვენებენ, რომ სვანეთის საზოგადოება დიფერენცირებული და სხვადასხვა წოდებად გამიჯნული იყო.

მაგალითად, კალის თემის სოფელ იფრალის მთავარანგელოზის ეკლესიის 1096 წ. ისტორიულ წარწერაში ვკითხულობთ:

1. „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მოიხატა და შეიმკო წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ სალოცველად ა ზ ნ ა ურ თ ა ა მ ი ს ჯ ე ვ ი ს ა, ყოველთა დ ი დ თ ა და მ ც ი რ ე თ ა, შვილთა და მომავალთა მათთა და სულისა მიცვალებულთა მათთისა“[4].

მსგავსია ამავე თემის კვირიკეს (ლაგურკას) ანუ შალიანის (შავლიანის) ეკლესიის 1112 წ. წარწერა. „1. ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მოიხატა და შეიმკო წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ... სადიდებლად და სალოცავად.

2. ა მ ი ს ჯ ე ვ ი ს ა ა ზ ნ ა ურ თ ა... და ყოველთა, რომელნი აშენებდნენ... წმიდაო კვირიკე, ადიდენ და შეიწყალენ...“[5].

ანალოგიურია აგრეთვე ნაკიფარის თემის წმინდა გიორგის 1130 წლის წარწერა: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მოიხატა და შეიმკო საყოარი ესე წმიდისა გიორგისი სადიდებლად და სალოცველად სულისა ა ზ ნ ა ურ თ ა ა მ ი ს ა ჯ ე ვ ი ს ა თ ა ყოველთა“[6].

---

3 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 69.

4 Н. А. А л а д а ш в и л и, Г. В. А л и б е г а ш в и л и, А. И. В о л ь с к а я. Живописная школа Сванети. Тбилиси 1983, გვ. 30 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ბ. ბ.)

5 იქვე, გვ. 31.

6 იქვე, გვ. 32.

ამავე ეპოქის ლაშხეთის თემის სოფელ ჩუკულის ეკლესიის ხატის წარწერაში ნათქვამია: „წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწყალე ესე სოფელი, აზნაურნი დიდი და მცირე“[7].

მსგავსია იგივე თემის სოფ. ჩიხარეშის ეკლესიის ხატის წარწერა: „წმიდაო ღვთისმშობელო, შეიწყალე ესე ჯვაჲ და ჯეესა აზნაურნი“[8].

მსგავსია აგრეთვე სოფ. ჯახუნდერის (ჯაფუნდლის) ეკლესიის ერთ-ერთი ხატის წარწერა: „წმიდაო ღმრთისმშობელო, ადიდე აზნაურნჲ, შეიწყალე სოფელჲ“[9].

ანალოგიური შინაარსისაა აგრეთვე ჩოლურის თემის (აშარის ანუ არშეს ხევის) სოფ. საყდრის ეკლესიის ჯვარის წარწერაც: „წმიდაო გიორგი, შეიწყალე, არშე ჯეესა აზნაურნი, ყოველნი შემომწჲრველნჲ“[10].

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ძეგლების წარწერები[11] (X—XII სს.) ძველი სვანეთის (ე. წ. ზემო და ქვემო სვანეთის) ყველაზე მთამაღალი სოფლების მოსახლეობის სხვადასხვა წოდებად — აზნაურად და გლეხად — დაყოფას ეხება, რაც თავდაყირა აყენებს ზოგიერთის შეხედულებას, თითქოს „საქართველოს მთამაღალ სოფლებში (შუა საუკუნეებში) წოდებრივი დაყოფა არ არსებობდა“ (ამაზე ქვემოთ).

მოცემული ძეგლების შინაარსიდან ნათლად ჩანს, აგრეთვე, რომ X—XII საუკუნეების სვანეთში საზოგადოების სოციალური დაყოფა დასაწყის სტადიაში კი არ იმყოფებოდა, არამედ შორს იყო წასული, რასაც მოწმობს წარწერებში ფიქსირებული „დიდი და მცირე“ აზნაურების არსებობა (დავაკვირდეთ იფრალისა და ჩუკულის წარწერებს!.).

ხსენებული წერილობითი ძეგლებიდან კარგად ჩანს ისიც, რომ ფეოდალურ წოდებას — აზნაურებს, რომლებიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ, წამყვანი ადგილი ეკავათ ქრისტიანული (იგივე ფეოდალური) იდეო-

---

7 მ. ახალაშვილი, X—XV სს. წარწერები სვანეთის ჰედური ხელოვნების ძეგლებზე, თბ., 1987, გვ. 9.

8 იქვე, გვ. 10.

9 იქვე, გვ. 11.

10 იქვე, გვ. 12 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — გ. გ.).

11 მოცემული ძეგლები და მათი წარწერები მრავალმა მეცნიერმა შეისწავლა და დაათარიღა (ეტ-ნაკლები სხვაობით), მათ შორის ექ. თაყაიშვილმა, პ. უვაროვამ, გ. ჩუბინაშვილმა, შ. ამირანაშვილმა და სხვ. ეს ძეგლები არაერთხელ შეისწავლა აგრეთვე საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის არაერთმა ექსპედიციამ და ცალკეულმა მუშაკმა.

ლოგიის ცენტრების ეკლესია-მონასტრების მშენებლობასა და შემკობაში, რაც, თავისთავად, მეტყველებს იმაზე, რომ აზნაურები პოლიტიკურად და ეკონომიკურად იყვნენ დაწინაურებული და პრივილეგირებულ წოდებას წარმოადგენდნენ.

სვანეთის მოსახლეობის სოციალური დაყოფის მაუწყებელი ცნობები მარტო წარმოდგენილი წერილობით წყაროებით არ ამოიწურება. ამ თვალსაზრისით, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთო ქართულ საისტორიო ძეგლებს, მათ შორის თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების მონაცემებს, რომელიც ეხება თამარ მეფესა და გიორგი (იური) რუსს შორის კონფლიქტისადმი სვანთა დამოკიდებულებას: „ვინაც გარდამოვიდეს სუანნი დიდებულნი და მეჯვეენი და გარდამოიტანეს რუსი, მეფე-ყოფილი"[12].

რასაკვირველია, აზნაურთა წოდება სვანეთში არაერთ დიდებულს მოიცავდა, მათ შორის, ბუნებრივია, ერისთავ ფარჯანიან-ვარდანისძეთა დინასტიის წარმომადგენლებს, რომელთაგან ზოგიერთი სამეფო კარზეც იყო დაწინაურებული და საქართველოს სხვა რეგიონშიც. ამ მხრივ ნიშანდობლივია იგივე ისტორიკოსის ის ცნობაც, რომელიც აგვიწერს თამარ მეფის წინააღმდეგ სამეფო კარის მოხელე დიდებულთა გაფიცვას, რომლის მონაწილე იგივე ვარდანიძეებიც იყვნენ. ჩანს, შელახული უფლებების წინააღმდეგ გაფიცულებმა მეფეს ასეთი ულტიმატუმი წარუდგინეს: „აღარ ვეგებით ძუელთა ჯელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინაჲთგან დაძარცვილნი და უნატოდ გაძევებულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უჯმართაგან"[13].

როგორც ვხედავთ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ-პატივაყრილ გაფიცულთა შორის იყვნენ სვანეთის ერისთავ ვარდანისძეთა წარმომადგენლებიც, რომლებიც სხვებთან ერთად, დიდგვაროვან და მსახურეულ წრეს ეკუთვნოდნენ, მაგრამ, რაღაც საშუალებით, მათ ადგილზე უგვარო და უღირსი პირები აღზევებულან.

თამარ მეფე იძულებული გახდა პატივი მიეგო გაფიცულთა წოდებრივი ღირსებისა და დამსახურებისათვის: „...და კუალად უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გუარიანსა კაცსა კახაბერ ვარდანისძესა.... ჩუხჩერახობაჲ მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარეხისასა..."[14].

---

12 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 54.

13 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. კ. კეკელიძის გამოც., თბ., 1941, გვ. 76.

14 იქვე, გვ. 79.

ცხადია, თუ არა ფეოდალურ-წოდებრივი ღირსება (თავისთავად დამსახურება), სვანთა ერისთავების წარმომადგენლებს მეჭურჭლეთ უხუცესის, მსახურთუხუცესის, ჩუხჩარეხის პატივი შემთხვევით არ შეიძლება რგებოდათ. შემთხვევითი არ შეიძლება იყოს აგრეთვე სვანეთის ერისთავთა დინასტიის წარმომადგენლების ცხოველი მონაწილეობა თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალში და მეფის სამხედრო ხელისუფლებით შემოსვაში: „და სრულყვეს მოჯელეთა სვანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოღება და დადება ჯრმლისა“[15].

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, რა შეიძლება ეწოდოს ზოგიერთი მკვლევრის თუ ავტორის მცდელობას შუა საუკუნეების სვანეთი წარმოადგინოს გვაროვნულ, ადრეკლასობრივ, პროტოფეოდალურ და მსგავს საფეხურზე მდგომად, საუკუნეებით ჩამორჩენილ საზოგადოებრივი ურთიერთობის მქონე, სოციალურად გაუდიფერენცირებულ კუთხედ.

ცხადია, ეს მოგონილი ზეპირი „თეორიები“ წერილობითი წყაროების მონაცემებს ეწინააღმდეგება და სინამდვილეს არაფრით შეესაბამება.

სხვა რომ არაფერი გაგვაჩნდეს, მარტო მოტანილი საისტორიოდოკუმენტური წერილობითი წყაროებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ საფუძველმოკლებულად მივიჩნიოთ ე. წ. „გვაროვნული“ ანდა „მთური ფეოდალიზმის“ უბადაღებული თეორია, რომლის მიხედვით „საქართველოს მთიანეთის (საერთოდ, მთიანეთის) მოსახლეობა თავისი ქვეყნის მწირი, სუსხიანი და მთური მდებარეობის გამო შუა საუკუნეებში სოციალურად ერთგვაროვანი და ერთფეროვანი (დაუნაწევრებელი) იყო“. თითქოს „მთიანეთში ზედმეტი პროდუქტის მოპოვება შეუძლებელი (ან თითქმის შეუძლებელი) იყო, რაც გამორიცხავდა ფეოდალურ ექსპლუატაციას“. თითქოს „მთური და მწირი მდგომარეობის გამო მთის მოსახლეობა მუდამ ერთ წერტილზე იყო გაყინული“.

საკითხავია, თუ მთაში ზედმეტი პროდუქტი არ იქმნებოდა, ადამიანის ექსპლუატაცია შეუძლებელი იყო და საზოგადოება მუდამ ერთ წერტილზე იყო გაყინული, მაშინ საიდან შეიქმნა თუნდაც სვანეთში მატერიალური კულტურის ამდენი ძეგლი: სამეურნეო ნაგებობები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები და სხვა მრავალი?!

---

15 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 27; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 246.

ზემოაღნიშნული ნაირფერი შეხედულებით, მართალია, შუა საუკუნეების სვანეთის შედარებით დაბლობ ადგილებში, ასე თუ ისე, იგრძნობოდა ფეოდალურ-დაწინაურებული ურთიერთობის ჩასახვა, მაგრამ მის მთამაღალ სოფლებში (ე. წ. ბალსზემო ხევებში) გვაროვნული წყობილება ან მისი მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი ინსტიტუტები ბატონობდა, კერძოდ: „სამხედრო დემოკრატია", „სახალხო მმართველობა", „თავისუფალ მეთემეთა გაერთიანება", „საოჯახო, ტერიტორიულ-სამეზობლო თემი", „პატრონიმიული გაერთიანება", „წარმართული და გვაროვნული ერთიანობა", „ყოველმხრივ თანასწორუფლებიანი და დემოკრატიული საზოგადოება" და ა. შ.

რომ არაფერი ვთქვათ ცარიზმის მოხელეთა და ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა ნაწერებზე, რომელიც კოლონიზატორულ მიზანს ემსახურებოდა და კულტურტრეგერულ მისიას იჩემებდა, არანაკლებ ოდიოზური და ყალბია ზოგიერთი თანამემამულე მკვლევრის (უპირატესად ეთნოგრაფის) მოსაზრებები, რომელთა მიხედვით, სვანეთის საზოგადოებრივი განვითარება ყოველგვარი სოციალური ძვრისა და ქარტეხილის გარეშე მიმდინარეობდა უძველეს ხანიდან ჩვენს დრომდე, თითქოს, სოციალური განვითარების მხრივ ის უძველესი საზოგადოების დონეზე გაიყინა. თითქოს სვანეთის ზოგიერთ თემში (ე. წ. ბალსზემო სვანეთში) პირველყოფილი გვაროვნული წყობილების მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი გადმონაშთი ბატონობდა საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში, თითქოს იქაურ საზოგადოებაში გვაროვნულ-თემური ურთიერთობიდან ფეოდალურ საზოგადოებაში გარდამავალი პროცესის ცალკეული ნიშნებიღა შეინიშნებოდა.

პირველყოფილი ტომებისა და საზოგადოებების ყოფა-ცხოვრების სქემების ალდგენით გატაცებული ზოგიერთი თანამემამულე ეთნოგრაფის რწმენებით, „სვანეთში უკანასკნელ დრომდე შემორჩა პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილების პირველი საფეხურის მატრიარქატის ნიშნებიც", მათ შორის „შეგროვებითი მეურნეობა", „ტომობრივი წარმართული ერთიანობა"; თითქოს „უახლოეს დრომდე სვანეთში თითოეულ გვარს თუ ოჯახს თავისი ღმერთი ჰყავდა მეზირის (გველის, ხვლიკის, ბაყაყის, ქათმის, ხბოსა და სხვათა სახით)". ამ გამონაგონთა მიხედვით სვანეთში ჩვენს დრომდე შემორჩა წინაგვაროვნული ხანის „ქვის კულტი" (ე. წ. ჩხუდანის სახით), „რიტუალური ტატუირება", „ჯგუფობრივი ნათესაობისა და ცოლქმრობის ნიშნები" და სხვ.

ზოგიერთი ეთნოგრაფი ყოველგვარ საფუძველსა და რეალობას მოკლებული, გამოგონილი მაგალითებით, შეგნებულად ეწეოდა უძვე-

ლესი განვითარებული კულტურის მქონე საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, სვანეთის სოციალურ-კულტურული განვითარების ხელოვნურ გამუქებას, მისი წარსულისა და აწმყოს დამახინჯებას.

ხსენებულ, ყალბ დებულებებს არავითარი კავშირი არა აქვს შუა საუკუნეების სვანეთის ყოფა-ცხოვრებასთან. მის მატერიალურ და სულიერ კულტურასთან. მათ არავითარი კავშირი არა აქვთ, აგრეთვე. სვანეთის წერილობითი ძეგლების მონაცემებთან, ისინი მხოლოდ ლეგენდა-ჰიპოთეზებს, ზღაპრებსა და ცრურწმენებს ემყარებიან.

როგორც წერილობითი ძეგლები გვიჩვენებენ, X—XII საუკუნეების სვანეთის სხვადასხვა ხეობებში მკვიდრობდნენ აზნაურები, რომლებიც სხვადასხვა ფენად იყოფოდნენ. სვანეთის მაღალმთიან სოფლებში აზაურთა არსებობა იმდენად მკაფიოდ და გასაგებად არის წერილობით ძეგლებში ფიქსირებული, რომ ეს გარემოება საეჭვოდ არ მიუჩნევიათ ამ ძეგლებზე მომუშავე ისეთ გამოჩენილ სპეციალისტებს, როგორიცაა: მ. ბროსე, ი. ბარტოლომე, დ. ბაქრაძე, ი. ჯავახიშვილი, ა. ხახანაშვილი, პ. უვაროვა, ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, ვ. თოფურია, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ტ. ვირსალაძე, რ. შმერლინგი, ტ. შეფიაკოვა, ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია და სხვ.

მიუხედავად ამისა, გვაროვნული თუ მთური ფეოდალიზმის „თეორიის“ ავტორები ხელოვნებით უარყოფენ სვანეთის სინამდვილეში არამცთუ წერილობითი ძეგლების მონაცემებს, კერძოდ X—XII საუკუნეებში საზოგადოების მკვეთრად გამიჯვნას აზნაურებად და გლეხებად. არამედ გვიან საშუალო საუკუნეებშიც. კიდევ მეტი, ისინი ირწმუნებიან, რომ სვანეთში XX საუკუნემდე შემორჩა არა მხოლოდ გვაროვნული, არამედ წინაგვაროვნული ყოფის არაერთი გადმონაშთიც.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ახლა, როდესაც უახლესმა მონოგრაფიებმა წერილობითი და დოკუმენტური მონაცემებით გააქარწყლა საქართველოს მთიანეთის, კერძოდ სვანეთის საუკუნო ჩამორჩენილობისა და პირველყოფილურობის ყბადაღებული „თეორია“, მისი ზოგიერთი ავტორი უხმოდ გაეცალა თავის მოძველებულ შეხედულებებს და ცდილობს ყველაფერი სხვას გადააბრალოს (ერთი ეთნოგრაფის საჯარო თქმით — „სხვას აკიდოს დამხრჩვალი კატა“), ან ეპოქის მეთოდოლოგიის თავისებურებით ახსნას ყოველივე და თვითონ უცოდველ მეცნიერად წარმოგვიდგეს.

ამგვარი შეხედულების ზოგიერთი ავტორი (რომელიც ახალი მიმდინარეობის მედროშეობას ჩემულობს) ზოგჯერ მაინც იძულებულია შენიღბულად, მოპოვებული მდგომარეობის (ზეგავლენის) მეოხებით დაიცვას ყოვლად მოძველებული და გაცვეთილი შეხედულებები.

სამართლიანობა და მეცნიერული ინტერესი მოითხოვს კვლავ გავიხსენოთ ჩვენი ქვეყნის მთიანეთის ისტორიის კვლევა-ძიების ზოგიერთი მომენტი, სააშკარაოზე გამოვიტანოთ მისი შენილბული მოქმედების რეაქციული არსი.

რომ არაფერი ვთქვათ, ზოგიერთი ეთნოგრაფის ადრინდელ ნაშრომებზე, რომლებიც ველური ტომების სოციალური ყოფის ჭზამზარეულ სქემებზეა აგებული და საქართველოს მთიანეთის მაგალითზე ე. წ. პირველყოფილურობის (ქვის ხანის, ჯგუფური ქორწინების, დედის გვარის, წარმართულ-პრიმიტიული რწმენა-წარმოდგენების და სხვ.) ხელოვნურად შეკოწიწებული და გამოგონილი მონაცემებითაა გაჯერებული[16], რ. ხარაძე და ა. რობაქიძე საერთო ნაშრომში „სვანეთის სოფელი ძველად", ეხებიან ე. წ. „თავისუფალი სვანეთის" სოციალურ სტრუქტურას და მის ჩამორჩენილობაზე (მთელი საზოგადოების გაუდიფერენცირებულობაზე) მიუთითებენ. ამ მხრივ ისინი იმოწმებენ ე. წ. „ჯაფარიძის სასისხლო სიგელს" (XV—XVI სს. მიჯნა), რომელშიც არაფერია ნათქვამი იმერეთის მეფისადმი დაპირისპირებული სვანეთის საზოგადოების წოდებრივ დაყოფაზე. საკითხავია, განა ყველა წერილობით ძეგლში ჩანს ამა თუ იმ კუთხის სოციალური სტრუქტურა? ანდა, თუ საქმისადმი ტენდენციური მიდგომა არა, რაღა მაინცდამაინც ამ ძეგლით (რომელშიაც სოციალური დაყოფა არ ჩანს) უნდა ვიმსჯელოთ სვანეთის სოციალურ სტრუქტურაზე და არა ზემოხსენებული 4—5 საუკუნით ადრე დაწერილი ძეგლებით, რომლებშიც ყველაფერი ნათლად ჩანს!

ამასთან, თუკი მაინცდამაინც მოცემული ძეგლით უნდა ვიმსჯელოთ სვანეთზე, მაშინ იოლი დასანახია, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ თავად ჯაფარიძეთა საურავში სვანეთისადმი ჩაძოქრილ მიწა-წყალზე მოსაბლე 400 კომლი სხვადასხვა წოდებისაგან შედგებოდა. მთავარი ის არის, რომ სვანეთისადმი წართმეულ „მთიულეთში" (და არა ბარში) გლეხიც ჩანს და აზნაურიც: „... სრულად მთიულეთში" ოთხასი კუამლი აზნაურშვილიანად, გლეხიანად"[17]. აქვეა ნათქვამი, რომ ზედ ქალაქში არსებობდა საეპისკოპოსო, რომელსაც „ასი კუამლი გლეხი" ეკუთვნოდა. ასევე, იგივე „მთიულეთის" ღვ ბის მცხოვრებ აზნაურთა ორი კომლი „სამოცდათორმეტ გლეხის კუამლს" ფლობდა და ა. შ.

---

16 ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, — ძველი საქართველო. II, ტფ., 1913; საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, ტფ., 1933 (გვ. 345—346); რ. ხარაძე. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში. ტფ., 1939; მისივე, ტერიტორიალურ-მეზობლური გაერთიანებანი სვანეთში. — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII—XIII, 1963; მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961 და სხვ.

17 სვანეთის საისტორიო ძეგლები. II, გვ. 31—34.

ყველაფერი ეს, ერთი მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ საქმეს მხოლოდ მთური და ბარული მდებარეობა არ განსაზღვრავდა; მეორე მხრივ, ასეთი დაყოფა სვანეთისათვის არ შეიძლება ყოფილიყო უცხო, მაგრამ ხსენებულ სიგელში არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა მთელი სვანეთის წოდებრივი დაყოფისა და პრივილეგიების აღრიცხვა, მით უფრო, ის სამეფო კარის მიერაა შედგენილი დაპირისპირებული სვანეთის წინააღმდეგ.

როგორც აღვნიშნეთ, ხსენებულ ძეგლში არ ჩანს სვანეთის წოდებრივი დაყოფა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სვანეთის საზოგადოება ერთფეროვანი ანუ გვაროვნული იყო, მაგრამ დასახელებულ მკვლევრებს მის მიხედვით მსჯელობა იმისთვის დასჭირდათ, რომ უარეყოთ ე. წ. ბასლზემო სვანეთის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია.

ამაზე მეტყველებს მათი მსჯელობა ალ. ხაბანაშვილისა და პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებულ სვანეთის საისტორიო ძეგლებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ძეგლებში არაერთგზისაა ფიქსირებული საზოგადოების დაყოფა „ვარგად“ და „გლეხად“, „უზედაესად და უქვედაესად“, „უფროსად“ და „უმცროსად“, მათ ეს წოდებრივი დაყოფა მხოლოდ ე. წ. ბალსქვემო სვანეთს მიაწერეს. თითქოს სოციალური დიფერენციაციის გამომხატველი ნომენკლატურა ფორმალურად ეხება მთელ სვანეთს და არავითარ შემთხვევაში ე. წ. ბასლზემო სვანეთის საზოგადოებას.

რ ხარაძე და ა. რობაქიძე, როცა თავიანთ მოსაზრებას აკონკრეტებენ, პირდაპირ წერენ, რომ ხსენებული „დოკუმენტების შედგენის დროს ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთი განსხვავებულ ვითარებაში იმყოფებოდა“. მათი აზრით, ბ ა ლ ს ზ ე მ ო თ „თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ ე თ ე მ ე“ არსებობდა, ხოლო ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო თ „ვ ა რ გ ი და გ ლ ე ხ ი“, რომლებიც საერთო სახევო საქმეებში თითქოს „თ ა ნ ა ბ ა რ მოვალეობას იღებდნენ“[18].

როგორც ვხედავთ, რ. ხარაძესა და ა. რობაქიძეს მიაჩნიათ, რომ ბასლქვემო მოსახლეობა ვარგად და გლეხად იყოფოდა, ხოლო ბალსზემოთ მხოლოდ თავისუფალი მეთემე არსებობდა. შემდეგ წერენ, რომ „ამ საბუთების შემდგენი იმ ტერმინოლოგიას მიმართავდა, რომელიც პირველყოვლისა ბალსქვემო სვანეთს შეეხებოდა, თუმცა არც ბალსზემოსათვის იყო უცნობი“. დასახელებული მკვლევრები კვლავ აღნიშნავენ, რომ „ამ რიგის დოკუმენტები (რომელშიც ვარგად და გლეხად დაყოფაა ფიქსირებული) საერთოდ ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი დ ო-

---

18 რ. ხ ა რ ა ძ ე. ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 101, 103—104 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

კუმენტების კვალობაზე იქმნებოდა, რომელიც თავის მხრივ საქართველოში საყოველთაოდ ცნობილ ფორმულებს მისდევდა"[19]. მათივე აზრით: „ბასლზემო სვანეთის მეთემეთა გაერთიანება იმდენად ძლიერია, რომ ფაქტიურად წარმოადგენს სვანეთის ამ ნაწილის წამყვან პოლიტიკურ ძალას"... ამასთან განაგრძნობენ, თითქოს თავისუფალი სვანეთი იყო „თემური პრინციპებით განმტკიცებული საზოგადოება"[20].

მოტანილ მსჯელობაში ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ ის, რომ სოციალური ურთიერთობის განვითარების შეფასებისას წერილობითი მონაცემების ხელოვნურ დაპირისპირებას აქვს ადგილი, არამედ სახელწოდებათა ხელოვნურ შერქმევასაც. საქმე იმაშია, რომ ძველ დროში სვანეთი არ იყოფოდა არც „ბალსქვემო" და არც „ბალსზემო", არც „სადადიშქელიანო" და არც „თავისუფალ", „არც „საბატონო" და არც „უბატონო", არც „სადადიანო", არც „ქვემო" და „ზემო" სვანეთად. ასეთი დაყოფა საისტორიო ლიტერატურაში მხოლოდ XIX საუკუნეში გაჩნდა. ან ასეთი დაყოფა საიდან შეიძლება არსებულიყო XIV—XVI საუკუნეებში (მითუმეტეს ადრე). როდესაც მთელ სვანეთში ერთნაირი სოციალური სურათი და ვითარება სუფევდა, როდესაც არც დადიშქელიანთა სამთავრო არსებობდა და არც დადიანებს ემორჩილებოდა ქვემო სვანეთი (ამ მხარეს დადიანები მხოლოდ XVIII საუკუნეში დაეუფლნენ, მას შემდეგ, რაც ლეჩხუმი ჩაიგდეს ხელთ), მით უფრო არ არსებობდა არც „თავისუფალი" ანუ „უბატონო" და არც „საბატონო სვანეთი". სხვათა შორის, ამ სახელწოდებათა ხელოვნურობა იქიდანაც ჩანს, რომ ისინი ან მათი შესატყვისი სახელწოდებები სვანურად არ არსებობენ. იყო ცდები ე. წ. ბასლზემო სვანეთს „უფუსდო შვან" შერქმეოდა, მაგრამ ის ვერ დამკვიდრდა.

ამასთან. სად წერია, ან რანაირად შეიძლება იმისი წარმოდგენაც კი, რომ სვანეთში აზნაური, გლეხი და ე. წ. „თავისუფალი მეთემე"— ყველა ერთნაირ მოვალეობას იღებდნენ და ასრულებდნენ სახეო თუ საკვეყნო საქმეებში. ნუთუ სოფლის, თემის, კუთხის თუ ქვეყნის საერთო ინტერესების დაცვის ვალდებულება ყველა მცხოვრებისადმი — იმას ნიშნავს, რომ გლეხი, აზნაური, თავადი და სხვა (ერი თუ ბერი) — ყველა თანაბარ ვალდებულებას იღებდა და თანაბარ როლს ასრულებდა?! ეს ხომ ისეც წარმოუდგენელი რამაა.

აი, სადამდე მიიყვანა ცნობილი მკვლევრები მათ მიერ ამოჩემებულმა სოციალური გათანაბრება-გათანასწორების ანუ (არქაიზაციის) იდეამ.

---

19 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, იქვე, გვ. 104.

20 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. იქვე, გვ. 106—111 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — გ. გ.).

მართალია, ხსენებული მკვლევრები ე. წ. ბალსზემო სვანეთში სოციალური დიფერენციაციის დაწყების პროცესს XIV—XV სს.-ზე (საისტორიო ძეგლების დაწერამდე) დიდი ხნით ადრე ვარაუდობენ, მაგრამ, მათივე აზრით, ეს პროცესი შუა საუკუნეებში, ე. წ. ბასლზემო სვანეთში ვერ გასცდა თავისუფალი მეთემის ცალკეული გაგლეხების ფაქტს. ისინი არც ერთ შემთხვევაში არ უშვებენ იქ აზნაურის, როგორც სოციალური წოდების, გაჩენისა და დაფუძნების ფაქტს (მათი მტკიცებით, „ვარგი, ჯერ კიდევ აზნაური არ არის" — დაწვრილებით ქვემოთ)[21].

ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, იგივე მკვლევართა შემდეგი აზრიც: „ცალკეული დოკუმენტები, რომლებიც ბასლზემო სვანეთს შეეხება, ასევე მოიხსენიებენ „ვარგთა" და „გლეხთა", „დიდთა" და „მცირეთა" ბალსქვემოური დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ფორმულების შესაბამისად და ჩანს, მათი გავლენით"[22].

აღსანიშნავია, რომ აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული: როგორც ზემოთ ვნახეთ, უძველესი წერილობითი ძეგლები ე. წ. ბალსზემო სვანეთის მოსახლეობის აზნაურად და გლეხად დაყოფას ასახავს. ამიტომ რა შუაშია ე. წ. ბალსქვემოური დოკუმენტების კვალი და გავლენა?! მით უფრო, რომ ე. წ. ბალსქვემოური მოსახლეობის სოციალურ დაყოფაზე წერილობითი დოკუმენტები გაცილებით გვიანდელია. ამით ჩვენ როდი უარვყოფთ ე. წ. ბალსქვემო ხევების მოსახლეობის ანალოგიურ დაყოფას, რადგან ცნობილია, რომ წერილობითი საბუთის არარსებობა ასეთი დაყოფის არარსებობას არ ნიშნავს (წერილობითი საბუთის არარსებობა რომ სოციალური დაყოფის არარსებობას ნიშნავდეს, მაშინ, ამ თვალსაზრისით, რა შეიძლება გვეთქვა ბარის ზოგიერთი რეგიონის სოციალურ ვითარებაზე, სადაც კონკრეტულად ადრინდელი საუკუნეების წერილობითი ძეგლები საერთოდ იშვიათია ან არ შემოგვრჩა?!).

როგორც აღვნიშნეთ, რ. ხარაძე და ა. რობაქიძე სვანეთის სინამდვილეში „ვარგს" აზნაურად არ თვლიან[23]. მათი განსჯით, „ვარგი" იყო საერთო-სათემო ინტერესებისათვის ბრძოლაში სახელმოხვეჭილი პირი (ბევსურეთის „კაი ყმის" მსგავსად), რომელიც მეთემეთა შორის პატივს იმსახურებს, რათა ზრუნვა დაიწყოს პირადი უპირატესობის სამემკვიდრეოდ გადაქცევისათვის. მათივე აზრით: „ამგვარად, ბალსზემო სვანეთმა, ჯერ კიდევ სოფლის თემის გადმონაშთების არსებობის

---

21 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 104, 106.

22 იქვე, გვ. 105 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

23 იქვე, გვ. 106.

პირობებში შემოინახა კარგი ყმის შემდგომი განვითარებით მიღებული სოციალური ფენა ვარგი. ეს იყო ერთ-ერთი გზა თავისუფალ მეთემეებს შორის სოციალური უთანასწორობის გაჩენისა"[24].

საერთო ნაშრომის შემდეგ ა. რობაქიძე კვლავ უბრუნდება „ვარგის" საკითხის გაშუქებას სპეციალურ წერილში („К вопросу о значении термина Варг в сванском„), რომელშიც ასევე უარყოფს „ვარგის" შინაარსს აზნაურის გაგებით[25].

პრავალი გამოჩენილი მეცნიერისაგან განსხვავებით, ა. რობაქიძე უარყოფს არა მხოლოდ „ვარგისა" და „აზნაურის" იგივეობას, არამედ საეჭვოდ თვლის ზემოაღნიშნულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში აზნაურის მოხსენიებას, თითქოს ამ ძეგლებში ფსიქსირებულია „აზნართა" და არა აზნაური. ამასთან, მისი აზრით, „ვარგისა" და „აზნაურის" — ორი სოციალური ტერმინის — არსებობა ერთი და იგივე ისტორიულ რეგიონში საეჭვოდ ხდის მათი სრული გაიგივების შესაძლებლობას, როგორც ეს ზოგიერთ თანამედროვე ნაშრომშია მოცემული[26].

ჯერ ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხსენებულ ძეგლებში აზნაურები მოხსენიებული არიან როგორც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეები („ამა ჭვის აზნაურნი"); მეორეც, ეს ტერმინები ერთი და იგივე ძეგლში არსად ერთდროულად არ გვხვდებიან; მესამეც, ერთი და იგივე რეგიონში, ერთი და იმავე ენაში და ერთ დროში, მაგალითად რუსეთში, არაერთხელ და არაერთგან გვხვდება ერთი და იგივე წოდების გამოხატვა სხვადასხვა ტერმინით, კერძოდ. „პომეშჩიკი" და „დეორიანინი", რომლებიც აზნაურს შეესაბამებიან, მეოთხე, რაკი სვანეთი საქართველოს სამეფოს ორგანული ნაწილი იყო, გამორიცხულია იქ დანარჩენი საქართველოსაგან განსხვავებული პრივილეგირებული წოდება შექმნილიყო, რადგან ამ წოდებას მეფე ან შესაბამისი სუვერენული მოხელე აწესებდა და ანიჭებდა (სათანადო დამსახურებისათვის), მიუხედავად ე. წ. „მთური", თუ „ბარული" მდებარეობისა. სხვანაირად რომ ვთქვათ, „აზნაური" ქართულში დამკვიდრებული სპარსული ტერმინია, რომელიც თავისუფალს, დაწინაურებულს, წარჩინებულს, ანუ ფეოდალურ წოდებას ნიშნავს, ხოლო „ვარგი" სვანურში დამკვიდრებული და შემორჩენილი ძველი ქართული სახელ-

---

24 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. იქვე, გვ. 110—113 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

25 იხ. კრებული — ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 378—389.

26 იხ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 386.

წოდებაა, რაც ვარგისს, კარგს, დაწინაურებულს, წარჩინებულს, ანუ ფეოდალურ წოდებას ნიშნავს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოჩენილი ისტორიკოსები და ენათმეცნიერები — დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. ქალდანი და სხვები, რ. ხარაძისა და ა. რობაქიძისაგან განსხვავებით, „ვარგს" აზნაურის წოდებად მიიჩნევენ[27]. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი წერს: „აზნაურობა საქართველოს სახელმწიფო წოდებრივი წყობილების საერთო მოვლენა იყო და აზნაურნი საქართველოს ყოველ თემსა და კუთხეში იყვნენ"[28].

ახლა იმაზე, თუ ვის ეხება „ვარგად" და „გლეხად" დაყოფა, რატომ [illegible] ისთვის გაჩნდა ეს ტერმინები ე. წ. ბალსზემო სვანეთის წერილობით ძეგლებში.

ვიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი უკვე კარგი ხანია განხილული და გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში[29], უკანასკნელ დროს მაინც გამოჩნდნენ ისეთი ავტორები, რომელთაც, მართალია, ვარგის ანუ იგივე აზნაურის არსებობა ვერ უარყვეს ე. წ. ბალსზემო სვანეთში, მაგრამ ის ფიქტიურ არსებად მიიჩნიეს. თითქოს ეს აზნაური ანუ ვარგი ფაქტობრივად არაფრით (არც ეკონომიურად და არც უფლებრივად) განირჩეოდა გლეხისაგან, თითქოს ის გლეხზე დაბლაც კი იდგა.

ცნობილია, რომ საისტორიო ძეგლები, რომლებშიც საზოგადოების სხვადასხვა წოდებად დაყოფაზეა ლაპარაკი, ზოგადად „სვანეთის ერთობილ ხევს" (უშგულსა და ლალვერს შორის მოსახლეობას) შეეხება, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ასეთი ძეგლების უმრავლესობა კონკრეტულად ე. წ. ბალსზემო ხევის მოსახლეობის სხვადასხვა წოდებად დაყოფას ასახავს. მაგალითად, აეიღოთ სეტი (მესტია), რომლის საზოგადოებაზე ერთ-ერთ ძეგლში ნათქვამია: „ქ — მთავარ მოწამისა სეტისა საყდართა და ეკლესიათა თაუსდებობითა და შუამდგომლობითა დავწერეთ და დაედევით დაწერილ ესე, მტკიცე და უქცეველი... ჩუენ ყოუშან ერთობლილმან **მესეტისამან**, ერთობლითა **დიდთა** და **მცირეთა**, **ვარგთა** და **გლეხთა** ყოველთა, ერთმანეთისა ნდომითა დამოწმებითა. მას ჟამსა, ოდეს ჯიდსა ზედა ეკლესია ავაშენეთ. იგი ეკ-

---

27 იხ. სვანური პოეზია. წ. I, თბ., 1939; სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I, თბ., 1939; ტ. II, თბ., 1957; ტ. III, თბ., 1967; სვანური ენის ქრესტომათია, თბ., 1978 და სხვ.

28 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II ნაწ. 1, თბ., 1928, გვ. 34.

29 იხ. გ. გ ა ხ ვ ი ა ნ ი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973; მისივე, დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1979; მისივე, Социально-экономическая структура Сванетии в XI—XVIII вв. და სხვ.

ლესიისა და ჯიდისადა მთასა ვინცა რაცა შესცოდოს, ანუ სეტისა შესავალსა შიგა ვინცა რაცა ვინ შესცოდოს, ერთისა ჯაფარიძისა და ანუ იუსელიანისა სისხლი მისითა სანაჯშიროთა ედვას მათა და სისხლად ვერ ჩოდეთ"[30].

როგორც ვხედავთ, საეჭვო და სადავო არაფერია. XIV საუკუნის ამ ძეგლში საქმე ეხება მესტიის მოსახლეობის „ვარგად" და „გლეხად", „დიდად და „მცირედ" დაყოფას (და არა ბალსქვემო ხეების). საკანონმდებლო ხასიათის ამ ძეგლში მესტიის საზოგადოების (72 პიროს ხელმოწერით) „ვარგისა" და „გლეხის" განსხვავებული სახელწოდებები და მათი ოფიციალური აღიარება იმაზე მიუთითებს, რომ ეს სოციალური წოდებები თავიანთი ადგილით, უფლებით, ინტერესითა და ყოფით ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ, სხვანაირად ისინი ცალ-ცალკე არ იქნებოდნენ გამოყოფილი და ფიქსირებული.

ამასთან, ამ ძეგლში კონკრეტულად დასახელებულია ადგილობრივი ვარგები ანუ აზნაურები — ჯაფარიძეები და იოსელიანები. ე. წ. ბალზემო სვანეთის მოსახლეობის კონკრეტულ გამიჯვნას ეხება აგრეთვე XIV—XV საუკუნეებით დათარიღებული სხვა ძეგლები[31], რომლებშიც ასევე ლაპარაკია საზოგადოების სხვადასხვა წოდებასა თუ კატეგორიებზე, ერთ-ერთში, რომელიც, აგრეთვე მესტიას ეხება, აღნიშნულია: „... ვინ და ვარგი კაცი იყოს, ყველას ეკადრებოდეს"[32].

ცხადია, აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ „ვარგი" განსხვავებული იყო და საზოგადოების ყველა წოდების წარმომადგენელს ყველაფერი ერთნაირად არ ეკადრებოდა.

XIV საუკუნის სხვა მსგავს ძეგლში, რომელიც ლატალის სოფელ ლაჰილის მოსახლეობას ეხება, ნათქვამია: „...ჩუენ ერთობილთა ლაჰილელთა, დ ი დ მ ა ნ და მ ც ი რ ე მ ა ნ... თ ა ვ ა დ ი თუ ერთობილსა საუსამართლოდ წამოგუეკიდოს.... ვინ გინდა ლაჰილელი კაცი იყოს— საადა სამაჯნოდ არ გაუსცეთ იგი კაცი..."[33]. ამავე სოფლის საზოგადოებაზე სხვა ძეგლში აღნიშნულია: „ჩვენ ერთობილთა დ ი დ თ ა და მ ც ი რ ე თ ა, უფროსთა და უმცროსთა..."[34].

ლატალის თემის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებთა სოციალურ დაყოფას ეხება, აგრეთვე, XIII—XIV საუკუნეებით დათარიღებული სხვა ძეგლი („დაწერილი")[35].

---

30 ავანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 53—54.

31 იქვე, გვ. 43, 59, 60.

32 იქვე, გვ. 54.

33 იქვე, გვ. 26.

34 იქვე, გვ. 59.

35 იქვე, გვ. 60.

36 იქვე, გვ. 113.

ჩვენამდე მოაღწია XIII ს-ის სიგელმა, რომელიც ასახავს მესტიის ერთ-ერთი მკვიდრისადმი აზნაურის წოდების მინიჭებისა და განახლების ფაქტს (სხვათა შორის, ეს ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი უძველესი სიგელია, რომელიც სვანეთის მკვიდრისადმი ამ წოდების კონკრეტულ მიცემას ეხება), მასში ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ მეფეთ-მეფესა კოსტანტინეს გუიბოძებია თქუენთუის გოშქოთელიანისათუის თქუენივე ნაქონები ხორხომელისძე, ჰაგრეეე ნასისხლად გქონდეს, ვითა პირველ გქონდაეე"[36].

ასევე, ე. წ. ბალსზემო სვანეთის საზოგადოების სხვადასხვა წოდებად დაყოფის ფაქტზე მიგვითითებს XIV ს-ის „დაწერილი", რომელშიაც აღნიშნულია სოფელ ხალდეს მცხოვრებთა მიერ წვირმის ხატის მოტაცება, და ამასთან დაკავშირებით პირობის დადება: „აწ... ჩვენ ლორთქიფანიძეთა და ჩვენ ჯალდეშელთა არც ვისი ხატი ჩამოვასვენოთ, არც ვისად საკედროთ გაეჯადოთ ჯალდეში. თუ ესე პირი გაგიტეხოთ, ოთხისა ეარგისა[37] კალელისა სისხლი მიზეზ გაეღებლად დავიუროთ"[38].

როგორც ზემომოტანილ წერილობით ძეგლებში (ეპიგრაფიკულ წარწერებში) ვნახეთ, კალის ხევის მოსახლეობა აზნაურებად და გლეხებად იყოფოდა. აქ წარმოდგენილ წერილობით ძეგლს იმ მხრივაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ის უდავოდ ადასტურებს იგივე კალის ეკლესიათა X—XII საუკუნეების წარწერებს, იქაური საზოგადოების სხვადასხვა წოდებად დაყოფაზე და, აგრეთვე, იმ მხრივაც, რომ ის გვიჩვენებს იქაური საზოგადოების უწყვეტ წოდებრივ დაყოფას ხსე-

---

37 მოცემულ ადგილზე ვ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ კრებულში („სვანეთის საისტორიო ძეგლები") „ეარგი კალელი" წერია. ჭერ კიდევ, 1973 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში (დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 161) გადაჭრით აღნიშნეთ, რომ მოცემულ ადგილზე უეჭველად კალის აზნაურნია (გელოვანი, გოშთელიანი, დევდარიანი) ლაპარაკი. ამით იმისი ხაზგასმა გვსურს, რომ ვ. სილოგავამ, სვანეთის საისტორიო ძეგლების ხელახალმა გამომცემმა, ვ. ინგოროყვას პუბლიკაციაში დაშვებული მექანიკური შეცდომის — „ეარგის" — „ეარგად"—ჩასწორება აღმოჩენად ჩაითვალა; ამასთან, მექანიკური შეცდომის (ასევ-ს ადგილზე კ-ს) განმეორება მ. ბერძნიშვილს დიდი ცოდვად ჩაუთვლია (იხ. სვანეთის წერილობითი ძეგლები, I. თბ., 1986, გვ. 1986, გვ. 31,219), ხოლო ჩვენს შემჩნევაზე საერთოდ კრიტიკა არ დაძრა (დუმილი ამჯობინა — ვითომც არაფერი შეამჩნია, სამაგიეროდ, თუ სადმე რაიმე ლაფსუსი შეგვამჩნია — ეს უშველებელი ყვირილი ატეხა).

ვ. სილოგავამ უნდა იცოდეს, რომ „ეარგი", როგორც სოციალური წოდება, ეარგს, ეარგისს ნიშნავს (იხ. ჩვენივე მონოგრაფია: 1. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 23—26; 2. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1980, გვ. 186—225).

38 სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაწ. 2, გვ. 70.

ნებულ საუკუნეშიც, რაც, უთუოდ, იმისი მაჩვენებელიცაა, რომ საქმეს მხოლოდ „მთური“ ან „ბარული“ მდებარეობა როდი წყვეტდა.

ხსენებული მკვლევრების მიერ „დემოკრატიულ“, „თანასწორუფლებიან“, „პატრიარქალურ“ და სხვა ამგვარ დაუნაწევრებელ, გვაროვნულ საზოგადოებად დახატულ ე. წ. ბალსზემო სვანეთის მოსახლეობის სხვადასხვა წოდებად გათიშვაზე მხოლოდ ზოგადი ძეგლები კი არ მოგვეპოვება, არამედ ისეთებიც, რომლებშიაც ამ წოდებათა ურთიერთდაქვემდებარება და ვალდებულებაცაა აღწერილი. მაგალითად, ერთ „დაწერილში“, რომელიც XV საუკუნისაა და სეტის (მესტიის) სინამდვილეს ეხება, სეტიელის სახელით იოსელიანისადმი ნათქვამია: „ოდეს ძოგინდა ჩუენთა ჯელთა გ ლ ე ხ ა დ ყ ო ფ ა ი...“. თავის მხრივ, იოსელიანი აღუთქვამს: „არაი დაგაკლოთ, ვითა ჩუენსა გ ლ ე ხ ს ა ეგრე დაგადგეთ, თქუენი თავი საუსამართლოდ და სამჯნოდ არაი ვის მივანებოთ“...[39].

XV საუკუნის სხვა „დაწერილში“, რომელიც იონა წინასწარმეტყველის ეკლესიისადმი აბლანის სახლის გლეხად (ე. ი. ყმად) დადგომას ეხება, ეკითხულობთ: „დაგათვალეთ ჩუენი თავი, რასაც ჩუენი ქონია, ყოველი მკვიდრად სამამულოთა ერთად გლეხად დაგუითვლია...“[40].

ანალოგიური „დაწერილიდან“ ჩანს, აგრეთვე, რომ ასევე გლეხები ჰყოლია უფნაშის (სოფ. აცის) მონასტერს, რომელიც კუჭაისძეთა კუთვნილებას შეადგენდა[41].

აქ მოტანილი საეკლესიო საბუთებიდან ჩანს, რომ სვანეთის რიგ ეკლესიებს (საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად) გლეხები ჰყავდათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიუხედავად ერთგვარი სივიწროვისა, ისინიც ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. ბოლო საბუთი იმასაც გვამცნობს, რომ კუჭაისძე, რომელიც სეტის მთავარმოწამის მეჯვარეს და ბალის ქედს ზემო ხევების (ე. წ. ბალსზემო სვანეთის) ხელისუფალი გახდა, მიწა-წყლის, საკუთარი ეკლესიისა და გლეხების მფლობელი იყო.

ე. წ. ბალსზემო სვანეთის საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პირდაპირი მაჩვენებელია, აგრეთვე, სხვა არაერთ საისტორიო ძეგლში ფიქსირებული სხვადასხვა ტერმინი და ცნება, მაგალითად, პატრონი. ერთ საბუთში ლაპარაკია მიქელაისძის პატრონობაზე გელოვანისადმი. ჩანს, ორივე ფეოდალთა წოდებას განეკუთვნებოდნენ. მავრამ მათი ურთიერთობა პატრონყმობის იერარქიულ პრინცი-

---

39 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 14 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

40 იქვე. გვ. 19.

41 იქვე. გვ. 38.

ჰზე იყო აგებული; მეორე საბუთში მოხსენიებულია „პატრონი ანუ ბატონი“ ჯაფარიძე, „პატრონნი ჩვენნი პირნათელ და ჩარგას ჯაფარიძენი“; მესამეში ნათქვამია „პატრონი ჩემი არღონ იოსელიანი“ და სხვ. ასევე — „თავადი“ — „თავადი ზურაბ ჩარკვიანი“, „თავადი თუ ერთობილსა სავისამართლოდ წამოგუეკიდოს და სხვ.[42].

ე. წ. ბალსზემო სვანეთის საზოგადოების სოციალური დიფერენციაციისა და სიჭრელის მაჩვენებელია, აგრეთვე, საეკლესიო სფეროში „საყდრისშვილებისა“ და „გლეხების“ გაჩენა: „მთავარმოწამისა საყდრისა შვილმან“, „მთავარმოწამისა საყდრისა შვილთა“, „მულახისა საყდრისა შვილნი“ (აღსანიშნავია, რომ საქმე ეხებათ იოსელიანებს, ჯაფარიძეებსა და სხვა აზნაურებს)[43].

სვანეთის საისტორიო ძეგლებში ასევე არაერთი საბუთია ისეთი, რომელიც კონკრეტულად აგვიწერს ე. წ. ბალსზემო სვანეთის გლეხების პირად სამამულო ვალდებულებას ადგილობრივი აზნაურებისადმი. აი. ზოგიერთი მათგანი. XV საუკუნის ერთ წიგნში ეკითხულობთ: „ღმრთისა დედისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა დავიწერეთ ესე წიგნი ჩუენ მჯაფრიანმა ქელდიშს მუტვილიანსა და მის შვილებსა ამა პირსა ზედა, რომე ერთი ცხუარი ბეგარა, ერთი მგზავრობაი საჯამაგიროს იყოს, ერთი ხამი, სამი ნადობა, — უკუნისამდე“[44].

აღნიშნული „წიგნი“ ჯერ კიდევ პ. ინგოროყვამ მიიჩნია ფეოდალური (საყმო) გამოსაღების უცილობელ საბუთად. რაკი საქმე ე. წ. ბალსზემო სვანეთს ეხება, წინასწარ აკვიატებული „გვაროვნული“ თუ „მთიული ფეოდალიზმის“ მიმდევრებმა ამ საბუთს გვერდი აუარეს (ანგარიშში არ ჩააგდეს). ფაქტი ის არის, რომ ამ ძეგლში ასახულია ტიპიური ფეოდალური დამოკიდებულება: ქელდიშ მუტვილიანის ოჯახს ვარგი ჯაფარიძისადმი საუკუნო ვალდებულება ეკისრა — წელიწადში ერთი ცხვრის, ერთი ხამის (გარკვეული ტილოს), საჯამაგიროდ წასვლის და სამი ნადობის სახით.

როგორც ვხედავთ, აქ სახეზეა გლეხის, შედარებით მსუბუქი, ფეოდალური ვალდებულება, პირადი სამსახურის, ღალისა და შრომითი ბეგარის სახით.

---

42 როგორც საერთო ქართული საისტორიო ძეგლებიდან ჩანს, შუა საუკუნეების საქართველოს სინამდვილეში, სოციალური ცნებები — „პატრონი“ და „ბატონი“ — ერთი და იგივე მნიშვნელობისაა. ამ შემთხვევაში „თავადი“, ჯერ კიდევ, სოციალურ წოდებას არ ნიშნავს, იგი თავს, მეთაურს, უფროსს ეწოდება (აზნაურის წოდების ზოგნთ). აღსანიშნავია, რომ ე. წ. ბალსზემო სვანეთში ვერც ერთი აზნაური ვერ გაოაკადა, ვერ გადაიქცა თავადის წოდებად.

43 სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაწ. 2, გვ. 15, 17, 26, 43, 45, 66, 67, 105; ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია... გვ. 280.

44 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაწ. 2. გვ. 16 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

დაახლოებით ასეთივე სურათია ასახული ამავე ხანის სხვა „დაწერილში“, რომელიც ჯაფარიძეებისადმი ხერგიანების ვალდებულებას შეეხება. გლეხი ხერგიანები ჯაფარიძეებს ყოველწლიურად ორ საკლავს უხდიდნენ, როგორც ეს იოსელიანების გლეხებს ეკისრათ სათანადო წერილობითი გარიგების საფუძველზე[45]. XV საუკუნის ასეთივე შინაარსის სხვა ძეგლში, რომელიც პ. ინგოროყვას მიერ „პატრონი ჯაფარიძეთა ფიცის“ სახელწოდებითაა დასათაურებული, კვლავ ნათქვამია, რომ იგივე გლეხებს ჯაფარიძეებისათვის წელიწადში არაუმეტეს ორი საკლავი უნდა ეძლიათ. ამასთან, საბუთში ისე ჩანს, თითქოს იგივე გლეხების ვალდებულება — თავიანთ აზნაურებს ხლებოდნენ მგზავრობისას — ნებაყოფლობაზე იყო დაფუძნებული. სამაგიეროდ, აზნაურები პირობას იძლეოდნენ გლეხებისადმი ერთგულება გამოეჩინათ[46].

სხვათა შორის, იგივე გვარები მესტიის სინამდვილეში XVII—XVIII საუკუნეებშიც კვლავ ძველებურად ფიგურირებენ, ოღონდ უკვე ერთიმეორისადმი არიან დაპირისპირებული. ამაზე მეტყველებს „წიგნი“, რომელშიაც ვკითხულობთ: ...თუ აზნაური ვინი გასცილდეს, თუ გლეხს უღალატოს...“[47]. აქვე ნათქვამია: „თუ ხერგიანის გუარის კაცს აზნავრი კაცი თუ შემოაკვდეს...“[48].

სვანეთის სხვა საისტორიო ძეგლებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ჯაფარიძეებს სხვა გლეხებიც ჰყოლიათ, მაგალითად, გოროლანები (გორულიანები)[49].

სეტის ანუ იგივე მესტიის საზოგადოების სხვადასხვა წოდებად დაყოფა აისახა ზეპირსიტყვიერებაშიც „ლეურგესა“ და „ლეგლეხეს“ სახელწოდებებით. თემის იმ ტერიტორიას, სადაც ჯაფარიძეები ცხოვრობდნენ, „ლეურგე“ ეწოდება, თვითონ ჯაფარიძეებს „ვარგალ“, ხოლო იმ ადგილს, სადაც გლეხები ცხოვრობდნენ — „ლეგლეხე“.

ჩამოთვლილის გარდა, არაერთი წერილობითი ძეგლიდან ჩანს ე. წ. ბალსზემო სვანეთის გლეხთა ვალდებულება. ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, წერილობით ძეგლებში ფიქსირებული სიტყვები: „რაც იოსელიანსა და მათ ყმათა სიგელი უდევს“, „რომ ჯაფარიძე ყმიანად დაიჯოცოს“ და სხვ.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ე. წ. ბალსზემო სვანეთის მოსახლეობაც სხვადასხვა წოდებად იყოფოდა და თითოეულ მათგანს თავისი ადგილი და როლი ეკავა საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

---

45 იქვე, გვ. 15.
46 იქვე, გვ. 16.
47 იქვე, გვ. 110.
48 იქვე.
49 იქვე, გვ. 96.

სვანთა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გამოცემულმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა სვანეთის სოციალური სტრუქტურისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის რიგი საკითხების გაშუქებაში სათანადო სინათლე შეიტანა, ძველი ყაიდის მკვლევართა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ზურგი შეაქცია თავის მოძველებულ შეხედულებას, მიუხედავად ამისა, კვლავ გამოჩნდა ისეთი ავტორი, რომელიც სვანეთის ძეგლებში ფიქსირებულ „ყმას" („ყმათა სიგელი", „ყმიანად დაიჯოცოს" და სხვ.) შვილის მნიშვნელობით განმარტავს (დაწვრილებით ქვემოთ).

ასეთი უკუღმართი აზროვნება და მსოფლმხედველობა არა მარტო იმიტომაა საკვირველი, რომ ძველი გაუგებრობა და გაურკვევლობა უკვე განვლილი ეტაპია, არამედ იმიტომაც, რომ იმ ძეგლებში, რომლებშიც „ყმაზეა" ლაპარაკი, ჩამოთვლილია გადასახადების გადამხდელი, გადასახადების რაოდენობა და მათი მიმღებიც.

ვფიქრობთ, დაკვირვებული და გათვითცნობიერებული მკითხველი იოლად ამჩნევს, რომ სვანეთის საისტორიო ძეგლებში ფიქსირებული სოციალური ტერმინები და ცნებები პირდაპირი მნიშვნელობით ასახავენ სვანეთის სოციალურ ყოფასა და ცხოვრებას, მათ შორის „ვარგი" და „გლეხი", აგრეთვე „ყმა" და სხვ. „ყმას", ძველ ქართულში, დაქვემდებარებული მიწის მუშის, გლეხის მნიშვნელობა აქვს; ამასთან, როცა „ყმა" შვილს აღნიშნავს, ამ შემთხვევაში, მას უთუოდ მსაზღვრელიც ახლავს, მაგალითად, „ყმა შვილი", „ყრმა შვილი", „ყმა წული" და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, შუა საუკუნეების სვანეთში მიწის მუშა, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მასის უდიდესი ნაწილი „გლეხის" ტერმინითაა ასახული. თვითონ გლეხის შინაარსში სხვისადმი დაქვემდებარებული მიწის მუშაკი ანუ „ყმა" იგულისხმება. ამ თვალსაზრისით ხსენებულ საისტორიო ძეგლებში თვით ტერმინი „ყმის" ხსენებაც რომ არ იყოს, სვანეთის სინამდვილეში მისი არსებობის დასადგენად საკმარისი იქნებოდა თვით ვალდებულების მქონე გლეხების დადასტურება.

თუ ზემოაღნიშნულ, აგრეთვე სხვა უძველესი წერილობითი ძეგლების მონაცემებს შევაჯამებთ, ნათლად დავინახავთ, რომ საზოგადოება იყოფოდა „ვარგაზნაურად", და „გლეხად", „დიდად და მცირედ", „პატრონად და ბატონად", „თავადად", „ყმად და მებეგრედ", „საყდრიშვილად" და სხვ. ამიტომ რა თავსატეხი შეიძლება იყოს იმისი გაგება, რომ ყმათა ინსტიტუტი სვანეთშიც დავინახოთ.

ახლა, როდესაც ჩვენს თვალსაწიერში დიდძალი საისტორიო წყაროების, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და მატერიალურ-სულიერი

კულტურის მონაცემებმა მოიყარეს თავი, როდესაც ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლას ხელი მოკიდა სათანადო მეთოდოლოგიას დაუფლებულმა არაერთმა მკვლევარმა, როცა თვალნათლივ გამოიკვეთა ზოგიერთი ნაკვლევის სქემატურობა და უსუსურობა, როდესაც მკვლევართა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოურიდებლად შეაქცია ზურგი მოძველებულ შეხედულებებს, საქმეში გაურკვეველმა და ისტორიის საფუძველში გაუთვითცნობიერებელმა ორიოდე ავტორმა პუბლიცისტურ-რიტორიკული საშუალებით და თავისებური იაფფასიანი მანერით სცადა ყველგასულ შეხედულებათა გაცოცხლება. ასეთი ყალიდის მოპაიჭრენ ყოველგვარ ხერხსა და საშუალებას მოუხმო, რათა საეჭვო გაეხადა ან ქარისათვის გაეტანებინა უძველესი წერილობითი ძეგლები, რომელთა ნაცვლად შუა საუკუნეების ისტორიის კვლევა-ძიების საფუძველთა საფუძვლად და უტყუარ წყაროდ „ეთნოგრაფიული" სენსაციურობა გამოაცხადა. ეს მაშინ, როდესაც ასეთი „ეთნოგრაფიული საბუთები" წინაზრახულად, რაღაც გზითაა შეგროვებული, როდესაც მათი უმრავლესობა ცრუმორწმუნეთა ჩვეულებებს და ფანტასტიკურ ზღაპრებს ემყარება.

ასეთი მრწამსის ავტორის თვალსაზრისით, წერილობითი ძეგლების ნაცვლად წარსულის აღდგენის უტყუარ ფენომენად მხოლოდ ე. წ. „ეთნოგრაფიული საბუთები" გამოდგება. თითქოს მასში „ისტორიული ყოფის უძველესი და ყოვლისმომცველი შრეებია უტყუარად წარმოდგენილი". თითქოს „თქმულება-გადმოცემები და პირადი დაკვირვებები ბევრად უფრო საიმედო და სარწმუნო საბუთია შორეული წარსულის აღმოსაცნობად". თითქოს „ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი პრეისტორიული რწმენები უძველესი ცივილიზაციის ყველაზე სარწმუნო ფენომენად უნდა იქნეს მიჩნეული".

აქაც ღირს მსჯელობის გაგრძელება იმაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი „ხალხის მახსოვრობით" პრეისტორიული სინამდვილის დადგენა თუ აღდგენა (ასეთ შემთხვევაში რა დანიშნულება აქვს ნეტა არქეოლოგიას?!). არამედ იმის მტკიცებაზეც კი, რომ ამ მეხსიერებით რამდენადაა შესაძლებელი თუნდაც შუა საუკუნეების სვანეთის სინამდვილის აღდგენა. მეხსიერების ფენომენისადმი დაყრდნობა თუ რამდენად სანდოა ყოველთვის, ამის მაგალითია სვანეთში თამარ მეფის საფლავის არსებობაზე სხვადასხვა გადმოცემები, უშგულში ამ საფლავის აღმოჩენაზე 1988 წელს გავრცელებული და ესოდენ გახმაურებული სენსაციური ხმები (ლამის იაპონიიდანაც კი მოწვიეს სპეციალისტ-არქეოლოგები). ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეფის საფლავის არსებობას, გადმოცემით, არაერთი კუთხე იჩემებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თამარ მეფე ყველა ვათგანშია მართლაც დასაფლავებული.

აქ არ გავაგრძელებთ მსჯელობას, აგრეთვე, იმაზე, თუ ამდაგვარი „ეთნოგრაფიული საბუთები“ როგორი საფუძველთა საფუძველი და საიმედო წყარო შეიძლება იყოს უტყუარი ისტორიის შესაქმნელად.

რა თქმა უნდა, დაკვირვებულმა მკვლევარმა სათანადო უნდა მიუზღოს ზეპირსიტყვიერ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ლეგენდა-თქმულებებს, ფოლკლორულ მასალებს, განსაკუთრებით, როდესაც წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება, როდესაც საქმე გვაქვს დაწერილობამდელ, ან უდამწერლობო ხალხის ისტორიის კვლევასთან (ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე არქეოლოგიურ-მატერიალურ და ფოლკლორულ მონაცემებს), მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ დამწერლობითი ხანის ისტორიისათვის წერილობითი ძეგლები „ისტორიული კვლევა-ძიების ფუნდამენტია (აკად. მ. ნ. ტიხომიროვი), რომ „ისტორიულ მეცნიერებაში ყველაზე მნიშვნელოვანია წერილობითი წყაროები“ (აკად. ვ. ვ. კოსოლაპოვი).

სვანეთის საისტორიო ძეგლების სოციალური მონაცემებისადმი უდიერი დამოკიდებულება, ამ მონაცემების გადასხვაფერება-გაყალბების მცდელობა დღემდე გრძელდება. ამის არაერთ რეციდივს ვხვდებით ვ. სილოვავას მიერ ახლახან გამოქვეყნებულ კრებულშიც — „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, რომელთა უდიდესი ნაწილი არაერთი მკვლევრის მიერ იყო რამდენიმეჯერ გაშიფრული და გამოქვეყნებული[30].

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვ. სილოგავას დამოკიდებულება შუა საუკუნეების სვანეთის სოციალური ურთიერთობისადმი.

საგანგებო გამოკვლევა-კომენტარებსა და ძეგლების დასათაურებაში ვ. სილოგავა არაფერს ერიდება იმისათვის, რომ უარყოს სვანეთში წოდებრივ-ფეოდალური ურთიერთობა. ამისათვის მან სწორი სათაურები შეუცვალა პ. ინგოროყვას მიერ, თავის დროზე, დადგენილ და დასათაურებულ ძეგლებს.

ვ. სილოგავას, სოციალური ურთიერთობის საფუძვლისა და მისი გამომხატველი სპეციფიკური ტერმინოლოგიის ცოდნის გარეშე, ეზომო პრეტენზია აქვს ყველასაგან განსხვავებულად დახატოს სვანეთის საისტორიო ძეგლების რაობა და ჩვენ გვიკიჟინებს, რომ ამ ძეგლებში ფიქსირებულ „ყმას“ სოციალური მნიშვნელობის ტერმინად მივიჩნევთ. ის კატეგორიულად წერს: „ყმა“ სოციალური მნიშვნელობით სვანეთში არასოდეს არ გამოიყე-

---

30 ამასთან დაკავშირებით იხ. გ. გასვიანის წერილი — „სხვისი ნუ გინდა რა, შენი იყმარე“. — ლიტერატურული საქართველო, 30 სექტემბერი, 1983 წ.

ნებოდა, უბრალოდ იმ მიზეზის გამო, რომ „უმათა“ ინსტიტუტი, ბატონყმობისათვის დამახასიათებელი ფორმით, იქ საერთოდ არ არსებობდა“[51].

ე. სილოგავასათვის მნიშვნელობა არაფერსა აქვს, ოღონდ რაიმე თქვას თავის მიერ ამოჩემებულ საგანზე. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მისთვის ასე უცბო საკითხების ინტერპრეტაციაზე და ამასთან დაკავშირებით სხვის კრიტიკაზე კი არ გაამახვილებდა ყურადღებას, არამედ მისთვის ესოდენ აუცილებელი ძეგლების დახვეწილ გამოცემაზე. ანდა მას რომ ობიექტური კვლევა-ძიება აინტერესებდეს (და არა, თავისი თანამოაზრეების საამებლად, ჩვენი კრიტიკა), მაშინ ეს შენიშვნა, უპირველეს ყოვლისა, პავლე ინგოროყვასადმი უნდა მიეცა, რადგან ე. სილოგავამდე, ეს ძეგლები პ. ინგოროყვამ გამოიკვლია და დაასათაურა. როგორც ჩანს, რაკი პ. ინგოროყვას მიერ გამოცემული ძეგლები თვითონ გადაიღო და დამსახურებაც მიიწერა (თითქოს თავის კრებულში თავმოყრილი ძეგლების „მნიშვნელოვანი და დიდი ნაწილი თვითონ გამოაქვეყნა პირველად“)[52], ამიტომ ჩანს, ერთგვარი უხერხულობა მაინც იგრძნო.

ალბათ, მკითხველი იკითხავს — რა შუაშია პ. ინგოროყვა?! აი, რა შუაშია: პ. ინგოროყვამ ერთად მოუყარა თავი ადრე ცნობილ და თავის მიერ მიკვლეულ სვანეთის საისტორიო ძეგლებს, რომლებიც თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით დაყო, ამ ძეგლებში ცალკე გამოყო სოციალური ურთიერთობის ამსახველი „აქტები პატრონყმობისა“, რომლებიც ასე დაასათაურა:

„... 7. დაწერილი სამოკვეთოი ((პატრონ-ყმობისა) იოსელიანთა და დემეტრე სეტიელის სახლთა შორის...

8. დაწერილი საყმო გამოსაღებისა ჯაფარიანთა და ხერგიანთა შორის.

9. ხერგიანთა მოთხოვნა და პატრონთა ჯაფარიძეთა ფიცი...

10. დაწერილი საყმო გამოსაღებისა ჯაფარიანსა და მუტვილიანთა შორის...

11. დაწერილი საყმო გამოსაღებისა (ანონიმური)...

13. დაწერილი ყმად თავის დათვლისა ლაჰილის ეკლესიისა და უცნობი პირისა...

14. დაწერილი ყმად თავის დათვლისა ლაჰილის ეკლესიისა და როჩაგიანთა სახლისა...

---

51 ე. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები. ტ. I, თბ., 1986, გვ. 259 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

52 ე. სილოგავა, დასახელებული კრებულის ანოტაცია, გვ. 6.

16. დაწერილი ყმად თავის დათვლისა იონაშის ეკლესიისა და...

17. დაწერილი შვილობისა (ყმად თავის დათვლისა) ლახამლელთა...“[53].

როგორც ვხედავთ, გამოჩენილმა პალეოგრაფმა, ჯერ კიდევ, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში გააცნობიერა სვანეთის წერილობითი ძეგლები და თითოეულ მათგანს თავისი სახელი დაარქვა. ამასთან, ვ. სილოგავას ვერავინ უსაყვედურებს პ. ინგოროყვას მიერ გამოცემული კრებულის უცოდინარობას, რადგან მასში მოცემული ყველა ძეგლი (ერთ-ერთი უძველესი, უდიდესი და უძვირფასესი ძეგლის — მატიანეს — გარდა) ვ. სილოგავამ უკლებლივ გადაიღო და უმნიშვნელო სასარგებლო ტექსტოლოგიური ცვლილებებით გამოსცა, ოღონდ სიახლის მოსაჩვენებლად სათაურები და თარიღები უსაფუძვლოდ შეუცვალა.

მაშ, ვ. სილოგავამ რაღა მაინცდამაინც ჩვენ ამოგვიღო მიზანში, მით უფრო, რომ ხსენებული ძეგლების ტექსტოლოგიური დადგენა ჩვენს მიზანს არ შეადგენდა, ჩვენ ისინი მხოლოდ სოციალური ურთიერთობის ისტორიის გამოსაკვლევად გამოვიყენეთ. ამასთან, ვ. სილოგავამ რაღა მაინცდამაინც ნაკლოვანებაღა შეამჩნია ჩვენს მონოგრაფიებში და დადებითი ვერაფერი დაინახა? აქედან გამომდინარე, მკითხველისთვის მიგვინდვია თვითონ შეაფასოს ვ. სილოგავას მიერ ჩვენდამი გამოთქმული კრიტიკის მეცნიერულ-ობიექტური ღირებულება.

ახლა კონკრეტულად იმაზე, ვინაა მართალი ტერმინი „ყმის“ მნიშვნელობისა და შინაარსის განმარტებაში — ჩვენ, თუ ჩვენი ოპონენტი?

საინტერესოა „ყმა“ სოციალური შინაარსისაა თუ მხოლოდ „შვილის“ მნიშვნელობას გამოხატავს სვანეთში?!

ეფიქრობთ, სვანეთის წერილობითი ძეგლების ზემომოტანილი ამონაწერებიდან ნათელია, რომ „ყმას“ (მიუხედავად შედარებით ნაკლები მასშტაბისა) სვანეთშიც იგივე სოციალური მნიშვნელობა აქვს, რაც დანარჩენ საქართველოში. როგორც აღვნიშნეთ, „ყმას“ რომ სოციალური მნიშვნელობა აქვს და გლეხს აღნიშნავს, ეს გარემოება ზემოთაც ვუჩვენეთ, ამიტომ, განმეორება რომ არ გამოგვივიდეს, აქ მხოლოდ იმ ორიოდე ძეგლის შინაარსს შევეხებით, რომლებზეც ოპონენტმა უცერემონიოდ მიგვითითა და გაგვაკრიტიკა.

---

53 იხ. პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტ. ძეგლები, ნაკვეთი 2, შინაარსი (ძეგლების დასათაურება).

ერთ-ერთ ძეგლში („დაწერილში“), რომელიც XV საუკუნისაა და ჯაფარიძეთა და ხერგიანთა ურთიერთობას ასახავს, ვკითხულობთ: „წმიდის გიორგის სეტისა და მაცხოვრისა მულახისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩუენ მჯაფარიანმან თქუენ ხერგიანთა მტკიცე და უქცეველი: თუ ხერგიანი ასი მოსახლე იყოს, ამ ორი საკლავის მეტი არა ჰმართებდეს, რაც იოსელიანსა და მათ ყმათა სიგელი უდს, ამა პირზედა იყოს, რაც მათ პაპუვას(?) ერთისა ჰმართებდა.

ვინ ესე გაუტეხოს, ან ჯაფარიანმან, ან ხერგიანმან, იგიმცა კაცი კრული არის ჯუარითა ქრისტესითა, სახლი და საყოფელი მისი, სასუმელი და საჭმელი მისი. ამენ“[57].

მეორე ძეგლში, რომელიც აგრეთვე იგივე გვარების ურთიერთობას ეხება, ნათქვამია: „...ღმრთისა თავსდებობითა, მას ჟამსა, ოდეს ბატრონმან („ბატომან“, ბატონმან) გვიღალატეს ხერგიანთა. არა ვუმართებდა და აწ ეს მოვიგონეთ... თუ ამ გულზე შეიქენით, ჩუენ მოგახსენებთ რომე, ჯაფარიძის გვარი იყოს, ეს ფიცი არ გაგიტეხოთ თუ ასი მოსახლე შეიქმნას, ამ ორ საკლაუს იქეთ არა ემატოს; თუ განაყოფი ამოუწყდეს, ქრთამი არ მოუნდეს; თქუენით კარკაცობითა თუ სამგზაუროს წამოგუყვებით, თუ არა არა გკადროთ (?) სადაცა გუახლეთ, თქუენ არა ვისი ვარჩიოთ, რომე, ჯაფარიძე ყმიანად დაიკოცოს — მაშინცა არა ვესარჩლო...

ამისი თავსდები პირველად წ-ი გიორგი სეტისა, რომელმან ესე... შეშალოს კრული იყოს კაცი იგი ვითარცა სადუმი და გომორი, წყეულიმც არს ჯვარითა ქრისტესითა, იუდას მუნაწილე იყოს“[55].

რა არის ამ შესანიშნავად გაფორმებულ ძეგლებში უცხო და გაურკვეველი?! აკი აქ ჩამოთვლილია მოპირდაპირე მხარეები, გადასახადის გადამხდელი და მიმღები, გადასახადის ოდენობაც და მფარველის პირობაც (ყველაფერი ეს, ჩვეულებისამებრ, ქრისტეს ფიცითაა განმტკიცებული). მითითებულია, აგრეთვე, ანალოგიური დამოკიდებულების მაგალითიც, რომლის ნიმუშად იოსელიანების ყმათა სიგელია მითითებული. სწორედ მის მსგავსად და კვალობაზე განისაზღვრა ზემოაღნიშნული გვარების დამოკიდებულება. ყველაფერი ეს საქართველოში დადგენილი წესით და რიგითაა გაფორმებული.

როგორც ზემოთაც ვთქვით, აღნიშნული საბუთები პ. ინგოროყვამ თავის დროზე „საყმო გამოსაღებად“ დაასათაურა, ხოლო ვ. სილოგავამ, ახლა, როდესაც მკვლევართა მიერ ყოველივე გარკვეულია,

---

54 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაწ. 2, გვ. 15.

55 იქვე, გვ. 16.

ყველაფერი ერთიმეორეში აურია და თავდაყირა დააყენა: პირველ საბუთს („დაწერილს") — „დაწერილი მჯაფრიანთა ხერგიანებისა და იოსელიანებისადმი" დაარქვა, ხოლო მეორეს — „დაწერილი სეტის ჯევისა ხერგიანებისადმი"[56]. ამასთან, „ყმაც" შვილად მონათლა.

როგორც ვხედავთ, ვ. სილოგავამ პირველ შემთხვევაში ერთიმეორეში აურია აზნაურები და გლეხები. რა შუაში არიან იოსელიანები, თუ არა ჯაფარიძეთა მიერ გლეხებისაგან მისაღები გადასახადების განსაზღვრა იოსელიანების ყმათა სიგელის შესაბამისად. ვ. სილოგავას გამოყავს, რომ იოსელიანებიც, როგორც „გლეხები", ჯაფარიძეებისადმი არიან ვალდებული, როდესაც ამ და სხვა (არაერთ) ძეგლიდანაც ჩანს, რომ იოსელიანები აზნაურები იყვნენ და თავისი გლეხები ჰყავდათ. იმისათვის, რომ ვ. სილოგავამ როგორმე გააქარწყლოს „ყმის" მნიშვნელობა, ტექსტის ხსენებულ ადგილს — „რაც იოსელიანსა და მათ ყმათა სიგელი უდს (უდევს — გ. გ.) ამა პირზედა იყოს, რაც მათ პაპუვას ერთისა ჰმართებდა" — ასე ცვლის. „რაც იოსელიანს და მათ შვილებს სიგელი აქვთ ამა პირზედ იყოს, როგორც მათ პაპუვას ერთი (საკლავი) ჰმართებდაო"[57]. როგორც იტყვიან, საიდან სადაო, წმინდა საბაო?! ეს რა ეკვილიბრისტიკა და ფილოსოფიაა — თურმე იოსელიანს და მათ შვილებს სიგელები ჰქონიათ თავიანთი პაპუას გადასახდელი საკლავის დავალიანებაზე?!.

ჯერ ერთი, სად და ვის გაუგია ყველა იოსელიანს (მამებსაც და შვილებსაც განურჩევლად) სიგელი ჰქონოდათ — რაზეც არ უნდა ყოფილიყო; მეორეც, მით უფრო რანაირად შეიძლება იოსელიანის ყველა შვილს სიგელი ჰქონოდა შვილობის მოწმობად (სიგელოსანი შვილები?!), ან თავიანთი პაპუის მიერ საკლავის გადაუხდელობაზე (ნეტა იმ პაპუვას მაინც ვისი ემართა საკლავი?!)".

ხედავთ „ყმის" მნიშვნელობის სახეშეცვლის მცდელობაში ვ. სილოგავას ფანტაზია სადამდე მიდის. ჩვენ კი გვიკიჟინებს, თითქოს სადმე ვამტკიცებდით, რომ ყმობის შესახებ სიგელი ყმებს ჰქონდათ ხელში ჩაბღუჯული. ვ. სილოგავამ უნდა იცოდეს, რომ აზნაურსა და გლეხს შორის ურთიერთვალდებულება, საერთოდ, ადათით და წესით იყო განსაზღვრული, და ის წერილობით იშვიათად ფორმდებოდა. მიუხედავად ამისა, ეს ვალდებულება არც ერთი მხარისათვის საიდუმლო არ იყო.

---

56 ვ. სილოგავა, დასახელებული კრებული, გვ. 199, 202—203 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

57 იქვე, გვ. 259 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

ჩანს, ვ. სილოგავა საერთოდ არ დააკვირდა, ანდა ჯიუტად არ ცნობს სვანეთის წერილობითი ძეგლების სოციალურ შინაარსს, რაც კარგად ჩანს ზემოაღნიშნული მეორე ძეგლის მისეული განსჯიდანაც. მას რომ საქმის ობიექტური სურათი აინტერესებდეს, მაშინ ამ ძეგლში ფიქსირებულ „ყმას“ სოციალურ შინაარსს არ ჩამოაცლიდა. როგორც ვნახეთ, ტექსტის დასაწყისში პირდაპირ წერია: „...ოდეს ბატონმან გვიღალატეს ხერგიანთა, არა გუმართებდა“... ნუთუ აქ და ძეგლის ბოლოშიც არ ჩანს, რომ ხერგიანებს ბატონმა (პატრონმა) ჯაფარიძეებმა უღალატეს. ნუთუ ცნობილი არ არის, რომ „ბატონი“ თუ „პატრონი“ თავისთავად საპირისპირო „ყმას“ გულისხმობს, სხვანაირად ცარიელ-ტარიელი ბატონი რანაირად შეიძლება წარმოიდგინო?!

ძეგლში რომ მარტო სადავო ტერმინი ეწეროს, მაშინაც ძნელი მისახვედრი როდია, რომ ჯაფარიძეებს ყმები ჰყავდათ. მით უფრო ეს გარემოება არა მხოლოდ ამ ძეგლის იმ ნაწილში ჩანს, რომელშიც ჯაფარიძის ყმიანად დახოცვაზეა ლაპარაკი, არამედ ზემოაღნიშნულ სხვა არაერთ ძეგლშიც, რომლებშიც ჯაფარიძეთა გლეხების გვარ-სახელებია ფიქსირებული. აქედან გამომდინარეც, რანაირად შეიძლება იმისი წარმოდგენა, რომ მოცემულ ადგილზე „ჯაფარიძის შვილიანად“ დახოცვაზეა ლაპარაკი?!

ვ. სილოგავა რომ „ყმის“ მნიშვნელობას ასხვაფერებს, ვითომ „შვილს ნიშნავდეს“ — ეს იოლი გასაგებია სხვა მხრივაც. სვანეთის წერილობით ძეგლებს რომ თვალი გადავაველოთ, დაეინახავთ, რომ „შვილი“ ყველგან თავისი ტერმინითაა გამოხატული, მაგალითად: „შენ ჯაფარიძეთა პირნათელსა და შ ე ნ თ ა შ ვ ი ლ თ ა“, „ჯაფარიძემან პირნათელ, ჩ ე მ თ შ ვ ი ლ თ ა დოდილ და ივანე, ჩ ე მ თ ა შ ვ ი ლ თ ა და მომავალთა“...; „იოსელიანისა სახლისა შ ვ ი ლ ი ქურსიკი“; „მოგანდეე ჩემი თავი და შ ვ ი ლ ნ ი“; „ჩუენთა შ ვ ი ლ თ ა და მომავალთა ყოველთა“... „მ ი შ ვ ი ლ ა“... „მისთა შ ვ ი ლ თ ა დულუ და ერგუშ და უღლათი და აშხა და მისთა შ ვ ი ლ თ ა თეიმურაზ“... „შენთა შ ვ ი ლ თ ა და მომავალთა“, „ნუცა მამაი შ უ ვ ი ლ ს ა...“, „ჩუენთა შ უ ვ ი ლ თ ა და მომავალთა ყუველთა... ჩ უ ვ ე ნ თ შ უ ვ ი ლ თ“ და ა. შ.[58].

თავი რომ დავანებოთ უამრავი მაგალითის დასახელებას, ჩვენი ოპონენტი სვანეთის საისტორიო ძეგლებში ვერსად იპოვის იმის მაგალითს, რომ „ყმა“, მსაზღვრელის („შვილის) თან დაურთველად, „შვილს“ ნიშნავდეს, მაგალითად, „ოდეს ვახთანგიანსა ყმაი შვილი არაი დარჩა...“ პირიქით, საქართველოს სხვა რეგიონს საისტორიო ძეგლების მსგავსად, სვანეთის წერილობით ძეგლებში „შვილი“ სო-

---

58 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაწ. 2, გვ. 13, 18, 19, 25, 49, 50, 51, 65, 66, 78, 81, 83, 84, 85 და ა. შ. (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — გ. გ.).

ციალური მნიშვნელობითაცაა ნახმარი. ამ შემთხვევაში მრავალთაგან მხოლოდ ორიოდეს დავასახელებთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზნაური იოსელიანები და ჯაფარიძეები „საყდრის შვილებადაც“ ითვლებოდნენ[59]. ცხადია, ამ შემთხვევაში „საყდრის შვილი“ საყდრისადმი დაქვემდებარებულს, მის ყმას ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, აგრეთვე, ბენდე ვახთანგიანის მაგალითიც. ის „სვანეთის ერთობილი ხევის“ მელომე გახდა, ხევი კი მისი „შვილობილი“. მაღალი მდგომარეობის გამო ვახთანგიანმა სეტიელის შვილი პირად მსახურად აიყვანა — „ვირე მე ვიყო, მემსახურებოდეს; მერმე... მე ბენდანსა მისი თავი დამითულია მთავარ მოწამისა მებეგრედ და თქუენ ჯევისა მოსამსახურედ“[60].

აქაც ვხედავთ, რომ „შვილი“ თუ „შვილობილი“, თავისი შინაარსით, მსახურს ან მებეგრესაც ნიშნავს.

„შვილი“ რომ ზოგჯერ არაპირდაპირ სოციალურ მნიშვნელობას იძენს, ეს კარგად ჩანს ბარის სინამდვილიდანაც, მაგალითად, იოსებ კათალიკოსის მიერ ბიჭვინტის ღვთისმშობლისადმი შეწირულობაში ნათქვამია, რომ დიაკონი მჭედლიძე გიორგი უშვილო იყო და მისთვის გრიგოლ კათალიკოსს ოთხი ძმა უწყალობებია: „ეხლა რათგან ეს უშვილო იყო, ჩვენი დასტურით და ბრძანებით ეს სხვისი შვილები თავის შვილებათ მიიჩნია, სანამდის ცოცხალი იქნება, საკუთრად ყ მ ა დ დ ა შ ვ ი ლ ა დ ემსახურონ... და ამის სიკვდილის უკან შენ ბიჭვიტისა ღთისმშობლისადა შემოგვიწირავს“[61].

ყველაფრიდან ჩანს, რომ ვ. სილოგავას მსჯელობა „ყმის“ მნიშვნელობაზე წერილობითი ძეგლების მონაცემებს არ ექვემდებარება, რადგან ყმას თავისი მნიშვნელობა აქვს და შვილს — თავისი. „ყ მ ა“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც (ისტორიული მნიშვნელობით) განმარტებულია როგორც უმიწო გლეხი, პატრონის ქვეშევრდომი, ხელქვეითი. ამასთან, „ყმა“, თუ „ყრმა“, როცა მსაზღვრელი ახლავს, მაგალითად, „ყმაშვილი“, „ყრმაშვილი“, „ყრმაწული“, ვაჟიშვილს ნიშნავს. იგივე ლექსიკონში განმარტებულია აგრეთვე „ყ მ ო ბ ა“, რაც ყმის მდგომარეობას, ყმად ყოფნას ნიშნავს. ასევე „ყმური“— ყმის შესაფერს, ყმისთვის დამახასიათებელს, ასევე ყმიანი — ყმის მყოლს და ა. შ.

ასეთია ყმის განმარტება და საზოგადო შინაარსი, ხოლო ვ. სილოგავა მას, სვანეთის საისტორიო ძეგლებში, ყველასაგან განსხვავებით, მხოლოდ შვილის მნიშვნელობით განმარტავს.

---

59 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაწ. 2. გვ. 43, 45, 66, 67, 78.

60 იქვე, გვ. 6—7 (ხაზგასმა ჩვენია — ვ. ვ.).

61 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფ., 1921, გვ. 47.

სვანეთის (ე. წ. ბალსზემო სვანეთის) გვიანდელ სინამდვილეზეც არაერთი წერილობითი ძეგლი მოგვეპოვება, როდესაც აზნაურები და გლეხები ურთიერთისადმი არიან დაპირისპირებული, მათ შორის წოდებრივ-კლასობრივი ბრძოლაა გაჩაღებული. მაგალითად, XVII—XVIII საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლში ვკითხულობთ: ...თუ ა ზ ნ ა უ რ ი ვინი გასცილდეს, თუ გ ლ ე ხ ს ულალატოს... ხერგიანის გუარის კაცს ა ზ ნ ა უ რ ი კ ა ც ი თუ შეაკუდეს, სისხლი ყიმან გარდახდეს. თუ ხერგიანები იმას შეეაკვდეთ... თუ სისხლი ვინამე გუალიარსოს"[62]...

საკითხავია, ნუთუ X—XI საუკუნებიდან XIX საუკუნემდე სვანეთის აზნაურებმა ვერავითარი პრივილეგია და სიკეთე ვერ მოიპოვეს, ვერც ერთი მიწის მუშა ვერ დაიქვემდებარეს (გლეხად ვერ გაიხადეს). ნუთუ ზემოალნიშნული ძეგლები იმისი პირდაპირი მაჩვენებელი არ არის, რომ იოსელიანებსა, ჯაფარიძეებსა და სხვებს არაერთი გლეხი ექვემდებარებოდა, ყმები ჰყავდათ?! ნუთუ ამ გარემოებაზე მრავალგან არ არის მსჯელობა ჩვენს მონოგრაფიებში[63].

რა ლოგიკით და ეთიკით გვიკიკინებს ვ. სილოგავა, თითქოს, ჩ ვ ე ნ ვ ე რ ს ა დ ვ ე რ ვ ა ს ა ხ ე ლ ე ბ თ თ ე ვ ი ნ ა რ ი ა ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ე ბ ი ს ა დ ა ჯ ა ! ფ ა რ ი ძ ე ე ბ ი ს ყ მ ე ბ ი, თ ი თ ქ ო ს, ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი გ ვ ა რ ე ბ ი, „ა რ ა თ უ მ რ ა ვ ა ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ა რ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ი ა ნ ყ მ ა თ ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ე ბ ა დ, ა რ ა მ ე დ ს უ ლ ო რ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ა ს ვ ა ნ უ რ (sic! გ. გ.) საბუთებში „ყ მ ი ს" დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ა..." ა მ ო რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ც ე ს ტ ე რ მ ი ნ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ა ა რ ც ა რ ი ს[64].

აქ არ ღირს იმაზე საუბარი, რომ ჩვენი ოპონენტის თანამოაზრენი შეშფოთებული გვიკიკინებენ — „როგორ თუ სვანეთში ყმათა არმია გავამრავლეთ". ცხადია, ამ ბრალდებას საბუთის მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, მაგრამ მაინც საინტერესოა — რომელ მათგანს დაეჯერება?!

ვ. სილოგავას ეს უცნაური მსჯელობა სვანეთის სოციალურ სტრუქტურაზე, არა მხოლოდ იმ მხრივაა საკვირველი, რომ ამის ვანსჯა მის სპეციალობას, პროფესიასა და მსოფლმხედველობის სფეროს (მაშასადამე მიზანს) არ ეხება, არამედ იმიტომაც, რომ „ყმათა" არარსებობის მტკიცებას და მისი სოციალური შინაარსის უარყოფას ის

---

62 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაწ. 2, გვ. 110 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

63 იხ. გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი, დასახელებული ნაშრომები.

64 ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, დასახელებული კრებული, გვ. 259 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

ამ მატიანის გარჩევას უკავშირებს, რომელიც დადიშქელიანთა ხანას ასახავს და მათ სამთავროს ეხება.

როგორც ვხედავთ, ვ. სილოგავა არა მხოლოდ ზოგიერთი ეთნოგრაფის მიერ ამოჩემებულ ე. წ. ბალსზემო სვანეთში, არამედ, საერთოდ, მთელ სვანეთში (სადადიშქელიანო და ქვემო სვანეთშიც) უარყოფს ყმათა ინსტიტუტისა და ბატონყმობის არსებობას.

რაკი ე. წ. ბასლზემო სვანეთის სინამდვილეზე უკვე ვიმსჯელეთ, ამიტომ მას უკვე არ დავუბრუნდებით. აქ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ არსად და არასოდეს ვამტკიცებთ სვანეთში კლასიკური ბატონყმობის არსებობას. როგორც ცნობილია, ბატონყმობა (თუ პატრონყმობა) ხანგრძლივი პროცესია, მას დასაწყისი და ბოლოც აქვს. ის ერთდროულად და ერთბაშად არ დამყარებულა და არც გამქრალა. ამასთან, სვანეთის ფეოდალური თუ ბატონყმური ურთიერთობის განვითარების ცალკე, ფორმაციული გამოყოფა და დადგენა შეუძლებელია მთელი საქართველოს განვითარების ერთიანი შეჯამების გარეშე, რადგან ხსენებული კუთხე ამ ერთიანი სახელმწიფოს ერთი მცირე ნაწილი იყო. საქართველოს ცალკეულ კუთხეთა (მით უფრო არცთუ ისე მრავალმოსახლიანი სვანეთის ცალკეული ხეობის თუ სოფლის განცალკევებული განვითარების) ცალ-ცალკე, დანაწევრებული, ფორმაციული შეფასება საერთოდ უხერხულია, უაზრობა და გაუგებრობაა. ამდენად, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, აგრეთვე, XI—XIX საუკუნეების სვანეთის განვითარების შეფასება — „ადრეფეოდალური ურთიერთობების კლასიკურ ნიმუშად", სხვა რომ არაფერი იყოს, ასეთი კლასიფიკაციის დადგენა მხოლოდ სვანეთის მაგალითზე შეუძლებელია.

რაც შეეხება დადიშქელიანთა სამთავროში და ქვემო სვანეთში ბატონყმობის არსებობას, მას იშვიათად თუ ვინმე უარყოფს.

თუ როგორ აისახა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სურათის მოტივები ჩვენთვის საინტერესო მატიანეში და თუ რა შეფასება მისცა ვ. სილოგავამ იქ არსებულ ვითარებას, ამაზე შეიძლება ითქვას შემდეგი: ჯერ ერთი, გაუგებარია რას გულისხმობს ის ბატონყმობასა და მისთვის დამახასიათებელ ინსტიტუტებში; მეორეც, ამ პრობლემაზე მას საერთოდ არ უმუშავია, ამიტომ, ასე ერთბაშად, კალმის ერთი მოსმით ყველაფერის გადაჭრა შეუძლებელია, მით უფრო, ვფიქრობთ, ურიგო და უცნაურია ამ პრობლემისადმი მიძღვნილი არაერთი სპეციალური ნაშრომისადმი ანგარიშგაუწევლობა.

თაეი რომ დავანებოთ დადიშქელიანთა სამთავროზე შექმნილ ოფიციალურ საბუთებსა და ისტორიულ ლიტერატურას, იქ ბატონყმური ინსტიტუტების კატეგორიული უარყოფა ვ. სილოგავას მიერ

იმიტომაცაა საკვირველი, რომ მის მიერ განხილულ ე. წ. მეორე მატიანეში (რომელიც ბალსქვემო ხევებს, ანუ სვანეთის სამთავროს ეხება) სრული უეჭველობითაა ასახული ბატონყმობისათვის დამახასიათებელი (მის მიერ ჯერ ხელაღებით უარყოფილი) ყმათა და მებატონეთა ინსტიტუტები[65].

აი, ზოგიერთი მათგანი (ვ. სილოგავას ნუმერაციით)· № 9 მოსახსენებელში ეკითხულობთ: „...სომაილს ჩხვიმიანის, ბ ა ტ ო ნ ი ს საყვარელს მეთოფეს... დ ი დ ე ბ უ ლ ს ალმაიზი დადიჩქელიანს... დ ი დ ს დ ი დ ე ბ უ ლ ს ალაგიყუეს დადიშქელიანს“...; № 11-ში: „აშენე, აკურთხე სახლი და საყოფელი ბ ა ტ ო ნ ი ს ციოყის დადიჩქელიანის ოცდაათი ათასი შესწირა სულისა საჯსრად... მეუღლეს მის დ ი დ ე ბ უ ლ ს ა იუსილანს (იოსელიანს—გ. გ.)“; № 12-ში: „...დ ი დ ე ბ უ ლ ს გელაბსან დადიშქელიანსა... ჯაზდან წმთიანისა ბ ა ტ ო ნ ი ს საყუარელს...“; № 13-ში: „უფალო ღმერთო, აღაშენე სახლი და საყოფელი... დ ი დ ე ბ უ ლ ი ს ბატონის გელახსანის... მისი ფ ა მ ე ლ ი ა ს ყოველთა...“; № 14-ში: „ბ ა ტ ო ნ ს გელახსანს... მის მ ე თ ო ფ ე ს, ალმაიზ ციხდელიანს... თათარყანის, კაი მ ე თ ო ფ ე ს... მის მ ე თ ო ფ ე ს კახაბერ სუთეანს... მურზაყანის მ ე თ ო ფ ე ს მირზას დეედარიანს... ახლავის მ ე ლ ი ქ ი ფ ხ ე ს... ფ ა მ ე ლ ა ს ყოველსა...“; № 16-ში: „დ ი დ ე ბ უ ლ ს ჭეყანს დადიჩქელიანს... დ ი დ ე ბ უ ლ ს მის მეუღლეს ქალინა ჩარკვიანს... მის მ ო ა ხ ლ ე ს... დ ი დ ე ბ უ ლ ს თუთარუს დაჩქელიანს... დ ი დ ე ბ უ ლ ს თეთრუაის ყომინს (ე. ი. ყმიანს — გ. გ.)· — მის მ ო ა ხ ლ ე ს... თათარყანს დ ი დ ე ბ უ ლ ს დაჩქელიანს... ჯიალმირზას, დ ი დ ე ბ უ ლ ს დაჩქლიანს... ი ს ლ ა მ ს დიდებულს გელავანს (გელოვანს — გ. გ.)... დ ი დ ე ბ უ ლ ს მარინეს დაჩქლიანს... ნელარს, დიდებულს, ყ მ ი ა ნ ს... მის მ ს ა ბ უ რ ე ბ ს...; № 20-ში: „ბატონს დ ი დ ე ბ უ ლ ს ა პირნათელისა... დ ი დ ე ბ უ ! ლ ს ა მეუღლესა მისსა ნესტარჯანს ბაბანისა (ბაბიანისა—გ. გ.)“; № 31-ში: „დ ი დ ე ბ უ ლ ს ბაძუს რუჩაგიანს (რიჩგვიანს — გ. გ.)... დ ი დ ს რუჩაგიანს...“ № 32-ში: „ახლავ რუჩეგიანისა მის მ ე თ ო ფ ე ს მირზას... მის მ ე ლ ი ქ ი ფ ხ ე ს... ფ ა მ ე ლ ა ს ყოველთაი“... № 40-ში: „გაუს შგერიანს ბ ა ტ ო ნ ი ს საყვარელს...; № 42-ში: „ბ ა ტ ო ნ ს მირზა ჩარკვიანს... დ ი დ ე ბ უ ლ ს რუჩაგიანს...“; № 43-ში: „ჯანყვათ ჩარკვიანს დ ი დ ე ბ უ ლ ს... მირაგუს დ ი დ ე ბ უ ლ ს დაჩქელიანს... ციოყ ჩარკვიანს დ ი დ ე ბ უ ლ ს“ და ა. შ.[66].

---

65 იხ. გ. გ ა ს ვ ი ა ნ ი, სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე, — მაცნე, ისტორიის... სერია, 1972 № 2.

66 ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, დასახელებული კრებული, გვ. 279—304.

ნუთუ ყველაფერი ეს ბატონყმური ინსტიტუტებისა და ურთიერთობის ამსახველი არ არის და მხოლოდ თავაზიანი მიმართვის ფორმებია, როგორც ეს ვ. სილოგავასა და მის ორ თანამოაზრეს ჰგონია და ეჩვენება. ნუთუ ამ ძეგლების გამომცემი ვერ უნდა მიმხვდარიყო, რომ მათში მრავალჯერ ფიქსირებული დ ი დ ებ უ ლ ი, ბ ა ტ ო ნ ი, ფ ა მ ე ლ ი ა (ფამელი), მ ო ა ხ ლ ე, მ ს ა ხ უ რ ი, მ ე თ ო ფ ე, მ ე ლ ი ქ ი ფ ხ ე და სხვა ცარიელი ტერმინების თამაში არ არის, თორემ მაშინ რატომ ასეთივე „დიდებულის“ ან „ბატონის“ ეპითეტებით არ მოიხსენიებიან რიგითი გვარეულობების (გლეხების) წარმომადგენლები?!

ვ. სილოგავა, რომელიც სვანეთში ბატონყმური ურთიერთობის შესაბამისი ინსტიტუტების კატეგორიული უარყოფის იდეამ გაიტაცა, არ დაუკვირდა, რომ ხსენებულ ძეგლებში ყმათა ინსტიტუტი მრავალჯერაა მოხსენიებული, როგორც ადგილობრივი ტერმინებით — „ფამელა“ (ფამლი-ყმა), „მელიქიფხე“ ასევე, საერთო ქართულით — „მოახლე“, „მეთოფე“, „მსახური“ და სხვ. ამასთან, აქ პირდაპირ „ყმაც“ ფიგურირებს, მაგალითად, ჭეყან დადიჩქელიანის სახლის მოსახსენიებელში (№ 16-ში) ვკითხულობთ: „ღმერთო აშენე, აკურთხე სახლი და საყოფელი ჭეყან დაჩქელიანისა; ოცდაათი ათასი შესწირეს ღმერთსა სულისა მისისათჳს... ორი მარტიანი[67] მოასვენა... შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა სადიდებლად.. დიდებულს თეთრუაის, ყ მ ი ა ნ ს (ვ. სილოგავას ამოკითხვით „ყიმინს“, რაც სრული უაზრობაა)... მის მოახლეს... ნელარს, დიდებულს, ყ მ ი ა ნ ს... მის მსახურებს...“[68]

ნუთუ „ყმიანი“ აქაც შვილიანს ნიშნავს? ვ. სილოგავას საყურადღებოდ ამ შემთხვევაშიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩავიხედოთ: ყმიანი — ყმის მყოლს, ყმის პატრონს ნიშნავს. „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი ყმიანი“.

როგორც ვხედავთ, აქ მრავალშვილიან მეფეზე კი არა, არამედ მრავალყმიან მეფეზეა ლაპარაკი.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მატიანის ტექსტის ერთ ადგილზე ვ. სილოგავამ საგანგებოდ დახუჭა თვალი („ყმიანის“ ნაცვლად უაზრო „ყიმინს“ დაწერა), მეორე ადგილას მაინც იძულებული გახდა „ყმიანი“ დაეფიქსირებინა, ოღონდ მის განმარტებაზე კრინტი არ დაძრა, ამასთან, ხსენებული მატიანის ვრცელი ამონაწერი იმისათვის დაგვჭირდა, რომ მკითხველმა თვითონ დაინახოს „შვილის“

---

67 მარტიანი ყველა შემთხვევაში მატიანეს ნიშნავს.

68 ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, დასახელებული კრებული, გვ. 285—286.

და „ყმიანის“ მნიშვნელობა, რომლებიც ვ. სილოგავამ საგანგებოდ აურია ერთმანეთში.

ვინც მთელ მატიანეში ჩაიხედავს, ის პროფესიული ცოდნის გარეშეც ადვილად დაინახავს, რომ ნათესაობა-ჩამომავლობის გამომხატველი ტერმინი — „შვილი“ — მასში ყველგან თავისი საბელით — შვილი — ფიგურირებს, ხოლო სოციალური მდგომარეობის გამომხატველი „ყმა“ — თავისი. ყოველივე ამასთან, მატიანის ერთი და იმავე მოსახსენებელში, ერთი და იგივე დროს, სხვადასხვა ტერმინის — „შვილისა“ და „ყმის“ — ერთი და იგივე მნიშვნელობით მოხსენიება თავისთავადაც გამორიცხულია.

ამასთან, აქაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვ. სილოგავას შიერ სვანეთის სოციალური ურთიერთობისადმი ტენდენციური მიდგომა კარგად ჩანს მის მიერ შედგენილ საძიებელშიც, რომელშიც ტერმინი „ყმიანი“ სულ არაა შეტანილი, რა თქმა უნდა, განგებ გამოტოვა, როდესაც აქ სვანეთის საისტორიო ძეგლები ფაქტობრივად მთლიანად გაიმეორა, ყოველგვარი საჭიროების გარეშე (საერთოდ ეს რა ჯამბაზური საძიებელია?!).

ერთი წუთით დავუშვათ, რომ სოციალურ ურთიერთობაზე და მის გამომხატველ ტერმინოლოგიაზე წერილობითი ძეგლები საერთოდ არ მოგვეპოვება (რაც არცთუ იშვიათია ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში); ასეთ შემთხვევაში რა ვუყოთ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულ და სვანეთის სინამდვილეში დამკვიდრებულ სოციალური შინაარსის მატარებელ ტერმინებს: „ფუსდ-ფუსტ-ფუსთედუ“ (უფალი, შეუფე, ბატონი, თავადი, უფროსი), „ვარგ-აზნაური“, „გლეხი“, „ფამლი“, „ქორსმერდე“, „ლეგდიანე“, „ლაჯიირ“, „ჯალჩი“, „ხასა“, „მოახლე“, „მეთოფე“, „მელიქიფხე“ და სხვ. ნუთუ ყველა მათგანი ვისიმე ძერძო გამონაგონია, სინამდვილისაგან მოწყვეტილი, ცარიელი სიტყვებია. საქმეში გაუთვითცნობიერებელი ზოგიერთი ავტორის აკვიატებული მსჯელობით სვანეთის სოციალური ურთიერთობის კვლევაძიებას და შეფასებას თავიდანვე დასჩემდა უკიდურესი პოზიცია, შრუდე სარკით ყურება, რომლის მიხედვით სვანეთის სინამდვილეში მრავალგზის დადასტურებული ბაზილევსი — „ნამდვილი ბაზილევსი არ არის“, ერისთავი—„ჩვეულებრივი ერისთავი არ არის“ (ასევე მთავარი), ვარგ-აზნაური—„ჩვეულებრივი აზნაური არ არის, („კარგი კმა ან შვგავსი რაღაცაა“), ფუსდ-თავადი — „თავადი არ არის“, გლეხი — „ჩვეულებრივი გლეხი არ არის“ („თავისუფალი მეთემე ან სხვა რაღაცაა“),ყმა—„სოციალური მნიშვნელობის ყმა არაა, არამედ შვილია“, ბეგარა — „ფეოდალური მნიშვნელობის ბეგარა არ არის“, სიგელი —

„ჩვეულებრივი მნიშვნელობის სიგელი არ არის“, ფამლი, ქორსმერდე, ლუდიანე, ლაჯიირ, ჯალჩი — „გლეხის ჩვეულებრივი სოციალური კატეგორიების გამომხატველი ტერმინები არ არის“, სვანეთის ეკლესია — „ქრისტიანულ-ფეოდალური ორგანიზაცია არ არის“, მახვში— „ოჯახის (სახლის) ჩვეულებრივი უფროსი არ არის, გვაროვნული პელადია“ და ა. შ.

არა გვგონია სვანეთის საისტორიო ძეგლებზე მომუშავე სპეციალისტს არ მოეთხოვებოდეს სოციალური შინაარსის გამომხატველი სვანური სპეციფიკური ტერმინების ცოდნა, აგრეთვე, ხსენებული ძეგლებისათვის დამახასიათებელი სვანიზმების გარჩევა, მით უფრო, როცა არაერთხელ გამოცემული ძეგლების ხელახლა გამომცემს ისეთი პრეტენზიაც და მიზანიც გააჩნია, რომ კალმის ერთი მოსმით სურს გააქარწყლოს სვანეთის სოციალურ და პოლიტიკურ ისტორიაზე დაწერილი არაერთი ნაშრომის შინაარსი და იდეა.

ვფიქრობთ, ვ. სილოგავას მიერ სვანეთის სინამდვილეში „ყმის“ და მისთანა ინსტიტუტების შეგნებულ გაყალბებაზე შუა საუკუნეების ძეგლებიდან მეტი დეტალების მოტანა საჭირო არაა. მკითხველისათვის, ალბათ, ისედაც ყველაფერი გასაგებია.

საერთოდ კი დაუჯერებელია, რომ ხსენებული ძეგლების გამომცემელს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაეგო, რომ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას (კუთხის მასშტაბის შესაბამისად) სვანეთშიც ჰქონდა ადგილი, რომ „ყმა“ უეჭველად სოციალურ შინაარსს გამოხატავს (თავისი შინაარსით გლეხს ნიშნავს). ამის უგულებელყოფა არა მხოლოდ სვანეთის სოციალური ყოფისა და ურთიერთობის გაუგებრობაა, არამედ იმ წერილობითი ძეგლების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის უპატივცემლობაც, რომელთა ხელახალ გამოცემას ესოდენი ჯაფა და ენერგია შეელია.

ჩანს, ვ. სილოგავამ შემთხვევით როდი აუარა გვერდი სვანური ფოლკლორისადმი (ენის, პოეზიისა და პროზისადმი) მიძღვნილ კრებულებს (რომლებიც საერთოდ არსად მოიხსენია, უეჭველია, სვანურის უცოდინარობის გამო). გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იგი არაფრით დაემსგავსა სვანური ფოლკლორული ნიმუშების გამშუქებელ ენათმეცნიერ-მკვლევრებს, მათ შორის აკაკი შანიძეს, ეარლამ თოფურიას, მაქსიმე ქალდანს, აკაკი დავითიანს, ზურაბ ჭუმბურიძეს და სხვებს.

ჯერ კიდევ 1939 წელს, როდესაც სვანეთის წერილობითი ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვლენილი და მეცნიერულ ბრუნვაში არ იყო მოქცეული, სვანური ფოლკლორის ნიმუშების შესწავლის საფუძველზე ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ უყოყმანოდ და პირდაპირ დაასკვნეს, რომ ამ ფოლკლორში „შესანიშნავად არის გაშუქებული

ბატონყმური ურთიერთობა სვანეთში და ამ ნიადაგზე გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლა"[69].

გამოჩენილ მეცნიერთა მიერ, ყოველგვარი სქემებისა და წინაზრახული მიკერძოების გარეშე, შეკრებილ და გამოცემულ სვანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ბატონყმური ურთიერთობის მომენტები ასახულია არა მხოლოდ დადიშქელიანების, რიჩგვიანების, გარდაფხაძეებისა და გელოვანების სამფლობელოებში, არამედ ე. წ. „თავისუფალ სვანეთად" წოდებულ ხევებსა და სოფლებშიც (აგრეთვე ლენტეხის თემშიც, რომელიც XVIII საუკუნიდან XIX ს. რეფორმამდე დადიანთა მფლობელობაში იყო), სადაც ჩვენთვის ცნობილ პრივილეგირებულ გვარებს წარმოადგენდნენ: გელოვანები, ყიფიანები, ჩარკვიანები, ჯაფარიძეები, იოსელიანები, ქურდიანები, დევდარიანები, გოშთელიანები, ჟორჟოლიანები და სხვ.[70].

რაკი ზოგიერთი ოპონენტი წარსული ისტორიის კვლევა-ძიებაში წერილობით ძეგლებთან შედარებით კოლოსალურ მნიშვნელობას ანიჭებს ზეპირსიტყვიერებას და ამით ცდილობს წერილობით წყაროთა მონაცემების გაბათილებას, უადგილო არ იქნება ვიკითხოთ — მაინც რამდენ ხანს შეუძლია მოვლენათა შეუცდომლად დახსომება ზეპირსიტყვიერებას, რამდენ საუკუნეს შეიძლება გასწვდეს ის და რამდენ ხანს შეიძლება გასტანოს ამ ფენომენმა წარსული სინამდვილის შეუცდომელ დამახასოვრებაში?

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, ამ თვალსაზრისით გადავხედოთ სვანეთის სოციალურ ურთიერთობათა ისტორიას და ჩვენდამი დაპირისპირებულ ოპონენტთა პოზიციას.

საჭიროდ ვთვლი, აგრეთვე, ჩვენდამი დაპირისპირებულ ვ. სილოგავასა და მის წინამორბედ ზოგიერთ ავტორს შევახსენოთ ის გადმოცემები სვანეთის კლასობრივ-წოდებრივ ურთიერთობაზე, რომელთაც ჩვენი ოპონენტები და „გვაროვნული თეორიის" ავტორები ასე გულდაგულ მალავენ და ჩქმალავენ.

საქმისადმი სუბიექტური მიდგომა რომ არავინ დაგვწამოს, ამ შემთხვევაშიც, დავისა და ტენდენციური წინაზრახვისაგან შორს მდგომ, ზემოხსენებულ ენათმეცნიერთა მიერ ათეული წლების წინ გამოქვეყნებულ სვანური ფოლკლორის მონაცემებს გადავხედოთ.

---

69 სვანური პოეზია, I, თბ., 1939, წინასიტყვაობა (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

70 სვანური პოეზია. I. გვ. 13, 26, 27, 42, 72, 79, 80, 81, 85, 94, 95, 100, 101, 105, 117, 119, 156, 157, 231, 232, 260, 261, 263 სვანური პროზაული ტექსტები, I, გვ. 21, 22, 24, 29; ტ. II, გვ. 81, 107, 122—128, 197—199; ტ. III. გვ. 4, 5, 89, 90, 91, 96, 97, 98, 106, 107, 115; სვანური ენის ქრესტომათია. გვ. 60, 61, 62, 73, 76, 87, 89, 92, 95, 97, 98, 99, 102, 148, 184, 185, 192, 200, 223 და ა. შ.

მკითხველმა უკვე იცის, თუ შუა საუკუნეების სვანეთის სოციალურ-წოდებრივ ურთიერთობაზე ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ რა დასკვნა გამოიტანეს.

ენათმეცნიერ მ. ქალდანის მიერ მესტიაში ჩაწერილ ერთ-ერთ გადმოცემაში ლაპარაკია, ერთი მხრივ, მესტიელ ვარგ-აზნაურ ჯაფარიძეებსა და მათ გლეხებზე, მეორე მხრივ წვირმელ ვარგ-აზნაურ ყიფიანებსა და მათ გლეხებზე. გადმოცემა ამბობს, რომ ყიფიანის გლეხს ჯაფარიძის გლეხი შემოაკვდა. სისხლის საურავის (წორის) მიღებასთან ერთად, ჯაფარიძემ დამნაშავე გლეხი მძიმედ დაბეგრა. ყიფიანს გაჭირვებული გლეხი ეცოდებოდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მას ჯაფარიძის მიერ დაკისრებული ბეგარა არ შეასრულებინა. გადმოცემა გვამცნობს, რომ ამ გარემოებამ მოდავე მხარეებს შორის შეიარალებული კონფლიქტი გამოიწვია.

მეორე გადმოცემა ამბობს, რომ ერთ-ერთი ვარგი ანუ ფუსდ ყიფიანი სოფელ აცში ცხოვრობდა, ამასთან, მან შორს მდებარე ზურულდის სათიბების დაპატრონებაც გადაწყვიტა. ამ მიზნით პირი შეკრა ვარგ ჯაფარიძეებთან (ერთობის განმტკიცებისათვის მათთან დამოყვრება განიზრახა), მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მათ შორის ჭიშპი ჩამოვარდა, რაც მტრობასა და ომში გადაიზარდა. გადმოცემა გვაუწყებს, რომ ერთ მხარეზე ყიფიანები და მათი გლეხები იყვნენ, ხოლო მეორე მხარეზე — ჯაფარიძეები მთელი მესტია-ლენჯერის მოსახლეობით[71].

მესამე გადმოცემა ლატალელი ვარგ ჩარკვიანებისა და ლენჯერლების მტრობას ეხება. ჩარკვიანებს განუზრახავთ სოფელი ხეშკილი ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ ლენჯერლებმა შეუშალეს ხელი; ამასობაში შულახელმა ვარგმა ქურდიანებმა ხეშკილი მაინც დაიკავეს. ამის გამო ჩარკვიანები ძალიან გამწარდნენ, მათ მოილაპარაკეს, რომ ლენჯერსაც ლატალივით დავეუფლებით და მისი ფუსდი (უფალი, ბატონი) შევიქმნებით, ყველა ერთად ვიყრითო. ჩარკვიანები, ლატალელი თავკაცების მეშვეობით, მშვიდობიან მოლაპარაკებას შეუდგნენ, მათ ლენჯერის მოსახლეობას შეუთვალეს, რომ „თუ ჩვენს თავს აირჩევთ ბატონად (ფუსდად), ჩვენი მხრიდან ყველაფერი კარგი მოგელით — რომელ სოფელშიც არ უნდა წახვიდეთ, ჩვენი შიშით ვერავინ ხელს ვერ გახლებთ, ბეგარასაც ცოტას გადაგახდევინებთ, თქვენი ქალიშვილებისაგან პირველი ღამის უფლებასაც არ მოვითხოვთ“[72].

ლატალელი ჩარკვიანები ასეთ კარგ რამეებს პირდებოდნენ თურმე; „თუ არა, მაშინ მესტიელი ვარგები დაგეუფლებათო“ („ეჯფუ-

---

71 სვანური ენის ქრესტომათია. გვ. 61—62.

72 იქვე. გვ. 68 (ხაზგასმა ჩვენია — გ. გ.).

სვნიხ“). ამასთან აშინებდნენ, რომ „ქურდიანები თქვენზე ისედაც გაბრაზებული არიან და როდისმე ლაშქრით მოგადგებიან მულახიდან, მათ მესტიელი ვარგებიც დაეხმარებიან და დასავლეთიდან ჩვენც დაეხმარებით, მაშინ კი ყველაფერი ცუდი მოგივათო“[73].

თქმულება გვეუბნება, რომ ლენჯერის უფროსები ფიქრს მიეცნენ, ჩარკვიანების დანაბარები აწონ-დაწონეს, ბოლოს მოციქულებს უპასუხეს: „ჩვენ ვიბიანები იმიტომ ამოვწყვიტეთ, რომ ფუსდი (ბატონი-უფალი) არ გვინდოდა, არც დღეს გვინდა ფუსდი, ამიტომ შეგვეშვითო“[74].

მოციქულებმა ყოველივე ეს გადასცეს ჩარკვიანებს, რომლებიც კიდევაც შეესიენ ლენჯერს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

მეოთხე გადმოცემაში მოთხრობილია ლენჯერლების მიერ თავიანთი ბატონი (ფუსდ) ვიბიანების ამოწყვეტა: „ვიბიანები ცხოვრობდნენ ლენჯერის თემის სოფელ ნესგუნში, სადაც მათი სახლ-კარი ახლაც დგას. ისინი იმდენად მდიდარი მოსახლე იყვნენ, რომ ერთ სვადიდან შრატს ღვრიდნენ და მეორიდან — სველს. ეს ვიბიანები ლენჯერის ბატონები (ფუსდარ) იყვნენ და მთელი სოფელი დაბეგრილი ჰყავდათ. ისინი ხან რას მოითხოვდნენ ბეგარად და ხან რას. ისეთი ძლიერი იყვნენ, რომ თავიანთ უკითხავად გზაზეც არავის ატარებდნენ, ამიტომ ძალიან შეწუხებული ჰყავდათ სოფელი და სხვაც“[75].

გადმოცემა ამბობს, რომ „ერთხელ ვიბიანების უკითხავად მათ გზაზე ჯორით გაიარა ერთ-ერთმა ვარგმა ჯაფარიძემ. როცა ეს ვიბიანთა უფროსმა შეიტყო, ლატალისკენ მიმავალ ჯაფარიძეს დაეწია, ტყვია დაახალა და ჯორიდან გადმოაგდო“[76].

„ასეთი უდიერი იყვნენ ვიბიანები და ლენჯერსაც ძალიან მობეზრდა მათი ბატონობა. რომელიმე მოსახლეში რაც კარგი გამოჩნდებოდა, ყველაფერი მათ მიჰქონდათ. კარგი ქალიშვილი და ქალიც პირველად მათ უნდოდათ. ყველაფერი ეს ლენჯერლებს მოსწყინდათ და ვიბიანების ღალატი მოილაპარაკეს“[77].

გადმოცემა გვეუბნება, აგრეთვე, რომ „ლენჯერლებმა ერთ ღამეს შეთქმულება მოაწყვეს და ყველა ვიბიანი ამოწყვიტეს, გარდა მათი ერთი რძლისა, რომელიც იოსელიანთა ასული იყო, თანაც ფეხმძიმე. მაგრამ გზაზე მიმავალ (გაქცეულ) იოსელიანის ამ ქალს ქადილი და-

---

73 სვანური ენის ქრესტომათია. გვ. 68.

74 იქვე.

75 იქვე, გვ. 69 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — გ. გ.).

76 იქვე.

77 იქვე.

უწყია, ამიტომ ლენჯერლებმა მოილაპარაკეს, რომ მას ვიბიანი ჰყავს მუცელში და ნუ გაუშვებთ, თორემ მოვინანთო. ამასობაში მასაც უკან დაედევნენ და მუცელი გამოუფატრეს"[78].

აღსანიშნავია, რომ იგივე ვიბიანების ბატონობაზე ლენჯერში სხვა მრავალი გადმოცემაც მოგვითხრობს (ისინი ყველგან ვარგისა და ფუსდის სახით მოიხსენიებიან)[79], თუმცა ამ გვარეულობათაგან XIX საუკუნეში არავინ ჩანს, ამასთან, ამ საუკუნეში ლენჯერში არც სხვა პრივილეგირებული გვარი შემოგვრჩა. ამ მხრივ ის ერთ-ერთი „დემოკრატიული" თემია ე. წ. მთელს ბალსზემო სვანეთში.

საგულისხმოა ისიც, რომ ვიბიანების გადაშენება თუ ამოწყვეტა, ლეგენდების მიხედვით, ცეცხლმსროლელ იარაღთანაა (თოფთანაა) დაკავშირებული, ე. ი. გვიან დროსთან (არაუადრეს XVII—XVIII სს.), რაც ადასტურებს, აგრეთვე, ჩვენს მიერ ადრე გამოთქმულ ვარაუდს სვანეთში წოდებრივ-კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასა და სოციალური ურთიერთობის გარდატეხაზე XVII—XVIII საუკუნეებში[80].

მსგავსი გადმოცემა არსებობს, აგრეთვე, მულახ-მუჟალის სოფელ ჟაბეშის ვარგზე (გვარი არაა დასახელებული), რომელიც მუჟალ-მულახის ფუსდი (ბატონი) იყო. გადმოცემით, ის მდიდარი და მედიდური კაცი იყო, ყველა დაბეგრილი ჰყავდა. თუ მას რომელიმე ქალიშვილი მოეწონებოდა, უარის თქმას ვერავინ უბედავდა, თუ ვინმეს ხარი ან ძროხა მოეწონებოდა, უფასოდ მიჰყავდა ან ცუდ პირუტყვში უცვლიდა. ამ ვარგმა, უდიერი ქცევით, ისე მოაბეზრა თავი ყველას, რომ ბოლოს, ჟორჟოლიანების მეშვეობით, ღალატით მოკლეს[81].

სვანეთის სხვადასხვა კუთხის, მათ შორის ე. წ. ბალსზემო სვანეთის, ხევებისა და სოფლების პრივილეგირებულ გვარეულობათა მდგომარეობასა და უპირატესობაზე არაერთი ფაქტი და გადმოცემა აქვთ აღწერილი უცხო მკვლევრებსა და ეგზოტიკის მოყვარულ მოგზაურებს, მათ შორის: ლობანოვ-როსტოვსკის, ბარტოლომეს, მ. კოვალევსკის, ი. ივანიუკოვს და სხვა მრავალს.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი სოციოლოგ-მკვლევრები მ. კოვალევსკი და ი. ივანიუკოვი ე. წ. „გვაროვნული შეხედულების" ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ (ყოველმხრივ ამუქებდნენ კავკასიის მთიელთა ყოფა-ცხოვრებას), არც ერთ შემთხვევაში არ უარყოფდნენ არამცთუ დადიშქელიანთა ბატონობას, არამედ ე. წ. ბალსზემო სვა-

---

78 სვანური ენის ქრესტომათია. გვ. 69.

79 იქვე, გვ. 72. 5.

80 იხ. გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. გვ. 201—241.

81 სვანური ენის ქრესტომათია, გვ. 95—96.

ნეთის აზნაურთა მემკვიდრეობით და ფაქტობრივ პრივილეგიებს. მათი რწმუნებით, ხსენებულ აზნაურებს არა მხოლოდ შინაყმები (რომელთა ნაწილი ძვირად იყო სხვაგან ნაყიდი) ჰყავდათ, არამედ არაერთი გლეხიც ემორჩილებოდათ. მკვლევრებს ამის მაგალითად მიაჩნიათ მესტიაში ჩაწერილი ერთ-ერთი გადმოცემა, რომლის მიხედვით მესტიის გლეხები ჯაფარიძეებს ღალას უხდიდნენ და შრომით ბეგარას უსრულებდნენ, ამასთან, მგზავრობისას დაყვებოდნენ.

ცნობილი მკვლევრების მიერ გამოქვეყნებული გადმოცემა გვაუწყებს: ერთ დღეს ჯაფარიძემ შენიშნა, რომ მისი გლეხი არ გამოცხადდა სამუშაოდ, ამიტომ ცემა დაუწყო მას. მოთმინებადაკარგულმა გლეხმა, ამის საპასუხოდ, ხმაური ატეხა და თავისი აზნაური მოკლა. მალე მთელი მესტიის გლეხობა შეიყარა და შეტაკების შედეგად მრავალი ჯაფარიძე დახოცა[82].

აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ჩვენი ოპონენტების მსგავსად, არც ერთ უცხო მკვლევარს თუ მოგზაურ-დილეტანტსაც კი არ უარუყვია სვანეთში აზნაურების არსებობა (თუნდაც ე. წ. ბალსზემო სვანეთში), არ უარუყვია აგრეთვე მათი იურიდიული და ფაქტობრივი პრივილეგიები, თუმცა რეფორმის დროს ეს უფლებები უკვე ბევრად იყო შელახული და შეკვეცილი.

უნდა ითქვას, აგრეთვე, რომ გაკვირვებას იწვევს არა მხოლოდ ისტორიის სფეროში გაუცნობიერებლი ზოგიერთი დილეტანტის პრეტენზიულ-ამბიციური აზროვნება სვანეთის სოციალური ყოფის განვითარების შეფასებაში, არამედ კვლევის ის მეთოდი, რომლითაც ზოგიერთმა ასე გამოიჩინა თავი სვანეთში (აგრეთვე საქართველოს მთის სხვა რეგიონში) „პირველყოფილური", „თავისუფალი და თანასწორუფლებიანი" ცხოვრებისა და ურთიერთობის „მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი გადმონაშთების აღმოჩენაში", როდესაც, თითქოს „დაუცხრომელი" საველე ძიების მიუხედავად, იქ ფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელ წოდებრივი ურთიერთობის ინსტიტუტებს „ვერსად წააწყდა". და, ეს მაშინ, როდესაც სვანური ფოლკლორის კვლევისას, ხსენებულმა ენათმეცნიერებმა კლასობრივ-წოდებრივ ურთიერთობაზე, შემთხვევით, ასეთი უხვი მასალა მოიპოვეს.

შესაძლებელია, ზოგიერთის მიერ კლასობრივი ინსტიტუტების მოუძიებლობა სვანეთში, ნაწილობრივ მაინც, სვანური ენის უცოდინარობით აიხსნას, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ყველაფერი ცალმხრივად ინახა — თუ ასეთი ძიება წინდაწინ არ იყო გამიზნული.

---

82 В Сванети, из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского. — Вестник Европы, т. 4, кн. 8-я, 1886.

აი, ის საკითხები, რომლებიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ზოგიერთი მკვლევრისა და მაძიებლის შემოქმედების ობიექტურობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთის თვალსაწიერით, სვანეთში (და არა მხოლოდ იქ, არამედ საერთოდ საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში) ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა არ შეიძლება დამკვიდრებულიყო იმიტომ, რომ „ის მთიანი და მწირი მხარეა“ და თითქოს ამის გამო „იქ ზედმეტი პროდუქტი არ იწარმოებოდა“. რა თქმა უნდა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, უთუოდ მოქმედებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთიან-მწირი პირობების გამო სვანეთი ჩამორჩებოდა საერთო ქვეყნის ბარის რიგ რეგიონებს, წერილობით, აგრეთვე მატერიალური კულტურის ძეგლებიდან (აგრეთვე სულიერი კულტურიდან) ჩანს, რომ საქმე არც ისე ყოფილა, როგორც ამას ზოგიერთი წარმოგვიდგენს. თუ არა ზედმეტი პროდუქტი და გაბატონებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საიდან შეიძლებოდა ქვემოთ ჩამოთვლილ სახლებს ეკლესიისათვის ესოდენ დიდი ქონება შეეწირათ, მაგალითად, ბურნაყ ბაბიანის სახლმა — სამი ათასი თეთრი; ყორმიშხუ გოშუანის — ოცდაათი ათასი; დადიშქელიანის (სახელი არ ჩანს) — ოცდათხუთმეტი ხარი; ციოყ დადიშქელიანის — ოცდაათი ათასი; ჭეყან დადიშქელიანის — ოცდაათი ათასი თეთრი; ბიჭუ ვილვანის (sic) — ორმოცდაათი საკლავი; ბაბაში კვიციანის — ორმოცდახუთი ხარი; მილდანთა სახლმა — ორმოცი საკლავი; ლომინ პაკელიანის — ოცდაათი ათასი თეთრი; აზარეთ შგერიანის — ორმოცდაათი საკლავი; მირზა ჩარკვიანის — ოცდაათი ათასი თეთრი; ჯანყვათ ჩარკვიანის — ოცდაათი ათასი თეთრი და ა. შ.[83].

საკითხავია — ნუთუ ყველაფერი ეს, რაც მატიანეშია ჩამოთვლილი, ზღაპარია. ან საიდან შეიძლებოდა ამდენი ქონების დაგროვება და გასხვისება, თუ არა ექსპლუატაციით მიღებული ზედმეტი პროდუქტი?!

როგორც ვხედავთ, არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ამას ზოგიერთი ჭრის და კერავს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისეთი ძნელბედობის დროს როდესაც საქართველო და თვით სვანეთიც დაშლილ-დაქუცმაცებული იყო მრავალ ნაწილად, როდესაც ქვეყანა მოძალადე მტრების მუდმივი თავდასხმებისაგან (აგრეთვე ძმათამკვლელი შინა ომებისაგან) იყო დასუსტებული, სვანეთის შეძლებულ მოსახლეობას რამდენი ქონება მოუხვეჭია.

---

[83] ვ. სილოგავა, დასახელებული კრებული, გვ. 273—304.

არა გვგონია ყველაფერი ეს იმ გამოგონილი მსოფლმხედველობის უსაფუძვლობაზე არ მეტყველებდეს, რომლის მიხედვით „მთური, მწირი და სუსხიანი პირობების გამო სვანეთში ზედმეტი პროდუქტის წარმოება და მითვისება შეუძლებელი (ან თითქმის შეუძლებელი) იყო“.

კვლავ საკითხავია — თუ არა ზედმეტი პროდუქტი, საიდან შეიძლებოდა სვანეთში გაჩენილიყო ამდენი ეკლესია (XIX ს. ბოლოს მარტო სვანეთში 200-მდე ეკლესია აღირიცხა), მათი ესოდენ მდიდრული და უხვი შემკულობა, უამრავი ციხე-კოშკი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი და სხვ.

როგორც არაერთხელ ვნახეთ, ტენდენციურად მოაზროვნე, ზოგიერთი ეთნოგრაფის მიმდევარი ვ. სილოგავას საგანგებო კომენტარები სვანეთის წერილობით ძეგლებზე, რომლებიც სოციალურ სტრუქტურას, საზოგადოების წოდებრივ დაყოფას ეხება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს სვანეთის საგლეხო რეფორმის მასალებიდან. მიუხედავად თავისი ფისკალური (ფინანსური) ინტერესებისა, მეფის მთავრობამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ცნო დადიშქელიანების, გელოვანებისა და გარდაფხაძეების ბატონყმური უფლებები (რომ არაფერი ვთქვათ დადიანებზე, რომელთაც XVIII საუკუნიდან უშუალოდ დაიქვემდებარეს ლენტეხის თემი); ამასთან, რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა, ჯერ კიდევ 1832—1833 წლებში, აღიარა დადიშქელიანების მებატონური უფლებები („ვლადეტელნი კნიაზებად“ ცნო), რისთვისაც სათანადო სიგელები („ბრწყინვალების“ ეპითეტით) და ხელისუფლების ნიშნები უბოძა.

ჩანს, ამბიციებით შეპყრობილი ვ. სილოგავა არამცთუ წერილობითი ძეგლების დოკუმენტურ მონაცემებს და ჩვენ არ გვიჯერებს, არამედ არ ცნობს რუსეთის იმპერიის მესვეურთა მიერ სვანეთის თავადებისადმი მიცემულ ოფიციალურ სიგელებს — ბატონყმური მართვა-გამგეობის უფლებების შესახებ. არანაკლებ საკვირველი და სამწუხაროა ის, რომ ყოველივე აღნიშნული ვ. სილოგავას სპეციალურ ზეგავლენითაც მოსდის. ამის კვალი კარგად ჩანს, თუნდაც მის მიერ გამოყენებული ლიტერატურის სიიდან, რომელშიც იშვიათად ან სულ არ ჩანს სვანეთის (და არა სვანურ) წერილობით ძეგლებზე დაფუძნებული საისტორიო გამოკვლევების დასახელება, როცა კრებულის სათანადო სიაში (გვ. 8—17) ისეთებია ჩამოთვლილი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ საქმესთან.

ეტყობა, ვ. სილოგავას არაფერი გაუგია არა მხოლოდ იმაზე, რომ თვითმპყრობელობამ ჩუბეხეეის დადიშქელიანებს (კონსტანტინეს სახ-

ლიკაცებსა და ცოლ-შვილს), ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმის გატარებამდე (მიუხედავად კონსტანტინეს მიერ 1857 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა და მისი თანამშრომლების დახოცვისა), ყმამამულის საფასურად 150 ათასი მანეთი (ვერცხლით) მისცა[84], არამედ იმაზეც, რომ საგლეხო რეფორმის დროს გარდაფხაძეებს (გალფხანებს) 127 კომლი ყმა-გლეხის (520 მამრ., 361 მდედრ. სული), ხოლო გელოვანებს 288 კომლი ყმა-გლეხის (842 მამრ., 580 მდედრ. სული) განთავისუფლებისათვის სოლიდური თანხა მიეცათ[85].

ვ. სილოგავასათვის სრულიად გაუგებარი დარჩა, აგრეთვე, არა მხოლოდ მის მიერ (ზოგიერთი დამატებით) გამოცემული ე. წ. სვანეთის „მეორე მატიანის" სოციალური შინაარსი, არამედ ისიც, რომ დადიშქელიანთა უმცროსი შტოს წარმომადგენლებმა რეფორმის შედეგად ეცერ, ცხუმარ, ბეჩოს ყმა-მამულში დიდი თანხაც მიიღეს და ამასთან ერთად, რამდენიმე ათასი დესეტინა მიწაც დაიტოვეს[86].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVII საუკუნიდან თავისებური ვითარება შეიქმნა ე. წ. ბალსზემო სვანეთში (რის გამო მას XIX საუკუნეში „თავისუფალი სვანეთი" ეწოდა), სადაც ვერც ერთი აზნაური ვერ დაეუფლა მთელ მხარეს, პირველობა ვერ მოიპოვა და ვერ გათავადდა; ამასთან, ცენტრალური ხელისუფლების მხრივ მხარდაჭერის გარეშე სვანეთის სხვადასხვა ხევის წვრილმა აზნაურებმა თანდათან დაკარგეს ძალაუფლება და პრივილეგიების ნაწილი. რის გამოც XIX საუკუნეში ბატონყმურ ურთიერთობას იქ უფრო სიმბოლური ხასიათი ჰქონდა. ამას მოწმობს მეფის მოხელეთა ოფიციალური მონაცემები, რომელთა მიხედვით, იქაური 31 კომლი აზნაური 151 შინაყმას ფლობდა (ვ. სილოგავას ინტერპრეტაციით, წერილობით ძეგლებში ფიქსირებული „ყმები" შვილებს ნიშნავს, აქ დასახელებული და ზემოჩამოთვლილი ყმები—ვისი შვილები იყვნენ ნეტავი?!). დამოკიდებული თითოეული გლეხის კომლი თავის აზნაურს წელიწადში 20 კაპიკიდან 5 მანეთამდე ღირებულების გადასახადს უხდიდა, აგრეთვე წელიწადში ერთხელ უმასპინძლდებოდა. აზნაურებს შერჩათ აგრეთვე პრივილეგია სისხლის საურავში (ორმაგი სისხლი) გადამწყვეტი ხმის უფლებაში და სხვ.[87].

---

84 იხ. გ. გასელიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 317.

85 Документы по истории Грузии (1862—1917 гг.), т. I, ч. 1, под ред. Ш. К. Чхетия, Тбилиси, 1954, с. 422 (доп. № 1).

86 Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, составил проф. П. В. Гугушвили, Тбилиси 1950, с. 527—537; ა. ჩარკვიანი. სვანეთი. თბ., 1967, გვ. 96—101; გ. გასელიანი. დასახელებული შრომა. გვ. 340—344.

87 Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, сост. П. В. Гугушвили, Тбилиси, 1950, с. 517—523; С. А. Авалиани. Крестьянский воп-

ეს გარემოება თვითმპყრობელობამ საკმარისად არ მიიჩნია სვანეთის აზნაურთა ბატონყმური უფლებების ცნობისათვის. მით უფრო, რომ ამ უფლებების ცნობა ფულადი გასამრჯელოს გაღებას ითვალისწინებდა და ხელისუფლების ფისკალურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ამასთან, სვანეთის აზნაურებს თითქმის არავითარი დამსახურება არ მიუძღოდათ მეფის მთავრობის წინაშე, პირქით, ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ მის რეჟიმსა და ღონისძიებებს. ყოველივე ამანაც უარყოფითი როლი შეასრულა მათი პრივილეგიებისა და უფლებების ცნობაში. ასეთ ვითარებაში სვანეთის აზნაურებს ებრძანათ თანდათან აეღოთ ხელი შინაყმებზე.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სვანეთის აზნაურები გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ. ცნობილია, რომ მეფის თვითმპყრობელობამ საქართველოს თავად-აზნაურთა უფლებები რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებისთანავე არ ცნო, ამ საქმის განხილვა 40 წელიწადზე დიდხანს გაგრძელდა. ამასობაში, მიუხედავად თავადაზნაურული ჩამომავლობისა, ბევრს (სხვადასხვა საბაბით) უარი ეთქვა წოდებრივ ღირსებაში დამტკიცებაზე, მათ შორის სვანეთის აზნაურებსაც. ამ საქმეში გარკვეული როლი ითამაშა იმანაც, რომ სვანეთის ის მხარე, სადაც აღნიშნული აზნაურები ცხოვრობდნენ, რუსეთმა ფაქტობრივად მხოლოდ XIX საუკუნის 50-იან წლებში შეიერთა. ამიტომ იქაური აზნაურების წოდებაში დამტკიცების საკითხი ფაქტობრივად არც კი განხილულა რეფორმამდე.

ყოველივე ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ვ. სილოგავა ზერელედაც კი არ იცნობს შუა საუკუნების სვანეთის სოციალური ურთიერთობის შინაარსს, სათანდო მომზადებისა და ცოდნის გარეშე ჯიქური ამბიციებით იჭრება მისთვის უცხო სფეროში.

2. მთიანეთის ისტორიის პრობლემა კრებულში—„საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში"[88]

კრებულის მიზანია ფეოდალური საქართველოს მთიანეთის განვითარების სპეციფიკის წარმოჩენა და გაშუქება, მისი დონის შეფასებისას სადავოდ გამხდარი საკითხების გადაჭრა და ერთიანი აზრის შემუშავება.

рос в Закавказье, т. II. Одесса, 1913, с. 50; ვ. გასვიანი. დასახელებული შრომა. გვ. 259—348.

88 გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1983.

კრებულში გამოქვეყნებულ გამოკვლევებში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია წამოყენებული და მართებულად გაშუქებული, მათ შორის ზოგიერთი სიახლითაც გამოირჩევა.

ჩვენი აზრით, მოსაწონია ა. კაცაძის სოციოლოგიური გამოკვლევა მთის მოსახლეობის მიგრაციაზე. ავტორი შეგვახსენებს, რომ მიგრაცია სასიცოცხლო მოთხოვნილებითაა ნაკარნახევი—უკეთესი საარსებო პირობების მიღწევის სურვილით არის განპირობებული. მისი განსჯით, მიგრაციული პროცესები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი საშუალებითა და გზით ხორციელდებოდა. ნაშრომში გათვალისწინებულია, რომ პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში (განსაკუთრებით შეგროვებითი მეურნეობის დროს) უკეთესი პირობების ძებნა სტიქიურად, ერთი ტომის მიერ მეორის შევიწროება-განდევნის გზით ხდებოდა. კლასობრივ საზოგადოებაში საწარმოო ძალების უთანაბრო განვითარებამ და მოსახლეობის არაპროპორციულმა მატებამ მიგრაციის იძულებითი და ძალდატანებითი ფორმები წარმოშვა. ამასთან, მანქანური შრომის პირობებში მიგრაციის კანონზომიერი წარმართვა და რეგულირებაც შესაძლებელი გახდა.

გასაზიარებელია ა. კაცაძის შეხედულება საქართველოში მიგრაციული პროცესების მიზეზებზე, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილზე დაყრდნობით ის დაასკვნის, რომ ჩვენში მიგრაციული პროცესები არსებითად მთისა და ბარის სამეურნეო-კულტურულ ურთიერთობაზე დაიყვანება: მთას ბარი სჭირდებოდა, როგორც დაწინაურებული მეურნეობისა და კულტურის მხარე, ხოლო ბარს — მთა, როგორც ჭარბი მწარმოებლური კლასისა და მესაქონლეობის მხარე (ზოგჯერაც როგორც მცველი და თავშესაფარი), რაც ქართველი ხალხის ერთიანობისა და არსებობის საფუძველიც იყო[89].

მისაღებია აგრეთვე რ. თოფჩიშვილის მსჯელობა აღმოსავლეთ საქართველოს მიგრაციული პროცესების მიმდინარეობასა და კანონზომიერებაზე. მისი აზრით, ჭარბი მოსახლეობის მიგრაცია მთიდან ბარში ერთბაშად არ ხდებოდა, რადგან მთის ბუნებრივ პირობებს შეზრდილ ადამიანს არ შეეძლო მეურნეობრივად და კლიმატურად განსხვავებული ბარისადმი ერთბაშად შეგუება, ამიტომ თავდაპირველად ის გარდამავალ ზოლში (ზეგანზე) სახლდებოდა (მაგალითად, ერწო-თიანეთში და ივრის ხეობაში). ახალ გარემოსთან ფიზიოლოგიური და მეურნეობრივი შეგუების შემდეგ მთიელი ზეგნიდან ბარში მიეშურებოდა. ასეთი პროცესის შედეგად ივსებოდა და შენდებოდა მტრისაგან ან სხვა მიზეზით დაცლილ-გაპარტახებული ზეგანი და ბარი.

---

89 საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, გვ. 3—5.

რაოდენ მაცოცხლებელი მნიშვნელობა ჰქონდა ბარისათვის მთიდან მიგრაციას, ამის საილუსტრაციოდ რ. თოფჩიშვილი ასახელებს შაჰ-აბასის მიერ გაევრანებული ბარისა და ზეგანის აღდგენას XVIII საუკუნეში მთიელთა მიერ[90].

ავტორის განსჯით, გვიან შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს ბარი მთიელებით ივსებოდა (ასევე ხდებოდა დასავლეთ საქართველოშიც). რ. თოფჩიშვილი ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც ტერიტორიულად და მოსახლეობით პატარა ქვეყნის, მთისა და ბარის ერთიანობასა და განუყოფლობას.

„აფხაზთა სამეფოში" მთური ელემენტის პრობლემას ეხება შ. ბადრიძე. რომლის აზრით, მთა და მისი მოსახლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების ფორმირებასა და ტრანსფორმირებაში. საქართველოს სახელმწიფოში ბარული და მთური კომპონენტები ერთიმეორეში იყვნენ შეზრდილი და ერთ მთელს ქმნიდნენ[91]. ავტორი ძირთადად სწორად განსაზღვრავს მთისა და ბარის განსხვავებული ყოფისა და სტრუქტურის მიზეზებს, რომ მთასთან შედარებით ბარი მეტ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს განიცდიდა, უფრო სწრაფად და მასშტაბურად წინაურდებოდა და სხვ. ამასთან, ჩვენი აზრით, შ. ბადრიძე ზოგჯერ აზვიადებს გეოგრაფიული გარემოს როლს საზოგადოების განვითარებაში, ნაკლებ ანგარიშს უწევს სახელმწიფოებრივად ერთიანი ქვეყნის მთა-ბარის სიახლოვეს და მათ ერთიანობას. ამის შედეგია მის მიერ მთის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი განვითარების „პრიმიტიულ დონეზე" წარმოდგენა, იმისი მტკიცებაც. რომ თითქოს მთა მორწყვით სისტემას არ იცნობდა და იქ მხოლოდ მესაქონლეობა არსებობდა. დამაჯერებლობას მოკლებულია მსჯელობა ქართველ მთიელთა კოლექტიურ აბრაგობასა და მეკობრეობაზე. აღნიშნული ნარკვევისათვის ნიშანდობლივია საქართველოს მთა-ბარის განვითარების პოლარული დაპირისპირება. ავტორი წერს: „... საქართველოს ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში მთამ ვერ წარმოშვა მაგალითად ქალაქი, რომელიც საკმაოდ ძლიერ ფაქტორს წარმოადგენდა წინაფეოდალური და ფეოდალური ხანის ბარში"[92].

ავტორი, ჯერ ერთი, ჩანს, ანგარიშს არ უწევს არა მარტო იმას, რომ საქართველოს ამა თუ იმ ქალაქის წარმოშობა-განვითარებაში მთის მოსახლეობაც მონაწილეობდა, არამედ მთის მასშტაბსაც. ქალაქის წარმოშობა-განვითარებისათვის, სხვა გარემოებასთან ერთად, აუცილებელი იყო კომპაქტური მოსახლეობის გარკვეული მინიმუმი

---

90 დასახელებული კრებული, გვ. 12.

91 იქვე, გვ. 18.

92 იქვე. გვ. 19.

მაინც. მთის მცირერიცხოვანი მოსახლეობა გადაჭიმული იყო კავკასიის ქედის სამხრეთ კალთების ვიწრო ხეობებში, გეოგრაფიულად ერთიმეორისაგან მოშორებით, რის გამოც ისინი ერთიმეორესთან უფრო სუსტად იყვნენ დაკავშირებული, ვიდრე ბართან. ამასთან, ქალაქისათვის აუცილებელი იყო ვრცელი ტერიტორია, კომუნიკაციები და სხვ. უამპირობოდ შეუძლებელი იყო ქალაქის წარმოშობა და განვითარება. მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქართველოს მთის ზოლში ზოგან მაინც წარმოიშვა შესაბამისი მასშტაბის ე. წ. „ქალაქული სახელოსნო" — სავაჭრო ცენტრები და ბაზრობები, მაგალითად, ონში (მთა რაჭაში), ცაგერში, ლაშხეთში („ქალაქოლ"), სეტში, ლაილაშში და სხვ.

არამცთუ წინაფეოდალურ, არამედ გვიან საშუალო საუკუნეებშიც კი ბარის საქართველოც მაინცდამაინც არ გამოირჩევა ქალაქების სიმრავლით და განვითარებული საქალაქო ცხოვრებით. მით უფრო დასავლეთ საქართველო. სადაც ქუთაისის გარდა (რომელიც არცთუ დიდი მასშტაბისა იყო), ფაქტობრივად, არც ერთი განვითარებული ქალაქი არ არსებობდა. მსგავსი სურათი იყო სამხრეთ საქართველოშიც, რომელიც, ავტორის რწმენებით, განვითარებული ფეოდალური მხარე იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი ქალაქი ვერ წარმოშვა. ყოველივე ამის გამო მთისადმი მიდგომისას მასშტაბის შესაბამისი ზომიერების დაცვაა საჭირო (ამგვარი საკითხი საერთოდ არ უნდა დასმულიყო). მთავარი კი ისაა, რომ მთასა და ბარზე მსჯელობა ისტორიული სინამდვილის ფრთხილ ანალიზს უნდა ემყარებოდეს და არა ზოგად დაუსაბუთებელ საუბარს.

დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (სვანეთის, რაჭისა და ლეჩხუმის მაგალითზე) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დახასიათებას თ. ბერაძე არსებითად სწორად წარმოგვიდგენს. იგი იზიარებს იმ აზრს, რომ შუა საუკუნეებში სვანეთის საზოგადოება ფეოდალურ წოდებებად იყოფოდა, რომ გვიან საშუალო საუკუნეებში სვანეთში რამდენიმე სათავადო სახლი ჩამოყალიბდა. ავტორი მხარს უჭერს, აგრეთვე, იმ მოსაზრებას, რომ სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე დარჩენამ უარყოფითად იმოქმედა სვანეთის განვითარებაზე, იქაურ აზნაურთა სოციალურ და პოლიტიკურ სტატუსზე, რომ XVIII საუკუნეში სვანეთში ფეოდალური ურთიერთობის რეგრესი მოხდა, შესუსტდა აზნაურთა ძალაუფლება გლეხობაზე და ზემო სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილი „უბატონო" თემების კრებულად გადაიქცა"[93].

---

93 დასახ. კრებული, გვ. 30.

თ. ბერაძის განსჯით, ფეოდალურ-დამოკიდებულებით ურთიერთობის ნაწილობრივ ლიკვიდაციის პროცესი მოხდა მთა რაჭაში (ე. წ. ბასლზემო სვანეთის მსგავსად), სადაც მოსახლეობის მეხსიერებაში დღემდე არ წაშლილა მებატონე არეშიძეების ამოწყვეტა[94]. ავტორი ასევე სამართლიანად შენიშნავს სასოფლო თემის არსებობასა და მოქმედებას ლეჩხუმში და ბარის სხვა რეგიონებში[95].

ამასთან, ზოგი რამ თ. ბერაძის გამოკვლევაშიც სადავო ან დასაზუსტებულია; კერძოდ, ავტორის აზრით, ლეჩხუმი XIII—XIV საუკუნეებში თავისი სოციალური განვითარებით არ ჩამორჩებოდა იმერეთის მოწინავე მხარეებს, შემდეგ თითქოს იქ ფეოდალური განვითარების უკუპროცესი მოხდა, ფეოდალური სახლები გაქრენ, ლეჩხუმი აზნაურთა ქვეყნად გადაიქცა და სამეფო დომენი გახდა, ხოლო XVII საუკუნიდან კვლავ დაწინაურდა, რადგან იქ სათავადოები ჩამოყალიბდა[96].

მიგვაჩნია, რომ თავისი სოციალური განვითარებით ლეჩხუმი იმერეთისა და რაჭის ანალოგიური მხარე იყო და იმის გამო, რომ იქ ფეოდალური სახლები ყალიბდებოდა თუ ისპობოდა, ლეჩხუმის სოციალური განვითარების პროგრესზე თუ ჩამორჩენილობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. XIII—XIX საუკუნეების ლეჩხუმის ფეოდალური იერარქიულობა სადავო არ არის (მიუხედავად მისი მთური მდებარეობისა!), ხოლო ფეოდალური სახლების არსებობა და დაშლა-გაქრობა კერძო მნიშვნელობისაა, იგი სამეფო ხელისუფლებასა და თავადებს შორის დამოკიდებულებას უფრო გამობატავს, ვინემ ფეოდალური ურთიერთობის პროგრესსა თუ რეგრესს.

არასწორია ისიც, რომ თითქოს 1361 წელს სვანთა გამოსვლაში ბაგრატ მეფის (მეხუთის) წინააღმდეგ ერისთავ ვარდანისძეთა (ფარჯანიან-მარუშიანთა) საგვარეულოს მონაწილეობა არ მიეღოს, თითქოს იმის გამო, რომ სამეფო ხელისუფლებამ სვან წარჩინებულებს ფულადი სუბსიდიების მიცემა შეუწყვიტა (?). სვანებმა გადააყენეს უკანასკნელი ერისთავი ვარდანისძე და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდნენ, თითქოს გელოვანები, ფაქტობრივად, მხოლოდ ქვემო სვანეთის ერისთავებს წარმოადგენდნენ და სხვ.[97].

---

94 დასახ. კრებული, იქვე, გვ. 31—32.

95 დასახელებული კრებული, გვ. 32; თ ბ ე რ ა ძ ე. სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. № 1, 1976, გვ. 225—228.

96 დასახელებული კრებული, გვ. 32.

97 იქვე, გვ. 29.

უნდა ითქვას, რომ აქ ჩამოთვლილი არც ერთი დებულება რაიმე საბუთებსა და წყაროებს არ ემყარება. ის კი ცნობილია (ქართლის ცხოვრებისა და სხვათა საფუძველზე), რომ ვარდანისძეთა ერისთავობის ლიკვიდაცია ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ სვანთა 1361 წლის აჯანყების მიზეზით მოხდა. ამის შემდეგ სვანეთის ერისთავებად გელოვანები დაინიშნენ[98]. თუ არა ვარდანისძეთა მონაწილეობა აჯანყებაში, სხვანაირად მათი გადაყენებისა და ჩამომცრობის მიზეზი აუხსნელი დარჩებოდა.

ცნობილია, რომ თავადთა წოდება მხოლოდ XIV—XV საუკუნეებიდან ჩამოყალიბდა, იქამდე კი გაბატონებულ წოდებას აზნაურობა წარმოადგენდა. ამასთან, თავადაპირველად (თავადთა წოდების თავდაპირველი ჩამოყალიბებისას) აზნაურობა გაცილებით მეტი თავისუფლებით სარგებლობდა, ვიდრე გვიან საშუალო საუკუნეებში, როდესაც აზნაურობა, როგორც დამოუკიდებელი მეურნე, თითქმის გაქრა. ამასთან, გვიან საშუალო საუკუნეების აზნაურთა მეტ-ნაკლები თავისუფლება თუ დამოკიდებულება არ გამოდგება ლეჩხუმის არც თავისებურებების და არც ჩამორჩენილობის მაჩვენებლად, თუნდაც იმიტომ, რომ ფეოდალური ურთიერთობის აყვავების დროს აზნაურობა გაცილებით მეტი თავისუფლებით სარგებლობდა, ვიდრე გვიან საშუალო საუკუნეებში, თან ლეჩხუმის აზნაურობას (როგორც სამეფო მოლაშქრეებს) მეფის ხელისუფლება იცავდა.

ისტორიული წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ლ. ტუხაშვილი ახასიათებს ქიზიყის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას და საფუძველმოკლებულად მიიჩნევს იმის მტკიცებას, „თითქოს ქართული ფეოდალიზმის საერთო ოკეანეში ქიზიყის სახით რაღაც „დემოკრატიულ“ („კაზაკურ“) საზოგადოებასთან გვქონდა საქმე“. მისი აზრით, ქიზიყის სოციალური სტრუქტურა, სხვა რეგიონების მსგავსად, ფეოდალურ საქართველოს საერთო ჩარჩოში თავსდება[99]. მისივე განსჯით, ქიზიყის მოსახლეობა წარმოადგენდა სამეფო-სახასო და საეკლესიო ყმა-გლეხობას[100].

ავტორის დაკვირვებით, უსაფუძვლოა აგრეთვე მტკიცება, თითქოს ქიზიყში რაღაც თვითმმართველი თემი არსებობდა. მისი აზრით, ასეთ მოსაზრებას საფუძვლად დაედო გვიან საშუალო საუკუნეების სპეციფიკური ვითარება, კერძოდ ის, რომ ამ პერიოდისათვის ქიზიყში ფეოდალური არისტოკრატია (კოლონკელიძეები, ჭახატლიძეები და

---

98 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, ს. ყაუხჩიშვილის ვარიანტი, გვ. 261.

99 დასახელებული კრებული, გვ. 35.

100 იქვე.

სხვ.) გადაშენდა, ხოლო დანარჩენი საზოგადოება სამეფო დომენში მოექცა[101].

სწორი არ უნდა იყოს იმისი მტკიცება, რომ გვიან საშუალო საუკუნეებში ქიზიყს თავისებურება არ ახასიათებდა, ეს თავისებურება სახნავ-სათიბი მიწის სასოფლო-თემურ (ე. წ. დატაცებით მიწითსარგებლობა) მიწისმფლობელობაში და მის პერიოდულ გადანაწილებაში გამოიხატებოდა.

ამ გარემოებას ლ. ტუხაშვილი არ უარყოფს, მას იმით ხსნის, რომ მეფის ხელისუფლება იყო მისი შენარჩუნებით დაინტერესებული.

აღსანიშნავია, რომ მიწის საერთო-სასოფლო მფლობელობა საძოვარზე და ტყეზე საქართველოს სხვა რეგიონებშიც შემორჩა მეტ-ნაკლებად, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ქიზიყი, სადაც, საძოვარსა და ტყეზე საერთო მფლობელობასთან ერთად, სახნავ-სათიბი მიწის (ე. წ. საბლის მიწის) დატაცება XIX საუკუნემდე ხდებოდა. ეს გარემოება თავდაყირა აყენებს ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებას, თითქოს საერთო-კოლექტიური მფლობელობა მხოლოდ მთისთვის იყო დამახასიათებელი. ეს ფაქტი იმას ამტკიცებს, რომ მიწისმფლობელობის ასეთი ფორმა XIX ს. პირველყოფილი გვაროვნული წყობილების გადმონაშთი და ჩამორჩენილობის მაჩვენებელი არ იყო. ამიტომ ეს გარემოება საქართველოს მთა-ბარის სოციალურ-ეკონომიკური წყობილების პოლარული დაპირისპირების მაჩვენებლად არ გამოდგება, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ქადაგებს.

მართალია, საერთო-კოლექტიური მფლობელობა და პერიოდული გადანაწილება გვაროვნული წყობილების დამახასიათებელი იყო, მაგრამ ქიზიყის მიწისმფლობელობა მისგან ძირფესვიანად განსხვავდებოდა; ჯერ ერთი, ქიზიყში მიწა ნაწილდებოდა არა თანაბარად, არამედ ვინ რამდენს ჩაიგდებდა; მეორეც, ამ მიწა-წყალს ქონებრივად შეძლებული გლეხები მეტი რაოდენობით იგდებდნენ ხელში და ექსპლოატაციის საშუალებადაც იყენებდნენ (მიწის ნაწილი დაქირავებული ძალით მუშავდებოდა, ასევე საძოვარსა და ტყესაც თითოეული კომლი შეძლების მიხედვით იყენებდა და ზედმეტ პროდუქტს ბაზარზე ყიდდა). ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქიზიყის მიწისმფლობელობაც უთანასწორობაზე იყო დაფუძნებული. ამდენად, გარდა ფორმალური მსგავსებისა, მას საერთო არაფერი ჰქონდა გვაროვნულ-კოლექტიურ კომუნასთან.

მიწისმფლობელობის საერთო-კოლექტიური წესის არსებობა ქიზიყში, როგორც ლ. ტუხაშვილი აღნიშნავს, ერთ მხრივ მიწის ფართობის სიდიდით, მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების ინტერესებით

---

101 დასახელებული კრებული, გვ. 35.

და საჭიროებით აიხსნება (მეფე ერთგული სამსახურისათვის მიწას დროებით სარგებლობაში აძლევდა მსახურ-მოლაშქრეს).

სწორი და დამაჯერებელია ლ. ტუხაშვილის მსჯელობა ქიზიყის ე. წ. თავისუფალ გლეხობაზე. უდავოა, რომ თავისუფალ გლეხთა ფენა, პირველ რიგში, სახასო სოფლებში შეინიშნება და ეს თავისუფლება გლეხობამ ერთგული სალაშქრო სამსახურით მოიპოვა (ეს ითქმის არა მარტო ქიზიყზე, არამედ მთიელებზეც). ეს გარემოება კარგად შეუნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც წერს: „ბოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა... არღაცა იყვნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჯეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი და უმეტეს მოჯე

სათიბი მიწის საერთო-კოლექტიური მფლობელობის მასშტაბით აღმოსავლეთ საქართველოს მთა ქიზიყს ბევრად ჩამორჩებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს მთაში სახნავ-სათიბი მიწა ყველგან კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონში, სადაც მთის მოსახლეობა უფრო მეტი მასშტაბით იყო ჩამოსახლებული (მაგ., ერწო-თიანეთში და სხვ.), იქ ქიზიყის მასშტაბის საერთო-კოლექტიური მიწისმფლობელობა არ არსებობდა. ისმის კითხვა — რანაირად შეეძლოთ მთიელებს ბარში (სამეფო ქიზიყში) ისეთი მიწისმფლობელობის მოწყობა, როგორიც მთაში ჰქონდათ, ან ვინ მისცემდა მათ უცხო მიწისმფლობელობის დანერგვის უფლებას სამეფო მამულში (ასეთი სურვილიც რომ ჰქონოდათ). ცხადია, მთიდან ქიზიყში მიგრაციას ცხოვრების უკეთესი მოწყობა განაპირობებდა (თავისუფალი მიწა-წყალი, რბილი კლიმატი, უხვმოსავლიანობა, ხელისუფლების მიერ დაწესებული პრივილეგიები და სხვ.).

ქიზიყის მაგალითი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ყველაფერს მთური თუ ბარული მდებარეობა კი არ განსაზღვრავს (ის მხოლოდ გარკვეულ გავლენას ახდენს), არამედ სხვა ფაქტორებიც, გეოგრაფიულ გარემოს რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საზოგადოების განვითარებაში, მაშინ ერთი და იგივე გარემოში მცხოვრები ყველა საზოგადოება განვითარების თანაბარ დონეს მიაღწევდა.

საქართველოს თავდაცვის საქმეში მთის როლს ეხება ჯ. სტეფნაძის ნარკვევი, რომელშიც დახასიათებულია მთა-ბარის ურთიერთობა და მთის მნიშვნელოვანი როლი საქართველოს მოსახლეობის გადარჩენის საქმეში. ამასთანავე, არც ეს ნარკვევია დაზღვეული დაუსაბუთებელი ზოგადთეორიული დასკვნებისაგან, კერძოდ, თითქოს მთური მდებარეობა ხელს უწყობდა მიწაზე საზოგადოებრივი (საერთო-კოლექტიური) მფლობელობის შენარჩუნებას და თემის სიცოცხლის გახანგრძლივებას[104].

ეს დებულება არ გამოდგება მთიანეთის საერთოდ დასახასიათებლად, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში სახნავ-სათიბი მიწა ყველგან კერძო საკუთრებაში იყო, ხოლო ბარ ქიზიყში საერთო-კოლექტიური. ამასთან, ძნელი დასაჯერებელია თითქოს მთიანეთში თავისუფლების მასულდგმულებელი თემის სიყვარული, ვაჟკაცური სული, იარაღისადმი სიყვარული და წარმართული სარწმუნოების დიდი გავლენა (ქრისტიანიზმის — მოთმინებისა და მორჩილების — რელიგიის გაუვრცელებლობა!?) იყო[105]. ასეთ შემთხვევაში რა ეუყოთ-

---

[104] დასახელებული კრებული, გვ. 51.

[105] იქვე.

ჩრდილო კავკასიის ჩთიანეთს, სადაც მაჰმადიანობა გავრცელდა, განა ეს უკანასკნელი ნაკლებ მოთმინებისა და მორჩილების რელიგია იყო?!

საქართველოს მთის მოსახლეობის შედარებით თავისუფლებას თვით მთის ცხოვრების პირობები განსაზღვრავდა, კერძოდ ის, რომ მთის მკაცრი და მძიმე პირობები ადამიანებს აიძულებდა უფრო ურჩი და ვაუტეხელი ყოფილიყვნენ. მთის მოსახლეობა იძულებული იყო შედგარი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ეწარმოებინა ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რადგან მძიმე პირობების გამო მთაში ზედმეტი პროდუქტის წარმოება უფრო ძნელი იყო და გარკვეულ ზღვარზე ფიზიკური არსებობის საკითხი დგებოდა. ამასთან, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით მთა უფრო დაცული იყო მტრის ხელყოფისაგან. აჩიტომაც შედარებით მეტი თავისუფლება, რომელიც მთაში დამკვიდრდა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ბუნებრივია, ყოველივე ამას ითვალისწინებდა ცენტრალური ხელისუფლება და სხვა ექსპლოატატორი, რომელიც მთის პირობებში ექსპლოატაციის ისეთ ფორმას აწესებდა, რომლის ატანა შესაძლებელი იყო. ამასთან, ქრისტიანობის გავრცელება-გაუვრცელებლობა არაფერ შუაშია ქვეყნის მთიან თუ არამთიან, მაღალ თუ დაბალ გეოგრაფიულ მდებარეობასთან, მკაცრ თუ რბილ კლიმატურ პირობებთან, რადგან ესა თუ ის სარწმუნოება დედამიწის რელიეფსა და კლიმატზე როდი იყო დამოკიდებული. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ბარში წარმართული სარწმუნოება საერთოდ არ წარმოიშობოდა, ხოლო მთიან ადგილებში ქრისტიანობა არსად გავრცელდებოდა.

კრებულში ფართო ადგილი უკავია დ. გოგოლაძის ნარკვევს — საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონის შეფასებასა და თემის სტატუსის განსაზღვრას. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მთა ჩამორჩებოდა ბარს, რომ განვითარების მხრივ ერთიმეორისაგან განსხვავდებოდა არა მარტო მთა და ბარი, არამედ ბარისა და მთის ცალკეული რეგიონებიც, რაც ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა პირობებითა და გარემოება-ვითარებით იყო განსაზღვრული[106].

გ. მელიქიშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით დ. გოგოლაძე დასძენს, რომ სოციალურ-კულტურული განვითარებით კავკასიის მთიელთა საზოგადოებებმა სხვადასხვა დონეს მიაღწიეს, რაც, ერთი მხრივ, შინაგანი პირობების კანონზომიერი შედეგით, მეორე მხრივ, გარეგანი ზეგავლენით იყო განპირობებული[107].

---

106 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. II, თბ., 1964, გვ. 41.

107 დასახელებული კრებული, გვ. 54.

დ. გოგოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სვანეთზე და იზიარებს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით XI—XIX საუკუნეებში სვანეთის საზოგადოება გვაროვნულ-პატრიარქალური კი არა, არამედ კლასობრივ-ფეოდალური იყო. მკვლევრის განსჯით, შუა საუკუნეების სვანეთის კლასობრივი დიფერენციაციის უდავო მაჩვენებელია: ერთი მხრივ, მწარმოებელი საზოგადოების არსებობა, მეორე მხრივ, ერისთავთა, დიდებულთა, ვარგ-აზნაურთა წარმოშობა და სხვ.[108].

დ. გოგოლაძის რწმენით, ფეოდალურ-კლასობრივი დიფერენციაცია და ურთიერთობა სვანეთში შინაგანი განვითარების შედეგი იყო, რომ „დიდი და მცირე" ფეოდალ-აზნაურთა, აგრეთვე ქრისტიანულ ეკლესიათა წარმოშობა ქონებრივ-სოციალურ ბაზაზე და პოლიტიკურ წარმატებებზე იყო დამყარებული.

მკვლევარი ასევე ვრცლად ეხება თემის სტატუსს და ხაზს უსვამს, რომ X—XV საუკუნეების სვანეთში არქაული თემი — კომუნა, როგორც კოლექტიურ-გვაროვნული (თანასწორუფლებიანი) წარმოებაგანაწილების წესი და სისტემა დიდი ხნის გამქრალია და მეთემე-მდებიორი, ძირითადად, საწარმოო საშუალების კერძო მესაკუთრე-ინდივიდუალური მწარმოებელია, მას მიაჩნია, რომ სვანეთში მიღებულია მეორადი კლასობრივ-ფეოდალური ფორმაცია. მისი დასტურით „ვარგი" იგივე აზნაურია, რომ სვანებს (ვახთანგიანებს, რიჩგვიანებს, ლაშხიანებს, კუჭაიძეებს, გელოვანებს, ყიფიანებს, ჩარკვიანებს, დადიშქელიანებს, იოსელიანებს, ჯაფარიძეებს, გოშთელიანებს, დევდარიანებს, ქურდიანებსა და სხვ.) ეს წოდება ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიანიჭა და სხვ.[109].

ზოგიერთი წინამორბედი მკვლევრისაგან განსხვავებით, დ. გოგოლაძეს XI—XIII საუკუნების სვანეთი საქართველოს კულტურულად დაწინაურებულ მხარედ მიაჩნია. მკვლევარი ამის დამადასტურებლად მიიჩნევს ათეულობით ქრისტიანული ეკლესიის, მათი მდიდარი მოკაზმულობის, მრავალი სახარება-ოთხთავის, აგრეთვე მწიგნობრობის არსებობას და სხვ.[101].

ავტორის განსჯით, XI—XV საუკუნეებში სვანეთის ფეოდალურობას, მისი საზოგადოების (საერო და სასულიერო) გრადაციას, იქ ყმათა მფლობელობისა და შრომითი და პროდუქტადი რენტის არსებობას არაერთი ადგილობრივი წერილობითი დოკუმენტი, მატერია-

---

108 დასახელებული კრებული, გვ. 55.

109 იქვე.

110 იქვე. გვ. 56.

ლური კულტურა, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალა, აგრეთვე საერთო ქართული წყაროები („ქართლის ცხოვრება“ და სხვ.) მოწმობს.

ყოველივე ამის შემდეგ ავტორი ცდილობს სვანეთის ფორმაციულ შეფასებას და დასძენს, რომ ის ადრეფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე იმყოფებოდა[111]. მისი მტკიცებით, „ამისი მოწმობაა იქ ყმობაში შესვლის და ყმად ყოფნის, ყმა-მეთემეთა გადასახადები, უფლებრივი დამოკიდებულებისა და საკუთრების ფორმები“[112].

ავტორს სვანეთის ადრეფეოდალური ურთიერთობის საბუთად მიაჩნია ის, რომ ვარგ-აზნაურის ყმობაში შესულ მეთემე-მდაბიორებს იქამდე (ერთი გამონაკლისის გარდა) თითქოს პატრონი (ფეოდალი) არ ჰყოლიათ. ამის სანიმუშო მაგალითად ის ასახელებს ივანე და ხუერგო გელოვანების ოჯახებს, რომელთაც თავისი შვილნი და ადგილ-მამული მოხერის ეკლესიას „დაუთვალეს“ (შესწირეს). აგრეთვე, მეორე ოჯახს, რომლის გვარი საბუთში საბელდებით არ ჩანს[113].

თავიდანვე უნდა დავძინოთ, რომ აღნიშნული ორი მაგალითით მეთემე-მდაბიორის (ყმობაში შესელამდე) ნიმუშად აღება აშკარა შეცდომაა. ჯერ ერთი, საბუთებიდან ის კი არ ჩანს, რომ ეს ოჯახები უწინ თავისუფალი მეთემე-მდაბიორები იყვნენ, არამედ პირიქით, ეკლესიისადმი თავის შეწირვამდე ორივე ოჯახს პატრონი ჰყავდა (რომლის ნებართვითაც შევიდნენ ეკლესიის გამგებლობაში); მეორეც, ორივე მათგანი მამულის მოზიარე მესაკუთრე იყო; მესამეც, საბუთებიდან ჩანს, რომ ეკლესიის გამგებლობაში შესული გელოვანები პირობას დებენ, რომ ძველი პატრონისადმი ვალდებულებასაც შეასრულებენ[114]..

თავი დავანებოთ იმას, რომ ორივე საბუთი გელოვანების ოჯახებს ეხება, რომ გელოვანები აზნაურები იყვნენ, საკითხაია — თავისუფალ მეთემე-მდაბიორს საიდან შეიძლებოდა ჰქონოდა საკუთარი ადგილ-მამული, ან საიდან შეიძლებოდა ჰყოლოდა პატრონი, რომლისადმი ვალდებულება ახალი პატრონის ხელშიც უნდა შეესრულებინა? საქმე პირიქით იყო, ვიდრე ამის დამტკიცებას დ. გოგოლაძე ცდილობს. ეკლესიის ყმობაში შესული ოჯახები თავისუფალი მეთემე-მდაბიორები კი არ იყვნენ, არამედ პატრონი მიქელაისძისადმი დაქვემდებარებული, ყმა-მამულის მფლობელი აზნაურები, რომლებიც, ძველთან ერთად, ახალი პატრონის — ეკლესიისადმი — ვალდებულებასაც კისრულობენ. არასწორია იმისი განცხადებაც, თითქოს ამ

---

111 დასახელებული კრებული, გვ. 56—58.

112 იქვე.

113 იქვე.

114 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 18, 38.

ოჯახებს ერთდროულად ორი პატრონი არ შეიძლებოდა ჰყოლოდათ, რადგან თითქოს ამას ვერ იკისრებდნენ. ჩანს, დ. გოგოლაძე ანგარიშს არ უწევს საბუთს და იქიდან ამოდის. რომ სვანეთი მთიანი ქვეყანა იყო და თითქოს ამიტომ იქ ორი პატრონისადმი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი იყო. უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების საქართველოში უამრავი მაგალითი მოგვეპოვება იმისა, როცა ამა თუ იმ ოჯახს ორი პატრონის თუ ბატონის ვალდებულება ეკისრა (შემთხვევით როდი შეიქმნა ფიგურალური გამოთქმა „ორი ბატონის მსახური"). ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ ეს ოჯახი როგორ (მსუბუქ თუ მძიმე) ვალდებულებას ასრულებდა.

აღსანიშნავია, რომ სვანეთის საისტორიო საბუთებში ხშირად არ ჩანს, ყმობაში შესულ ოჯახს უწინ პატრონი ჰყავდა თუ არა. მაგრამ ბარის საქართველოშიც არაიშვიათია შემთხვევა, როცა ყმობაში შესული ოჯახის წარსულზე საბუთში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამის გამო ეს საბუთები ადრეფეოდალურ ურთიერთობას ასახავენ. ნუთუ ფეოდალური ურთიერთობის დაწყების დროს ისე იყო საქმე დაყენებული, რომ ყმობაში შესვლის ყველა შემთხვევა აღირიცხებოდა?! როგორც ვიცით, არამცთუ საწყის ეტაპზე, არამედ განვითარებულ და გვიან საშუალო საუკუნეებშიც პატრონყმობა-ბატონყმობაზე იშვიათად იქმნებოდა წერილობითი საბუთები (ის ადათწესის ხასიათს ატარებდა). მკვლევარმა კარგად იცის ისიც, რომ ჩვენ არამცთუ ადრეფეოდალურ ურთიერთობაზე, არამედ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაზეც არ ვართ განებივრებული საბუთების სიმრავლით, მით უფრო დასავლეთ საქართველოში, სადაც ბარის სოციალურ ურთიერთობაზეც კი XV საუკუნემდე სათანდო საბუთები იშვიათად მოგვეპოვება. ამდენად, ჩვენამდე მოღწეული სვანეთის საისტორიო ძეგლები დამოკიდებულებით ურთიერთობის საწყის საფეხურს კი არ ასახავენ (ვინ იცის მაშინ საბუთები საერთოდ ფორმდებოდა თუ არა), არამედ უკვე ჩამოყალიბებულ და ტრადიციულ ფეოდალურ ურთიერთობას. სწორედ ამაზე მეტყველებს ამ ურთიერთობის წერილობითი გაფორმება.

ასეთ ურთიერთობას ასახავს ჩვენი მკვლევარის მიერ ადრეკლასობრივი ურთიერთობის ნიმუშად აღებული საბუთები, რომლებიც თავისუფალ მეთემე-მდაბიორთა და ყმობაში ახლადშესულ გლეხთა მდგომარეობას კი არ ასახავენ, არამედ ტრადიციულ პატრონ-ყმურ, ფეოდალურ-იერარქიულ ურთიერთობას. აღნიშნული საბუთებიდან ჩანს, რომ ერთსა და იმავე მიწაზე საკუთრების უფლებას ახორციელებდა მიქელაისძეც, გელოვანიც და ეკლესიაც, ჩანს, რენტაც ამის შესაბამისად ნაწილდებოდა.

ამასთან, სადავო არ არის, რომ ჩვენამდე მოღწეული სვანეთის საისტორიო საბუთები შედარებით მსუბუქ და მარტივ ფეოდალურ ურთიერთობას ასახავენ, თუმცა ამ მაგალითების ილუსტრაციის დროსაც დ. გოგოლაძე ზოგჯერ უზუსტობას იჩენს; მაგალითად, თითქოს საბუთში წერია, რომ ხერგიანები ას სულ მოსახლეზე მხოლოდ ორ საკლავ „საბეგარო“ გამოსაღებს უხდიდნენ ვარგ ჯაფარიძეებს[115]. სინამდვილეში საბუთში სიმბოლურად წერია — „თუ ასი მოსახლე **შეიქმნას**, ამ ორ საკლავს იქით არა ემატოს“[116]. ამავე საკითხზე მოგვეპოვება მეორე საბუთიც, რომელშიც აგრეთვე ზოგადადაა ნათქვამი, რომ თუ ხერგიანები ოდესმე ასი მოსახლე გახდებოდნენ, მაშინაც ორ საკლავს გადაიხდიდნენ (სინამდვილეში ხერგიანები მხოლოდ რამდენიმე ოჯახს შეადგენდნენ, რადგან ას ოჯახს თვით მესტიის მთელი თემიც კი ვერასოდეს აღწევდა). ამასთან, განვითარებული თუ განუვითარებელი ფეოდალური ურთიერთობის საზოგადო განსაზღვრა მხოლოდ ვალდებულების სიმძიმით თუ სიმსუბუქით შეუძლებელია. რადგან ერთი და იგივე საფეხურზე, ერთი და იგივე გარემოსა და სხვა პირობებში, ერთი და იგივე კატეგორიის გლეხებიც კი სხვადასხვაგვარად (მეტ-ნაკლებად) იყვნენ ვალდებული, ამასთან, ვალდებულების ხასიათი მარტო ბუნებრივ პირობებზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ გარიგებაზე, შეძლებაზე, ტრადიციაზე და სხვ. ამიტომ იყო, რომ აზატ-თარხანი ზოგჯერ მსუბუქ ვალდებულებას ასრულებდა, ზოგჯერაც, მებეგრე გლეხის მსგავსად — მძიმეს და ა. შ.

ამიტომ ვალდებულების ზომა-წონით ფეოდალური ურთიერთობის საფეხურის, მით უმეტეს მისი ტიპიური თუ კლასიკური ნიმუშის, განსაზღვრა სვანეთის მაგალითით მხოლოდ ზერელე ვარაუდი შეიძლება იყოს. ჩვენამდე მოღწეული საბუთებით არამცთუ სვანეთის ადრეფეოდალური ურთიერთობის კლასიკური ხასიათის, არამედ დასავლეთ საქართველოს ბარის განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის სურათის ზუსტი დადგენაც დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული.

უდავოა, რომ ფეოდალურ-დამოკიდებულებით ურთიერთობა მთაში უფრო მსუბუქი იყო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბარის მასშტაბის ექსპლოატაცია მთაში შეუძლებელი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთხელ ფეხმოკიდებული ფეოდალური ურთიერთობა სვანეთშიც სამუდამოდ (მრავალი საუკუნის მანძილზე) ადრეფეოდალურ საფეხურზე არ შეიძლებოდა გაყინულიყო, მით უფრო, რომ ის იყო განვითა-

---

115 დასახელებული კრებული, გვ. 59.

116 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 15— 16.

რებული საქართველოს სახელმწიფოს განუყრელი ნაწილი და ამიტომ შინაგან განვითარებას გარეგანი ზეგავლენაც ერთვოდა.

ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს მთის, კერძოდ სვანეთის, განვითარების დონე თემის მეშვეობით განსაზღვროს. ზოგიერთს დაუჩემებია, თითქოს ფეოდალური ურთიერთობის დროს თემი მხოლოდ მთისთვის იყო დამახასიათებელი, ამიტომ მას მთის გვაროვნულობის მაჩვენებლად წარმოგვიდგენს.

ამგვარი შეხედულება იქიდან მომდინარეობს, რომ ასეთი მკვლევარი განვითარებული ფეოდალური ურთიერთობისას თემის არსებობას ბარში ვერსად ამჩნევს. ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ ქიზიყის მაგალითზე, როდესაც განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის დროს კახეთის შუაგულში სასოფლო თემი არსებობდა (საერთო მიწისმფლობელობით და მისი პერიოდული გადანაწილებით). როგორც ვნახეთ, მისი შესადარი თემი, ფაქტობრივად, არც აღმოსავლეთ და მით უმეტეს არც დასავლეთ საქართველოს მთაში არსებობდა, შაგრამ მიუხედავად ამისა, სასოფლო თემი მთელი საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი, როგორც განვითარებულ, აგრეთვე გვიან საუკუნეებშიც.

ჩვენამდე მოღწეული საბუთიდან ჩანს, რომ XVI საუკუნის იმერეთის სოფლებში — ხორითში, ნატბეურში, აჭარაში, ზესტაფონში, ქორეთში, თურინში, მლაშეში და სხვაგან — სასოფლო თემი არსებობდა, ამაზე მეტყველებს ის, რომ ეკლესიისადმი კუთვნილი გადასახადების ნაწილი, საეკლესიო პირებთან ერთად, თემის მოსახლეობასაც ხმარდებოდა[117]. XVIII ს. მეორე ნახევრის საეკლესიო საბუთში ნათქვამია, რომ გიორგი წულუკიძის სულის საოხ აღაპზე გლეხის მიერ მისატანი სასმელ-საჭმელი სწორად უნდა გაენაწილებინათ თემის წარმომადგენლებზე[118]. ჭყონდიდელ-ცაგერელის წყალობის წიგნში ნათქვამია: „... კურთხეულმან ჭყონდიდელ ცაგერელმან ბატონმან გაბრიელ გიბოძეთ თქვენ ერთობით ცაგეროვანის ხატის ყმას, მერმე ოყურეშის ერთობით აზნაურიშვილს, მსახურსა და გლეხს, მდიდარსა და მცირეს...“[119]. იმავე ეპისკოპოსის სახელით, ტყვის გამყიდველ იესელა დიდიას მიმართ საეკლესიო განჩინებაში ნათქვამია, რომ მან „თემისა და ქვეყნის ფიცი და პირი გატეხა...[120]. 1733 წლის საბუთიდან ჩანს, რომ მეფე ალექსანდრე მეხუთეს იმერეთში „სათემო გადასახადი (გამოსაღები)“ ჰქონდა დაწესებული[121]. გელათისადმი სოლო-

---

117 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, თბ., 1920, ს. კაჟაბაძის გამოც., გვ. 26.

118 იქვე, გვ. 53.

119 იქვე, გვ. 110.

120 იქვე, გვ. 112.

121 იქვე, გვ. 130.

მონ მეორის შეწირულობის წიგნში ლაპარაკია სოხასტრის ეკლესიისადმი კუთვნილი ოკრიბელი და არგვეთელი ყმებისადმი საურის ამოკვეთაზე, სამაგიეროდ „...ყოველს წელიწადს ღვთისმშობლის დღეს ერთობით ღვდელს გვიწირვინებდნენ... და წირვას უკან თემობით დაგლოცევდნენ“[122].

მკვლევარი დ. გოგოლაძე ფიქრობს, რომ რაკი სვანეთის ამა თუ იმ სოფლის (თემის) აზნაური და გლეხი „ერთობილი“ ტერმინითაა საბუთებში მოხსენიებული და რაკი ისინი საერთო გადაწყვეტილებას იღებდნენ, ეს სვანეთის თავისებურების, მისი საზოგადოების უფლებრივ-პოლიტიკური თანასწორობის (გაუდიფერენცირებულობის), თემის, როგორც წინა კლასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, იურიდიული ბატონობის მაჩვენებელია[123]. ეს რომ ცდუნება და მოჩვენებაა, მთაში თუ ბარში თემს რომ თავისი საჭირბოროტო საქმეები აწუხებდა და თემის მთელი მოსახლეობა (აზნაური თუ გლეხი) რომ ამის ერთობლივი მოგვარებისათვის ზრუნავდა, ამისი მაგალითია იოანე მთაავარეპისკოპოსისადმი 1782 წელს ხონის თემის მიერ მიცემული პირობა: „ქ. ესე წიგნი და პირობა მოგვართვით თქვენ ჩვენს სჯულის თავს... მათხონჯელმა თემის კაცმა, ერთობით დეკანოზმა, ხელოსანმა და სრულად ხალხმა, ასე რომე ძველათაც შენის ეკლესიის სამწყსო ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა და ახლა ბატონმა მეფე სოლომონ დავთრით ისევ თქვენს ეკლესიას მიართვა სამწყსოთ... შემოგეხვეწეთ ერთობით თემი და წყალობის თვალით მოგვხედეთ და შეგვიხვეწიეთ...“[124].

იგივე ხონის თემის სახელით ეკლესიისადმი მიცემულ წიგნში ნათქვამია: „...ამისი მოწმე და გამრიგე დეკანოზი მიქელ, მღვდელი ქუთათელაძე პასარიონ... და **ერთობით ხონის შემავალი აზნაური და გლეხი და ჩვენი აზნაურიშვილები**...“[125].

თემის საერთო საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად აზნაურთა და გლეხთა ერთობლივი ზრუნვა რომ მათ უფლებრივ გათანასწორებას და გაუდიფერენცირებულობას არ ნიშნავს, ამას მოწმობს არა მარტო იმერეთის, რაჭისა და ლეჩხუმის, არამედ სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითებიც. მ. კეკელიას დაკვირვებით, სვანეთის თემის საერთო კრებათა ანალოგიური გადაწყვეტილებების გამოტანა ტრადიციული იყო საშუალო საუკუნეების ტაო-კლარჯეთი-

---

122 დასავლეთ საქ. საეკლ. საბუთები, წ. II, ს. კაკაბაძის გამოც., 1920., გვ. 153.

123 იქვე.

124 იქვე, გვ. 64.

125 იქვე, გვ. 97.

სათვისაც, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ განვითარებულ და დაწინაურებულ ფეოდალურ კუთხეს წარმოადგენდა[126].

საქართველოში თემი დამახასიათებელი იყო ბარის ისეთი მოწინავე კუთხისათვისაც, როგორიც ქართლი იყო. ამას, სხვათა შორის, მოწმობს გერვასი სამთავნელი ეპისკოპოსის და სამთავისის აზნაურიშვილების ფიცის წიგნი (1796 წ.), როგორც ჩანს, ამილახვარი ოთარი და მისი სახლიკაცები თავიანთ მამა-პაპათა მიერ დაწესებულ წესს არ ჯერდებოდნენ, სამთავისის გლეხობისაგან უდებს მოითხოვდნენ, როცა ამას ნებაყოფლობით ვერ ახერხებდნენ, გლეხობას ერთიანად არბევდნენ და იკლებდნენ. რადგან ასეთი უსამართლობის წინააღმდეგ მღვდელმთავარმა ვერაფერი გააწყო, მთელი თემის მოსახლეობამ (აზნაურებმა და გლეხებმა) ფიცით შეკრა პირი:

„1. ვიყვნეთ ერთი მეორის კაის მდომნი და რომელიც უფლისწულებისაგან უსამართლოთ ცემა-ჭრილობა, აკლება და შვილების მოახლეთ წართმევა გვჭირებია, ამაებს ნულარ ეიყაბულებთ.

2. თუ რომელიც ჩვენში ან გაილახოს ან დაიჭრას ან დაირბეს, ერთიანათ ერთმანეთთან დავიმართნეთ, ბატონთანაც საჩივარი ერთი იყოს და ჩვენს ბატონს ამილახორთანაც და ლაპარაკიც ერთი იყოს.

3. და სადაც აზნაურიშვილი სოფელში იდგეს და უფლისწულმა იქ უსამართლო მოინდომოს, აზნაურიშვილმან გლეხს უქმაგოს და გლეხმა აზნაურიშვილსა და ერთიმეორეზედ ვინც შორს იდგეს, კიდევ ერთი მეორეს მივეშველნეთ.

4. ამ ჩვენის ფიცის წერილზე ჯელი მოგვიწეროს, რომ ჩვეხთან იქნება. და რომელმაც ჯელი არ მოგვიწეროს, ერთიანათ მიუხდეთ, დავსწვათ და ავიკლოთ და ცარიელი კაცი ამილახორს მივართვათ...“[127].

როგორც ვიცით და როგორც ეხედავთ, ქართლში ხელისუფლებაც არის, ბატონყმობაც, ეკლესიაც და სოციალურად ჭრელი საზოგადოებაც, ამავე დროს, ის მოწინავე ბარიცაა, მიუხედავად ამისა, ძალადობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ მთელი თემი (აზნაურიც და გლეხიც, ასევე ეკლესიაც) ერთად გამოდის თავადის წინააღმდეგ, ერთობილად იცავს თავის საერთო ინტერესებს, მაგრამ ეს არც თემის უაღრეს სიძლიერეს ნიშნავს, არც აზნაურთა და გლეხთა უფლებრივ გათანაბრებას, არც თემის იურიდიულ ბატონობას და არც ადრეფეოდალურ ურთიერთობას.

---

126 მ. კ ე კ ე ლ ი ა, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. 2, 1981, გვ. 101.

127 ქართული სამართლის ძეგლები, III, პროფ. ი. დოლიძის გამოც., თბ., 1970, გვ. 1031.

ქართლში თემისა და სათემო გადასახადის არსებობას ადასტურებს შაჰნავაზ მეფის მიერ 1682 წელს ერთობილი დიდებულებისადმი მიცემული საალაპო წიგნი[128].

აღსანიშნავია, რომ თემმა მეტ-ნაკლები სისრულით XIX საუკუნემდე მოაღწია არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოებში. კიდევ მეტი, მიუხედავად ბატონყმობის გაუქმებისა, ცარიზმმა XIX ს. 60-იან წლებში სათემო მმართველობა შემოიღო რუსეთში, სადაც მიუხედავად ცენტრალური სამეფო, საგუბერნიო და სამაზრო ხელისუფლების არსებობისა, საჭირბოროტო საკითხებზე თემის წარმომადგენლები მსჯელობდნენ და თემის ყრილობაზე თავისებურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რუსეთს ამ დროს თემური ან ადრეფეოდალური წესწყობილება ჰქონდა, ან ამ თემში გაერთიანებული საზოგადოება გაუდიფერენცირებელი და უფლებრივად გათანაბრებული იყო.

საბუთების ჩამოთვლა და მსჯელობა რომ არ გაგვიგრძელდეს, ვფიქრობთ, უნდა ითქვას: ნათელია, რომ კლასობრივ საზოგადოებაში საჭირბოროტო საკითხებზე მთელი თემის მოსახლეობის ერთობლივ მსჯელობასა და გადაწყვეტილების მიღებას არავითარი საერთო არა აქვს მთელი საზოგადოების (მათ შორის აზნაურისა და გლეხის) უფლებრივ გათანასწორებასთან, კლასობრივ-წოდებრივი ზღვარისა და პრივილეგიების წაშლასთან.

როგორც არაერთგან და არაერთხელ აღვნიშნეთ, შუა საუკუნეების სვანეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათის გაგებაში ყველაზე მნიშვნელოვანია მიწის საკუთრებისა და მფლობელობის წესისა და ხასიათის გარკვევა. დადგენილია, რომ სვანეთში X—XIX საუკუნეებში მიწის საკუთრების სამი ფორმა არსებობდა: ფეოდალური, ალოდიალური და საერთო-სასოფლო[129].

დ. გოგოლაძეს მიაჩნია, რომ ყმა-მდაბიორთა მიწის ნაკვეთები (საკომლოები) იურიდიულად სვან ფეოდალთა საკუთრებას არ წარმოადგენდა[130]. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა და განსჯა შეუძლებელია, რადგან გაუგებარია თუნდაც ის, თუ ყმა-მდაბიორში მკვლევარი ვის გულისხმობს. საქმე იმაშია, რომ სვანეთში გლეხთა ნაწილი აზნაურებსა და ეკლესიას ექვემდებარებოდა, ნაწილი კი — სამეფო ხელისუფლებასა და ერისთავს. ბუნებრივია, იმ გლეხების მიწა, რო-

---

128 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 72—73.

129 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 76—111.

130 დასახელებული კრებული, გვ. 59.

მელსაც ისინი ალოდის უფლებით ფლობდნენ, აზნაურთა საკუთრებას არ წარმოადგენდა, მათ საკუთრებაში არ იყო ასევე სამეფო მოლაშქრეთა გლეხების მიწა, რაც შეეხება ის მიწა, რომელსაც მათდამი დაქვემდებარებული გლეხები ფლობდნენ, რა თქმა უნდა, აზნაურთა იურიდიულ საკუთრებას წარმოადგენდა (მიუხედავად იმისა, ამას გლეხები აღიარებდნენ თუ არა), რადგან ისინი გლეხის ზედმეტ პროდუქტს (რენტას) და აუნაზღაურებელ შრომას ითვისებდნენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, აზნაური გლეხს ნატურით გადასახადს და აუნაზღაურებელ შრომას ვერ გადაახდევინებდა, მის მიწაზე და პიროვნებაზე რომ მას იურიდიული უფლება არ ჰქონოდა[131].

ჩვენამდე მოღწეული საისტორიო წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ შუა საუკუნეების სვანეთში მიწა ვაჭრობის, წყალობის, გამზითვებისა და შეწირვის საგანს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, გვაროვნული წყობილების რღვევისა და ადრეკლასობრივი ურთიერთობის ჩასახვის დროს, როცა მეთემეთა პირადი მეურნეობა ყალიბდებოდა, კერძო საკუთრება ჯერ მოძრავ ქონებაზე გაჩნდა, შემდეგ საკარმიდამო მიწაზე, ხოლო შემდეგ სახნავ-სათიბ მიწასა და ტყეზეც.

სვანეთში საკუთრების საყოველთაო და განვითარებულ ხასიათზე მიუთითებს მიწის ნასყიდობათა წერილობითი აქტები. იურისტ-მკვლევართა განსჯით, მიწით ვაჭრობა საკუთრების წარმოშობა-განვითარების პირობაცაა და შედეგიც[132]. მ. კეკელიას სპეციალური დაკვირვებით, შუა საუკუნეებში სვანეთში საკუთრების სფერო ყოვლისმომცველი იყო და მტკიცეც[133].

ყველაფერი ეს თვალნათლივ მეტყველებს სვანეთში კერძო საკუთრების ბატონობაზე, მეორე მხრივ, უარყოფს იმას, თითქოს X—XV საუკუნეებში სვანეთი ადრეკლასობრივი ურთიერთობის ნიმუში იყო. საკითხავია, ადრეკლასობრივი ურთიერთობის დროის საქართველოს რომელ კუთხეზე მოგვეპოვება თუნდაც მიწით ვაჭრობის წერილობითი დოკუმენტები, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ადრეკლასობრივი ურთიერთობის კლასიკური ნიმუშები დაგვედგინა? ცხადია, X—XV საუკუნეების სვანეთის ამგვარ ნიმუშად ჩათვლის საფუძველი მხოლოდ სუბიექტური აზრი შეიძლება იყოს.

არაზუსტია დ. გოგოლაძის განცხადება, თითქოს ბარის სინამდვილეში მიწის ნასყიდობის საბუთებში პატრონის (თუ ბატონის) ნე-

---

131 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 208.

132 ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, თბ., 1963, გვ. 40.

133 მ. კ ე კ ე ლ ი ა, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში, გვ. 104.

ბართვა ჩანდეს ყოველთვის[134]. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ბარზე ზოგადი და საყოველთაო მსჯელობა გაუმართლებელია (ვერაფრის მთქმელია), რომ საქართველოს ბარის ზოგიერთ რეგიონზე არამცთუ ადრეკლასობრივ, არამედ განვითარებულ ფეოდალურ ხანაზეც მიწის ნასყიდობის საბუთები არ მოგვეპოვება (ზედმეტია ნებართვაზე ლაპარაკი). კიდევ მეტი, ბარის სინამდვილეზე არსებულ XVIII—XIX საუკუნეების საბუთებშიც იშვიათად ჩანს არა მარტო ბატონის სანქცია, არამედ ჰქონდა თუ არა მის მებატონეს უფლება გლეხის ნასყიდ მიწაზე. ჩვენთვის ცნობილია, რომ რეფორმის დროს ქუთაისის გუბერნიის მომრიგებელ მოსამართლეებს განსახილველად წარედგინათ გლეხთა მიერ მიწის ნასყიდობის 63 ათასზე მეტი საბუთი (ძირითადად XIX საუკუნის), რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობაში არაფერია ნათქვამი არა მარტო მებატონის რაიმე სანქციაზე, არამედ საერთოდ ჰქონდა თუ არა მებატონეს ხელი ამ მიწაზე[135]. რაც იმაზე მეთითებს, რომ სვანეთის გლეხთა ნასყიდობის აქტები გამონაკლისი არ იყო, რომ საბუთებში ყოველთვის არ ჩანს ყველაფერი.

ამასთან, სინამდვილეს არ შეესაბამება იმისი განცხადებაც, თითქოს ალოდიალური მფლობელობა მხოლოდ ადრეფეოდალიზმს ახასიათებდა, თითქოს განვითარებულმა ფეოდალიზმმა მისი ანულირება და გაქრობა გამოიწვია[136].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ არამცთუ ალოდიალური, არამედ ფეოდალურმა წყობილებამ უფრო ძველი, საერთო-კოლექტიური მფლობელობის სრული გაუქმებაც ვერ მოახდინა; მაგალითად, გერმანიისა და მეზობელი ქვეყნების საადგილმამულო ურთიერთობის შესწავლამ ფ. ენგელსი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ევროპაში გვიან საშუალო საუკუნეებშიც კი ერთიმეორის გვერდით არსებობდა საკუთრებისა და მფლობელობის სხვადასხვა ფორმა, რომ ბავარიის რაინში ფეოდალიზმის ბატონობისას მიწათმოწყობის უძველესმა წესმა, მარკის ფორმით (სახნავ-სათიბი მიწის კოლექტიური მფლობელობისა და პერიოდული გადანაწილების სისტემამ), XIX საუკუნის დასაწყისამდე გაძლო, ხოლო ტყე და საძოვარ-საბალახო ადგილები შემდეგაც საერთო-კოლექტიურ მფლობელობაში დარჩა[137].

დ. გოგოლაძე იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ, თავის დროზე, სვანეთში აზნაურები ქონებრივად განირჩეოდნენ, მაგრამ ამ მხრივ თითქოს იქ დიდი სხვაობა არ არსებობდა და მატერიალური დოვლა-

---

134 დასახელებული კრებული, გვ. 60.

135 ЦГИАЛ, Ф. 1268, оп. 21, д. 201

136 დასახელებული კრებული, გვ. 60.

137 ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1932, გვ. 164—166.

თის მწარმოებელი საზოგადოების სიმრავლე სვანეთის ჩამორჩენილობის (ადრეფეოდალური ურთიერთობის) მაჩვენებელი იყო[138].

ისტორიული პროცესის ამგვარ ინტერპრეტაციასთან ერთად განსაკუთრებით გვაკვირვებს ის, რომ X—XV საუკუნეების სვანეთის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას ჩვენი ავტორი XIX საუკუნის მონაცემებით განიხილავს[139].

ცნობილია, რომ მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მოსახლეობა განვითარებული ფეოდალიზმის პირობებშიც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ საზოგადოების სიმრავლე ფეოდალიზმში თავისთავად ჩამორჩენილობა არ შეიძლება იყოს, პირიქით—ფეოდალური წოდების სიმრავლეა ჩამორჩენილობის (წვრილმეურნეობრიობის) მაჩვენებელი. ამის მაგალითი უნდა იყოს დასავლეთ საქართველო, სადაც (მსხვილი ფეოდალური მეურნეობის ნაცვლად) წვრილაზნაურული მეურნეობა გაბატონდა. სვანეთში კი ამისი მაგალითია ე. წ. ბალსზემო თემები, სადაც დაახლოებით 700 მოსახლიდან 31-ამდე აზნაურული ოჯახი აღირიცხებოდა.

ამასთან, შეუძლებელია XIX საუკუნის რეფორმისდროინდელი მონაცემებით X—XV საუკუნეების სვანეთის აზნაურთა ქონებრივი მდგომარეობის განსაზღვრა და შეფასება, ასევე შეუძლებელია იგივე აზნაურთა სოციალური მდგომარეობისა და ექსპლოატირებული გლეხების რაოდენობის განსაზღვრა მარტო ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების მეოხებით. აღნიშნული სურათის განსაზღვრისას გარკვეული ანგარიში უნდა გაეწიოს ობიექტურ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებსაც, რომელთა მიხედვით სვანეთის აზნაურები — გელოვანები, რიჩგვიანები, ჩარკვიანები, ყიფიანები, იოსელიანები და სხვები — ადრე გაცილებით მრავალრიცხოვანი გლეხების მფლობელები იყვნენ. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ჩვენამდე მოღწეულ საისტორიო ძეგლებში სვანეთის აზნაურთა გლეხები ხშირად ზოგადად (გვარსახელის გარეშე) არიან მოხსენიებული. X—XV საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ბარის — იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის — აზნაურთა შესახებ რომ დ. გოგოლაძის მსგავსად ვიმსჯელოთ, მაშინ მათ სოციალურ-ეკონომიკურ და გაბატონებულ მდგომარეობაზე X—XV საუკუნეებში თითქმის ვერაფერს ვიტყოდით, მაგრამ სათანადო წერილობითი წყაროების მოუღწეველობა და უქონლობა იმას როდი ნიშნავს, რომ დასახელებულ საუკუნეებში ისინი გაბატონებულ ძალას არ წარმოადგენენ.

---

138 დასახელებული კრებული, გვ. 61.

139 იქვე, გვ. 65.

ამიტომაც სვანეთის აზნაურთა მდგომარეობის შეფასება და განსჯა საქართველოს საერთო ვითარების გაუთვალისწინებლად შეუძლებელი და არასწორია. მით უფრო მიუტევებელია XIX ს. მეორე ნახევრის მონაცემებით აზნაურთა უძველესი მდგომარეობის განსაზღვრა. თვითონ მკვლევარმა დ. გოგოლაძემ კარგად იცის, რომ რეფორმის დროს აზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკნინებულ-გაღარიბებულია, რომ მათი ნაწილი ქონებრივად შეძლებული გლეხის დონეზე და უფრო დაბლაც იდგა, მაგრამ ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება იმის საბუთად, რომ ისინი X—XV საუკუნეებშიც ასეთი იყვნენ და ამიტომ ადრეფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე იმყოფებოდნენ.

უმართებულოა, აგრეთვე, მთელ სვანეთზე მარტო ე. წ. თავისუფალი სვანეთის მაგალითით მსჯელობა (როგორც ქიზიყის მაგალითით მთელ კახეთზე). თუკი მარტო წერილობითი წყაროებით ვიმსჯელებთ და დ. გოგოლაძის მსგავსად განვსჯით, მაშინ ქვემო სვანეთისა და ბალსქვემო სვანეთის (სადაც უფრო გვიან სამთავრო ჩამოყალიბდა) მოსახლეობა XVII—XVIII საუკუნეებამდე მთლიანად თავისუფალ მეთემეებად უნდა ჩაეთვალოთ, რადგან იქაურ აზნაურთა ადრინდელ მდგომარეობაზე მხოლოდ მცირეოდენი წყაროები შემოგვენახა (ჩვენთვის ცნობილი საისტორიო წყაროების აბსოლუტური უმრავლესობა ე. წ. ბალსზემო სვანეთს ეხება). სინამდვილეში, ადრე იქაც ფეოდალური ურთიერთობა სუფევდა, ხოლო გვიან საუკუნეებში ბალსქვემო და ქვემო სვანეთში დადიშქელიანთა, გელოვანთა და გარდაფხაძეთა ფეოდალური (თავადური) სახლები ჩამოყალიბდა, ლენტეხის მოსახლეობა კი დადიანმა დაიქვემდებარა. ამდენად, საბუთების არარსებობა ყოველთვის არაა სოციალური თავისუფლების მაჩვენებელი, ე. წ. თავისუფალი სვანეთის გვიანდელი მაგალითით მთელ ადრინდელ სვანეთზე მსჯელობა კი არაფრითაა გამართლებული.

ნაწილობრივ ვეთანხმებით დ. გოგოლაძის ზოგადთეორიულ მოსაზრებას სასოფლო თემის არსის განსაზღვრაში, კერძოდ იმაში, რომ სასოფლო თემი, მთასა თუ ბარში, არქაული კომუნის სახეშეცვლილი და დარღვეული ფორმაა საადგილმამულო ურთიერთობაში, რომ ის მეორადი სასოფლო თემია კლასობრივ საზოგადოებაში"[140].

რაც შეხება მკვლევრის კონკრეტულ მსჯელობას XIII—XV საუკუნეების სვანეთის საზოგადოებაზე, იქაური თემის სინამდვილე მეტისმეტად გაზვიადებული და გაიდეალებულია, ავტორის დაუსაბუთებელი განცხადებით იქაური სასოფლო თემი „უაღრესად ძლიერია"[141].

---

140 დასახელებული კრებული, გვ. 62.

141 იქვე.

მკვლევარი თავიდანვე ეწინააღმდეგება თავის თავს; ერთ მხრივ, აღნიშნავს, რომ სვანეთში სასოფლო თემი არქაული კომუნის „ძლიერ დარღვეული ფორმაა“ და მეორადი თემია, მეორე მხრივ, იგი „უაღრესად ძლიერია“. საკითხავია, თუ პირველადი თემი ძლიერ დარღვეულია, კლასობრივ თემადაა გადაქცეული, მაშინ საიდან შეიძლება იყოს ის „უაღრესად ძლიერი“? აქ საქმე ეხება არა მარტო ალეგიკურ მსჯელობას, არამედ მკვლევრის მოცემულ კონცეფციას, მისივე სიტყვებით, „თემის საშინაო და საგარეო სტატუსის განსაზღვრას“. საერთოდ, გაურკვეველია რას თვლის მკვლევარი სასოფლო თემად: ცალკეულ სოფელს, რამდენიმე სოფლის ერთობას, ამა თუ იმ ხეობას თუ მთელ სვანეთს? აღსანიშნავია ისიც, რომ დ. გოგოლაძე სვანეთის შოსახლეობის წოდებრივ-კლასობრივ დაყოფას და მიწის კერძო საკუთრებას აღიარებს. საკითხავია, როდესაც თემის არსებობის საფუძველი — მიწის კოლექტიური მფლობელობა — არსებითად გამქრალია, როდესაც ფეოდალური იდეოლოგია საყოველთაოდაა გავრცელებული, რანაირად შეიძლება თემის უაღრეს სიძლიერეზე ლაპარაკი.

მართალია, ხელისუფლების სისუსტის პირობებში ცალკეული სოფლის, რამდენიმე სოფლის თუ ხეობის(ლალეერსა და უშგულს შუა) შოსახლეობა საერთო საზოგადო საჭიროებისას ერთად გამოდიოდა, აზნაური და გლეხი „ერთობილად“ წარმოგვიდგება და საერთო „საკანონმდებლო“ დადგენილებას იღებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ და სოციალურ ურთიერთობის სფეროში აზნაური და გლეხი იურიდიულად თანაბრდებოდნენ, რომ „ვარგ-აზნაური და მეთემე ყმა-მდაბიური უფლებრივად გაუდიფერენცირებელი იყო“, როგორც ამას ჩვენი მკვლევარი აცხადებს[142].

ჯერ ერთი, როგორც არ უნდა ცდილიყო თემი, რაც არ უნდა დაედგინა მას, რანაირად შეიძლებოდა უფლებრივად გათანაბრებულიყო მთელი საზოგადოება, აზნაური და გლეხი, ექსპლოატატორი და ექსპლოატირებული? განა მთელი საზოგადოების სურვილის გამო— „რაიცა სახეოსა საქმესა უკეთ მოუხდებოდეს, ყველაი იმას ეიჭირ-ვოდეთო“, ან უღირსი და უწესო საქმე არავის ჩაედინა (კაცი არავის შოეკლა, არ შეეპყრო, არავის ექურდა და სხვ.), აგრეთვე ქვეყნისა და სოფლის დაცვაზე ყველას ეზრუნა და მის კეთილდღეობაში ყველას თავისი წელილი შეეტანა — ყოველივე ეს ასე სრულდებოდა და საზოგადოების ყველა წოდების წარმომადგენელი მართლაც თანასწორუფლებიანი იყო?! საკმარისია თემის გადაწყვეტილებებს ჩავუკვირდეთ, რათა ადვილად მივხვდეთ, რომ ასეთი დადგენილებების გამოტანის მიზეზი სწორედ სოციალური უთანასწორობა, ურთიერთჩაგვრა,

---

142 დასახელებული კრებული, გვ. 64.

უდების მოთხოვნა, ქვეყნის აშლა და ძალმომრეობის გამეფება იყო. როგორც სხვა კუთხეებში, საზოგადოება სვანეთშიც ცდილობდა წესრიგი ყოფილიყო, მაგრამ საჭირბოროტო საქმის მოგვარებაში მთელი მოსახლეობის მონაწილეობის მცდელობა სრულებითაც არ მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ფეოდალური საზოგადოებისათვის უცხო რაღაცას ადგენდნენ, რომ ამ დადგენილების გამო აზნაური და გლეხი თანაბარი უფლებით იყვნენ აღჭურვილი. პირიქით, როგორც მესტიის თემის ერთ გადაწყვეტილებაშია ნათქვამი: „რაიც საქმე საფიცრად გარდაჯდეს, თქვენი ფიცი, ვინ და ვარგი კაცი იყოს, ყველას ეკადრებოდეს"[143]. აქ პირდაპირ ჩანს გლეხთა მოწიწებითი დამოკიდებულება აზნაურებისადმი, აქ კარგად ჩანს ისიც, რომ რაც დანარჩენ საზოგადოებას ეკადრებოდა, ის ვარგ-აზნაურებს არ ეკადრებოდა, მაგრამ გლეხების სურვილი იყო, რომ სისხლისა და გერშის (აგრეთვე სხვა დანაშაულის) საზღაურის გადახდა (ასევე საერთო ნორმების დაცვა) აზნაურებსაც დაკისრებოდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს წოდებები სხვადასხვა უფლებამოსილებით იყვნენ აღჭურვილი და აზნაურები ხშირად საზოგადოებრივ თანასწორობას არ იცავდნენ.

საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ სვანეთში პირველად თემი დიდი ხნის გამქრალი იყო, რომ თემს საერთო სახნავ-სათიბი მიწა არ გააჩნდა, რომ თემი სოციალურად ჭრელი და უთანასწორო იყო, არამედ იმაშიც, რომ ეს თემი ქრისტიანული წეს-ჩვეულებით, საერთო ქართული ადათით და სამართლით მოქმედებდა (სვანეთის წერილობით წყაროებში თითქმის ვერ იპოვი თემის ისეთ გადაწყვეტილებას, რომელშიც ეკლესია არ იყოს დამოწმებული და რომელით გვაროვნული ყოფა-ცხოვრების აღდგენის მაუწყებელი იყოს). ესეც იმაზე მეტყველებს, რომ სვანეთის სასოფლო თემი თავისებური ფეოდალურ-სასოფლო თემი იყო. ამიტომ სოციალურად ერთფეროვან საზოგადოებად მისი წარმოდგენა აშკარა შეცდომაა.

დ. გოგოლაძე ეხება სვანეთის ჩვეულებით ურთიერთობასა და ნორმებს, იგი წერს: „სახელმწიფოს წარმოქმნამდე სვანეთსა და ბარის საქართველოს კუთხეებს არსებითად ერთნაირი ჩვეულებითი საადათო სამართალი გააჩნდა"[144]. შემდეგ აღნიშნავს, რომ ბარის საქართველოში ფეოდალური სამართალი გაჩნდა და მოქმედებდა, ამასთან, იურიდიულ პირად სახელმწიფო და საჯარო ხელისუფლება გამოდიოდა, „სვანეთში კი, მიუხედავად კლასობრივი საზოგადოებისა,

---

143 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 54.

144 დასახელებული კრებული, გვ. 65.

ადათობრივი სამართლის (დაწერილის თუ დაუწერელის) რეალიზაციაში იურიდიულ პირად სასოფლო თემი, სასოფლო ერთობა გამოდის"[145].

როგორც ვხედავთ, მკვლევარი უაღრესად დიდ გამბედაობასა და შორსმჭვრეტელობას იჩენს, როცა სახელმწიფოს წარმოშობამდელ სვანეთისა და ბარის ჩვეულების იგივეობაზე წერს. საინტერესოა რა წყარო არსებობს ასეთ შორეულ წარსულზე ამგვარი დასკვნის გამოსატანად. არამცთუ ასე ადრინდელ, არამედ კოლხეთის, ეგრისისა (ლაზიკის) და აფხაზთა სამეფოების (რომელთა შემადგენლობაში სვანეთიც შედიოდა) ხანაშიც უაღრესად ძნელია მთისა თუ ბარის იურიდიულ ინსტიტუტებსა და ნორმებზე ლაპარაკი. შემდგომ პერიოდში, როდესაც ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია ჩამოყალიბდა, რომლის ორგანული ნაწილი იყო სვანეთიც, იგულისხმება, რომ ამ სახელმწიფოს სამართალი, ბართან ერთად, მთასაც ეხებოდა (სხვა საქმეა თუ თითოეულ მათგანში ის როგორ ხორციელდებოდა და მოქმედებდა). შემთხვევით როდი წერს იურისტი-მკვლევარი მ. კეკელია: „XIII—XVI საუკუნეების ზემო სვანეთი ფეოდალიზმის ხანაშია... იგი კიდევ უფრო ადრე ეზიარა ცენტრალიზებული საქართველოს მაღალ იურიდიულ აზროვნებას და შეისისხლხორცა იგი. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი (ე. ი. სამართლებრივი ინსტიტუტები — გ. გ.), მხარის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თავისებურებადაც კი განვითარდა"[146]. იმავე მკვლევრის აზრით, სამართალწარმოების ზოგიერთი წესის მხრივ სვანეთი ზოგჯერ ბარის ზოგიერთ რეგიონზეც კი უფრო მაღლა იდგა... ამის მაგალითია ორდალიები, რომელიც საკმაოდ პრიმიტიული წესი ჩანს და ბარის სამართალწარმოებაში გამოიყენებოდა, ხოლო სვანეთის სინამდვილეში უცნობია[147]. ამასთან, რაკი სვანეთში ამა თუ იმ თემის საზოგადოება კერძო გადაწყვეტილებებს იღებდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მას სახელმწიფო სამართალი არ ეხებოდა, პირიქით, სვანეთში საერთო სახელმწიფო სამართლის მოქმედების არაერთი მაგალითი მოგვეპოვება, მაგრამ ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებზე თემი იღებს თავის გადაწყვეტილებას (ამაზე ქვემოთ). სვანეთში რომ ფეოდალური სამართალი და საჯარო ხელისუფლება მოქმედებდა, სხვათა შორის, ამას მოწმობს დანაშაულის საჯარო პასუხისმგებლობა, მეჭურჭლის, ხევისთავის, მპარავთმძებნელისა და სხვა ინსტიტუტის არსებობა[148].

---

145 დასახელებული კრებული, გვ. 65.

146 მ. კ ე კ ე ლ ი ა, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში, გვ. 106.

147 იქვე, გვ. 53—56.

148 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 38, 39, 59, 60.

სვანეთში რომ საერთო ქართული სამართალი მოქმედებდა, მისი მაჩვენებელია თემის გადაწყვეტილებებიც: ქურდ-მპარავის, ეკლესიის მკრეხელის, წყეულა-შეჩვენების, ფიცისა და გაბრჭობის, დანაშაულის, დაურვების, სისხლის გაცუდებისა და სხვა (ამ მხრივ საისტორიო ძეგლებში ბარისგან არსებით განსხვავებას სვანეთში ვერ ვხვდებით).

იმის საჩვენებლად, რომ სვანეთის საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ძველთან ერთად, ახალი, წერილობით გაფორმებული წესები მოქმედებდნენ, საკმარისია დავაკვირდეთ ლატალის ერთი სოფლის (ლაჰილის) საზოგადოების XIV საუკუნეში დაწერილ „სამაგრობელს". ამ სოფლის სხვადასხვა წოდების წარმომადგენლები იღებენ ერთობლივ წერილობით გადაწყვეტილებას (რომელსაც „ძველნი წესნი" ეწოდება), რომ ვინც ქვეყნის მაჰვი და მავანი დაფაროს და დამტკიცებული დაწერილი შეშალოს, ის „შემცაიცელების სჯულისაგან ქრისტიანობისა. რაიც ქრისტეს შობითგან მადლი ქმნილა, ეკლესია კურთხეულა, მას შიგა... ებისკოპოსი და მღვდელი კურთხეულა და ჟაში წირულა, ამა ყველათა მადლითა და ჯუარითა კრულმც არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა თავი და სისხლი მისი...[149]. ამ გადაწყვეტილებას მოსდევს ასევე წერილობით გაფორმებული „ახალნი წესნი", რომელშიაც ნათქვამია, რომ სოფელს „ჰავთა კაცთა ჰავად ქნაი მოგუეწყინა", შემდეგ ქურდის ხუთმაგი და ასოცმაგი ფასის (საურავის) გადახედვინებით დასჯაზეა ლაპარაკი, ამასთან: „ვინც ლაჰილელსა კაცსა, — გინდა შინაური, გინდა გარეგანი კაცი მაჰვი და მპარვი შეეყაროს, — გინდა მოკლას, გინდა დაკოდოს, რაი გინდა ჰავი უყოს... სისხლი მისი არაი იყოს, ვითა ქრისტეს გამსყიდელისა იუდასი"[150].

ვფიქრობთ, საზოგადოებრივი ურთიერთობის ასეთი ნორმების აღიარებაში (მით უფრო სისხლის გაცუდებას რომელი გვაროვნული და განუვითარებელი ჩვეულება აღიარებს?!) არავითარი ჩამორჩენილობა არ არის, პირიქით, მათ არაფერი საერთო არა აქვთ გვაროვნულ ჩვეულებასთან, ის თავისი დროის მაღალი იურიდიული აზროვნების მაჩვენებელია. ამიტომ უსაფუძვლოა სვანეთის საზოგადოებრივი (სამართლებრივი და სხვ.) ნორმების გამოთიშვა ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი ნორმებისაგან.

დ. გოგოლაძის გამოკვლევაში თავისებურადაა განმარტებული მესისხლეობისა და საურავის სისტემაც. განსაკუთრებით დამაფიქრებელია იმის განცხადება, თითქოს სვანეთში X—XV საუკუნეებში აზნაურის სისხლი, გლეხთან შედარებით, მხოლოდ ორჯერ მეტი ღირდა (გლეხის 100 ძროხა, ხოლო აზნაურის — 200)[151].

---

149 სვანეთის საისტორიო ძეგლები, 2, გვ. 59.
150 იქვე, გვ. 59—60.
151 დასახელებული კრებული, გვ. 65.

ავტორს უნდა შევახსენოთ კვლევისათვის სათანადო წერილობითი ძეგლების მონაცემების სულ სხვა ეპოქისადმი მისადაგების შეუსაბამობა — თუკი მას აზნაურის სისხლის საურავის ჩვენება უნდოდა, რაღა მაინცდამაინც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბალსზემო სვანეთის დეგრადირებული აზნაურის სინამდვილე აიღო და მექანიკურად X—XV საუკუნეებს მიაწერა, როდესაც ჩვენს განკარგულებაშია არაერთი წერილობითი წყარო, რომელიც, სწორედ, ადრინდელ პერიოდს ეხება და ჩვენს გარდა არაერთ მკვლევარს აქვს განხილული.

ცნობილია და დადგენილია, რომ სვანეთში აზნაურისა და გლეხის სისხლი (მით უფრო თავადის) მკვეთრად განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან, რომ მიუხედავად გარკვეული თავისებურებებისა, მესისხლეობა და სისხლის საურავი სვანეთში საერთო ქართულ სამართალს ემყარებოდა[152].

საისტორიო ძეგლებში კარგად ჩანს, რომ სვანეთში მთელი საზოგადოება აღიარებდა ვარგ-აზნაურის სისხლის უპირატესობას, ვარგის სისხლი მობსენიებულია როგორც საპატიო და საუკეთესო სვანის სისხლი, რომ მესისხლეობაში მთელი საზოგადოების საზომი აზნაურის სისხლი იყო (მაგ., ჯაფარიძის, ყიფიანის, იოსელიანის და სხვ.), რომ აზნაურის სისხლი ითვლებოდა სრულ სისხლად, რომელშიც სანახშირო, საზავო, საპირო და საბელო შედიოდა. იმავე ძეგლებში რიგითი აზნაურის სისხლის საურავი კონკრეტულად არ არის განსაზღვრული, მაგრამ თუკი მკვლევარს მაინცდამაინც ადრინდელი აზნაურის სისხლის საურავის ჩვენება და გლეხის სისხლთან მისი შედარება სურდა, უპრიანი იქნებოდა რამდენიმე საუკუნის წინანდელი მდგომარეობის დასადგენად XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მონაცემების ნაცვლად აეღო XV საუკუნის ძეგლი — აბესალომ გელოვანის ცნობილი „სასისხლო სიგელი“, რომლის მიხედვით გელოვანის სისხლი 200 ათასი კორმანეულადაა შეფასებული, სანახშირე 40 ათასად, საპირო და საზაო 12 ათასად, საჩინო ადგილზე დაღი 12 ათასად და ა. შ.[153].

მართალია, სასისხლო სიგელების სანდოობა საეჭვოდაა მიჩნეული, მაგრამ მის მიხედვით X—XV საუკუნეების სვანეთის ფეოდალური წოდების სისხლის საურავის განსაზღვრა მაინც ყოველმხრივ უფრო მისაღები ჩანს, რადგან, ჯერ ერთი, ამ სასისხლო სიგელში ჩამოთვლილი სანახშიროს, საზაოს, საპიროს, სახელოს, გერშისა და სხვა ინ-

---

152 მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები. — თუს შრომები (138), 1971; გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 153—201; მისივე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, გვ. 197—198.

153 საქართველოს სიძველენი, II, ტფ., 1909, ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 514.

სტიტუტების არსებობა და მოქმედება სვანეთში ყოველმხრივ დადასტურებულია საისტორიო წყაროებით; მეორეც, თვითონ მკვლევარიც არ უარყოფს სასისხლო სიგელების მონაცემების საისტორიო დანიშნულებას. აღნიშნულისადმი ანგარიშის გაწევის შემთხვევაში, დ. გოგოლაძეს არც იმისი განცხადება დასჭირდებოდა, რომ ბარის აზნაურის სისხლი სვანეთთან შედარებით თექვსმეტჯერ განსხვავდებოდა, არც ისტორიზმის პრინციპის დარღვევა და არც შუა საუკუნეების სვანეთის ფეოდალური წოდების სისხლის საურავის ხელოვნური დაკნინება (განა სისხლის საზღაურს ძირთადად სამეფო ხელისუფლება არ განსაზღვრავდა).

მარტო ამით როდი შემოიფარგლება მკვლევრის ტენდენციურობა. მისი განსჯით, XIII—XV საუკუნების სვანეთში თითქოს გაუდიფერენცირებელი ჩანს სისხლის აღებისა და დაურეების წესი, რაც თითქოს იმაში გამოიხატებოდა, რომ მიუხედავად ფასის სხვაობისა, „ვარგთა და გლეხთა თუ მეთემე მდაბიორთა უფლებები თანაბარია", თითქოს მათ ერთნაირი უფლებები ჰქონდა სისხლი მოეკითხათ და სხვ.[154].

წერილობით ძეგლებში აშკარად და ნათლად ჩანს, რომ შუა საუკუნეების სვანეთში, როგორც ხელისუფალი (მელომე, მეჭურჭლე, ხევისთავი), აგრეთვე ეკლესია და მთელი საზოგადოება გმობდა ადამიანის მოკვლას, შეპყრობას, ყიდვა-გაყიდვას და სხვ. სვანეთის საისტორიო ძეგლებში მკვლევარი ვერ იპოვის ვერც ერთ შემთხვევას, როდესაც ხელისუფალი და საზოგადოება სანქციას აძლევს სისხლის აღებას, ყველა შემთხვევაში, ლაპარაკია დანაშაულის საზღაურზე[155]. ამასთან, არც ერთ საბუთში არ ჩანს აზნაურისა და გლეხის თანასწორუფლებიანობა; პირიქით, სასისხლო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ყველგან აზნაურის პრივილეგირებულობა ჩანს, რაზეც არა მარტო მთელი საზოგადოების მიერ აზნაურის ოფიციალური (წერილობითი) ცნობა და საზომად აზნაურის სისხლის აღიარება მეტყველებს, არამედ, ფეოდალური სამართლისამებრ ამ სისხლის დაყოფა „საპატიო სვანის სისხლად", „ვარგის ანუ აზნაურის სისხლად", „სრულ სისხლად", „საუკეთესო სვანის სისხლად" და ა. შ. თუნდაც ამიტომ, აგრეთვე თვით ფეოდალური სამართლის ბუნებიდან გამომდინარე, რანაირად შეიძლება აზნაურისა და გლეხის უფლებრივ გათანაბრებაზე ლაპარაკი.

---

154 დასახელებული კრებული, გვ. 66.

155 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 5, 6, 38, 48, 49, 50, 60, 78, 80, 85, 87, 96.

სვანეთის საისტორიო წყაროებში აზნაურისა და გლეხის უფლებრივ უთანასწორობაზე პირდაპირი ჩვენებაც მოგვეპოვება. საქმე ეხება აზნაური ჯაფარიძეების დამოკიდებულებას ხერგიანებისადმი. ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ხერგიანის გუარის კაცს აზნავირი კაცი თუ შემოაკვდეს, სისხლი **ყიმან გარდახდეს**. თუ ხერგიანები იმას შეეკვდეთ, ყი ისი გლეხმან კაცმან... თუ სისხლი **ვინამე გულირხოს**, ორი ქუაბის ხერგიანების იყოს, სხვა მკვდარის“[156]. აქ ნათლად ჩანს, **რომ** აზნაურის **სისხლის** საურავი ხერგიანებს უყოყმანოდ და უთუოდ უნდა გადაეხადათ, ხოლო აზნაურების მიერ გლეხის სისხლის გადახდა **სათუო** და საეჭვო ყოფილა (თუ სისხლი ვინმემ გვაღირსოსო), როგორც ჩანს, წოდებრივი უპირატესობისა და ხელისუფლების მბარდაჭერის წყალობით აზნაურები მძლავრობდნენ და გლეხებს ტოლად არ ცნობდნენ. ასეთი რამ კი უცხო და უცნობია თანასწორუფლებიანი და სამხედრო დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ფეოდალური სამართლის მიერ თავადაზნაურთა წოდების ინტერესების დაცვისა („გლეხის ყველაფერი ბატონს ეკუთვნის გარდა სულისა“), პრივილეგიურ წოდებას გლეხის სიცოცხლის ხელყოფა არ შეეძლო და ამ **უკანასკნელს** უფლება ჰქონდა სისხლი და ზარალიც მოეკითხა. ე. ი. ფეოდალური სამართლით გლეხის სისხლის დაურვებაც წესი იყო.

სულ სხვა საქმეა რიგითი მოსახლეობის მისწრაფება თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისადმი. სვანეთის საისტორიო ძეგლებში ხშირად სწორედ ასეთი სულისკვეთებაა გამოხატული. ბუნებრივია, ხელისუფლების სისუსტის, ქვეყნის აშლის პირობებში გლეხური მოსახლეობა თანასწორობისა და თავისუფლებისათვის, გაბატონებული წოდების უფლებათა შეკვეცისა და ლიკვიდაციისათვის იბრძოდა. მაგრამ ამ სურვილისა და მისწრაფების რეალიზაცია იოლი როდი იყო.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწორი შეფასებისთვის ხანგრძლივი, საფუძვლიანი და ყოველმხრივ დაკვირვებული კვლევა-ძიებაა საჭირო, ზოგადთეორიული და ნააჩქარევი მსჯელობით სვანეთის განვითარებაზე ჩვენს მიერ ხანგრძლივი შრომის შედეგად წერილობით ძეგლებზე დაფუძნებული მოსაზრებების გადასინჯვა რაღაც საშუალედო მოსაზრებებით შეუძლებელია.

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გ. ძიძიგურის რეცენზიას, რომელიც ჩვენს მიერ სვანეთის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს მაღალ შეფასებას აძლევს[157]. რეცენზენტის აზრით,

---

156 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 110.

157 დასახელებული კრებული, გვ. 96.

ჩვენმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შუა საუკუნეების სვანეთის განვითარების სუბიექტური შეფასების უარყოფაში: „მართალია, დღეისთვის თითქოს აღიარებულია მოსაზრება, რომ შუა საუკუნეებში სვანეთის საზოგადოება განასახიერებდა განვითარების ადრეფეოდალურ სტადიას, მაგრამ მეჩვენება, — წერს გ. ძიძიგური, — რომ აღნიშნული დასკვნა მომგებიან, ე. წ. ოქროს საშუალოს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ჩაღრმავებული კვლევა-ძიების შედეგს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, — განაგრძობს ავტორი, — რომ ამ მხრივ სარეცენზიო შრომები (ე. ი. ჩვენი ნაშრომები — გ. გ.) შენიშვნებს არ იმსახურებენ, მათში იშვიათად შეხვდებით ზოგად, აპრიორულ მსჯელობებს, დასკვნები, როგორც წესი, მიღებულია ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე და ოპონენტის მხრივ მათი უარყოფა შეუძლებელია, თუ ვერ შესძელი თვით ავტორის მიერ დამოწმებული წყაროების განსხვავებული ინტერპრეტაცია“[158].

ჩვენი გამოკვლევების მაღალ შეფასებასთან ერთად გ. ძიძიგური იძლევა რიგ შენიშვნებს, რომელთა ნაწილი, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია, ნაწილიც სადავოა ან უმართებლო. რეცენზენტი სვანეთის ისტორიის საფუძვლიან ცოდნასა და მართებულ გაგებას ამჟღავნებს, მისი შენიშვნები ხშირად წყაროების განსხვავებულ ანალიზსა და გაგებას ემყარება, რითაც გ. ძიძიგურის შენიშვნები მართლაც გამოირჩევა ზოგიერთი მკვლევრის მეტისმეტად თამამი და ზერელე დასკვნებისაგან.

რეცენზენტს ნაწილობრივ ვერ გაუგია მიწისმფლობელობის ჩვენეული კლასიფიკაცია: 1. ფეოდალურ ანუ აზნაურულ-საეკლესიო; 2. ინდივიდუალურ-გლეხური, ანუ ალოდიალური და 3. სასოფლო-თემური (საერთო) მფლობელობა. ასეთი დაყოფის ნაცვლად მას უფრო მართებულად ეჩვენება: პირველ პუნქტში, ფეოდალურში გაერთიანებინა „ინდივიდუალურ-გლეხური“. ამ შემთხვევაში პირველ პუნქტში მივიღებდით „ფეოდალურ ანუ საბატონო და საგლეხო მიწისმფლობელობას“; „მეორე — „ალოდიალურს“, ხოლო მესამესთან დაკავშირებით არ გვედავება, ოღონდ, მისი აზრით, ჩვენ აქვე უნდა გაგვემარტა სოფლურ მფლობელობასთან გვაქვს საქმე თუ საკუთრებასთან[159]. აქ შეინიშნება რეცენზენტის დაუკვირვებლობა. საქმე ასაა, რომ პირველი და მეორე პუნქტი საკუთრების პრინციპით დაეალაგეთ: პირველ პუნქტში აზნაურებისა და ეკლესიის მიწა მოვაქციეთ, ე. ი. ფეოდალური საკუთრება; ბუნებრივია, ფეოდალურში ის მიწა იგულისხმება, რომელიც გაბატონებულ წოდებას ეკუთვნოდა კერძო სა-

---

158 დასახელებული კრებული, გვ. 96—97.

159 იქვე, გვ. 98.

კუთრების უფლებით (მამული — „ვოტჩინა“), ეს მიწა ორ ნაწილად იყოფა: ერთ ნაწილზე, მესაკუთრის, უშუალო მეურნეობა იყო მოწყობილი, მეორე კი გლეხებს ჰქონდათ ნადელის სახით (სარგებლობის და არა კერძო საკუთრების უფლებით). მაშასადამე, ფეოდალურ მიწისმფლობელობაში იგულისხმება ის მიწა, რომელსაც უშუალოდ ფეოდალი ფლობდა და ისიც, რომელიც საღალოდ და საბეგროდ ჰქონდა გლეხს მიღებული (ამ უკანასკნელის გარეშე ფეოდალური მიწისმფლობელობა წარმოუდგენელია!). მეორე პუნქტში კი ფოვაქცევთ ალოდიალური მიწისმფლობელობა, ის მიწა, რომელიც გლეხს ეკუთვნოდა ინდივიდუალურად (საკუთრების უფლებით). ამიტომ ინდივიდუალურ-გლეხური საკუთრების ფეოდალური საკუთრებისადმი მიკუთვნება, როგორც ამას ოპონენტი გვთავაზობს, შეცდომა იქნებოდა.

რაც შეხება მესამე პუნქტს, აქაც ყველაფერი თავის ადგილზე დგას, სვანეთში საქმე გვაქვს საძოვრებისა და შორეული ტყეების საერთო-კოლექტიურ მფლობელობასთან, ისინი სოფლებს ეკუთვნოდა და მათი კერძოდ დაჩემების უფლება არავის ჰქონდა.

რეცენზენტი ეხება გლეხთა ვალდებულებას სვანეთში და შენიშნავს, რომ ამ ვალდებულების საფუძველი შესაძლოა აზნაურის მიერ გლეხის მიწისადმი ხელდება კი არ იყოს, არამედ პოლიტიკური იძულება[160]. აღნიშნულ შემთხვევაში რეცენზენტი ფაქტობრივად იმას იმეორებს, რასაც ჩვენ არაერთგან ვამბობთ. ჩვენი აზრით, სვანეთში და საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც მიწის დიდი სიმცირე იგრძნობოდა, მიწა ფეოდალურმა წოდებამ კი არ აითვისა (როგორც ეს რუსეთში ხდებოდა ზოგჯერ), არამედ თავიდანვე მატერიალური დოვლათის მწარმოებელ მასას ჰქონდა ათვისებული და დაჩემებული, ხოლო შემდეგ მას ფეოდალებმა და სახელმწიფომ დაადეს ხელი, დროთა მსვლელობაში პრივილეგირებულმა წოდებამ და სახელმწიფომ შეძლეს გლეხთა უფლების შეზღუდვა და მათი მიწის მითვისება[161]. თუ ერთ შემთხვევაში მემამულეებმა და სახელმწიფომ შეძლეს სრულიად წაერთმიათ გლეხისათვის მიწა (სხვაგან გადაესახლებინათ ის), მეორე შემთხვევაში, მიწით სარგებლობის უფლება გლეხს სიგელით განესაზღვრა, მესამე შემთხვევაში, **გლეხები ითვლებოდნენ „თავისი მიწის“ მემკვიდრეობით მფლობელად, ხოლო** მესაკუთრე ფეოდალთა უფლებები მხოლოდ გარკვეული გადასახადების გადახდევინებით შემოიფარგლა[162].

---

160 დასახელებული კრებული, გვ. 99.

161 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 77.

162 А. Л. Шапиро, О природе феодальной собственности на землю,— Вопросы истории, 1969, №12, с. 57—72.

ფეოდალიზმის ეპოქაში, — წერდა მარქსი, — უმაღლესი ძალაუფლება სამხედრო და სამოქალაქო საქმეში — მიწის საკუთრების ატრიბუტი იყო[163]. ე. ი. მმართველობაში და სამხედრო საქმეში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება აზნაურობას გაბატონებულ ძალად აქცევდა[164].

როგორც ვხედავთ, გლეხთა ვალდებულება (ბეგარა და სხვ.) თავდაპირველად სხვადასხვა საფუძველზე აღმოცენდა, მაგრამ ვ. ი. ლენინის მითითებით, საბოლოო ჯამში, ის ყველგან და ყოველთვის პოლიტიკურ იძულებაზე და ძალმომრეობაზე იყო დაფუძნებული[165].

რაც შეეხება რეცენზენტის მსჯელობას, რომ მწარმოებელი საზოგადოება ნატურით და შრომით ვალდებულებას ასრულებდა, როგორც ადრეფეოდალურ, აგრეთვე განვითარებულ ფეოდალურ ხანაში, ის სწორია. მაგრამ ექსპლუატაციის განუვითარებელი თუ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის განსაზღვრა მარტო ზემოხსენებული ფორმების გათვალისწინებით შეუძლებელი და საეჭვოა, რადგან ფეოდალური ურთიერთობის ხასიათის განსაზღვრა არაერთ სხვა გარემოებაზეცაა დამოკიდებული.

გ. ძიძიგური ეხება მიწის საკუთრების ფორმებს და აღნიშნავს, რომ სვანეთში მიწის კერძო საკუთრება ბატონობდა ალოდიალური საკუთრების სახით, თუმცა საეჭვოდ მიაჩნია, რომ ასეთი საკუთრების წყარო სვანეთში „გლეხური რევოლუცია“ ან მიწის გამოსყიდვა ყოფილიყო[166].

ჩვენს ნაშრომებში არაერთგან ვუსვამთ ხაზს, რომ სვანეთში მიწაზე კერძო საკუთრება ბატონობდა, მაგრამ ჩვენ არსად არ ვამტკიცებთ რეცენზენტის მიერ აქ წამოჭრილ მოსაზრებას. როდესაც ჩვენ საკუთრების საკითხზე ვმსჯელობთ, ვწერთ, რომ სვანეთში მიწის საკუთრების გაბატონებულ ფორმას ფეოდალური საკუთრება წარმოადგენდა და იქვე დავძენთ, რომ ამასთან, ალოდიალურ საკუთრებასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა[167]. თუმცა მიუხედავად ამისა, სათანადო ცნობების უქონლობის გამო, ფეოდალური და ალოდიალური მიწათმფლობელობისა და საკუთრების თანაფარდობის ზუსტი განსაზღვრა ძნელია და სადავო. რაც შეეხება ალოდიალური საკუთრების

---

163 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 23, с. 334.

164 გ. გასვიანი, დასახელებული შრომა, გვ. 89.

165 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 25, ч. II, с. 361; ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 3. გვ. 208; გ. გასვიანი. დასახელებული შრომა, გვ. 99, 145—146.

166 დასახელებული კრებული, გვ. 99.

167 გ. გასვიანი, დასახელებული შრომა, გვ. 76—110.

წარმოშობას, ჩვენ არაერთგან აღვნიშნავთ, რომ მისი თავდაპირველი წარმოშობის საფუძველი მწარმოებელი საზოგადოების მიერ მიწის ათვისება და დაპატრონებაა (გვაროვნული წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის პროცესში)[162]. ამასთან, ჩვენ ვითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოს ცენტრალიზებული სამეფოს დაშლა-დაქუცმაცებულობის შემდეგ სვანეთის საერისთაოც დაეცა. სამეფო და საერისთავოს ხელისუფალთა ძალაუფლების ლიკვიდაციის შედეგად მეფისა და ერისთავის მოლაშქრე ფენა თავისუფალი დარჩა, ამასთან, ამას დაემატა კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლაში გამჭრალ აზნაურთა გლეხები და საბოლო ჯამში გლეხთა თავისუფალი ფენა ჩამოყალიბდა (მით უფრო ე. წ. თავისუფალ სვანეთში). ყოველივე ამის შედეგია გვიან საშუალო საუკუნეებში სვანეთში კერძო მესაკუთრე გლეხთა თავისუფალი კატეგორიის არსებობა და არა მხოლოდ კლასობრივ ბრძოლაში თუ სხვა გზით მოპოვებული წარმატების შედეგი[169].

გ. ძიძიგურის შემდეგი შენიშვნა ეხება სვანეთის ეკლესიის რაობის გაშუქებას. ის სვამს საკითხს — იყო თუ არა სვანეთის ეკლესია ფეოდალური ორგანიზაცია? მართალია, გ. ძიძიგური დაბეჯითებით არაფერს ამბობს, მაგრამ უფრო იქითკენ იხრება, რომ ე. წ. ეკლესიის მიწა ფაქტობრივად „ერთობილი კოლექტიური საკუთრება იყო". რეცენზენტი არ უარყოფს ეკლესიის ექსპლოატატორულ ხასიათს, მაგრამ, მისი აზრით, „ეს იქნებოდა ფეოდალური ექსპლოატაცია, ექსპლოატატორი კერძო მიწათმფლობელი რომ ყოფილიყო და არა კოლექტივი"[170].

შუა საუკუნების სვანეთის ეკლესიის ფეოდალურ ხასიათზე არაერთ გამოკვლევაში ვიმსჯელეთ[171]. ამასთან, არაერთგან აღვნიშნეთ ისიც, რომ საეკლესიო თემი, როგორც „ერთობილი ორგანიზაცია" საქართველოს სხვა კუთხეებსაც (მაგ., რაჭა-ლეჩხუმს, იმერეთს, კახეთსა და სხვ.) ახასიათებდა. ამავე დროს, ეკლესიის მესვეური რომ კერძო მიწისმფლობელი და ექსპლოატატორი იყო (მაგ., სეტის ეკლესიის ქორეპისკოპოსი სეტიელი), ესეც თავის დროზე მიეუთითეთ[172]. აქ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ მიუხედავად მიწის სიმცირისა,

---

168 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 77, 87, 90, 97, 201—241; მისივე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, გვ. 213—216, 219—220 და სხვ.

169 დასახელებული კრებული, გვ. 102.

170 დასახელებული კრებული, გვ. 112.

171 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 94.

172 იქვე, გვ. 128—135.

მღვდელმთავარი სეტიელის (ფალიანის) მიერ სხვადასხვა პირისაგან მიწის ნასყიდობის რვაზე მეტმა საბუთმა მოაღწია ჩვენამდე[173]. რაც შეეხება „ერთობილს“, ის სვანეთში ფეოდალური ურთიერთობის განუვითარებლობაზე თუ განვითარებულობაზე არაფერს გვეუბნება, რადგან ეს არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო სფეროშიც ხშირად ფიგურირებს ბარის საქართველოს სინამდვილეში. ამიტომ სვანეთის საისტორიო ძეგლებში მოხსენიებული „ერთობილი“ გამონაკლისი არ არის და ის სვანეთის საზოგადოების გვაროვნულობისა და ადრეკლასობრივი ხასიათის მაჩვენებლადაც არ გამოდგება.

გ. ძიძიგური იზიარებს მოსაზრებას სვანეთის საზოგადოების კლასობრივ დაყოფაზე და აზნაურის ცალკე წოდებად ჩამოყალიბებაზე, მაგრამ გაურკვეველად ეჩვენება, „თუ რა იყო სვანეთის საზოგადოების პრივილეგირებული ფენის უპირატესობის საფუძველი — ძალა, ქონება თუ წოდება“. ეფიქრობთ, აქ სათუო და სადავო არაფერია. ფეოდალური წოდების უპირატესობის საფუძველს წარმოადგენს წოდებაც, ქონებაც და ძალაც. ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელია „გლეხთა რეგულარული ძარცვის სისტემაც“. რეცენზენტი არც იმას უარყოფს, რომ სვანეთში აზნაურებს მაღალი სამხედრო თანამდებობები ეპყრათ, მაგრამ რაკი აზნაური „ერთობილი თემის“ წევრად ფიგურირებს და საბუთებში მისი უფლებამოსილება ცალკე არაა ფიქსირებული, ეს იმის მაჩვენებელად მიაჩნია, რომ ის და გლეხი პოლიტიკურად თანასწორუფლებიანი იყვნენ, რასაც თითქოს ისიც მოწმობს, რომ მთელი თემი თავადს ერთსულოვნად უპირისპირდებოდა[174].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ერთობილს“ არაფერი აქვს საერთო მასში მოხსენიებული საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობასთან, ის მხოლოდ მის ქვეშ მოხსენიებულ სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა ზოგად ერთობას გამოხატავს. ეს რომ ასეა, ეს ადრეც ცხადვყავით ბარის საქართველოს სათანადო საბუთებით[175]. აქაც უნდა დავძინოთ, რომ ამას ადასტურებს აგრეთვე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის წერილობითი საბუთები, მათ შორის ქართლის მეფის 1661 წლის ახლო ხანების ბრძანება ზემო იმერლებისადმი: „ქ. მეფეთ-მეფე შაჰნავაზ უზეწთაესთა მოვახსენებთ და უქვედაესთა გიბრძანებთ, **ერთობილნო ბუჯახწყალს ზედათნო, ხრეითიანთ ლიხის მთამდი.** მერე, თქუენი სარდრო-

173 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 79, 82, 83, 84.

174 დასახელებული კრებული, გვ. 105.

175 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. გვ. 49—50.

ბა ზაალ წერეთლისათვის გუიბოძებია და რომელიცა ჩუენი სამსახური: ან ლაშქრობა, ან ნადირობა და ან სხვა რამე დაგპატიჟოს ყუელაზედ მოუდეგით და ნურას საქმეზედ ნუ დაეურჩებით"[176]. როგორც ცნობილია, ზემო იმერეთის საზოგადოება სხვადასხვა წოდებისაგან შედგებოდა. მაგრამ მეფისა და ქუეყნისადმი სამსახური ყველას განურჩევლად ევალებოდა, ერთობილში მოხსენიებული სხვადასხვა წოდების ვალდებულების გაუმიჯნაობას არაფერი აქვს საერთო მათ სოციალურ თუ პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობასთან. აფხაზეთის კათალიკოსის გრიგოლ ლორთკიფანიძის 1706 წლის საბუთში „ერთობილის" ქვეშ ასევე მოხსენიებულია: მეფე-დედოფალი, დადიან-გურიელი, თავად-აზნაური, დიდ და მცირე, მღვდელმსახური და გლეხი და სხვ.[177]. მაგრამ ამას რა საერთო შეიძლება ჰქონდეს აქ ჩამოთვლილთა თანასწორუფლებიანობასთან? ასევე, XVIII საუკუნის დასასრულის საბუთებში „ერთობილი" ტერმინით მოიხსენიება ხონისა და მათხოჯის თემების მთელი საზოგადოება (აზნაური, გლეხი, სასულიერო წოდება და სხვ.)[178].

რაც შეეხება იმას, რომ სვანეთში ზოგჯერ მთელი თემი უპირისპირდებოდა „თავადს", არც ამაშია რაიმე უცნაური, რადგან მოძალადეს და უდების დამდებს ხშირად აზნაურიც უპირისპირდებოდა და გლეხიც (რაც ნათლად ჩანს ქართლის ზემოალნიშნული მაგალითიდანაც).

გ. ძიძიგური არ უარყოფს სვანეთის აზნაურთა ცალკე, სოციალურ წოდებად ჩამოყალიბების ფაქტს, მაგრამ მიაჩნია, რომ აზნაურები ეთგვაროვანნი იყვნენ და სვანეთის აზნაურთა დაყოფა სხვადასხვა ფენად (კატეგორიად) და განსხვავებული სისპლის მქონედ გაზვიადებული ეჩვენება. მისი აზრით, სვანეთის აზნაურთა ამგვარი დაყოფა ბარის სინამდვილის განმეორება და მიბაძვაა[179].

ნაშრომებში, წერილობით წყაროების საფუძველზე, შეეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ სვანეთის აზნაურები „დიდ და მცირე კატეგორიებად იყოფოდნენ[180]. ამასთან, აბესალომ გელოვანის სასისხლო სიგელიდანაც ჩანს, რომ აზნაურები ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ გვარჩამომავლობით, ქონებრივი შეძლებით, მოხელეობით (თანამდებობით) და სხვა. ბუნებრივია, ეს იმ დასკვნის უფლებას გვაძლევს, რომ მათი სისხლის საურავიც განსხვავებული იყო.

---

176 ისტორიული დოკუმენტები... თბ., 1959, შ. ბურჯანაძის გამოც., გვ. 33.
177 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 94.
178 იქვე, გვ. II, გვ. 77, 79.
179 დასახელებული კრებული, გვ. 106.
180 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 31—38.

დავუშვათ, ჩვენ მხოლოდ ზოგადად ვიცით სვანეთის აზნაურთა წარმოშობა. ხოლო მათ დიფერენციაციაზე არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება; ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაშიც ნათლად შეგვეძლო გვევარაუდნა. რომ ყველა მათგანი ერთ დონეზე ვერ გაიყინებოდა; ამის საფუძველს გვაძლევს: ჯერ ერთი, ის, რომ რაკი საზოგადოების დიფერენციაცია მოხდა და აზნაურთა წოდება გაჩნდა, ერთხელ წარმოშობილი აზნაურობა X საუკუნიდან XIX საუკუნემდე სტატიკურ მდგომარეობაში ვერ დარჩებოდა. მეორეც, ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ბარის საქართველოს კვალდაკვალ თავადები (მაგ., გელოვანები, დადიშქელიანები და გარდაფხაძეები) სვანეთშიც წარმოიშვენ და ჩამოყალიბდნენ. განა ეს იმისი პირდაპირი მაჩვენებელი და მოწმობა არ არის, რომ შუა საუკუნეებში სვანეთის აზნაურთა დიფერენციაციაც განხორციელდა?!

ყოველივე ამის გამო არც ის არის საკვირველი, რომ სვანეთის აზნაურთა კატეგორიებად დაყოფა საერთო ქართული სამართლის ძეგლების კვალობაზე და მეშვეობით გვევარაუდებინა, რადგან, ჯერ ერთი, ამ ძეგლებში (მაგ., „ქართლის ცხოვრებაში") პირდაპირ სახელდებითაა აღბეჭდილ-ფიქსირებული სვანი „მოხევეებისა" და „დიდებულებს" ენიშნელოვანი როლი საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს პოლიტიკურ და სოციალურ წარმატებაში; მეორე, ანგარიშვასაწევია ისიც, რომ ერთიან სახელმწიფოში აზნაურის წოდებას, უპირველეს ყოვლისა, მეფის ხელისუფლება აწესებდა, ბუნებრივია, სისხლის საურავიც სახელმწიფო სამართლით იყო განსაზღვრული; მესამე, განა ჩვენ საქართველოს ყველა კუთხის სოციალურ წოდებებზე, მით უფრო ადრინდელ პერიოდზე (მაგ., სამეგრელოს, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და სხვ.), ყოველთვის ამომწურავი წერილობითი დოკუმენტური მასალა მოგვეპოვება? მაგრამ, საპირო შემთხვევაში, ამ კუთხეთა სოციალური მდგომარეობის გასარკვევად საერთო ქართულ წერილობით წყაროებს ვიყენებთ და ვეყრდნობით, ამიტომ ამ სახელმწიფოს ორგანული შემადგენელი ნაწილი — სვანეთი — გამონაკლისი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ყოველივე აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი სვანეთის სინამდვილე ზოგიერთ სფეროში საერთო ქართული წყაროების საფუძველზეც წარმოვადგინოთ.

სხვათა შორის, მკვლევარ გ. ძიძიგურს რატომღაც ვერც ჩვენს ნაშრომებში და ვერც სვანეთის საისტორიო ძეგლებში ვერ შეუნიშნავს იმისი მაგალითები, რომ ესა თუ ის აზნაური სვანეთში მამულს თავისი უშუალო სიუზერენის ნებართვით ასხვისებდა, ამიტომ მას ეჭვი ეპარება სვანეთში აზნაურის მამულის იერარქიულობაში[131].

---

[131] ციტირებული კრებული, გვ. 107.

აღნიშნულზე ფართოდ ვიმსჯელეთ სვანეთისადმი მიძღვნილ პირველ მონოგრაფიაში[182], აქ კი მოკლედ უნდა დავძინოთ, რომ სვანეთის სინამდვილეში ამისი ნიმუშია აზნაური გელოვანები. მათ მიერ დაწერილი წერილობითი საბუთიდან კარგად ჩანს, რომ ისინი თავიანთი სიუზერენ (პატრონ) მიქელაიძის ნებართვით სწირავენ ეკლესიას ორ ადგილმამულს და მიუხედავად ეკლესიის განკარგულებაში გადასვლისა, ისინი ძველი პატრონისადმი ვალდებულიც რჩებიან[183], რაც იმისი უთუო საბუთიცაა, რომ სვანეთშიც არსებობდა მიწის დანაწევრებული და საზიარო საკუთრება ანუ იერარქიული საკუთრება.

ახლა იმაზე, თუ როგორ ვაფასებთ და როგორ შეიძლება შეფასდეს შუა საუკუნეთა სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ზოგიერთი მკვლევარი შენიშნავს, რომ ჩვენს გამოკვლევებში ამ კითხვაზე პირდაპირი და კატეგორიული პასუხი არსად არის ეაცემული. სხვა მკვლევარებს კი ეჩვენებათ, რომ მიუხედავად ამისა, ჩვენ სვანეთს მივიჩნევთ განვითარებულ ფეოდალურ ქვეყნად, რადგან მისი ისტორიის საკითხების გაშუქებისას არაერთგან ვხმარობთ გამოთქმას — „ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა, მიწის იერარქიულობა" და სხვ., რაც თითქოს იმის მაჩვენებელია, რომ სვანეთს განვითარებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების მქონედ მივიჩნევთ. თითქოს ამას მოწმობს ჩვენს მიერ სვანეთის საზოგადოების ნიშნების დახასიათებაც[184]. გ. ძიძიგური არ უარყოფს იმას, რომ სხვადასხვა საკითხების განხილვის დროს, ჩვენ არაერთგან ვუსვამთ ხაზს სვანეთის საგრძნობ ჩამორჩენილობას ბარის საქართველოსთან შედარებით[185].

როგორც ზემოთ დავინახეთ, სვანეთის განვითარების შეფასებაში დაახლოებით ასეთივე შენიშვნას გვაძლევს მკვლევარი დ. გოგოლაძე, რომელიც სვანეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას კატეგორიულად აფასებს როგორც ადრეფეოდალური ურთიერთობის კლასიკურ ნიმუშს[186].

აქ ჩვენ უფრო გ. ძიძიგურის შენიშვნა გვაკვირვებს, მან კარგად იცის, რომ ფეოდალური საქართველოს ისტორიისაგან სვანეთის წარსულის ხელოვნური იზოლირება და ან ხელოვნურად გამოთიშვა (ამ უკანასკნელის სრულიად სხვა ფორმაციასთან დაკავშირების მცდელო-

---

182 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 76—110.

183 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, გვ. 17.

184 დასახელებული კრებული, გვ. 97.

185 იქვე.

186 იქვე, გვ. 61, 62, 63, 71.

ბა) უსაგნო ვარჯიშობაა. ამის მიუხედავად შეგვნიშნავს, რომ პირდა-პირ არ ეიძლევით სვანეთის განვითარების ფორმაციულ შეფასებას.. ამავე დროს, რაკი სვანეთი წარმოადგენდა საქართველოს ორგანულ ნაწილს, ამიტომ, რასაკვირველია, მისი განვითარება მთლიანობაში — ზოგადქართული მნიშვნელობით და მასშტაბით — უნდა განვიხილოთ.. კიდევ მეტი, თვითონ მკვლევარმა კარგად იცის, რომ „განვითარებული ფეოდალური საზოგადოება არ გულისხმობს და არც მოითხოვს ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში (ბარში თუ მთაში) წარმოებით ურთიერთობათა თანაბარ დონეს, მათ ერთგვაროვნებასა და ერთსახოვნებას“[187].

ვფიქრობთ, ამ დასკვნის შემდეგ გ. ძიძიგურს ჩვენთან არაფერი სადავო არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ რატომღაც მაინც გვედავება.

სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ე. წ. გვარიანული თეორიის გარჩევისას არა მარტო ის ცხადვყავით, რომ სვანეთი ფეოდალური კუთხე იყო, არამედ დასკვნებში ხაზგასმით აღვნიშნეთ ისიც, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკურმა ღაშლა-დაქუცმაცებამ სვანეთი ჩიხში მოაქცია, ამასთან დაკავშირებით პირდაპირ ვწერთ: „ცხადია, სვანეთში ზრდადაუსრულებელი ფეოდალიზმის განვითარება, რაც საქართველოს ერთიანობის დროს მიმდინარეობდა, შეწყდა“[188].

მიწისმფლობელობისა და გეოგრაფიული მდებარეობის დაბასიათების დასკვნით ნაწილში აღვნიშნავთ: „საქართველოს პოლიტიკური დაშლის შედეგად შექმნილმა კონკრეტულმა პირობებმა სვანეთში ფეოდალიზმის განვითარება შეაფერხა და ბალსზემო ნაწილში წვრილაზნაურული მეურნეობა გაბატონდა. ცხადია, ფეოდალიზმი ბუნებრივი და ნორმალური გზით რომ განვითარებულიყო სვანეთში... ასეთ ვითარებაშიც ის ბარის მეურნეობის მასშტაბს ვერ მიაღწევდა“[189].

გლეხთა ვალდებულებისა და ექსპლუატაციის შეჯამებისას ვწერთ: „ისევე როგორც მიწისმფლობელობის, აგრეთვე ფეოდალური ბეგარა-ვალდებულების მასშტაბის და ნაირფეროვნების ძირითა სვანეთი ქვეყნის ბარის განვითარებულ რაიონებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა“[190]. აქვე აღვნიშნავთ: „მთური მდებარეობის გამო სვანეთის მეურნეობა შებოჭილი იყო, რაც ფეოდალური მეურნეობის განვითარებას ზღუდავდა და დამოკიდებული წოდების მსუბუქ და მარტივ ბეგარა-

---

187 დასახელებული კრებული, გვ. 114.

188 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. გვ. 107.

189 იქვე, გვ. 111.

190 იქვე. გვ. 151.

191 იქვე, გვ. 59, 60, 82, 152.

ყალდებულებას განსაზღვრავდა"[191]. ასევე, არაერთგან შევნიშნავთ, რომ სვანეთს არაერთი სპეციფიკური თავისებურება ახასიათებდა, ასეთ თავისებურად მივიჩნიეთ ე. წ. ბალსზემო სვანეთის ეითარება და სხვ.[192].

შემდეგ, სვანეთის მთურ-ვიწროეკონომიკური ბაზის დახასიათებისას, ვწერთ: „უეჭველია, რომ მთა თავისი ეკონომიკით ბარს ჩამორჩებოდა. რომ მთაში ზედმეტი პროდუქტის წარმოება და მისი მითვისება, ბართან შედარებით, მცირე მასშტაბით ხასიათდებოდა"[193].

ექსპლოატაციის მასშტაბზე მსჯელობისას ვწერთ: „ამ მხრივაც სვანეთი ვერ შეედრებოდა ბარის საქართველოს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, არც მთურ მდებარეობას და არც შედარებით მწირ ეკონომიკას არ შეეძლო ზედმეტი პროდუქტის წარმოების გამორიცხვა. ასევე შეუძლებელი იყო შუა საუკუნეების ეპოქაში სვანეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ერთ წერტილზე გაყინვა. მიუხედავად მთური მდებარეობისა, სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია და კულტურის განვითარება სვანეთში კუთხის მასშტაბისდაკვალად იკაფავდა გზას[194].

აღნიშნულთან დაკავშირებით იმასაც ვწერთ, რომ „თუ ზოგიერთ მკვლევარს დავუჯერებთ, მთაში (რომლის გარემო რამდენიმე საუკუნეში თითქმის არ შეცვლილა) საზოგადოებაც უცვლელი იყო—პირველყოფილურ დონეზე უნდა გაქვავებულიყო (სწორედ ასეთი შეხედულების საყოფად მივიჩნიეთ მთაში გვაროვნულ-პირველყოფილი წყობილების ესოდენ გამძლეობისა და ხანგრძლივი არსებობის ოდიოზური თეორია). ხოლო ბარის განვითარება ყველგან ინტენსიურ-ზეაღმავალი ხაზით უნდა წარმართულიყო. მაგრამ ყველაფერი ასე როდია..."[199].

სვანეთის გეოგრაფიული გარემოს დახასიათებისას, პირველ რიგში, ვეყრდნობით ცნობილ მარქსისტულ დებულებას, რომ გეოგრაფიული გარემო ანელებს (ამუხრუჭებს) ან აჩქარებს (ხელს უწყობს) საზოგადოების განვითარებას და დაძენთ, რომ მთიან-მწირი მდებარეობა ფეოდალიზმის განვითარების მასშტაბს ზღუდავდა. ამასთანავე, ხაზგასმით ვწერთ: „მიუხედავად ამისა, მთურ მდებარეობას არ შეეძლო საზოგადოების განვითარების შეჩერება, მის ერთ წერტილზე გაყინვა, მით უფრო, რომ სვანეთი წარმოადგენდა სოციალურად და კულტურულად მაღალგანვითარებული საქართველოს ორგანულ და განუყოფელ ნაწილს, რომლის ტერიტორია არცთუ ისე

---

192 იქვე, გვ. 230—239.

193 იქვე, გვ. 211.

194 იქვე, გვ. 211, 216.

195 იქვე, გვ. 212.

ვრცელი იყო. ცნობილია, რომ საქართველოს მთისა და ბარის ცხოვრება ერთიმეორესთან იყო გადაკვანძული"[196].

ჩვენს ნაშრომებს ყველგან წითელ ზოლად გასდევს იმისი მტკიცება, რომ „შეუძლებელია ისეთ პატარა რეგიონში, როგორიც სვანეთია, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ინსტიტუტი, ასე ვთქვათ, კლასიკური სისრულით ყოფილიყო წარმოდგენილი, მით უფრო, რომ ის წარმოადგენდა არა ცალკე აღებულ, დამოუკიდებელ ქვეყანას, არამედ ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ პროვინციას"[197]. რეფორმისდროინდელ ე. წ. თავისუფალი სვანეთის ვითარებაზე კი ვწერთ: მოცემულ პერიოდში იქ ბატონყმური მდგომარეობაში მხოლოდ შინაყმები იყვნენ, გლეხთა უდიდესი ნაწილი კი პირადად თავისუფალი იყო და სამამულო უფლება შეზღუდულ აზნაურობას ბოლოლოდ სიმბოლურ გადასახადებს უხდიდა[198].

ჩვენ არსად არ ვიძლევით განვითარების თვალსაზრისით საქართველოსაგან სვანეთის გამოცალკევების, მისი ისტორიის არქაიზაციისა და დამახინჯების ცდას. როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი აკეთებს; არსად არ ვამტკიცებთ, რომ სვანეთი განვითარებული ფეოდალური ქვეყანა იყო, პირიქით, ხაზს ვუსვამთ, რომ სვანეთში ჩვენ ეხვდებით ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ელემენტებს, აგრეთვე განუვითარებელ ფეოდალურ ინსტიტუტებს და ფეოდალიზმამდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის გადმონაშთებს. ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია არა მარტო სვანეთის ცალკეული ნაწილის, არამედ თვით მთელი სვანეთის, ასევე რაჭის, ლეჩხუმის, გურიის, ფშავის, ხევსურეთის, თუშეთისა და საქართველოს დანარჩენი კუთხეების განვითარების ერთმანეთისაგან იზოლირებული — ფორმაციული — შეფასება. ფორმაციული განვითარების ასე დაწვრილერთეულება შეუძლებელია (ასევე შეუძლებელია მთა-ბარის ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით სოციალური საზღვრის დადგენა); ამასთან, ფეოდალური ფორმაცია არც ერთ ქვეყანაში არ გულისხმობს განვითარების ერთგვაროვნობასა და ერთნაირ დონეს, მისი წმინდა სახით არსებობას.

სხვადასხვა ქვეყნის (და არა ამა თუ იმ ქვეყნის ცალკეული ნაწილების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დახასიათებისას კ. მარქსი წერდა: „ერთსა და იმავე ეკონომიკურ ბაზისს — ერთსა და იმავე მთავარი პირობების მიხედვით — უთვალავ სხვადასხვა ემპირიულ გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა... გარედან მოქმედ ისტორიულ გაელენათა და სხვათა მეობებით შეუძლია თავისი გამოვლენისას

---

196 გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, გვ. 211—212.

197 იქვე.

198 იქვე, გვ. 219.

ისეთი დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები გვიჩვენოს, რომელთა გაგებაც მხოლოდ ემპირიულად მოცემულ გარემოებათა ანალიზის საშუალებით შეიძლება"[199].

ესა თუ ის ფორმაცია ლენინმა ასე შეაფასა: „...ეპოქა სხვადასხვაგვარ მოვლენათა ჯამია, რომელშიც ტიპიურის გარდა მუდამ არის სხვაგვარი"[200]. ვ. ი. ლენინმა 1921 წელს ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წყობილებაში სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ან წყობის ხუთი ნაირსახეობა შენიშნა[301].

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივია იმისი მტკიცება, რომ ქართულ ფეოდალიზმს, ბარში თუ მთაში, ნაირფეროვნება ახასიათებდა, რომ ფეოდალური წყობილების დროს საქართველოს სახელმწიფოში არა მარტო მთა ჩამორჩებოდა ბარს, არამედ ბარიც განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან; რომ მთასაც და ბარსაც სხვადასხვაგვარი გრადაცია-ვარიაციები და წინამორბედ საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების სახეშეცვლილი გადმონაშთები ახასიათებდა, რომ მიუხედავად ამისა, მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება ერთიანობაში უნდა შეფასდეს, როგორც საერთო ზოგადქართული ფეოდალური წესწყობილება.

რჩება კიდევ არაერთი აუხსნელი და სადავო საკითხი, რომლებიც ხსენებულ კრებულში ან არასრულყოფილადაა გაშუქებული ან არასწორადაა გაგებული, მაგრამ ყველა მათგანის ჩამოთვლა და გაშუქება ერთი შრომის ფარგლებში შესაძლებლობას აღემატება.

დაბოლოს აღსანიშნავია: 1. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ კრებულში საყურადღებო ფაქტებთან და განზოგადებებთან ერთად არაერთგან წინააღმდეგობრივი მსჯელობა და გაუგებრობაც შეინიშნება, მისი გამოცემა მაინც გამართლებულია; 2. კრებული ცალკეულ ნარკვევთა მექანიკური ჯამი უფროა, ვიდრე პრობლემისადმი მიძღვნილი ერთიანი, დასრულებული ნაშრომი, რომელსაც შეეძლო დასმულ საკითხებზე მეცნიერულად სრულყოფილი პასუხის გაცემა.

---

199 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. II, გვ. 411—412.
200 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 35, გვ. 232.
201 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 32, გვ. 369.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

რაჭა-ლეჩხუმისა და აფხაზეთის ზოგიერთი სვანური ტოპონიმი

1. რაჭა-ლეჩხუმის სვანური ტოპონიმიკა

როგორც ცნობილია, ტოპონიმიკაში აისახება მისი შემქმნელი ხალხის ენა, აგრეთვე სამეურნეო და კულტურული ყოფაცხოვრების ზოგიერთი მხარე. ამიტომ მის შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლაში.

რაჭა-ლეჩხუმის ისტორიისა და ტოპონიმიკის კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაუყარა ი. ჯავახიშვილმა. მის შემდგომ შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანეს ე. თაყაიშვილმა, ს. კაკაბაძემ, გ. ბოქორიძემ, შ. ბურჯანაძემ, გ. ჩიტაიამ, ს. მაკალათიამ, ა. კიკვიძემ, გ. მელიქიშვილმა, ო. სოსელიამ, გ. გობეჯიშვილმა, ნ. რეხვიაშვილმა, მ. რეხვიაშვილმა და სხვ.

რაჭა-ლეჩხუმის ტოპონიმიკის ენათმეცნიერულ შესწავლაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით მ. ალავიძეს, მ. ჩიქოვანს, ნ. მარს, ი. ყიფშიძეს, ვ. თოფურიას, მ. ქალდანს, შ. ძიძიგურს, ალ. ღლონტს და სხვ.

ენათმეცნიერ მკვლევართა აზრით, რაჭა-ლეჩხუმის ტოპონიმიკა სხვადასხვა წარმოშობისაა: მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო (საკუთრივ) ქართულია, ნაწილი სვანურ-ზანური.

* * *

ლეჩხუმის ტოპონიმების წარმომავლობის გარკვევისათვის, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს ლეჩხუმური. დიდი ხანია ენათმეცნიერ-მკვლევრებს აინტერესებთ ლეჩხუმური (ზანურ-სვანურის მსგავსი) ქართველური ენის ცალკე (სატომო)-ენობრივ განშტოებას წარმოადგენს თუ ქართული ენის კილოკავს.

მიხეილ ჩიქოვანი ცდილობს ლეჩხუმური ქართული ენის ცალკე დიალექტურ ერთეულად წარმოადგინოს. ამასთანავე აღნიშნავს, რომ „ლეჩხუმურ ენას“ შეხვედრის წერტილები აქვს ზანურთან და სვა-

ნურთან. მისი აზრით, ლეჩხუმურ დიალექტში ორი თავისებური ერთეული გამოიყოფა, ესაა ქვემო და ზემო ლეჩხუმური, რომლებიც თავის მხრივ კოლხურ და სვანურ ფენას შეიცავენ[1].

მ. ალავიძე ლეჩხუმურს ქართული ენის კილოდ მიიჩნევს და დაბ-ძენს, რომ სვანურმა და ზანურმა ენებმა მას ღრმა კვალი დაუტოვეს[2].

შ. ძიძიგურის აზრით, ლეჩხუმური ქართული ენის დიალექტია, რომელსაც, ქვემო იმერულის შემდეგ, ყველაზე მეტი მსგავსება ქვემო რაჭულთან აქვს[3].

ვ. თოფურია წერს: „ლეჩხუმური მკაცრი დიალექტოლოგიური დაყოფით დამოუკიდებელ კილოდ არ ჩაითვლება, იგი უფრო იმერულის კილოკავია"[4]. მეცნიერის აზრით, „ლეჩხუმურს თავისებურებაც ახასიათებს. მაგრამ ეს მომიჯნავე ხალხის კილოთა და ენათა გავლენით აიხსნება"[5].

ალ. ღლონტი მხარს უჭერს შ. ძიძიგურის და ვ. თოფურიას თვალსაზრისს და წერს: „ლეჩხუმური მასალების ახლო გაცნობა უეჭველად იძლევა ამ უკანასკნელი მოსაზრების საფუძველს, მით უმეტეს, თუ მის სტრუქტურულ ნორმებს იმერულს ან რაჭულს შეუპირისპირებთ"[6].

ლეჩხუმურის ცალკე ენად, კილოკავად, თუ დიალექტად განსაზღვრა და წარმოდგენა დამოკიდებული უნდა იყოს არა მხოლოდ ზოგიერთ განსხვავებასა და თავისებურებაზე, არამედ მნიშვნელოვან ფაქტორზე, იმაზე — წარმოადგენდა თუ არა ლეჩხუმური სატომო ენას — მეგრულ-ჭანურ-სვანურის მსგავსად!?

ამ საკითხს უკავშირდება ტოპონიმი „ლეჩხუმის" საკითხიც.

ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, მოცემულ კუთხეს ლეჩხუმი ეწოდა ხომლის მთის მიხედვით. ე. ი. ეს სახელწოდება მეცნიერმა ხომლის მთის სახელსხვაობად მიიჩნია[7].

ი. ყიფშიძე ტოპონიმ ლეჩხუმს მეგრულ „ჩხომს" (თევზს) უკავშირებს და დასძენს, რომ „ლეჩხუმი სათევზე ადგილს ეწოდება"[8].

---

1 მიხ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი. — თსუ შრომები, IX. 1939, მისივე. ლეჩხუმური ლექსიკონი. — თბ. პედ. ინსტ. შრომები, I, 1941, მისივე. ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით — თბ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. VII, 1949.

2 მ. ალავიძე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, — ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტ. შრომები, XVIII. 1958.

3 შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 178.

4 ვ. თოფურია, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 482.

5 ვ. თოფურია, დასახელებული შრომა, იქვე.

6 ალ. ღლონტი, ლეჩხუმური ტოპონიმია და ლექსიკა, — ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 39.

7 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 748.

8 И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, 1914.

ივ. ჯავახიშვილი და გ. ჩიტაია „ლეჩხუმს“ სვანურ სახელწოდებად მიიჩნევენ, თუმცა ამის დამამტკიცებელ არგუმენტს არ ასახელებენ[9].

ი. ორბელს „ლეჩხუმი“ მიაჩნდა სატომო სახელწოდებად, ან ცალკე ტომის საცხოვრებელი ადგილის სახელად[10].

ნ. მარის აზრით, ლეჩუმი სოხუმის პირვანდელ სახელწოდებას „ცხომ-ცხუმს“ უკავშირდება. სახელწოდება „ცხუ“ ნ. მარს მიაჩნდა „სკუ“ ეთნონიმის (ხალხის სატომო სახელის) მეორე ნაირსახეობად. ნ. მარი სარწმუნოდ მიიჩნევს ი. ორბელის მოსაზრებას და დასძენს, რომ ლეჩხუმის მკვიდრი ხალხი („ტომი“) თევზის („ჩხომის“) ტოტემის მატარებელი სკვითები უნდა ყოფილიყვნენ. ნ. მარი ერთი ტიპის (ერთ ფუძიდან წარმოქმნილ) სახელწოდებებად მიიჩნევს „ჩხომ-ცხუმს“, აგრეთვე „ლანჩხუთს“ და მდ. „ცხუმურს“[11].

პ. ინგოროყვა იზიარებს ნ. მარის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „ლეჩხუმი“ წარმომდგარია თევზის მეგრული სახელწოდება „ჩხუმისაგან“. მისი აზრით, „ჩხომს“ უკავშირდება (მეგრული სახელწოდებაა), აგრეთვე, სოხუმის პირვანდელი სახელი „ცხუმი“[12].

ს. ყაუხჩიშვილს და ს. ჯანაშიას მიაჩნიათ, რომ ლეჩხუმი მეგრულ-სვანური სახელწოდებაა, რომლის ძირი „ჩხუმი („ჩხომი“ — თევზი) მეგრულია, ხოლო „ლე“ თავსართი — სვანური. ისინი დასძენენ, რომ მოცემულ სახელწოდებას უკავშირდება „სკვიმია“, რომელიც „ჩხუმ-ცხუმის“ ბიზანტიური — მიახლოებითი გადმოცემას წარმოადგენს[13].

მ. ჩიქოვანის განსჯით, ტოპონიმი „ლეჩხუმი“ მომდინარეობს „ჩხუმ-ჩქუმ“ ძირისაგან. ე. ი. თევზის მეგრული სახელწოდებისაგან[14].

გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ, ისე როგორც „ლეჩხუმი“, ჰენიოხური ქალაქის ძველი ქართული სახელი „ცხუმი“ სვანური წარმოშობის უნდა იყოს[15].

---

9 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 422; გ. ჩიტაია, დასახელებული შრომა. — საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე“, XII, 1944, გვ. 267.

10 Н. А. Сербели, Город близнецов... и племя, — ЖМНП, 1908, с. 32—33.

11 Н. Я. Марр, Термин скиф, — Избранные работы. У, 1935. М.-Л. с. 32 — 33.

12 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 147.

13 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, 1934, გვ. 96; ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 100.

14 მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით. — ა. პუშკინის სახ. თბ., სახ. პედ. ინსტ. შრომები, VII, 1949, გვ. 239.

15 გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 66.

მ. ალავიძე არ ეთანხმება ლეჩხუმის სახელწოდების „ჩხუმ-ჩხოშთან“ ე. ი. მეგრულთან დაკავშირებას. მისი მტკიცებით, „ლეჩხუმი“ რომ ზანურ „ჩხომ“ ძირს ემყარებოდეს, მაშინ ის მეგრულსაცე „ო“ საწარმოებელ პრეფიქსს დაირთავდა და გვექნებოდა არა ლეჩხუმი, არამედ „ოჩხომური“ (სათევზაო). ამ მოსაზრების საბუთად იგი ასახელებს ლეჩხუმის ტოპონიმებს: ონტოფი, ონქეიში, ოყურეში, ოფიტარა, ოღრაბუჩე, ოყალეთი და სხვა, რომლებიც მეგრული ენის კანონზომიერებას ექვემდებარებიან და შესაძლებელია ისინი მეგრულის გავლენით წარმოიშვნენ. მაგრამ მ. ალავიძის დასკვნით, რამდენადაც „ლე“-პრეფიქსიანი ზანური ფუძის ტოპონიმები დასახელებულ რეგიონში ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის, ამდენად, ლეჩხუმი არ შეიძლება „ჩხომს“ დავუკავშიროთ და ზანურ სახელწოდებად მივიჩნიოთ. ეს მით უფრო, — წერს მეცნიერი, რომ თვით სამეგრელოში „ჩხომ“ ძირისაგან წარმოქმნილ სოფელს „ოჩხომური“ ეწოდება, ასევე მდინარეს „ოჩხამური“ (გურიაში). მ. ალავიძე თავის მოსაზრების სასარგებლოდ მიიჩნევს იმასაც, რომ მეგრული ენის კანონზომიერების გზით „ჩხომ“ (თევზი) ძირისაგან ჯერ მდინარის სახელწოდება „ოჩხომური“ წარმოიშვა, ხოლო შემდეგ ეს სახელწოდება სოფელსაც შეერქვა. ამრიგად, მ. ალავიძის განსჯით, ლეჩხუმი, რომ „ჩხომ“ ძირისაგან წარმოშობილიყო, მაშინ ეს სახელწოდება ჯერ მდინარეს უნდა შერქმეოდა. შემდეგ კი საკუთრივ ლეჩხუმსაც, რაც არ მოხდა.

აქედან გამომდინარე, მ. ალავიძე დასძენს: მართალია, ლე პრეფიქსი სვანურ-ზანური (საერთო) გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელია, მაგრამ „ცხუმ-ცხვიმ“ რცხილის სვანური სახელწოდებაა (ქართული რცხილის სვანური ვარიანტია), ამიტომ დაასკვნის, რომ ლეჩხუმი „ლეცხუმ-ლეცხვამ“ სვანური სახელისაგან უნდა იყოს წარმოშობილი, რაც სვანურად რცხილნარს — სარცხილეს — ნიშნავს[16].

„ლეჩხუმს“ სვანური წარმოშობისად მიიჩნევს მ. ქალდანი, რომელმაც ლეჩხუმის ტოპონიმიკის წარმომავლობის უდავო მეცნიერული ინტერპრეტაცია მოგვცა[17].

წინამორბედი მკვლევრების გამოკვლევებისა და დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის ანალიზის საფუძველზე, ლეჩხუმის სახელწოდებასთან დაკავშირებით, გ. მელიქიშვილი წერს: „ლაზებს ემორჩილებოდა, როგორც ჩანს, კიდევ ერთი სვანური გაერთიანება „სკუმია“, რომლის სახელი სვანური ლე-პრეფიქსით შემორჩა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მთიან ოლქს — ლეჩხუმს“[18].

---

16 მ. ალავიძე, რას ნიშნავს „ლეჩხუმი“, — სოფლის ცხოვრება, 1972, 6 ივლისი.

17 მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ (II-შ) სუფიქსის საკითხავისათვის. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963.

18 გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და... გვ. 66.

ლეჩხუმის სახელწოდებას ეხება თ. ბერაძე; იგი იზიარებს ამ სახელწოდების ზანურ წარმომავლობას, მაგრამ ამის დამადასტურებელ რაიმე, საკუთარ არგუმენტს არ გვისახელებს.

ვფიქრობთ, ლეჩხუმის სახელწოდების წარმომავლობაზე ერთადერთი ბოლომდე თანმიმდევრული და სწორი დასკვნა მ. ქალდანმა, შ. ალავიძემ და გ. მელიქიშვილმა მოგვცეს. მათ მოსაზრებას ლეჩხუმის სვანურ წარმომავლობაზე მხარს უჭერს არა მხოლოდ ის, რომ ეს სახელი სვანური ფუძისა („ცხუმ-ცხვიმ") და „ლე" პრეფიქსისაგან შედგება, არამედ ლეჩხუმის მიწა-წყლის სახელწოდებათა მნიშვნელოვანი ნაწილის სვანურობაც. ამასთანავე, ლეჩხუმის სახელწოდება რომ „ცხუმ" (რცხილა) სახელისგანაა ნაწარმოები, ამას უნდა ადასტურებდეს სვანეთში და სვანთა ნასახლარ ტერიტორიებზე გავრცელებული შესაბამისი სახელწოდებების არსებობაც. მაგალითად, ცხუმელური (სოფელი ლენტეხის რაიონში), ცხუმარი (თემი, მესტიის რაიონში), სხუმარი (ნასახლარი) ყარაჩაიში და სხვ.

ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელწოდებები, ისევე როგორც ლეჩხუმი და ცხუმი (სოხუმის ყოფილი სახელი), როგორც ეს ზოგიერთ ენათმეცნიერს მიაჩნია, მცენარე ცხუმის (რცბილის) სახელიდან უნდა იყოს წარმოშობილი და რცხილნარ ადგილს უნდა ნიშნავდეს.

ამასთან, ლეჩხუმის ე. წ. ეთნიკურ სახელწოდებად წარმოდგენა (როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს) არასწორი უნდა იყოს. ეს სახელწოდება ეთნიკურობას კი არა, არამედ გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულს უნდა გამოხატავდეს, როგორც, მაგალითად, ლენტეხი, რაჭა. არგვეთი და სხვ.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ რეგიონში სვანური სახელწოდებები გამონაკლისს კი არ შეადგენენ, არამედ, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ტოპონიმი ლეჩხუმი ერთი პატარა რგოლია სვანური სახელწოდებების გრძელ ჯაჭვში. ამდენად, დასახელებულ რეგიონში აღებული ტოპონიმის შემთხვევით წარმოშობასთან ან ზოგად დამთხვევა-მსგავსებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ მრავალრიცხოვანი, სვანური სახელწოდებების კანონზომიერ შედეგთან.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ლეჩხუმის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ტოპონიმები საკუთრივ ქართული წარმოშობისაა. მ. ალავიძის დაკვირვებით და განსჯით, ქართული სახელწოდებების კომპონენტებად გამოყენებულია სიტყვები: ახალი, მიღმა, კარი, უბანი, მიწა, ყანა, ყელი, ყური, ძირი, მთა, თავი, მაღალი, ვაკე, პატარა, ჭალა, წვერი, გვერდი, კლდე, ქვა, შუკა, ქვედა, ქვეში, წმიდა, ზურგი, წყალი, ღელე და სხვ. მაგალითად: ახალსოფელი, მიღმაკუთხე, მიღმაგვერდი, სახტიკარი, ქველუბანი, ჭალითავი, თეთრიმიწა,

გორიახო, მაღალყანა, ღელეყანა, ბეოლიყანა, ფიქვიყანა, ვაკეყანა, ლაშიყელი, ხიდიყელი, ტბიყური, ციხისძირი, გვერდიძირი, კოკითავი, ღელითავი, ქვაბითავი, ვაკეტყე, პატარეალა, ვარდიგორა, ჭალიბოლო, წვერსუკანი, ღარიწყალი, ციხიწყარო და სხვ.[19].

ლეჩხუმშივე ვხვდებით ქართული სუფიქსურ-პრეფიქსული წარმოების ტოპონიმებს, მაგალითად: საზღვარა, აკვანა, ბოსტანა, გვერდა, უნაგირა, კიბიეთი, მალიეთი, ურწყულეთი, ვალიეთი, წითური, გაბილური, კასანოური, ბაძგაროული, ანტარეული, რუვისა, სიპისა, ბზანარი, ახუები, დაკეცილები, ვერხვები, ყანწები და სხვ.[20].

ენათმეცნიერთა დასკვნით, ლეჩხუმის ტოპონიმიკაში მრავლად ვხვდებით სვანურ სახელწოდებებს, ლეჩხუმის მრავალ სოფელს და ადგილს სვანური სახელი ჰქვია. მ. ალავიძის აზრით, ამ სახელწოდებათა სვანური ეტიმოლოგიები ასეთია: ლ ა რ ჩ ვ ა ლ ი (სამეწყერე ადგილი), ლ ა ნ ჩ-ვალი (ჩვალ-მეწყერი) ეწოდება მესტიის ერთ-ერთ სოფელს, რომლის ერთი ნაწილი ოდესღაც მეწყერს წაულეკია. ლ ა ჭ ე-პ ი ტ ა (ლაჭებიდა — ლაჭბიდა) — მისამწყვდევი, მიკუნქულებული ადგილი. ლ ა ბ ე ჭ ი ნ ა (ლაბეჩ) — ქვიანი ადგილი. ლ ა ხ ე ფ ა (ლახკა-ლახეკ) დახრამულ, ჩამოფხეკილფერდობიანი მიდამო. ლ ა ც ო რ ი ა (ლაცვრა — ლიცვრე) — დასატოვებელი, დასარჩენი ადგილი. ლ ა ძ გ ვ ე რ ი ა (ძგვერ) — ბორცვნარ-გორაკიანი ადგილი. ლ ე შ კ ე დ ა (ლეშგედ) — ადგილი, რომელსაც მზე იშვიათად დაჰყურებს. ლ უ ხ ვ ა ნ ო (უხვან) — კლდიან-მთიან ადგილს ეწოდება. დებვირ (ლუხვირ) — დანგრეულ-დარღვეული ადგილი. აღნიშნულ სოფელს უწინ ჩვალბეჩი ერქვა; ჩვალ-მეწყერი, ბეჩ-ბაჩ-ქვა. ამრიგად, ჩვალბეჩი დახრამულ ქვიან-მეწყერიან ადგილს ნიშნავს. ც ა გ ე რ (ცაგ) — ეკლნარს, ეკლით დაფარულ ადგილს ეწოდება. ჩ ხ უ ტ ე ლ (ჩხეტ — კენჭი) — კენჭნარი ადგილი. უ ც ხ ე ე რ (უცხ-იცხ) მსხლიანი მიდამო. გ ო ლ ა ი ა (გოლა) — ფერდობი. ზ ა გ ა ლ ე თ ი (ზაგარ) — სერი, ქედი. ან პერეკალი. ნ ა კ ა რ ე შ ი (ნაკ-ნაკ-არ) — ვაკობი და სხვ.[21].

ლეჩხუმის ტოპონიმიკაში მრავლად გვხვდება ლა, ლე პრეფიქსიანი სახელწოდებები. მკვლევრები — ვ. თოფურია, მ. ჩიქოვანი, შ. ძიძიგური და მ. ალავიძე — მიუთითებენ, რომ მოცემული პრეფიქსიანი ტოპონიმები ლეჩხუმის მიწა-წყალზე ზანურ-სვანური წარმოშობისაა, თუმცა კონკრეტული მსჯელობისას მ. ალავიძეს ასეთი პრეფიქსიანი სახელწოდებები სვანური წარმოშობისად მიაჩნია. მკვლევრის მსჯე-

---

19 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი. — ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტ. შრომები, XVIII, გვ. 147—148.

20 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, იქვე; ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ლეჩხუმური ტოპონიმიკა და ლექსიკა, — ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 43.

21 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, დასახელებული შრომა, გვ. 148—150.

ლობით, ლეჩხუმის ტოპონიმები, მაგალითად, ლ ა ტ ა ფ ი (ლა-ტაფ-ი) სვანურია და მთის ან ფერდობის განივზე გამავალ გზას ეწოდება. ლ ა გ უ ბ ა (ლა-გუბია) სვანურად წყლის დასაგუბებელ ადგილს ნიშნავს. ლ ა რ ც ი ა (ლა-რცი, ლა-ლცი) წყლიანი ან სარწყავი ადგილია. ლ ა ტ ხ ო რ ი ა (ლა-ტხორ-ი) ტალახიან მიდამოს ეწოდება. ლ ე ხ ე-რ ა (ლე-ხერა, ლე-ჯერა) წიწვნარი ტყეა. ლ ე ყ ა ვ რ ი (ლე-ყავრი, ლე-ყარე) საყავრე ტყეა. ლ ე დ ე შ ტ ო (ლე-დეშტვ) დათვების საბინადრო ადგილს ეწოდება და ა. შ. მ. ალავიძე სვანურ წარმოშობისად მიიჩნევს, აგრეთვე, ლეჩხუმის სხვა ტოპონიმებს, რომლებიც ლა, ლე პრეფიქსით არიან ნაწარმოები; მაგალითად, ლანქორ, ლაჯანა, ლასხანა, ლაჭყეპა, ლესინდი, ლეშვენა, ლეკუნდრუშა, ლექვენა, ლებენა, ლეფშირი, ლეფურა, ლებიდარი და სხვ.[22]. აღსანიშნავია, რომ ყველა აქ ჩამოთვლილ ტოპონიმსაც სვანური შინაარსი და ახსნა აქვს.

თავის უახლეს გამოკვლევაში მ. ალავიძე პირდაპირ და გადაჭრით წერს, რომ ზანური ძირეული ფუძის მქონე ლა-ლე პრეფიქსიანი ტოპონიმები ლეჩხუმის ტოპონიმიკაში ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის[23].

ლეჩხუმში გავრცელებულ ლა და ლე პრეფიქსიან სახელწოდებებზე მ. ქალდანმა აღნიშნა, რომ ისინი შეიცავენ ისეთ მორფოლოგიურ ელემენტს, წარმოქმნის აფიქსებს და ძირებს, რომლებიც მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით ხდება გასაგები და ამდენად მათი სვანური წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამის დამამტკიცებელ მაგალითებად მკვლევარი ასახელებს ლა-ა (|| ლა), ლ ე-ა /ა (|| ლ ე —) ტოპონიმებს: ლაილაში, ლასურიაში, ლაბადაში, ლაღუმელაში, ლაჯებაში, ლახომიაში, ლახვეტიაში, ლაყოიდაში, ლატკიაში, ლაკალიაში, ლამარეში, ლაჭამუში, ლაყვამიში, ლაშკარუში, ლახარუში, ლეშკაში, ლეკენტაში, ლებალიაში, ლებარეში, ლემუში და სხვ.[24].

ჩამოთვლილი და სხვა მსგავსი ტოპონიმები თავისი ენობრივი სტრუქტურით და შინაარსით უეჭველად სვანური წარმოშობის არიან. როგორც მ. ქალდანი აღნიშნავს, მოცემული ტოპონიმების მ. ალავიძისეული და მ. ჩიქოვანისეული ახსნა ყოველთვის ზუსტი არ არის, რადგან ისინი ლ-ა-ა, ლ ე-ა, ლ ე-ე აფიქსების მეორე შემადგენელი კომპონენტის ა და ე ხმოვნების ფუნქციას ვერ არკვევენ ზუსტად. მ. ალავიძე საერთოდ არ გამოყოფს ამ ხმოვნებს ძირებისაგან, ხოლო მ. ჩიქოვანი მათ ბრუნვის შ-ფორმანტს მიაკუთვნებს[25].

---

22 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე. იქვე. გვ. 151.

23 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე. ლეჩხუმი, — სოფლის ცხოვრება, 1972, 6 ივლისი.

24 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი. დასახელებული შრომა, გვ. 70.

25 იქვე. გვ. 71.

მ. ქალდანი არკვევს, რომ: 1. ლ ა- და ლ ე- პრეფიქსებთან ერთად, სვანურში მომავლის მიმლეობის წარმოებაში მონაწილეობენ ა და ე სუფიქსებიც; 2. ნათესაობითი ბრუნვის -იში სუფიქსის ხმოვანი ელემენტი ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურში, როგორც წესი, დაკარგულია და 3. რომ -ა შ სუფიქსი, როგორც ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, გარდა სვანურისა, არც ერთ ქართველურ ენაში არ მოგვეპოვება[26].

როგორც ეხედავთ, ლ ე- პრეფიქსითაა ნაწარმოები თვით ლეჩხუმის სახელწოდებაც. მოცემულ პრეფიქსიან სახელთა შორის მ. ჩიქოვანი ეხება სოფლებს — ღვირიშსა და ცხუკუშერს — შორის არსებულ ტოპონიმ ლეშვენას (ნასოფლარის სახელს) და აღნიშნავს, რომ სვანები თავის ქვეყანას „ლეშვანს“ ან „ლემშუნიერას“ უწოდებენ, რომ ლის საფუძველზე დაასკვნის, რომ ლეჩხუმის ტერიტორიაზე ცხენისწყლისა და რიონის შუა გამყოფზე „ლეშვენა“ ერთი პატარა კუნძული უნდა ყოფილიყო „ჩხუმართა“ შორის ძლიერ შორეულ წარსულში. მაგრამ, განაგრძობს მკვლევარი, სვანური ენობრივი კოლექტივი ამ ადგილას გაქრა (მხოლოდ მათი ჩამომავალი სვანები დარჩნენ), ხოლო გეოგრაფიული სახელი შეკვეცილი ფორმით დარჩა[27].

გასაკვირი ის არის, რომ მ. ჩიქოვანი ლეჩხუმის მოსახლეთა შორის ნასვანარად (სვანურ ჩამომავლად) მხოლოდ სვანიძეს მიიჩნევს, ხოლო ცხენისწყლის ზემო წელში მოსახლე ხალხს — ლეჩხუმის პატარა „კუნძულ“ ლეშვენადან გავრცელებულად თვლის.

ვფიქრობთ, საკითხის ამგვარი დასმა და ინტერპრეტაცია ოდნავადაც ვერ ასახავს სინამდვილეს. „ლეშვენა“ ტოპონიმის არსებობა არ შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ლეჩხუმის ტერიტორიაზე სვანები მხოლოდ ამ ადგილზე ცხოვრობდნენ, პირიქით ამ ტოპონიმის არსებობაც შეიძლება იმის საილუსტრაციოდ გამოდგეს, რომ ლეჩხუმის ტერიტორია მართლაც სვანებით იყო დასახლებული. მსგავს მაგალითად და პარალელად გამოდგება „ზანი“ ან „საზანო“. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „ზან“, „ზანათი“ და „საზანო“ სამეგრელოში რამდენიმე ადგილს ეწოდება, მაგალითად, დიდი და პატარა ზანა, მდ. ციის შენაკადი ზანა. ასეთივე ტოპონიმები არსებობს აგრეთვე იმერეთში — ზემო და ქვემო საზანო და სხვ.[28]. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წინათ ზანები სამეგრელოსა და იმერეთში მხოლოდ იმ ადგილას სახლობდნენ, სადაც ეს ტოპონიმები შემორჩა. პირიქით, როგორე

---

26 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, იქვე.

27 ე. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, — ა. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტ. შრომები, II, 1949, გვ. 240.

28 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, III, 1959, გვ. 13.

დადგენილია, მოცემულ ტერიტორიებზე ძველად ზანები ცხოვრობდნენ.

ყველაფრიდან ჩანს, რომ „ლეშვენა"-„შვან"-შუან" სვანთა საცხოვრებელი ტერიტორიის სახელწოდების ვარიანტებია და (სხვა სვანურ ტოპონიმებთან ერთად) მხოლოდ იმის მაჩვენებლად გამოდგებიან, რომ ლეჩხუმის მიწა-წყალი სვანებით იყო დასახლებული.

რაც შეეხება მტკიცებას, თითქოს ლეჩხუმის მოსახლეთა შორის მხოლოდ სვანიძეები არიან ნასვანარები, კიდევ უფრო დაუჯერებელია. სადავო არ შეიძლება იყოს, რომ სვანიძე სვანი ეთნონიმიდან წარმოდგება, მსგავსად მეგრელიშვილის, კახეთელიძის, იმერლიშვილის, ქართველიშვილის და სხვ. მაგრამ მოცემული გვარი ნაწარმოებია და არა პირდაპირ სვანური წარმომაელობის გვარი, მაშინ, როდესაც ლეჩხუმში დღესაც მრავალი სვანური გვარი გვხვდება სახეშეუცვლელად (ამაზე ქვემოთ).

როგორც ზემოთაც ითქვა, ლეჩხუმის მიწა-წყალზე განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით -იშ (|| შ) სუფიქსიან სახელწოდებებს. ამ სახელწოდებათა წარმოშობაზე კი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. რაკი ამგვარი სახელწოდებები უფრო ხშირად სამეგრელოსა და სვანეთში გვხვდება, მკვლევართა უმრავლესობას ისინი ზანურ-სვანური წარმოშობისად მიაჩნია.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ -ი შ, -ე შ სუფიქსიანი სახელწოდებები ზანური წარმოშობისაა, მაგალითად: ტვიში, ვანჭეიში, ნაკურალეში, ქორენიში, ღვირიში და სხვ. მეცნიერის აზრით, ლეჩხუმის „საგეოგრაფიო სახელების შესწავლა უეჭველს ჰყოფს, რომ მთელი ეს მიწა-წყალი მხოლოდ მეგრულ-ლაზური შტოს ტომებს ეკუთვნოდა"[29].

გ. ჩიტაიას აზრით, მართალია, ლეჩხუმის ტოპონიმიკა სხვადასხვა ეთნიკურ ფენას (იგულისხმება ზანურ-სვანური) შეიცავს, მაგრამ -იშ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები (მაგალითად, ღვირიში, ტვიში, ზოგიში, ლაილაში, ოყურეში, ნაკურალეში და სხვ.) ზანური წარმოშობისაა[30].

გ. ჩიქოვანი ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელებს სამ ჯგუფად ყოფს: საკუთრივ ქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ. მისი აზრით, „მეგრულ-ჭანური წარმოების სახელები ძლიერ მკვიდრად არის შესული ლეჩხუმის ტოპონიმიკაში"[31]. ამის საბუთად კი ო-თავსართიან და ი-შ (|| შ) სუფიქსიან სახელწოდებებს ასახელებს.

---

29 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 421.

30 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B, 1944, გვ. 267.

31 მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება... გვ. 238.

მ. ალავიძის განსჯით, ლეჩხუმის სოფლების, მთა-ტყე-გორაკების, მდინარე-ღელე-წყაროების, ყანა-ვენახის და სხვათა- იშ (|| შ) სუფიქსიანი სახელწოდებები ზანურ-სვანურია. მას ამის საფუძვლად მიაჩნია სამეგრელოსა და სვანეთში მსგავსი ტიპის სახელწოდებების გავრცელება; მაგალითად, სამეგრელოში: ჩხენიში, ცაიში, ოდიში, ბულიში, ნანჯიში, ჯიხაიში, კულაში, წყავაში, ფურაში, მოხაში, ჭკადუაში, ნოღოხაში, კუხეში, წყოუში, ჩხოუში და სხვ.; სვანეთში: ხაიშ, მაცხვარიშ, ტვებიშ, სპარდიშ, სგურიშ, ყარიშ, ცალდაშ, ნოდაშ, ბარქაშ, ვიჩნაშ, ზარდლაშ, ქურაშ, კიჩხულდაშ, ხერხვაშ, ლალრავაშ, დურაშ, მცხეთაშ, ბადალაშ, ბოგრეშ, ხაჩეშ, ბულეშ, უკელეშ, ჩიხრეშ, კალამუშ, მუაშ, მარგვიშ და სხვ."[32].

მ. ალავიძე ეხება მსგავს სახელწოდებებს იმერეთსა და რაჭაში და დასძენს, რომ „ბევრი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ ზანურის საშუალებით შეიძლება, ანდა მათ, ცხადია, ზანური დამახასიათებელი ნიშნები აქვთ"[33].

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ -იშ, -ეშ სუფიქსიანი (აგრეთვე სხვ.) ტოპონიმების ზანურისადმი მიკუთვნებას, როგორც ჩანს, საფუძვლად უდეეს სვანური ენის „ნარევობის თეორია", რომლის მიხედვით სვანური ენა ჭანურ-მეგრული, ძველი ქართული და ადიღეურ (ჩერქეზულ)-აფხაზურისაგან შედგება. ანდა სვანური, როგორც ნარევი ენა („აგრეგატი"), იმეორებს ზანურს, ძველ ქართულს, ადიღეურს და სხვ.[34].

რაკი სვანური ენა „ნარევია" („აგრეგატია") და ენათმეცნიერ ე. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მასში საკუთარი თითქმის არაფერია", ბუნებრივი და ლოგიკურია ზანურ-სვანური ენებისადმი დამახასიათებელი საერთო მოვლენის ზანური ენის კუთვნილებად გამოცხადებაც. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, ბუნებრივია ლეჩხუმის ტოპონიმიკაში -იშ (|| შ) სუფიქსიანი სახელწოდებების ზანურისადმი მიკუთვნებაც. ასეთი მოსაზრების მკაფიო ნიმუშია ა. ჩიქო-

---

32 მ. ალავიძე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, — ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტ. შრომები, XVIII, 1958, გვ. 152.

33 მ. ალავიძე, იქვე, გვ. 153.

34 Н. Я. Марр, К дате эмиграции Мосхов из Армении в Сванетию, — ИАН, 1916; его же, из поездок в Сванию,—Христ. Востока, т. II, вып. I; его же, где сохранилось сванское склонение? — ИАН, 1911, № 17, VI серия; его же, Тубал-Кайнский вклад в сванском, — ИАН, 1912, № 18 VI серия; ვ. თოფურია. სვანური ენა. I. ზმნა, ტფ., 1931; ს. ჯანაშია. სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, — შრომები. III, 1959, გვ. 81—116; ა. ჩიქობავა, ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და დამახასიათებელი ძველი ნიშანთვისებები — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. II. თბ., 1948, გვ. 272—273.

ბაკას ლეჩხუმურზე მსჯელობაც: „იმერული კილოს ქვემოიმერული თქმაცა და ლ ე ჩ ხ უ მ ურ ი ც სავსეა მ ე გ რ ე ლ ი ზ მ ე ბ ი თ, რ ო გ ო რ ც ლ ე ქ ს ი კ ა ს ა, ი ს ე მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა-ს ი ნ ტ ა ქ ს-ში“[35].

ა. ჩიქობავამ არამცთუ ლეჩხუმის -იშ სუფიქსიან სახელებში, არამედ ლეჩხუმის ტოპონიმიკაში და, საერთოდ, ლეჩხუმურში სვანური ვერსად დაინახა.

ლეჩხუმური დიალექტის, აგრეთვე მისი ლექსიკისა და ტოპონიმიკის კვლევაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს მ. ალავიძემ, მ. ჩიქოვანმა და შ. ძიძიგურმა, რომელთაც ლეჩხუმურსა და ლეჩხუმის ტოპონიმიკაში სვანურის გავლენა და კვალი პირდაპირ დაინახეს. მაგრამ ლეჩხუმის ტოპონიმიკისათვის ესოდენ დამახასიათებელი -იშ სუფიქსიანი სახელწოდებების ღრმა, სრული და ბოლომდე თანმიმდევრული ახსნა მაინც მ. ქალდანმა მოგვცა.

მ. ქალდანი სვამს საკითხს რატომ მიიჩნიათ -იშ (|| შ) სუფიქსიანი ლეჩხუმური გეოგრაფიული სახელები მაინცდამაინც ზანური წარმოშობისად?

მკვლევრის განსჯით, ამ კითხვაზე სრულ პასუხს ვერ იძლევა იმისი ზოგადი მტკიცება, რომ -იშ ფორმატი, ვითარცა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, „ზანური ენის კუთვნილებას წარმოადგენს“. მ. ქალდანი აღნიშნავს: -იშ (|| შ) სუფიქსიანი სახელები რომ მხოლოდ ზანური წარმონაქმნი იყოს, მაშინ მათი გავრცელების არეალიც ძირითადად მხოლოდ ზანურის გავრცელების არეალს დაემთხვეოდა. ამასთანავე, ის დასძენს: თუ -იშ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ლეჩხუმის ტერიტორიაზე ზანების ოდინდელი ბინადრობის მაჩვენებელია, რატომ ანალოგიური მდგომარეობა არ გვაქვს ქვემო იმერეთის და გურიის ტერიტორიებზე, სადაც ზანური მოსახლეობის ოდინდელი ბინადრობა ეჭვს არ იწვევს[36].

კიდევ მეტი, -იშ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებები რომ საკუთრივ ზანური წარმონაქმნი და მისი კუთვნილება იყოს, მაშინ ისინი ყველაზე ჭარბად უნდა იყოს გავრცელებული სამეგრელოს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც უწინაც და ახლაც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს. სინამდვილეში, აღნიშნავს მ. ქალდანი, ეს ასე არ არის. ამისი მაჩვენებელია თუნდაც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი[37].

აღნიშნულ ცნობარებზე და, საერთოდ, ზანური ტოპონიმიკის შინაარსსა და გავრცელებაზე დაკვირვების საფუძველზე მ. ქალდახმა

---

35 ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანური გრამატიკული ანალიზი. თბ., 1936, გვ. 5.
36 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 420.
37 იხ. 1930, 1949 და 1961 წლების გამოცემები.

შენიშნა, რომ გურიისა და, საკუთრივ, სამხრეთ სამეგრელოს (ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, მარტვილის, აბაშის და ჩხოროწყუს რაიონების) მიწა-წყალზე -იშ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები, როგორც წესი, თითქმის არ გვხვდება, ხობისა და სენაკის რაიონებში იშვიათად, ხოლო წალენჯიხის რაიონში — მხოლოდ ოთხი, ზუგდიდის კი — ექვსი. ე. ი. მთელი სამეგრელოს რვა რაიონის ტერიტორიაზე -იშ სუფიქსის შემცველი 12 სოფლის სახელი მოგვეპოვება, იმაზე ერთით ნაკლები, რამდენიც ცალკე ცაგერის რაიონში.

ამრიგად, ზანური წარმოშობისად მიჩნეული -იშ სუფიქსიანი სახელების ძირითადი მასა გავრცელებულია არა იმ ტერიტორიაზე, სადაც ზანები სახლობდნენ ისტორიულად და სახლობენ დღეს, არამედ ლეჩხუმის და, როგორც ქვემოთ ვნახეთ, სვანეთის მიწა-წყალზე.

მ. ქალდანმა დაადგინა, რომ -იშ (|| შ) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები საქართველოში არსად ისე ფართოდ არაა გავრცელებული, როგორც სვანეთში, მაგალითად, მარტო მესტიის რაიონში -იშ (|| შ) სუფიქსიანი 23 სოფელი გვხვდება, ესენია: ტვებიშ, ჰადიშ, მაცხვარიშ, სპარდიშ, სგურიშ, ქურაშ, კალაშ, ზაარდლაშ, ცალდაშ, ჭოლაშ, კიჩხულდაშ, ლაშხრაშ, ვიჩნაშ, იენაშ, ნოდაშ, ბარჯაშ, ჩაჟაშ, ხერხვაშ, ბოგრეშ, ყაბეშ, ყამუშ, ბარშ და სხვ. ლენტეხის რაიონში ასეთივე სახელწოდების 14 სოფელი გვხვდება: მარგვიშ, დურაშ, ლაღარვაშ, წანაშ, სასაშ, მაზაშ, მახაშ, ლამფალაშ, ყორულდაშ, ბულეშ, ყვედრეშ, ხაჩეშ, ჩიხრეშ, ყარშ და სხვ.[38].

-იშ (|| შ) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებების სიმრავლის მხრივ მ. ქალდანმა თითქმის ანალოგიური სურათი შენიშნა ლეჩხუმში (ცაგერის რაიონში), სადაც -იშ სუფიქსით დაბოლოვებული 13 სოფელი გვხვდება: ტვიში, ქორენიში, ზოგიში, ღვირიში, ვანჭეიში, ლასურიაში, შახაში, კენაში, ლაილაში, ოყურეში, ნაკურალეში და სურმუში[39].

როგორც ვხედავთ, -იშ (|| შ) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები დამახასიათებელია სვანეთისა და ლეჩხუმისათვის, ნაწილობრივ, მათი მოსაზღვრე რაჭა, იმერეთ, სამეგრელოს ტერიტორიებისათვის. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით, მარტო მესტიის რაიონში ორჯერ მეტი -იშ (|| შ) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდება გვხვდება, ვიდრე სამეგრელოს რვა რაიონში.

---

38 მ. ქალდანმა სვანეთში -იშ სუფიქსიანი 400-ზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება აღნუსხა.

39 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ (||შ) სუფიქსის საკითხისათვის. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. III, გვ. 1963, გვ. 240.

ამასთანავე, როგორც მ. ქალდანმა შენიშნა და დაამტკიცა: სვანეთის, აგრეთვე ლეჩხუმის -იშ სუფიქსიანი სახელები შეიცავენ ბევრ ისეთ მორფოლოგიურ ელემენტს, წარმოქმნის აფიქსებსა და ძირებს, რომლებიც მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით ხდება გასაგები. მაგალითად, ლეჩხუმის ტოპონიმიკური სახელები — ლაილაში, ლასურიაში, ლაბადაში, ლაღუმელაში, ლაჯებაში, ლატკიაში, ლავალიაში, ლამარეში, ლაქამუში, ლაყვამუში, ლაშკარუში, ლახარუში, ლეშკაში, ლეკენტაში, ლებალიაში და სხვა — ნაწარმოებია მომავლის მიმღეობის სვანური ლა-ა (|| ლა-), ლე-ა (|| ლე-ე) აფიქსებით. ხოლო ნაკარეში, კარვალეში, ხამარეში, გუმარეში, ლობარეში, ლებარეში, ვანდარეში, ლოკარეში, ფაცხარეში, კუკუმარეში, ჩოხარეში, ლამარეში, ქუხარეში, ცანკურალეში და სხვა ნაწარმოებია მრავლობითი რიცხვის -არ (|| ალ) სუფიქსით. უნდა ითქვას, რომ ანალოგიური წარმოების სახელები ამჟამადაც ფართოდაა გავრცელებული სვანეთში, მაგალითად: ძუღვარეში, ძუღვარიში, სუფარეში, ლეკედარეში, ბოგარეში, დაბარეში, ყვედრეში, ჩიხრეში და სხვ.[40].

ამასთან, ლეჩხუმის (სხვა მსგავსი) ტოპონიმები — ლახამეილაში, წუდილაში, მერულაში, ქვრულდაში, კახელიდაში, გოლიდაში, ლარციდაში და სხვა — შეიცავენ კნინობით სვანურ ფორმანტს -ილ-ილდ-ილ სუფიქსს[41].

ლეჩხუმის ტოპონიმები — კინიშერი, ხოჩაშერი დაბაშერი ცხუკუშერი და სხვა მსგავსი სახელები — უდავოდ სვანური ენის წარმონაქმნია, რადგანაც ისინი მომდინარეობენ გვარების, საკუთარი სახელების ან სხვა დამახასიათებელი ნიშნისაგან. მაგალითად. ასეთებია: ვიჩნაშერ, მიქელშერ, დუდიშერ, ოთარშერ, მეტოშერ, გიოშერ, ეზიაიშერ, მაზიშერ და სხვა. სხვათა შორის, სვანეთში დღესაც ასე აღინიშნება გვარის შიგნითა განშტოებები (საძმოები).

ლეჩხუმსა და სვანეთში ხშირად ერთი და იგივე გეოგრაფიული საბელწოდებები გვხვდება, მაგალითად:

ლეჩხუმში	სვანეთში
1. ბარჯაში (სახნავი)	ბარჯაში (სახნავი)
2. ლაყოიდაში (სახნავი)	ლაყვეიდაში (სახნავი, წყარო)
3. მახაში (სოფელი)	მუაში (აგარაკი)
4. მუაში (სახნავი)	მახაში (სოფელი)
5. გოლიდაში (ადგილი)	გოლდაში (მთა)
6. უთილაში (სახნავი)	ვითილაში (ადგილი)

---

[40] მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, დასახელებული შრომა, გვ. 71.

[41] იქვე, გვ. 72.

7. ხალდეში (ადგილი) ხალდეშ (სოფელი)
8. ბარაში (ღელე) ხარაშ (ღელე)
და ა. შ.[42].

მ. ქალდანის აზრით, ლეჩხუმის -იშ (||-შ) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებები, ისევე როგორც სვანეთის, ერთი და იგივე ფონეტიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. სვანეთისა და ლეჩხუმის ტოპონიმიკაში თითქმის არ მოგვეპოვება ისეთი შემთხვევა, როდესაც ხმოვანფუძიან სახელთან იშ სუფიქსის ნათესაობითი ბრუნვისეული ი დაკარგული არ იყოს, ხოლო ეს ი მეგრულში ყოველთვის შენარჩუნებულია; მაგალითად, სვანურში ლ ა შ ხ რ ა შ, ბოგრეშ, ყამეშ და სხვ.. ლეჩხუმში: ლაილაში, ნაკურალეში, სურმუში და სხვ., მეგრულში: ჯიბაიში, ცაიში, ონჭეიში და სხვ.[43].

ამასთანავე, ლეჩხუმის და სვანეთის გეოგრაფიული სახელწოდებები ბევრ შემთხვევაში ერთი და იგივე ლექსიკური და მორფოლოგიური შედგენილობისაა, ამიტომაა, რომ ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელები, რომლებიც საკუთრივ ქართული წარმოშობის არაა, ძირითადად მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით იხსნება

როგორც აღვნიშნეთ, თავის დროზე, ისეთი ავტორიტეტული და სახელმოხვეჭილი მკვლევრები, როგორიც არიან ი. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ა. ჩიქობავა, მ. ჩიქოვანი და სხვები, ლეჩხუმის ტოპონიმიკაში ფართოდ გავრცელებულ -იშ (||-შ) სუფიქსიან სახელწოდებებს ზანური წარმოშობისად მიიჩნევდნენ. მაგრამ სვანურ ენაზე გაშლილმა ღრმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ მრავალ საკითხს მოჰფინა ნათელი, რომლის საფუძველზე გ. მელიქიშვილმა და ალ. ღლონტმა მხარი დაუჭირეს მ. ქალდანის მოსაზრებას -იშ სუფიქსიანი ლეჩხუმის ტოპონიმიკის სვანურისადმი კუთვნილების შესახებ.

გ. მელიქიშვილი, რომელმაც დასავლეთ საქართველოს (ისტორიული კოლხეთის) ისტორია გააშუქა, წერს: „ცალკეული სვანური სახელწოდებების არსებობა დასავლეთ საქართველოს არა მარტო მთიან, არამედ ბარის ზოლშიც ადრეც იყო ცნობილი. ახალი გამოკვლევებით ისიც ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში (სვანეთთან ერთად ლეჩხუმისა და ბარის რიგ სხვა რაიონებში) ფართოდ გავრცელებული -ი შ (||-შ) სუფიქსიანი ტოპონიმიკაც არა ზანური, როგორც აქამდე მიიჩნდათ, არამედ საკუთრივ სვანური წარმოშობის უნდა იყოს“[44].

---

42 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, იქვე, გვ. 73.

43 იქვე, გვ. 74.

44 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 66.

ენათმეცნიერის ალ. ღლონტის დასკვნით, მ. ქალდანმა საკმარისი დამაჯერებლობით დაასაბუთა, რომ „-იშ (||-შ) სუფიქსიანი ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელების შემოქმედია არა ზანური, არამედ სვანური მოსახლეობა“[45].

როგორც გამოირკვა, ლეჩხუმის ტოპონიმიკაში მხოლოდ -იშ სუფიქსიანი სახელწოდებები როდია სვანური წარმოშობის. ამ მხრივ არანაკლებ მასშტაბურია ლა-ა (||ლა-), ლე-ა (||ლე-) პრეფიქსიანი სახელწოდებების გავრცელება. სპეციალისტ-მკვლევართა უმრავლესობა ადასტურებს, რომ ლეჩხუმის ლა-ა, ლე-ა პრეფიქსიანი ტოპონიმების ფუძისეული მასალა და ლექსიკაც სვანურია. მაგალითად: ლ ა-გ უ ბ ა სახნავი (ლაილაშში) — ნიშნავს დასაგუბებელ (საგუბარ) ადგილს. ლ ა ჭ ე პ ი ტ ა (სოფელი) ეწოდება მისამწყედევ ადგილს; ლ ა ბ ე ჭ ი ნ ა (სოფელი) — ქვიანი ადგილი; ლ ა რ დ ა ი ა (მთა ლუხვანოში) — სამყოფი ადგილი; ლ ა რ ც ი ა (წყარო სოფელ აჭარაში), აგრეთვე, ლ ა რ ც ი დ ა (წყარო და სახნავი ცხუკუშერში) — წყლიანი, საწყლე ადგილი; ლ ა ს ა რ ა (წყარო ცხუკუშერში) — მორაკრაკე, მოჩუხჩუხე წყლიანი ადგილი; ლ ა უ რ ც ხ ა (სახნავი ლუხვანოში) — სამსხლე ადგილი; ლ ა ძ გ ვ ე რ ი ა (სოფელი) — ბორცვიანი, უსწორმასწორო ადგილი; ლ ა ც ო რ ი ა (სოფელი) — დასატოვებელი ადგილი; ლაჭეკვანა (ეკლესია ნაკურალეშში) — სამზერი, თვალსაჩინო ადგილი; ლ ა ჭ უ ე ბ ა (სოფლის კუთხე ოყურეშში) — წუმპიან-წყლიანი ადგილი; ლ ა ჯ ა ნ ა (სოფელი) — დასაჩაგრი, დასაჯაბნი ადგილი; ლ ა რ ჩ ე ა ლ ი (სოფელი) — მეწყერიანი ადგილი; ლ ა ტ ა ფ ი (სახნავი ალეში, ქორენიშში) — ფერდობიანი ადგილი; ლ ა ნ დ ა ბ ა რ ი (სახნავი ლაცურიაშში) — ნაყანარი ადგილი; ლ ე ბ ე ნ ა (სახნავი საირმეში) — დასაბმელი ადგილი; ლ ე თ ო თ ა ნ ა (სახნავი ლაილაშში) — თეთრუანი, თეთრი ადგილი; ლ ე ი ფ ა ნ ა (სოფლის უბანი ოყურეშში) — საიფნე, იფნარი ადგილი; ლ ე ფ უ რ ა (სახნავი ლაცორიაში) — საფურე ადგილი; ლ ე შ ვ ე ნ ა (ცლდე, ღელე ღვირიშში) — სასვანო; ლ ე შ კ ე დ ა (სოფელი) — ჩრდილნარი ადგილი; ლ ე წ ე ბ ა (სახნავი ლაცორიაში) — დაკიდებული ადგილი; ლ ე დ ე შ ტ ო (ეენახი, სახნავი და ტყე, ცხუკუშერში) — დათვის საბინადრო ადგილი; ლენჭყი (ცხუკურიშში) — ერთგვარი ბალახის სახელია; ლეხიდარი (ღელე ცუკუშერში) — სახიდე ადგილი და სხვ.[46].

---

45 ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ლეჩხუმური ტოპონიმია და ლექსიკა, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 44.

46 მაგალითები ამოღებულია ვ. ჩიქოვანისა და მ. ალაკოძის ტოპონიმიკური ლექსიკონებიდან.

ლეჩხუმის ტოპონიმებს ხშირად სვანურისათვის დამახასიათებელი -ერ (||ელ) სუფიქსი აწარმოებს; მაგალითად: ცაგერი, ცაიდერი, ცხუკუშერი, უცხერი, უცხანდერი, ისუნდერი, იუნდერი, წენდერი, თეკენთერი, ბადერი, კიცხუნდერი, წულანდერი, ჩაიდერი, დაბაშერი, კაიშერი, კინიშერი, წილამიერი, თაკვერი და სხვ. ამავე სუფიქსით და კანონზომიერებით ხასიათდება სვანეთის მრავალი ტოპონიმი, მაგალითად: ლადრერ, ღეშტერ, ფხუტრერ, ლაშხრერ, მაზერ, დავბერ, ლეწფერ, ცალერ, ჟაჯუნდერ და სხვ.[47].

ჩამოთვლილ, საერთო კანონზომიერებასთან ერთად, მ. ქალდანის განსჯით, ლეჩხუმისა და სვანეთის ტოპონიმიკას ახასიათებს მრავალი ისეთი თავისებურება, კერძოდ, ლექსიკური შინაარსი, რომელთა ახსნა მხოლოდ სვანური ენის საშუალებით შეიძლება, მაგალითად, ლეჩხუმის: ბ ა ბ ი ნ ა კ ო რ (სახნავი ლაილაშში) — ბაბის ნასახლარი; ბარჯაში (სახნავი ორბელში) — ბეჭის; გუდულაში (საკულტო ადგილი)— გუდუსი. ეს სახელი სვანურისათვის დამახასიათებელი კნინობითი ფორმითაა მოცემული; ი ფ ე რ ა ლ ი (სახნავი ლაილაშში) — ფერცვალებადი ადგილი, იფრალი — იფარის მსგავსად; კ ვ ა ნ ჩ ხ ო უ ლ ი (წყარო ორხვში) — კვანჩხ წყლის საწყაო ჭურჭელია; კ ა რ ვ ა ლ ე შ ი (სახნავი ლაცორიაში) — კარავის დასადგმელი ადგილი; კ ი ც ხ უ ნ დ ე რ ი (სახნავი და ტყე ლაილაშში და ლაჯანაში) — ბელტნარი ადგილი; ლ ა ვ ა ლ ი ა შ ი (ტყე და სახნავი ღვირიშში) — ვალში მიცემული ან მისაცემი ადგილი; ლამარეში (სახნავი ღვირიშში) — სამამაცე; ლ ა მ უ ხ უ რ ა შ ი (სახნავი ლახეფაში) — კუთხის, კუთხე ადგილი (მუხვირ-მუხურ სვანურად და მეგრულადაც კუთხეს ნიშნავს); ლ ა ტ ა ფ ი (სახნავი აღვში) — ფერდობი (ამავე მნიშვნელობისაა: ლ ა ტ ფ ი ა შ ი და ლ ა ტ ა ფ ი გ ვ ე რ დ ი — სახნავები ლაილაში და ქორენიში); ლ ა ყ ო ი დ ა შ ი (სახნავი ლახეფაში) — ნელთბილწყლიანი ადგილი; ლ ა შ კ ო დ ი ე (ღელე ოყურეშში) — სარეცხი ადგილი; ლ ა ხ ა მ ე ი ლ ა შ ი (სახნავები ცხუკუშერეში და ღვირიშში) — საღორე (ამავე მნიშვნელობისაა ლახამიდაში — ვენახი ორბელში); ლ ა ხ ე ფ ა (სოფელი) — საკმეჩი, საკბენი ადგილი; ლ ე ბ ე ნ ა (სახნავი საირმეში) — დასაბმელი ადგილი (ამავე ძირიდანაა ნაწარმოები ლ ე ბ ე ნ ა ლ ე — ტყის სახელწოდება ყვედრეშში); ლედეშტო (ვენახი და სახნავი ცხუკუშერში) — სადათვე ადგილი; ლეთოთანა (სახნავი ლაილაშში) — თეთრი ქათქათა ადგილი; ლ ე ი ფ ა ნ ა, ლ ე ი ფ ა ნ ი ს ღ ე ლ ე (უბანი და ღელე ოყურეშში) — იფნარი ადგილი; ლ ე მ უ შ ი (სახნავი ლაცორიაშში) — თოელიანი, სათოელე ადგილი; ლ ე ნ ჭ ყ ვ ი (საძოვარი ცხუკუშერში) — სარეველა ბალახიანი ადგილი; ლეყავრი

---

47 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75.

(სახნავი ორბელში) — საყავრე; ლ ე წ ებ ა (სახნავი ლაცორიაშში)— დაკიდებული; ლ უ რ ც ე ნ ა ლ ი (წყარო ლაილაშში) — წყლიანი, მორწყული ადგილი; ლ უ ხ ვ ა ნ ო (სოფელი) — სალკლდიანი ადგილი; შ ე კ ე ნ ჩ ხ ა ლ ი (სახნავი ქორენიში).... ნ ა კ ა რ ე შ ი (სახნავი ლაილაშში) — ვაკობი. ამავე შინაარსისაა ნ ა კ ა შ ი (ღელე ლასურიაში); ს უ რ მ უ შ ი (სოფელი) — დიდთოვლიანი ადგილი; უცხერი (სოფელი) — მსხლიანი ადგილი (იგივე ძირისგანაა ნაწარმოები ნაკურალეშის და ცხუკუშერის ტოპონიმები: უ ც ხ ა ნ დ ე რ ი, უ ც ხ ე რ ი — ც ი ხ ე და სხვ.); ქვენაკა (სახნავი ორბელში) — ქვემოვაკე; ქ ო რ ე ნ ი შ ი (სოფელი) — სახლიანი ადგილი; შ კ ე დ ი (სახნავი ლაცორიაში) — ადგილი, რომელსაც მზე იშვიათად ეფინება (ამავე ძირისგანაა ნაწარმოები შკედიში — სოფლის, სახნავის და ტყის სახელები); ჩ ხ უ ტ ე ლ ი (სოფელი) — კენჭნარი ადგილი (ამავე ძირისაგან შედგება ჩ ხ უ ტ ე ლ ა შ ი, წყარო ლაილაშში); ც ა გ ე რ ი (სოფელი) — ეკლნარი ადგილი (ანალოგიური სახელწოდებებია ც ა გ ე რ ა და ც ა გ უ ლ ე შ ი); ც ხ ა კ უ (სახნავი ოყურეშში) — საქორე; ცხუკუშერი (სოფელი) — ტყიანი ადგილი; ძ უ ღ უ რ ი (მთა, ტყე), რომელიც „ზღვა" ძირისგანაა წარმოებული; წ უ დ ი ლ ა შ ი (წყარო საირმეში) — პატარა დებიტის წყარო; ჭ ა ნ ჭ ა ხ ი (სახნავი ლასურიაშში) — უაღრესად ციცი; ხ ა მ ა რ ე შ ი (სახნავი ლუხვანოში) — საღორე ადგილი; ჯ ი ხ ე რ ი (სახნავი ორბელში) — მუხნარი და სხვ.

ლეჩხუმის მიწა-წყლის სახელწოდებათა სვანური წარმომავლობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია არა მარტო აღნიშნული და მსგავსი ტოპონიმიკის საყოველთაო გავრცელება, არამედ მისი ადრინდელი და ამჟამინდელი მოსახლეობის უმრავლესობის გვარჩამომავლობაც. აშკარაა, რომ ლეჩხუმის მრავალ მკვიდრს სვანურისათვის დამახასიათებელი გვარი აქვს, მაგალითად: ასათიანი, აბვლედიანი, აბრალიანი, ბახსოლიანი, ბენდელიანი, ბურჯალიანი, გასვიანი, გეიშიანი, გვირგვიჩიანი, გურგუაჩიანი, გულუანი (გელოვანი), გვიდანი, გაბიანი, გორეზიანი, გოლეთიანი, დავითულიანი, დაშნიანი, დეედარიანი, ვონიანი (ონიანი), ისიანი, თუთისანი, კოპალიანი, ლაჭყეპიანი, ლაკვეხელიანი, ლიპარტელიანი, ლარცულიანი, ლეთოდიანი, მეშველიანი, მუყბანიანი, მაღრიანი, მუშკუდიანი, რატიანი, ტვილდიანი, ფურღლიანი, ქელბაქიანი, ქვარიანი, ღოღელიანი, ჩაჩხიანი, ჩარკვიანი, ჩიქოვანი (ჩიქვანი), ჩხეტიანი, ცხვედიანი, ჭაბუკიანი, ხვადაგიანი, ხეცურიანი, ხერგიანი და სხვ.[49].

---

48 ჩამოთვლილ გვარებს ენათმეცნიერები სვანურ ჩამომავლობისად მიიჩნევენ, მაგალითად, იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 166 და სხვ.

ჩამოთვლილი სვანური გვარები ლეჩხუმის თითქმის ყველა სოფელში გვხვდება (ისინი ზოგან აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ).

ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლეჩხუმის ტოპონიმიკაში ხშირად სვანური გვარისათვის დამახასიათებელი (ჩამომავლობის თუ საკუთრების აღმნიშვნელი) ი-ან სუფიქსიანი სახელები აქვს; მაგალითად: არგუანი (სახნავი), გოგიჩიანი (სახნავი), გელეანისოული (სახნავი), ბელარიანი (სახნავი), ბილუანი (სახნავი), გასვიანიახო (სახნავი), ჩხეტიანისოული (სახნავი), საავალიანო (ღელე), საკოპალიანო (სოფლის ნაწილი), ჩიქვანისოული (სახნავი) და სხვ.

მკვლევართა (მ. ალავიძე, მ. ჩიქოვანი, ვ. თოფურია, შ. ძიძიგური და სხვ.) მტკიცებით, ლეჩხუმური ლექსიკა და მეტყველება დღესაც მრავლად შეიცავს სვანურს.

ლეჩხუმური ტოპონიმიკა და ლექსიკა ნაწილობრივ შეიცავს აგრეთვე ზანურსაც. ტოპონიმიკაში ასეთად მიჩნეულია ო-ე (|| ო) აფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებები (აღსანიშნავია, რომ ეს აფიქსები ქართულ სა-ე (|| სა) და სვანურ ლა-ა (|| ლა), ლე-ა/ე აფიქსებს შეესატყვისება). მაგრამ, როგორც ეს ი. ჯავახიშვილმა, მ. ჩიქოვანმა, მ. ალავიძემ, მ. ქალდანმა და სხვებმა დაადგინეს, ამგვარი ზანური წარმოების სახელწოდებები ლეჩხუმში მცირე რაოდენობით მოგვეპოვება, მაგალითად: ოღრაბუჩე, ოსუნელე, ოფიტარა, ოყალეთი, ონტოფი, ოფიჩხეთი, ონქეიში, ოფურეში და სხვ.[49].

შესაძლებელია ლეჩხუმის ტოპონიმიკაზე ზანურის გავლენა ამ მაგალითებით არ ამოიწურება, მაგრამ როგორც ეს ენათმეცნიერმა მ. ქალდანმა დაადგინა, ფაქტი ის არის, რომ ჩამოთვლილი სახელწოდებების აბსოლუტური უმრავლესობა ლეჩხუმის სამხრეთ ნაწილშია მოქცეული, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ოდესღაც იმერეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ზანები გარკვეულ გავლენას ახდენდნენ მოსაზღვრე ლეჩხუმის ტოპონიმიკაზე და საერთოდ, ლექსიკაზე (მსგავსი გავლენა შეიმჩნევა სვანურზეც და პირიქით — სვანურისა ზანურზე).

საეჭვოა, რომ ლეჩხუმის ტოპონიმიკაზე და ლექსიკაზე ზანურის გავლენა ნაწილობრივ გვიანდელია, კერძოდ იმ დროის, როდესაც ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს შეუერთდა (XVIII საუკუნის პირ-

---

49 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 421; მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, — თსუ შრომები, IX, 1939, გვ. 238; მ. ალავიძე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, — ქუთაისის. პედ. ინსტ. შრომები. XVIII, 1958, გვ. 154; მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა-ში (შ) სუფიქსის საკითხისათვის, — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, 1963, გვ. 76.

ველ ნახევარში). ამისი ერთი მაგალითია თუნდაც ლეჩხუმური ტოპონიმი — დოღურაში (ტყისა და სახნავის სახელწოდება).

მ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ეს ტოპონიმი შემდეგნაირად წარმოიშვა; ლეჩხუმში დადიანის (ყოფილი ჩიქვანის) საზაფხულო რეზიდენციას თავს დასხმია დადიშქელიანის რაზმი. ეს ამბავი სასწრაფოდ შეუტყობინებიათ რუხში მყოფი დადიანისათვის, რომელსაც ციხის მცველებისათვის შეუთვლია, რომ ცოცხალი თავით მტრისთვის ციხე არ დაეთმოთ, რაც კიდევაც შეუსრულებიათ. გადმოცემით დადიშქელიანს ციხე მხოლოდ მაშინ დაუპყრია, როდესაც მისი მცველები დაუხოცავს. ამის გამო ამ ნაომარ ადგილს დოღური-აში (მეგრულად მანდ მოკვდით) შეერქვა[50].

ეჭვსგარეშეა, რომ ზანურის გავლენა შეიმჩნევა ლეჩხუმურ ლექსიკასა და მეტყველებაზე, მაგრამ საგულისხმოა, რომ ეს გავლენა უპირატესად გარედან ზემოქმედების შედეგია.

ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლეჩხუმის მიწა-წყალი სვანებს ეკავათ, მაგრამ დროთა ვითარებაში „ლეჩხუმის მოსახლეობამ სვანური დაივიწყა, „გაიმერელდა“ ანუ „გაქართველდა“ (ქართიზაცია განიცადა).

თუკი საკითხს ისტორიის თვალთახედვით განვსჯით, შეიძლება ვირწმუნოთ, რომ ლეჩხუმში (აგრეთვე მთელ კოლხეთში) თავდაპირველად „ფუძე ენა“ ანუ საერთო ქართული მოქმედებდა (ამისი მაგალითი უნდა იყოს ზანურ, სვანურ, ქართულში არსებული საერთო ლექსიკა, რომელიც უძველესი წარმოშობისაა). ამდენად, შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ლეჩხუმის ტოპონიმიკური სახელწოდებების ის ნაწილი, რომელიც საერთო ქართულია, უძველესი წარმოშობის იყოს. მაგრამ, მეცნიერთა ვარაუდით, დროთა ვითარებაში „ფუძე ენა“ დაიშალა — ქართულს ჯერ სვანური, ხოლო შემდეგ ზანურიც გამოეყო.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს (კოლხეთისა და ლაზიკის სამეფოებში), დასავლეთ საქართველოს მთიანეთი სვანებს ეპყრათ, ხოლო ბარი — ზანებს. მაგალითად, პტოლომაიოსის ცნობით, დასავლეთ საქართველოს ძირითად მოსახლეობას სვანო-კოლხები წარმოადგენდნენ.

ლეონტი მროველის ცნობით, პირველი ქართველი მეფე ფარნავაზის დროს, ერისთავი ქუჯი განაგებდა ქვეყანას ეგრის წყალსა და რიონს შუა — ზღვიდან მთამდე, რომელიც მოიცავდა ეგრისსა და სვანეთს[51].

---

50 მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, დასახელებული ლექსიკონი.

51 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, II, 1934, გვ. 96—97.

პროკოპი კესარიელის გადმოცემით, სუანეთი მერმინდელ ლეჩხუმსაც მოიცავდა.

ჩანს, კოლხეთისა და ეგრისის სამეფოებში ლეჩხუმი ეკავა სვანურ ენაზე მოსაუბრე ხალხს, რომელმაც თავისი სახელები შეარქვა მიწა-წყალს. საგულისხმოა ისიც, რომ თავისი პოლიტიკური ჰეგემონობისა და მეზობლობის წყალობით ლეჩხუმის ტოპონიმიკაზე ზანებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, „ფუძე ენის“ დაშლის შემდეგ სვანური და ზანური ენები თავისი გზით ვითარდებოდნენ, მაგრამ ისტორიულ პროცესში ლაზიკა სუსტდება და მის პარალელურად ძლიერდება იბერიის სამეფო, რომლის პოლიტიკურმა ჰეგემონობამ, დროთა ვითარებაში, ზანებსა და სვანებზეც იჩინა თავი.

ძველი კოლხური ტომები იბერიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენაში მოექცნენ, ისინი გაქართების გზას დაადგნენ.

გ. მელიქიშვილის განსჯით, დასავლეთ საქართველოში იბერიის გავლენაში ყველაზე ადრე (ძვ. წ. IV—III სს.) ჰოროხის მოსახლეობა მოექცა, შემდეგ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილი, სადაც ქართული ელემენტი შეიჭრა[52].

სპეციალისტების მტკიცებით, დასავლეთ საქართველოში ქართიზაცია განსაკუთრებით ქრისტიანობისა და ქართული დამწერლობის შემოღების შემდეგ ძლიერდება. ნ. ბერძენიშვილისა და დ. მუსხელიშვილის აზრით, ქრისტიანობისა და ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შემდეგ დასავლეთ საქართველოს ქართიზაცია ყოველისმომცველი ხდება[53].

იბერიის კულტურულმა და პოლიტიკურმა ძლევამოსილებამ ქართული ენის პოზიციები და გავრცელებაც გააძლიერა. ქართულენოვანმა ქრისტიანულმა მღვდელმსახურებამ და ქართული დამწერლობის მძლავრმა ნაკადმა შუა საუკუნეებში მთელი დასავლეთ საქართველო დაიპყრო. ბუნებრივია, ამის შედეგია რაჭა-ლეჩხუმის საბოლოო ქართიზაციაც.

საგულისხმოა, რომ ლეჩხუმის ქართიზაცია მთელ შუასაუკუნეებში გრძელდებოდა, რის შედეგად, ექ. თაყაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლეჩხუმელი სვანები გაიმერელდნენ ანუ გაქართველდნენ“[54].

---

52 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. გვ. 88, 91.

53 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, XVIII, 1975, გვ. 249; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 228.

54 ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ. პარიზი, 1937, გვ. 84.

ჩანს, ეს პროცესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, როდესაც საქართველოს ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო ჩამოყალიბდა და ლეჩხუმი (თაკვერად წოდებული) სვანეთის საერისთავოს საბოლოოდ გამოეყო ადმინისტრაციულად. ამიერიდან ლეჩხუმში სვანური ენა შეეიწროვდა და ცოცხალ მეტყველებაში თანდათანობით დავიწყებას მიეცა.

მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, სვანურის ძლიერი კვალი ლეჩხუმის მიწა-წყალს დღემდე შემორჩა. ამასთანავე, ქართიზაციის პროცესმა ტოპონიმიკაშიც გაიდგა ფესვი. სხვათა შორის, ენათმეცნიერთა განსჯით, ხშირია შემთხვევა, როდესაც ლეჩხუმის ამა თუ იმ ტოპონიმს სვანური ძირი აქვს, მაგრამ მაწარმოებელი ან განმსაზღვრელი ქართული ერთვის. მაგალითად, ზედა ლეჟომოლ (სახნავი ალპანაში) — აქ ლეჟომოლ (ანუ „ლეჟა მოლ“) ნიშნავს აღმოსავლეთით მდებარე მდელოს, რომელსაც ქართული — „ზედა“ აქვს დართული; ლატფიგვერდი (სახნავი ქორენიშში) — ლატფი სვანურად ეწოდება ფერდობ, დამრეც ადგილს, რომელსაც „გვერდი“ დაემატებია; ლეიფანის ღელე (ოყურეშში) — ლეიფანე ნიშნავს იფნარ ადგილს, რომელსაც „ღელე“ დაერთო; ლეხიდრისთავი (სოფელი) — ლეხიდარი ნიშნავს სახიდე ადგილს, რომელსაც „თავი“ დაემატა; ნაკაშიღელე (ლასურიაშში) — ნაკ (ნაკაში) ეწოდება ვაკეს (ვაკობს), რომელსაც „ღელე“ დაერთო; უცხერიციხე (ციხე-სიმაგრის ნანგრევები) — უცხერი ნიშნავს მსხლიან (მსხალნარ) ადგილს, რომელსაც „ციხე“ დაერთო; ქვეენაკა (ორბელში) — ნაკ (ნაკა) — ნიშნავს ვაკობს; ქვედალუხვანო (სოფელი) — უხვან (ლუხვან-ლუხვინ) — ნიშნავს საფუძველს, კედელს, რომელსაც „ქვედა“ დაერთო; ცხაკუწვერი (სახნავი ოყურეშში) — ცხაკვ ქორის სვანური სახელია, რომელსაც „წვერი“ დაემატა; ხამარეში ქვაბი (ლახეფაში) — ხამარეში ნიშნავს საღორეს, რომელსაც „ქვაბი“ დაემატა და ა. შ.

ეს მაგალითებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ლეჩხუმის სვანურმა ტოპონიმიკამაც ქართიზაცია განიცადა, რომ რიგმა სვანურმა ტოპონიმმა სახე იცვალა.

* * *

გარკვეული თავისებურების გამო ენათმეცნიერები რაჭულში სამ კილოკავს გამოყოფენ: ზემორაჭულს, ქვემორაჭულსა და მთიარაჭულს[55].

---

[55] ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქაეთარაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 500—501; შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.

როგორც ცნობილია, ისტორიულ რაჭას შეხვედრის წერტილები ჰქონდა ქართლთან და იმერეთთან, ხოლო ნაწილობრივ სვანეთთან, სამეგრელოსთან და, აგრეთვე, ოსეთთან, ამიტომ რაჭული დიალექტი მეზობელი ენების გავლენასაც განიცდის.

სპეციალისტების განსჯით, თანამედროვე რაჭული ქართული ენის განშტოებაა, რომელსაც განსაკუთრებული სიახლოვე იმერულთან და ლეჩხუმურთან აქვს[56].

უდავოა, რომ რაჭის თანამედროვე ტოპონიმიკა (აგრეთვე ლექსიკა) ქართულია (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, რაჭა ოდესღაც ზანებით და სვანებით იყო დასახლებული). მის მიწა-წყალს სვანურისა და ზანურის გავლენა სუსტად შემორჩა, რაც იმით აიხსნება, რომ რაჭის ქართიზაცია უფრო ადრე მოხდა და ყოვლისშემცველი იყო, ვინემ ლეჩხუმის.

ენათმეცნიერთა განსჯით, თანამედროვე რაჭის სოფლების, სახნავ-სათიბების, ვენახების, ბაღების, მინდვრების, მთების, ღელე-წყაროების, ტყეების და სხვათა სახელწოდებები, როგორც წესი, ქართულია, მით უფრო ქვემო და შუა რაჭის, სადაც დღეს სპეციალისტები თითო-ოროლა ზანურ და სვანურ ტოპონიმს თუ ამჩნევენ.

რაჭაში ქართული წარმომავლობის სოფლების სახელებია: აბანოეთი, აგარა, ახალსოფელი, ბარეული, ბოსტანა, გოგოლეთი, გორი, გორისუბანი, ველიევი, კლდისუბანი, კორტი, ნამანევი, პატარა ონი, საკეცია, სალხინო, სინათლე, ტბეთი, ქედისუბანი, ღვიარა, შავრა, შრომა, ჭელიაღელე და სხვ. ასევე ქართულია სახნავ-სათიბის, მთატყის, წყლების და სხვათა სახელწოდებები: აღდგომელა, ბალიანთა, ბარეულა, ბატონიწყალი, ბეღელა, ბორიღელე, ბოსელა, ბოსტანა, ბქაველა, გადათრეული, გასიაკარი, გველიეთი, გლიტინაღელე, გობსათიფი, გოდრეულა გორმაღალი, გრძელიური, დაბლაები, დათვიბელაურა, დათვირეკია, დანაფიცები, დარგულა, დედაბერა, დევინაგლეჯი, დიოფალა, ედემა, ეაკეთა, ეაკეტყე, ვაშლარა, ველიკოდი, ზეცხოველი, ზვინარი, ზურგანა, თამარწყალი, თბილისა, თეთრაული, თელანი, თიკანეული, თხილიეთი, იხვა, კალთიეთი, კალოეთი, კამირტყე, კარიეთი, კახაბერაული, კერკეტა, კვერთა, კვირიკაული, კობახეული, კოდიკარი, კოშკითავი, კოშკიღელე, კუდისი, ლაკორიგვერდი, ლომიეთი, მამაკაური, მაისურაული, მახარობელა, მგლისყურა, მიმინო-

---

56 ისტორიკოს მკელევართა ეარაუდით, რაჭაში (მთა რაჭის გამოკლებით) და იმერეთის აღმოსავლეთ ნაწილში, უკვე V—VI საუკუნეებში, საკუთრივ ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII. 1975, გვ. 245—249; გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და... გვ. 90—91; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, გვ. 228).

წყარო, მიღმატყე, მოგონილა, ნაგარევი, ნაბახმარი, ნაბეღლარი, ნაბოსლევა, ნაგუთნევი, ნადიკვარი, ნათელაური, ნაკარევი, ნამაცხოვრები, ნანადევი, ნაომარი, ნასაკირევი, ნასისხლარი, ნატბაურა, ნაფიცვარა, ნაფუზვარი, ნაშვავები, ნაცერცვალა, ნახიდურა, ორღარი, ოქროყანა, პაიჭა, პეპელა, პირიყანა, როსტომეული, საბაწრია, საკანაფო, სადათეია და სხვ.[57].

ქვემო რაჭაში სვანური წარმოშობის ტოპონიმები ჩანს: კაჩაეთი (სოფელი), კონჩხა (სახნავი ღვიარაში), ლენჭყი (სახნავი და წყარო ბარეულში), მუეური (კლდე კორტში) და სხვ. აქვე ვხვდებით რამდენიმე ზანურ ტოპონიმსაც.

ადგილმდებარეობათა სახელწოდების მხრივ, ქვემო რაჭასთან შედარებით, განსხვავებული სურათია მთარაჭაში ანუ რაჭის „მთიულეთში", სადაც სვანურის კვალი არა მხოლოდ ტოპონიმიკაში შემორჩა, არამედ ნაგებობებში, ლექსიკაში, მეტყველებაში და სხვ.[58].

ირკვევა, რომ მთარაჭა, რომელიც 400 კომლამდე მოსახლეს შეიცავდა, XV საუკუნემდე სვანეთის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ შემდეგ ის იმერეთის სამეფო კარმა რაჭის საერისთავოს შეუერთა[59].

სავარაუდოა, რომ მთარაჭის ქართიზაციაც ადრე დაიწყო, მაგრამ ეს პროცესი საბოლოოდ მხოლოდ მას შემდეგ დამთავრდა, რაც ის რაჭის საერისთავოს შემადგენლობაში შევიდა და მთარაჭაში სვანურენოვანი მოსახლეობა თანდათანობით შემცირდა ან გაქრა (ასეთი პროცესის შედეგი უნდა იყოს სოფლების — ბრილის, თეერეშოს, შოდას, ჩუეშოს, ბუბასა და სხვათა — დაცლა და გაუკაცრიელებაც).

მიუხედავად ყველაფრისა, მთარაჭაში სვანურის კვალი დღემდე შემორჩა.

რაჭისა და კერძოდ, მთარაჭის გეოგრაფიული ნომენკლატურიდან სოფლების სვანური სახელწოდებებია: ბოყვა, ლაგვანთა (შეადარეთ მდ. კოდორის ხეობის ლაგვანთას, სადაც დღემდე შემორჩა სასაფლაოების ნაშთები), მაკიეთი, ნაკიეთი, წედისი, ჭვებარი, ღები და სხვ.[60].

---

57 მაგალითები ამოღებულია მ. ალავიძის ქვემორაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონიდან.

58 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთის რაჭა, თბ., 1930, გვ. 9—14; ი. გ ი გ ი ხ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია. I, გვ. 50; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, გვ. 182.

59 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941, გვ. 31—34; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. სვანები მე-15 საუკუნეში — წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, 1914, გვ. 131.

61 ბოყვა-ბეყე ეწოდება გამოფულურობულ, ჩაღრმავებულ, ქვაბულ ადგილს, აგრეთვე არყის ხის ქერქისაგან გაკეთებულ ჭურჭელს. ლაგვანთა-ლაგვან (ლიგვნი) ეწოდება სატირალ-საგოდებელ ადგილს. მაკიეთი-მიკიეთი ეწოდება მზიან ადგილს.

აღნიშნულის გარდა, რაჭის (უპირატესად მთარაჭის) მრავალ ადგილს შემორჩა სვანური სახელი, მათ შორის: ბერალ (სათიბი ღებში), ბინული (სახნავი ჟამიერეთში), ბუბა (სოფელი, აგრეთვე მთა გლოლაში), გუგუშერები[61] (საძოვარი ურავში), გვიმბრალა (სახნავი ონში), ზუგსუკანები (სათიბი სხარალში), კაპრალი (სახნავი სევაში, სინათლეში და უყეშში), ლათქიშორა (მდინარე რიონის შენაკადი ღებში), ლაილაეთი სოფელ წედისის უბანი, ლალაათი (ტყე ფსორში), ლაშხიაქედი (სახნავი ბაჯიხევში), ლენჭყი (სახნავი, საძოვარი და წყარო ბარში), ლუხუნგადაღმა, ლუხუნიგვერდი, ლუხუნისთავი (სახნავ-საძოვრები აბანოში და ურავში), მაჩხფარი (მთა ღებში), მეკენჩხალები (სათიბი სევაში), მერღეევი (ტყე ქრისტეში), მუშვანი (ღელე უწერაში), მუჟური (კლდე კორტში), ნახოშარა (სათიბი ბოყვაში და ზვარეთში), ნახოშევარი და ნახოშარი (სათიბები ბარში და გლოლაში), ნახოშევი[62] (სახნავი ნიგავზევში), ნახულვარი (სახნავი ბაჯიხევში), რივნიპირი (სახნავი მაიდანში), რიენ მდინარე რიონი, სალატიფარი (სათიბი ღებში), ყიარიშო (საძოვარი და სახნავი ჭიორაში), ჩრდილნაკიეთი (სახნავ-საძოვარი ნაკიეთში), ცხოში (მთა მაჟიეთში), ცხომოულა (წყარო ზნაკვაში), წედისითა (სათიბი წოლაში), წიხვარგა (მთა ღებში), ჭანჭახი — მდინარე რიონის შენაკადი (გლოლაში), ჭაღნაკიეთი — სოფელ ნაკიეთის უბანი, ბუთხარო (მწვერვალი ურავში), შხიროლი (საძოვარი ჭიორაში) და სხვ.[63].

რაჭაში დღემდე მოაღწია ბევრმა ისეთმა სახელწოდებამ, რომელიც პირდაპირ მიუთითებს მის სვანურ წარმოშობაზე, მაგალითად: ბლუანი (საძოვარი პიპილეთში), გელოანთსეული (საძოვარი ურავში), გოგრიჟიანნატეხი (მთა ღებში), ლაშხიაქედი (სახნავი ბაჯიხევში), მუშუანი (ღელე უწერაში), სვანური (სახნავი და ტყე უყეშში და ჩორჯოში), სვანების წყალი (წყარო და მთა სადმელში), სასვანო (მთა ღებში), სასვანო (ბილიკი და ტყე ლიხოთში), ჩარკვიანიახო (სათიბი ზვარეთში) და სხვ. რაჭის გარკვეული მიწა-წყალის ოდინდელ სვანურობაზე მეტყველებს მისი მოსახლეობის ნაწილის გვარჩამომავლობაც;

ნაკიეთი-ნაკი ეწოდება ვაკობ ადგილს, ტრიალ მინდორს. წედისი-წედი (წედ) ეწოდება პატარა დებიტის წყაროს. ჭეებარი — ჭეებრი — ჭეუბა ჭაობნარი ადგილია. ღები-ღვები ეწოდება გობს, ჩაღრმავებულ ადგილს.

61 აღნიშნული საკუთარი სახელი წარმოებულია ორმაგი მრავლობითის ნიშნით — სვანური ერ და ქართული ებ-ით.

62 ნახოშარი, ნახოშეი და მისთანანი წარმოებულია ხოშა ძირისაგან, რაც ასაკით უფროსს ნიშნავს, ე. ი. საუფროსო ან ნაუფროსალი.

63 მაგალითები ამოღებულია ლ. ფრუიძის ზემო რაჭისა და მთარაჭის ტოპონიმიკური ლექსიკონიდან (ხელნაწერი) და მ. ალავიძის ქვემორაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონიდან.

მაგალითად: ავალიანი, ახელედიანი, გაბისიანი, გელბახიანი, გელოვანი, ვველებიანი, გველესიანი, გიორგობიანი, გოგრიჭიანი, გორდეზიანი, დაშნიანი, დავითულიანი, დათუსანი, ზურაბიანი, მუსელიანი, მახალდიანი, სამარგულიანი, სვანიძე, სვანი, სვანიშვილი, რატიანი, ცხვედიანი, ყიფიანი, ჩაჩხიანი და სხვ.

რაჭის ზოგიერთი გვარეულობის ნასვანარობაზე მიუთითებს მათი განშტოებების სვანურ-ტრადიციული დაყოფა; მაგალითად, ლობჟანიძეები, რომლებიც გვარშეცვლილ სვანებადაა მიჩნეული, გვარის შიგნით შემდეგ შტოებად იყოფიან: ხოშტიანი, ნანუკიანი, ლაშხენი, ზვიადენი, ჯოტოენი, სვანენი, ჯაჯოენი და სხვ., გავაშელიშვილები, რომელთა ნაწილსაც აგრეთვე ნასვანარებად მიიჩნევენ იყოფიან: ქაოზენი, ნასხიდენი, გოტიენი, გვიტიანი, ჯამოენი და სხვ. გოგრიჭიანის გვარგანშტოებებია: ჩხუტენი გოჩიენი, ლეჩხუმლეენი, საგიენი, მამუჩიანი და სხვა. ასეთი დაყოფა, პირველ რიგში, ოჯახის უხუცესის (წინაპრის) სახელთანაა დაკავშირებული, ზოგჯერაც წარმოშობის ადგილთან, სადაურობასთან და სხვა[64]. შესაძლებელია ზემოჩამოთვლილი გვარეულობებიდან რაჭაში რომელიმე გვიან იყოს ჩასახლებული, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ რაჭის მიწა-წყლის ნაწილი სვანებით ყოფილა დასახლებული.

რაჭის ისტორიული წარსულის დადგენაში გვეხმარება მისი ნაგებობების სტრუქტურაც. ეს ნაგებობები უმთავრესად იმერულ-ქართლური სტილისაა, მაგრამ ზოგან განსხვავებული, სვანური სტილიც შეინიშნება, მაგალითად მთა რაჭაში. იქაური საცხოვრებელი, სამეურნეო და თაღოვანი ნაგებობანი დანარჩენისაგან იმდენად განსხვავებული და თავისებურია, რომ მას ვახუშტი ბატონიშვილიც ცალკე გამოყოფს. საკმარისია ამ ნაგებობათა ვახუშტისეულ დახასიათებას დავაკვირდეთ, რომ თვალში გვეცეს მთარაჭულ-სვანურ-ლეჩხუმურ ნაგებობათა იდენტურობა და მათი გენეტიკური კავშირ-ერთიანობა.

---

64 საინტერესოა ისიც, რომ სვანური გვარგანშტოების მსგავსი ტრადიცია შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს მთიულურ გვარებშიც, მაგალითად, ბუჩუკურებში, რომელთა განშტოებებია: მამუკიანი, ბერიანი, ჭუშიანი, ქოჩიანი, ობელიანი და სხვ.; ამირიძეების გვარში: ხუტიანი, პაპიანი, გივიანი, მკედლიანი და სხვ.; ჩოხელების: ლაზარიანი, შეღლიანი და სხვ.; კობაიძეების: ბეჟანიანი, მგლიანი, მახარიანი და სხვ.; ბურდულების: შიუკიანი, ჭაბუკიანი, ჭოკილანი, ეადიკიანი, ლეგიანი და სხვ.; წამალაიძეების: ყაზბეგიანი, მასარობელიანი, ჯაბიანი და სხვ.; ქავთარაძეების: ხიზანიანი, ქოჩორიანი, სეხნიანი და სხვ.; აფციაურების: ივანიანი, კოტონიანი და სხვ.;

ისტორიული სვანეთის მოსაზღვრე მთიულურ გვარეულობათა -იან სუფიქსიან განშტოებებად დაყოფა სვანებისა და მთიულების გენეტიკური ნათესაობის მნიშვნელოვან არგუმენტადაა მიჩნეული (იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დასახელებული შრომა, გვ. 193; ს. ბ ა კ ა ლ ა თ ი ა. დასახელებული შრომა, გვ. 37).

მართალია, მთარაჭის სოფლები — ბრილი, თევარეშო, შოდა, ჩუეში, ბუბა და სხვა, რომლებიც ისტორიულ სვანეთში შედიოდა, გაუკაცრიელდა (ნაგებობები დაინგრა), სამაგიეროდ, ზოგიერთმა მათგანმა ჩვენამდე მოაღწია. ამ მხრივ საინტერესოა ღები, სადაც ჩვენი საუკუნის დამდეგამდე 50-დუროიანი სახლი და რამდენიმე ციხე-კოშკის ნაშთი შემოინახა[65]. მოცემული ნაგებობანი თავისი წყობით, ფორმით, მოცულობით და სხვა თითქმის არაფრით განსხვავდება სვანურისაგან.

სვანეთისა და მთარაჭის ნაგებობათა ტიპობრივ-გენეტიკური ერთნაირობა დღეს არ იწვევს ეჭვს, მით უფრო მას შემდეგ, რაც რ. თაბუკაშვილმა იტალიიდან ვიტორიო სელას მიერ XIX საუკუნეში გადაღებული ზემო რაჭის ზოგიერთი სოფლის ხედის ფოტო-სურათი ჩამოიტანა.

მთარაჭაში სვანურის კვალი შეიმჩნევა აგრეთვე ლექსიკაში, მეტყველებაში, ზნე-ჩვეულებებში, სიმღერებში და სხვ.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ რაჭის ნაწილი ოდესღაც სვანებს ეკავათ, მაგრამ, დროთა ვითარებაში, რაჭაში სვანური ენა ვაქრა, მისი ადგილი, ქართიზაციის შედეგად, საერთო და მოწინავე ქართულმა ენამ დაიკავა.

2. ვინ იყვნენ მისიმიანები

ქართველი ერის ეთნოგენეზისის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ოდინდელი მობინადრე უძველესი ტომების ტერიტორიული განსახლებისა და ეთნიკური ვინაობის გარკვევას.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ეგრისის (ისტორიული კოლხეთის) ტერიტორიაზე მოსახლე მისიმიანთა საკითხი.

ეგრისის ანუ ლაზიკის სახელმწიფოში, რომელიც დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, მეგრელ-ლაზების გარდა, სხვა ტომებიც ცხოვრობდნენ, მათ შორის: ჰენიოხები ანუ სანიგები, აბაზგები, აფსილები, მისიმიანები და სხვ.

ცნობილია, რომ ანტიკურ და ადრეფეოდალურ ეპოქაში სანიგები, აბაზგები, აფსილები და მისიმიანები მოსახლეობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ნიკოფსიიდან ვიდრე მდ. ღალიძგა—კელასურამდე.

---

65 მოგზაურ დიბუას მიერ XIX საუკუნის 30-იან წლებში გადაღებული ღების სურათში კარგად ჩანს დუროიანი სახლები და კოშკები. ღების ხედი სვანეთის სოფლების ზუსტ ტიპს მოგვაგონებს (იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახელებული შრომა, გვ. 21, 41).

ჩანს, ჩამოთვლილი ტომები დროთა ვითარებაში გარკვეულ გადაადგილებას განიცდიდნენ.

ბიზანტიური წყაროებით, ჰენიოხები ანუ სანიგები შავიზღვისპირეთის მოსახლეობას წარმოადგენდნენ. ფსევდოსკილაქსი, სტრაბონი, ფსევდოორფეოსი, პლინიუსსეკუნდი, ფსევდოარიანე, პონპონი მელა და სხვა სანიგებს ასახელებენ შავიზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ანუ სებასტოპოლისსა (ცხუმსა) და სოჭს შორის ტერიტორიაზე. არიანე (II ს. ჩვ. წ. აღ.) პირდაპირ წერს, რომ სებასტოპოლისი სანიგთა მიწა-წყალზე მდებარეობს. პონპონი მელაც ასევე აღნიშნავს, რომ დიოსკურია (იგივე ცხუმი ანუ სოხუმი) ჰენიოხთა ანუ სანიგთა ქალაქია.

სტრაბონი (ძველი და ახალი წ. აღ. მიჯნა) წერს, რომ კოლხები და ჰენიოხები ერთიმეორის მეზობლები არიან. პტოლემაიოსის (II ს. ჩვ. წ. აღ.) ცნობით, პონტოს გაყოლებით ცხოვრობენ ახეველები, კერკეტები, ჰენიოხები და სვანო-კოლხები. ფსევდოორფეოსიც (IV ს.) აღნიშნავს, რომ კავკასიის გასწვრივ სახლობდნენ კოლხების, ჰენიოხებისა და აბაზგების ტომები.

საერთოდ, არაერთგვაროვანი ცნობები მოგვეპოვება შავიზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მოხსენიებულ ხალხთა განსახლების ადგილმდებარეობის შესახებ.

პ. ინგოროყვას მიაჩნია, რომ აფსილებს ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში მდ. კელასურის ხეობის ზემო წელი და მისი მიმდებარე ტერიტორია ეჭირათ — გუმისთიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე[66].

ზ. ანჩაბაძის აზრით, აფსილები (ანუ აბსილები) ჩვ. წ. აღ. პირველ და მეორე საუკუნეში აწინდელი გალის ტერიტორიაზე სახლობდნენ, შემდეგ — მეხუთე-მეშვიდე საუკუნეებში — გულრიფშისა და სოხუმის მიდამოებში გადაინაცვლეს. მისივე განსჯით, შესაბამის დროში, აბაზგები ჯერ აწინდელ ოჩამჩირის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ ვდ. გუმისთასა და ბზიფს შორის სახლობდნენ[67].

ძნელია ჰენიოხ-სანიგთა ეთნიკური ვინაობის ზუსტი და უდავო დადგენა. ბიზანტიური ცნობები მათ განასხვავებს როგორც მეგრელლაზების, აგრეთვე აბაზგების, აფშილებისა და სვანებისაგან.

საქართველოს უძველესი ისტორიის მკვლევართაგან ერთნი ფიქრობენ, რომ ჰენიოხები (იგივე სანიგები ანუ სანიხები) სვანთა წინა-

---

66 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954, გვ. 126.

67 З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959; его же. История и культура древней Абхазии. М., 1964.

პრები ანუ უძველესი ქართველები იყვნენ[68]. მეორენი ჰენიოხებს იგივე ქართველების ანუ მეგრელ-ლაზების თვისტომად მიიჩნევენ[69]. მესამენი აცხადებენ, რომ ჰენიოხ-სანიგები აფხაზური მოდგმის ხალხს წარმოადგენდნენ[70]. ამასთან ისიც ითქვა, რომ ჰენიოხები შავიზღვისპირეთის ადიღეური წარმოშობის სხვადასხვა ტომთა და ჯვუფთა კრებითი სახელია[71].

აღსანიშნავია, რომ აფსილების, აბაზგების, მისიმიანების თუ ჰენიოხ-სანიგების ეთნიკურ კუთვნილებასა და ენის რაობაზე არავითარი პირდაპირი ჩვენება არ არსებობს. ამიტომ ამ საკითხებზე მკვლევართა მსჯელობა უმეტესწილად პირობითი და ჰიპოთეზურია, ზოგჯერ ტენდენციურიც.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჰენიოხ-სანიგების დღევანდელ აფხაზებად ან მათ თვისტომებად მონათვლას საფუძვლად მხოლოდ სუბიექტური სურვილი და ვარაუდი უდევს. ჩანს, ისინი აფხაზებად მხოლოდ იმიტომ არიან მიჩნეული, რომ აფხაზეთად წოდებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

ძნელია, აგრეთვე, იმისი უდავო ცხადყოფაც, რომ ჰენიოხ-სანიგები უეჭველად ქართველური ტომები ანუ სვანები იყვნენ. თუმცა ამ მოსაზრებას უფრო რეალური საფუძველი გააჩნია. ეს არის ბიზანტიური ცნობები სვანთა მრავალრიცხოვნობისა და კავკასიის მთავარი ქედის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში განფენილობის შესახებ. აგრეთვე, სახელწოდება სანიგის სვანთან სიახლოვე და სხვ.

ჰენიოხ-სანიგთა სვანობაზე უნდა მიუთითებდეს ისტორიულ აფხაზეთში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შემორჩენილი არაერთი სვანური ტოპონიმი (ამაზე ქვემოთ).

---

68 И. А. Орбели. Город Близнецов „Диоскурнас" и племя возниц „пепиохой". — ЖМНП, XXXIII 1911 გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 50—67; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977, გვ. 99.

69 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე... გვ. 129, 134—137, 143, 144; ს. ჯანაშია. შრომები. III, თბ., 1959, გვ. 11; მ. ინაძე. ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვის სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის. — მაცნე (საზოგ. მეცნ. სერია), № 2. 1960.

70 И. Гулия. История Абхазии, т. I. Сухуми, 1925; მ. გუნბა. დასავლეთ საქართველო და ბიზანტია VI—VIII სს. თბ., 1962; З. В. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. М., 1964; его же. Очерк этнической истории Абхазского народа. Сухуми, 1967.

71 Л. И. Лавров. О происхождении народов северо-западного Кавказа. —ССИК, вып. 3, 1954.

მართალია, მისიმიანების ტერიტორიულ განსახლებაზეც აზრთა ვარკვეული სხვაობა არსებობს, მაგრამ ბიზანტიელი მწერლები მკაფიოდ მიუთითებენ, რომ ისინი აფსილებისა და აბაზგების უშუალო მოსაზღვრე იყვნენ ჩრდილოეთის მხრიდან, კავკასიის სამხრეთ კალთების გაყოლებაზე. მაგალითად, სტრაბონის ცნობით, სვანები დიოსკურიას უშუალოდ ესაზღვრებოდნენ: „სვანებს უჭირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმართულია დიოსკურიის ზემოთ"[72].

კლავდიუს პტოლემაიოსის თხზულებაში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, სხვა ტომთა შორის, სვან-კოლხებია დასახელებული[73].

აგათია სქოლასტიკოსი წერს, რომ მისიმიელები აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით და ოდნავ აღმოსავლეთისაკენ ცხოვრობენ. მისივე ცნობით, მისიმიელები აბაზგიასა და სვანეთსაც ესაზღვრებოდნენ[74].

მსგავს ცნობას გვიტოვებს მენანდრეც, რომლის მიხედვით მისიმიელებს აღმოსავლეთიდან უშუალოდ სვანები ესაზღვრებოდნენ, ჩრდილოეთიდან — კავკასიის ქედი და ალანები, სამხრეთიდან — ლაზიკა (ეგრისი), დასავლეთიდან — აბაზგები.

აქედან გამომდინარე, პ. ინგოროყვა დაასკვნის, რომ მისიმიანები კოდორის ხეობაში (წებელდიდან ვიდრე ქლუხორის უღელტეხილამდე) ცხოვრობდნენ. მისივე აზრით, მისიმიანთა მთავარი ციხე იყო ძახარი ანუ ჩხარი (იგივე ჩხლი ანუ ჩხალთა), რომელსაც „რკინის ციხე" ეწოდებოდა[75].

ზ. ანჩაბაძეც დაახლოებით ასე განსაზღვრავს მისიმიანთა ადგილმდებარეობას — ისინი დალის (კოდორის ზემო წელში) და წებელდის ნაწილში სახლობდნენ[76].

პ. ინგოროყვას განსჯით, ისტორიული კოლხეთის ანუ ეგრისის მიწა-წყალზე მოსახლე სვანო-კოლხების ნაწილი სვანური მოსახლეობაა, რომელიც სტრაბონის რწმენებით, კავკასიონის ქედის ცენტრალური და დასავლეთი ზოლის გაყოლებაზე (დიოსკურიის ზემოთ) სახლობდა[77].

---

72 სტრაბონი. გეოგრაფია. გეოგრაფია. XI, 2 (1) გვ. 138.

73 კლავდიუს პტოლემაოსი. გეოგრაფია. წ. V, 25 (1), გვ. 239.

74 გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1936, გვ. 86.

75 პ. ინგოროყვა. დასახელებული შრომა. გვ. 127; დ. მუსხელიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 121.

76 З. В. Анчабадзе. Очерки этнической истории Абхазского народа, с. 44.

77 პ. ინგოროყვა. დასახელებული შრომა. გვ. 144.

ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ როგორც აწინდელი სვანეთის, აგრეთვე მისი დასავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე კავკასიის სამხრეთ კალთებზე, ლიხის ქედიდან ვიდრე ისტ. აფხაზეთის (ეგრისის) ჩრდილო-დასავლეთ მთებამდე, სვანური მოსახლეობა ცხოვრობდა (სხვანაირად დიოსკურიის მოსაზღვრე სვანები ვერაფრით იქნებოდნენ?!).

მართალია, პ. ინგოროყვა მისიმიანებს მეგრულ-ლაზურ და სვანურ (ნარევ) ხალხად თვლის, მაგრამ უფრო იმ მოსაზრებას უპერს. მხარს, რომ მისიმიანები სვანურენოვანი ქართველური ტომი იყო[78].

ისტორიულ აფხაზეთში სვანების ბინადრობაზე მიუთითებს სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბიზანტიელიც, რომელიც „სვანო-კოლხის“ მსგავსად მათ „ეგრსუანის“ სახელწოდებით მოიხსენიებს[79].

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოლხეთის მიწა-წყალზე მოსახლე სხვადასხვა ტომები ურთიერთდაწოლისა და უცხო მტრის შემოსევის გამო გარკვეულ გადაადგილებას განიცდიდნენ, ვასაკვირი როდია დიოსკურიასა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე სვანთა (სვანური ტომების) შევიწროება და თანდათანობით შემცირება.

მართალია, მისიმიანთა ეთნიკურ ვინაობაზე დღესაც აზრთა სხვაობა არსებობს, მაგრამ სპეციალისტების უმრავლესობას ისინი სვანებად მიაჩნია. მაგალითად, ს. ყაუხჩიშვილს, რომელსაც გ. მელიქიშვილი და პ. ინგოროყვა უპერენ მხარს, მიაჩნია, რომ „მისიმიანი“ სვანთა თვითსახელის — „მუშვანის“ — სახელშეცვლილი ფორმაა და ის უთუოდ სვანს ნიშნავს[80].

მისიმიანის სატომო სახელში, პ. ინგოროყვას აზრით, „მი-სიმიანი ბოლოკიდური „ანი“ არის ქართული ეთნიკური სახელების ფუძის დეტერმინატი — იმავე ტიპისა, როგორც სვანი, ზანი, ჭანი, სანი; ხოლო თავკიდური „მი“ არის ქართველური ენებისათვის, კერძოდ სვანურისათვის, დამახასიათებელი ფორმანტი, რომელიც თავში ერთვის ეთნიკურ სახელებს“[81].

საისტორიო წყაროების მონაცემთა საფუძველზე, პ. ინგოროყვას დადასტურებულად მიაჩნია, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში აფხაზეთის მხარეში, სხვა ქართველი ტომების გვერდით,

---

78 პ. ინგოროყვა. დასახ. შრომა. გვ. 130—144. 6

79 История Армении Фавстоса Бузанда. 1953, с. 15.

80 ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანთა ტომი. — თსუ შრომები. I. პირველი სერია, საზოგადოებათმეცნიერებანი, თბ., 1919; გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძვ. მოსახლ. საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 65; მისივე. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 92; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. თბ., 1970, გვ. 557; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 145.

81 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე.. გვ. 144.

სვანებიც მოსახლეობდნენ[82]. ამას ადასტურებს სტრაბონის ცნობა იმაზე, რომ სვანები დიოსკურიის ზემოთ ცხოვრობდნენ და სიმრავლის მხრივ ყველა მეზობელ მთიელს აღემატებოდნენ, მათ, საჭიროების შემთხვევაში, ორასიათასი მეომრის გამოყვანა შეეძლოთ[83].

ქართული და უცხოური წყაროების საფუძველზე კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ სვანები ცხოვრობდნენ მეგრელ-ლაზების, აფსილებისა და აბაზგების მეზობლად — კავკასიის ქედის სამხრეთის გაყოლებაზე. წყაროებში ისინი ევქსინის პონტოს მოსაზღვრეც არიან[84].

ივ. ჯავახიშვილისა და გ. მელიქიშვილის დასკვნით, ძველ დროში სვანები გაცილებით ფართო ტერიტორიაზე სახლობდნენ, ვინემ ამჟამად. ისინი დასავლეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით შორს აღწევდნენ ახლანდელ სვანეთთან შედარებით. მეცნიერთა რწმუნებით, ამას მოწმობს დასავლეთ საქართველოს მთასა თუ ბარში გავრცელებული სვანური ტოპონიმიკა[85].

უკანასკნელმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ სვანური მოსახლეობა ეპიზოდურად ალანთა ქვეყანაში (თანამედროვე ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიებზეც) ვრცელდებოდა[86].

დ. მუსხელიშვილის აზრით, მისიმიელები სვანები ანუ სვანური ტომი იყო. ის წერს: „რომ სწორედ მისიმიელების სვანური ტომი უნდა იგულისხმებოდეს პტოლემაიოსის „სუანო-კოლხებში“ ანუ ფავსტოს ბიზანტიელის „ეგრო-სუანებში“ იმ აზრით, რომ ესენი იყვნენ ეგრისის სამეფოს მიერ დამორჩილებული სვანები, იმ სვანებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჯერ არ იყვნენ ეგრისს დაქვემდებარებულნი და რომელთა დამორჩილება მხოლოდ IV საუკუნის დასასრულს მოხერხდა“[87].

თუ ყველა მონაცემს შევაჯერებთ, უეჭველი გახდება, რომ სვანებს (ანუ სვან ტომებს, მათ შორის მისიმიანებს) ძველ დროში აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავათ.

ეტყობა, კოლხეთის ძველი სამეფოს დაშლის შემდეგ, ჩვ. წ. I და II საუკუნეებში, განცალკევებულ სვანთა გაერთიანებას, ერთი მხრივ, ჯიქები, ალანები, აბაზგები და აფსილები დაუპირისპირდნენ, ხოლო

---

82 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩეული. გვ. 144.

83 თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 126.

84 К. К. Кекелидзе, — Сведения груз. источн. о пред Максгие исповеднике, — труды Киевской дух. акад., с. 19.

85 ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I. თბ., 1960, გვ. 429; გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღ..., გვ. 50—57.

86 თ. მუბჩვანი. მეგობრობის სათავეებთან. თბ., 1986.

87 დ. მუსხელიშვილი. დასახელებული შრომა, გვ. 132—133.

მეორე მხრივ მეგრელ-ლაზები და სხვ. ამიტომ სვანები თანდათან დასუსტდნენ, შეეიწროვდნენ და პოზიცია დათმეს — IV საუკუნის ბოლოს მთლიანად ეგრისის (ლაზიკის) ძალაუფლებასა და სახელმწიფოში მოექცნენ.

მენანდრე პროტიქტორი გვამცნობს, რომ VI საუკუნეში მისიმიანები კვლავ დალის (მდ. კოდორის) ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლობდნენ. ის წერს, რომ ალანთა წინამძღოლმა საროდიმ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ, აბრეშუმით მოვაჭრე ქარავანს (ზემარქესა და მის კაცებს) ურჩია მისიმიანთა გზით (კოდორის ხეობით — გ. გ.) არ წასულიყვნენ, თორემ იქ სვანეთში მყოფი სპარსელები იყვნენ ჩასაფრებული და ისინი ჩაიგდებდნენ ხელში. აბრეშუმის ქარავანი იძულებული გახდა რჩევა მიეღო და შავი ზღვისკენ დარინის გზით წასულიყო (მისიმიანთა გზა მარცხნივ დატოვა)[88].

მისიმიანთა ეინაობის გარკვევისათვის ერთგვარი მნიშვნელობა აქვს მათ პოლიტიკურ ისტორიას. როგორც ვიცით, ბიზანტიასა და ირანს საუკუნოვანი ომი ჰქონდა სვანეთის გამო. საქმე ის არის, რომ VI საუკუნეში მისიმიანები დანარჩენი სვანების კვალდაკვალ განუდგნენ ბიზანტიას და ირანს მიემხრნენ.

სვანები და მათი მოძმე მისიმიანები 555 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყდნენ. სპარსელებისადმი მიმხრობის შემდეგ მისიმიანებმა ჯერ ბიზანტიელთა მოხელეები და რაზმი ამოწყვიტეს, შემდეგ მათთან შესარიგებლად გაგზავნილი აფსილი მოციქულები. ამის საპასუხოდ ბიზანტიამ ჯარი შეუსია მისიმიანებს, რომელთაც ხუთიათასამდე მებრძოლი და ათი ათასამდე მშვიდობიანი მოსახლე დაუხოცა. ამის შემდეგ მისიმიანები იშვიათად თუ ჩანან ასპარეზზე[89].

უნდა ვივარაუდოთ, რომ მისიმიანები შემთხვევით არ იზიარებდნენ ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლ სვანთა ბედს, ისინი ერთი მოდგმისანი იყვნენ.

ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე უძველესი ტომების ეთნიკური ეინაობის გასარკვევად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნის ძველ ტოპონიმიკას.

აფხაზეთის უძველესი მოსახლეობის — მისიმიანების — ისტორიის აღწერისას ბიზანტიელი მწერლები ადგილობრივ გეოგრაფიულ თუ ადმინისტრაციულ პუნქტებს იშვიათად ასახელებდნენ, ან თავისებურად აღიქვამდნენ და ასხვაფერებდნენ მათ. ამ შემთხვევაში ისინი ასახელებდნენ ტიბელეოსსა და ძახარისს რომელთა ზუსტი ადექვატი დღეს არ მოგვეპოვება. ვფიქრობთ, ტიბელეოსს საერთო აქვს ტიბ-

---

88 გეორგიკა. III, გვ. 236.

89 იქვე, გვ. 171—174.

ტვიბთან, რაც სვანურად ხევს (ტვიბს) ნიშნავს (შეადარე სვანეთის ტვიბს, ტვიბეერს, ტვიბრას, ტვიბარს); თუ ეს სწორია, მაშინ ტიბელეოსი ხევში განლაგებულ ციხეს აღნიშნავს. ციხე ძახარი (ანუ ჩხარი) ქართული სახელწოდებაა (შეად. ჩხარი), ყოველ შემთხვევაში მისიმიანთა ეს (უკანასკნელი) ციხე-სიმაგრე („რკინის ციხედ" სახელდებული) კოდორის ხეობის ზემო წელის დასაწყისში მდებარეობდა[90].

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები ასხვაფერებდნენ ადგილობრივ სახელწოდებებს, ზოგჯერ მაინც რჩებოდა ქართული ძირი და იერსახე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თეოდოსი განგრელის თხზულება (VII ს.), რომელშიაც აღწერილია საქართველოში გადმოსახლებული მაქსიმე აღმსარებლის და მისი თანამოაზრეების ადგილსამყოფელი პუნქტების სახელწოდებები, მათ შორის: სკოტორი, ბუკოლუსი (ბუქლოსი), მუკორისი, ფუსტა, სხემარი, თაკვირია, სვანეთის ციხე და სხვ.[91].

დასახელებული სახელწოდებების რაობამ და ლოკალიზაციამ თავის დროზე მიიპყრო კეკელიძის ყურადღება, თუმცა ზოგიერთი სახელწოდება კვლავ დაუდგენელია.

ნაკლებ სადავოა **სხემარიხ** ანუ **სგიმარიხ** (სქიომარი) სახელწოდება; ორიეე სვანური ჩანს. პირველი „ცხუმ" (რცხილა) სახელს უკავშირდება ისე, როგორც დღევანდელი სოხუმის ძველი სახელწოდება — ცხუმი ანუ ცპომი[92]. მეორე კი — მყავე წყლებს (სგიმ — მყავე წყალი).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აფხაზეთის ქალაქ **ცხუმის** სახელწოდების საკითხი.

---

90 დ. მუსხელიშვილი. დასახელებული შრომა, გვ. 121.

91 გეორგიკა. IV. ნ. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1941, გვ. 40—56.

92 როგორც ჩანს, სხემარი კ. კეკელიძეს, ა. ბრილიანტოვს, და სხვებს ლეჩხუმში ან მის მახლობლად ეგულებოდათ. შესაძლებელია ისინი სხუმ-ის (ცხუმის) ლეჩხუმთან (ლეცხუმთან) მიმსგავსებამ შეიყვანა შეცდომაში. როგორც დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, ეს ციხე-სიმაგრე უთუოდ მისიმიანეთში უნდა ყოფილიყო (საკენის ხეობაში), სადაც კიდევაც დაამოწმა ტოპონიმი „სგიმარი" (იხ. დ. მუსხელიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 121). როგორც აღნიშნეთ, „სგიმარ" სვანურად მყავე წყლის მრავლობით ფორმაა (არ მრავლობითის მაწარმოებელია). ნიშანდობლივია ისიც, რომ ხსენებულ ადგილას მართლაც მყავე წყალი მოდის.

აღნიშნული და სხვა ციხეების მდებარეობასთან დაკავშირებით სრულიად გონებამახვილურად შენიშნავს დ. მუსხელიშვილი: „მისიმიანეთის ტერიტორიაზე ამ ციხეების არსებობა სავსებით გასაგებია, რადგან ამ ტერიტორიაზე გადმოდიოდა უმნიშვნელოვანესი მაგისტრალური გზები ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში და ეგრისში, ხოლო აქედან ზღვით ან ხმელეთით — ბიზანტიაში". მისივე აზრით, ეს ციხეები აკონტროლებდნენ სავაჭრო გზას, ალანთა და ჩრდ. კავკასიის სხვა მომთაბარე ტომთა აგრესიას სამხრეთისაკენ. ამ მხრივ მეცნიერს ფრიად მნიშვნელოვნად მიაჩნია სვანეთის გზებიც (დ. მუსხელიშვილი. იქვე, გვ. 123).

როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, სახელწოდება „ცხუმი“ ქართულ წყაროებში VIII საუკუნიდან მოიხსენიება[93]. ეჭვი არ აოის, რომ ეს სახელწოდება (ისე, როგორც ცხუმარი) რცხილის სვანურ სახელს — ცხუმს (ცხუმ-ცხვიმ) — უკავშირდება. ასეთი სახელწოდებები ფართოდაა გავრცელებული სვანეთსა და ნასვანარ ადგილებში. მაგალითად, ცხუმარი (სოფელი მესტიის რაიონში), ცხუმელური (ლენტეხის რ-ნი), ცხუმ ზაგარ (ცხვიმ ზაგარ), რცხილნარი ქედი — სვანეთისა და სამეგრელოს ყოფილი საზღვარი სოფელ ჯვართან, ცხმორი (რაჭა), ცხომარეთი (ზემო იმერეთი), ცხემარისგა (გალის რ-ნი). რცხილის (ცხუმ-ცხვიმ) სახელწოდებას უკავშირდება აგრეთვე ლეჩხუმის (ლე-ცხვიმ, ლე-ცხუმ) სახელიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის ამგვარი ახსნა მაინცდამაინც ენათმეცნიერულ კანონზომიერებას არ ექვემდებარება, ლეჩხუმის ლეცხუმიდან წარმომავლობაც ნაკლებ საეჭვოა. ამ სახელწოდების სვანურობას მხარს უჭერს ლეჩხუმის ტოპონიმიკის უდიდესი ნაწილის სვანურობაც. აგრეთვე ქართული სქოლასტის ჩვენება: „სუანთა სოფლის ციხე, რომელ არს მური“[94].

ცხუმის (სოხუმის) სვანურბუნებოვნებაზე მეტყველებს არა მხოლოდ მისი სვანური შესატყვისობა და ამ ტოპონიმის ფართოდ გავრცელება ისტორიული სვანეთის ტერიტორიაზე, არამედ შუა საუკუნეთა სვანეთში ცხუმ-ჩხუმიანი გვარეულობების არსებობაც. მაგალითად, სვანეთის სოფლებში — კიჩხელდაშში, ლახამულაში, ლუჭაში, ეცერში, ცხუმარში და დოლში — მრავლად ცხოვრობდნენ ცხუმიანები, ცხვიმიანები და ჩხუმიანები (ლეჩხუმ-ლეცხუმის იგივეობასა და მის მცენარე ცხუმიდან წარმომავლობაში გვარწმუნებს ცხუმიან-ჩხუმიანი გვარეულობებიც)[95].

აღნიშნული ტოპონიმებისა და გვარეულობების მსგავსად, ცხუმიდან წარმოშობილი უნდა იყოს ცხომელიძე, ცხომარია და სხვ.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზეთის ქალაქ ცხუმის სახელწოდების შემოქმედი თავის დროზე სვანურენოვანი მოსახლეობა იყო (შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ამ სახელწოდების ფართოდ გავრცელება სვანეთში და მისი ცოცხლად შენარჩუნება სვანურ მეტყველებაში), ის ცხუმ-რცხილიდან წარმოდგება და პრეისტორიული, ფუძე ქართული ტოპონიმია[96].

---

93 პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 147.

94 გეორგიკა. IV. გვ. 56. შენიშვნა.

95 პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნ. II. თბ., 1941. გვ. 119, 120, 129, 132, 133, 136, 138, 139, 144.

96 სხვათა შორის, ამ ბოლო დროს სოხუმის ისტორიული სახელწოდების არაერთნაირი ახსნა შემოგვთავაზეს მკვლევრებმა — გ. რუხაიამ, გ. ფიფიამ და სხვ., რომელთაც, მართალია, ამ სახელწოდების ახსნის სვანურობასაც გაუსვეს ხაზი,

აფხაზეთის ქალაქ ცხუმის ტოპონიმის ნაწილობრივ მაინც სწორ ახსნას გვაძლევს ვ. ზუბბაია, რომლის მიხედვით ეს სახელწოდება უკავშირდება რცხილის სვანურ სახელს — ცხუმს. ვ. ზუხბაია სწორად შენიშნავს აგრეთვე, რომ სოხუმი ცხუმის სახეშეცვლილი თურქული სახელწოდებაა. დროული და მიზანშეწონილია აგრეთვე ვ. ზუხბაიას მიერ დღის წესრიგში დასმული საკითხი აფხაზეთის ქალაქ სოხუმის ძველი სახელწოდების — ცხუმის — აღდგენის მიზანშეწონილობის შესახებ[97].

ბიზანტიურ წყაროში დაცული მაქსიმე აღმსარებლისა და მისი თანამოაზრეების საპატიმროს — „სვანეთის ციხის" — ადგილსამყოფელზე თვითონ სახელწოდება მიუთითებს, რა თქმა უნდა, ის ციხის კონკრეტულ სახელს კი არ მიუთითებს, არამედ ქვეყანას. ასევე „თაკვირია" — ლეჩხუმზე მიუთითებს. კ. კეკელიძის აზრით, ეს უკანასკნელი ისტორიული სვანეთის ორბელის ციხე უნდა იყოს, ხოლო დ. მუსხელიშვილის აზრით — ზუბის ციხე[98].

ამასთან, ციხე სკოტორი კოდორს უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც უშუალოდ მისიმიანთა ტერიტორიაზეა სავარაუდებელი. „მუკორისი" კი ჩვენთვის უცნობია.

რაც შეეხება „ფუსტას", ის ს. ყაუხჩიშვილის სარწმუნო მოძიებით, დღევანდელი სოხუმის რაიონში, სოფ. ალექსანდროვსკოეში მდებარეობს (ციხის მდებარეობაზე დაახლოებით ამასვე იზიარებს მ. გუმბაც)[99].

მთავარი ის არის, რომ ფუსტა სვანური ტოპონიმია. ეს სახელწოდება დღესაც მრავალგან გვხვდება სვანეთში და ფართოდაა გავრცელებული იქაურ ზეპირსიტყვიერებაში. ფუსტ (ლენტეხური კილო), ფუსდ (ბალსზემოური) სვანეთში დღესაც მრავალ ეკლესია-სალოცავს ეწოდება. სვანურ მეტყველებაში ამ სახელწოდებამ, ღვთიურ მნიშვნელობასთან ერთად (ღმერთი, უფალი, მეუფე, გამგებელი), შუა საუკუნეებში სოციალური შინაარსიც შეიძინა (პატრონი, ბატონი, მფლობელი, თავადი, უფროსი და სხვ.)[100].

მაგრამ სხვაგვარ და აფხაზურ ენებზე ახსნასაც შეეცადნენ (იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 12. 10. 89 წ., გაზ. „სახალხო განათლება", 10.06.90 წ.), თუმცა ამდაგვარი ახსნის ხელოვნურობა ეჭვს არ იწვევს.

97 ოქროს საწმისი. № 3, 1990.

98 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახელებული შრომა. გვ. 126.

99 მ. გ უ მ ბ ა. დასავლეთ საქართველო და ბიზანტია VI—VIII სს. გვ. 42.

100 სვანური პოეზია, I, თბ., 1939, გვ. 28, 72, 85, 89, 103, 132, 260, 299; ტ. II, თბ., 1957, გვ. 8, 13, 81, 128, 194 ტ. III, თბ., 1967, გვ. 4, 66, 1967, 89, 97, 106, 110, 211; სვანური ენის ქრესტომათია თბ., 1978, გვ. 11, 27, 60, 61, 62, 64, 66, 68, 71, 83, 93, 98, 200, 215, 238 და ა. შ.

აქედან გამომდინარე, ფუსტი სვანური ტოპონიმია, ხოლო ბიზანტიელი მწერლის ეპიფანეს (VIII ს.) მოხსენიებული ფუსტელები — მისიმიანები ანუ სვანურენოვანი ხალხი იყო[101].

სვანური ტოპონიმია კოდორის ხეობაში მისიმიანთა ნასახლარზე შემორჩენილი სახელწოდება **ლაგვანთა**. ლაგვან სიტყვასიტყვით სატირალ, საგოდებელ ადგილს ეწოდება (შეად. მესტიაში ლაგვნიაშ). ნიშანდობლივია ისიც, რომ კოდორის ლაგვანთაში დღემდე შემორჩა სასაფლაოს ნაშთები. იგივე სახელწოდება ჰქვია სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის შემაერთებელ გზაჯვარედინს, რომელთან დაკავშირებით ასეთი გადმოცემა არსებობს: სვანეთიდან სალაშქროდ მიმავალი ყველა მამაკაცი ლაგვანთას ადგილზე თითო ქვას დებდა, ხოლო უკან დაბრუნებული ქვის საერთო გროვიდან ასევე თითო ქვას აკლებდა. ასეთნაირად დგინდებოდა შინ მოუსელელთა რიცხვი, რომელთა ღირსსახსოვრად ტირილი იმართებოდა (ამიტომ ეწოდა ლაგვან-ლაგვნიაშ).

სვანური ტოპონიმია აგრეთვე კოდორის ხეობის სახელი **დალ** (აფხაზეთის სვანეთის სახელი), რომელიც მისიმიანთა ნასახლარია. დალზე, როგორც ნადირობის ქალღმერთზე, სვანურ ფოლკლორში არაერთი მითი და თქმულებაა გავრცელებული. დალ, როგორც წარმართული ღვთაება, ღრმადაა ჩამჯდარი სვანურ რწმენა-წარმოდგენათა პანთეონში.

შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ისიც, რომ XIX საუკუნეში სვანებმა კვლავ მიაშურეს დალს, როგორც წინაპრებისადმი კუთვნილ მიწა-წყალს.

სვანურია დალის სოფ. **გენწვიშიხ** სახელწოდებაც, რაც ტირიფის სვანური სახელიდან — გენწვ — წარმოდგება (გენწვიშ უკავშირდება აგრეთვე ანწლიან ადგილს — გენჭვიშ). ასევე სვანურია კოდორის სათავე ხეობის ფერდობის სახელწოდება — **შიყეერ** (შიყ-შკ ზურგს ნიშნავს). ასევე სვანურია ე. წ. სამურზაყანოს ჩრდილო მხარეზე გაყოლებული ტყე-ფერდობის სახელწოდება — **ლაკაადა**, რაც კაადა — ნაჯახთანაა დაკავშირებული.

ჩვენ არ ვეხებით დალის ხეობის იმ სახელწოდებებს, რომლებიც აფხაზეთის სხვა მრავალი სახელწოდების მსგავსად, ახალი და გვიანდელი შერქმეულია.

ეტყობა, კოდორის ხეობაში განსახლებულ მისიმიანებს და საერთოდ, აფხაზეთის სვანურ მოსახლეობას ფართო კავშირურთიერთობა ჰქონდა მიმდებარე ჩრდ. კავკასიასთან, კერძოდ, ალანთა სამეფოსთან, სადაც აგრეთვე არაერთი სვანური ტოპონიმი შემოგვრჩა დღემდე. მაგალითად, ნაქალაქარი **შუანა**, სადაც ამჟამადაც დგას XI საუ-

---

101 გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 26.

კუნის ქართული ხურომოძღვრული ეკლესია. საგულისხმოა, რომ შუანა მომდინარეობს სვანეთის თვითსახელი შვანის სახელწოდებიდან (აქედან წარმოსდგება მუ-შვან-სვანი). ამავე ნაქალაქართან ქედხა დი ფერდობს ეწოდება **გიმარ** (სგიმარც), რაც სვანურად მჟავეწყლიან მიწას ნიშნავს. შესაძლებელია, აგრეთვე, სვანური წარმოშობისაა **ტებერდი** (შეადარე სვანური ტვიბ, აგრეთვე სვანეთის სოფლებს: ტვებიაშ, ტვიბეერ, ხოლო ბოლოსართი ერდი არასვანურია), რაც ხევის სვანურ სახელს უნდა უკავშირდებოდეს.

აფხაზეთის მიმდებარე ჩრდ. კავკასიის ტერიტორიებზე სვანური ტოპონიმების გავრცელება შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს, საფიქრებელია, რომ სვანურენოვანი ხალხი იქაც ცხოვრობდა ეპიზოდურად და თავის კვალს ტოვებდა.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ზურაბ ანჩაბაძე შეეცადა მისიმიანთა ტომის აფხაზებად წარმოდგენას. ამის ერთ არგუმენტად ვან აგათია სქოლასტიკოსის თხზულების ის ადგილი მოიტანა, სადაც მისიმიანების აფსილებთან ნათესაობაზეა ლაპარაკი[102].

მოცემული არგუმენტი არაფერს ლაპარაკობს აფხაზებისა და მისიმიანების იგივეობაზე, რადგან არამთცუ ისინი, არამედ არაერთ ძველ წყაროში კავკასიის ხალხებიც კი ერთიმეორის მონათესავედ ითვლებიან. სინამდვილეში, აფხაზები და მისიმიანები რომ სხვადასხვა იყვნენ, ეს იგივე აგათიას თხზულების სხვა ადგილასაა ნათქვამი: ისინი „განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ და სხვადასხვა კანონებს მისდევდნენ“[103].

ასევე მიუღებელია ზ. ანჩაბაძის მეორე არგუმენტი მისიმიანებისა და აფხაზების იგივეობაზე — თითქოს მისიმიანების ეთნიკური სახელი უკავშირდება აფხაზთა ფეოდალურ გვარეულობას — მარშანიებს[104].

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ასეთი მტკიცების უბერხულობა და მცდარობა თვითონ ზ. ანჩაბაძემვე შენიშნა და აღნიშნა, რომ მარშანიები წარმოშობით მარუშიანები — სვანები — იყვნენ (ეს გვარეულობა XIX საუკუნეშიც ძველებურად მარშანად იწოდებოდა). ოღონდ ზ. ანჩაბაძე უთუოდ სწორია იმაში, რომ წებელდელი მარშიანები ბოლოს გააფხაზდნენ — აფხაზ ფეოდალებად იქცნენ.

თუ ზ. ანჩაბაძე თავდაპირველად მისიმიანების უეჭველ აფხაზობას ამტკიცებდა, ბოლოს ამ საკითხშიც უკან დაიხია და შესაძლებ-

---

102 იხ. გეორგიკა. III. გვ. 161—162.

103 იქვე. გვ. 86.

104 З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии.

ლად მიიჩნია აფხაზეთის მთიანი ზოლის ნაწილში სვანური ეთნიკური ელემენტის მოსახლეობა, მისიმიანების სვანობა[105]. შემდეგ ზ. ანჩაბაძე ისევე დაუბრუნდა მისიმიანების ვინაობის საკითხს და კვლავ არათანამიმდევრული პოზიცია დაიკავა. აღნიშნა, რომ მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხი რთულია და ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ამასთან, ისინი ახლა აფხაზი ხალხის წებელდა-დალის ეთნიკურ განშტოებად მიიჩნია, იმ განსხვავებით, რომ ისინი ამჟამად ქართველების მონათესავე პალეოკავკასიურ ეთნოლინგვისტურ ტომად გამოაცხადა[106]. აქვე უნდა ითქვას, რომ მისიმიანებს აფხაზებად მიიჩნევენ სხვა აფხაზი კოლეგებიც, მათ შორის მ. გუმბაც, რომელიც ამახინჯებს აგათიას ცნობას — თითქოს ის წერს მისიმიანებისა და აფხაზების წინაპრების (აფსილების) ენათა ნათესაობაზე[107]. განა მ. გუმბამ ისედაც არ იცის, რომ საერთოდ აღნიშნული ტომების ნათესაობის თეორია ასე შორს როდია საძიებელი, განა კავკასიის ხალხთა ნათესაობაზე ისედაც მრავალი ქართულ-სომხური წყარო არ ღაღადებს.

ფაქტი ის არის, რომ მარშიანები ანუ მარუშიანები (ამჟამინდელი მარშანიები) სვანეთის ერისთავების (ფარჯანიან-ვარდანისძეების) ჩამომავლები იყვნენ, რასაც მოწმობს სვანეთის საეკლესიო წარწერები[108]. თუმცა ზოგიერთი აფხაზი კოლეგა ხელოვნურად ცდილობს აფხაზეთის მკვიდრი ქართველი ტომების აფხაზად მონათელას, აფხაზეთში ქართველის სახსენებლის შეგნებულად, გულმოდგინედ და უმოწყალოდ ამოძირკვას, ყოველივე ქართულის ხელოვნურად გადასხვაფერებას და უძველესი ქართული ტოპონიმიკის გადაკეთებას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველისათვის დიდი ხანია აფხაზეთის ტოპონიმიკის შესწავლას ტაბუ ადევს, ერთი შეხედვითაც ადვილი დასანახია, რომ აფხაზეთში მრავალი ქართული წარმომავლობის ტოპონიმი არსებობს, მათ შორის სვანური. აღნიშნულის გარდა, ასეთები ჩანს: ბაბუშერი, გაგრა, ლიხნი და სხვა, რომელთაც სვანური შინაარსი და ახსნა აქვთ.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ლეგენდა-თქმულებებით და რწმენა-წარმოდგენებით სვანებს თავი წარმოდგენილი აქვთ შავ ზღვის სანაპიროს ოდინდელ მცხოვრებად. სვანური ფოლკლორი სავსეა თქმულებებით, რომელთა მიხედვით სვანები ებრძვიან ზღვის სხვადასხვა ბინადარს, თევზაობენ, კველეშაპებს კლავენ და სხვ.

---

105 З. В. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. с. 183.

106 З. В. Анчабадзе. Очерк этнической истории Абхазского народа, с. 44—45.

107 მ. გუმბა. დასავლეთ საქართველო და ბიზანტია. გვ. 49.

108 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი. 1937, გვ. 25—26, 144, 237, 325, 429.

ამასთან, ეტყობა, სვანებს უშუალო მეზობლობა აკავშირებდა ჯიქებთან (ზიქებთან) და ჩერქეზებთან (მხედველობაშია ადიღეც), რომელთაც სვანები დღესაც ქაშგებს (კასოგებს) ეძახიან. სხვათა შორის, სვანური ფოლკლორი მათ (ჯიქებთან ერთად) სუსხიან, დაუნდობელ და მ ძ ი ნ ვ ა რ ე ხალბად ახასიათებს.

ისტორიულ აფხაზეთში ქართული (სვანური და სხვ.) მოსახლეობის დიდ ხვედრით წილზე და როლზე მიუთითებს იქ **შავლიანთა** სამეფო დინასტიის დაწინაურება IX საუკუნის მეორე ნახევარში; როგორც შ. ბადრიძე წერს, ბუნებრივია, შავლიანები სვანები იყვნენ და მათ აფხაზთა სამეფოში თვისტომთაგან სათანადო დასაყრდენიც ჰყავდათ[109]. შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, აგრეთვე, საქართველოს გაერთიანებასა და წარმატებაში (განსაკუთრებით თამარ მეფის ეპოქაში) სვანთა დიდი ადგილი და როლი, რაც უთუოდ მათ მიერ აფხაზთა სამეფოში მოპოვებული ტრადიციიდან მომდინარეობდა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანეთის ერთ-ერთი უძველესი და მთავარი ეკლესია (კვირიკესა და ივლიტას ანუ „ლაგურკა“) „შალიანად“ (ჩანს, შავლიანის დინასტიის მიხედვით) იწოდება. საქმე იმაშია, რომ ამ ეკლესიაში დღემდეა უძველესი და უძვირფასესი ხატი, რომელიც შალიანის ანუ შავლიანის სახელთანაა დაკავშირებული.

გადმოცემის მიხედვით, შალიანი ანუ შავლიანი იყო უძლიერესი სვანი, რომელმაც ხსენებული ხატი ნიძლავით მოიგო აფხაზეთის მეფისაგან.

გადმოცემა მოგვითხრობს, რომ აფხაზეთის ერთ-ერთმა მეფემ სატახტო ქალაქ ქუთაისში მიიწვია (გეგუთის მოსათიბად) ასი სვანი. ერთ-ერთმა მათგანმა — შალიანიმ — მეფეს შესთავაზა, რომ მინდორს მარტო თვითონ მოთიბავდა იმ დროში, რაშიც ასი კაცი. როდესაც შალიანიმ პირობა შეასრულა, მეფემ ჰკითხა სამაგიეროდ რა სურდა. შალიანიმ ხსენებული ხატის ჩუქება მოისურვა, რაც მეფემ უყოყმანოდ შეუსრულა. ამის შემდეგ შალიანიმ მოგებული ხატი სვანეთში წაასვენა და იქ ხალხმა მისი სახელობის ეკლესია ააშენა[110].

ნიშანდობლივია ისიც, რომ თქმულებით, შალიანიდან ანუ შავლიანიდან მომდინარეობენ სვანეთის შერვაშიძეები, რომელთაც „შორეთიდან მოსულები“ („მაჯვდიერი“) ეწოდებათ.

ამ ლეგენდის სინამდვილეზე უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ ხსენებულ ეკლესიაში დღესაც განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობენ შერვაშიძეები, რომლებიც ყველასაგან განსხვავე-

---

109 იხ. კრებული — საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში. თბ., 1983, გვ. 24.

101 ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. დასახელებული შრომა, გვ. 180.

ბით, ამ ეკლესიაში სხვადასხვა ცერემონიალის დროს (ლოცვის, დაფიცების, წყევლა-კრულვის, მოწინააღმდეგესთან შერიგების და სხვ.) თავისუფალი არიან ყოველგვარი გადასახადისაგან (ეკლესიაში გარკვეული უფლებით სარგებლობენ აგრეთვე იოსელიანები).

შეიძლება შემთხვევითი არ არის აგრეთვე უძველესი ქართველური ენის შტოს, სვანურის „შეხვედრები" თუ „პარალელები" აფხაზურ და ადიღეურ-ჩერქეზულ ენებთან. თუ ამ ენებს მართლაც რაიმე შეხვედრები და საერთო აქვთ ხსენებულ ენებთან, ეს ნათესაობა უნდა იყოს იმ დროის ურთიერთგავლენა, როდესაც სვანები ხანგრძლივად ცხოვრობდნენ აფხაზეთში, როდესაც უძველეს ქართველ ტომებს, სვანებს (მისიმიანებისა და ჰენიოხ-სანიგების სახით) და მეგრელლაზებს ფართო ადგილი ეკავათ ისტორიული აფხაზეთის მიწა-წყალზე და მათ მჭიდრო და ინტენსიური კავშირურთიერთობა ჰქონდათ არა მხოლოდ აფხაზების წინაპრებთან (აფსილებთან და აბაზგებთან), არამედ მათ მოძმე ადიღეელ აბაზინელებთან, აგრეთვე ჯიქებთან და სხვა მეზობელ ტომებთან.

ყოველივე ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ისტორიული აფხაზეთის მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული სამყარო იყო (თავისი ენით, ყოფით, მატერიალური და სულიერი კულტურით), ის არასდროს ყოფილა მხოლოდ რომელიმე ერთი მოდგმის ტომის (თუნდაც აფსილ-აბაზგის, რომლებიც უმცირესობას შეადგენდნენ) კუთვნილება, რომ ქართულ ტერმინ „აფხაზის" ცნებაში იგულისხმება არა მხოლოდ ეთნიკურად აფსუა (ანუ აფსილ-აბაზგი), არამედ აფხაზეთის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან მოსახლე ჰენიოხ-სანიგი, მისიმიან-სვანი, ლაზ-ჭანი (მეგრელი) და სხვ. მაშასადამე, „კოლხის" მსგავსად, „აფხაზი" აფხაზეთის ოდინდელ მკვიდრ მცხოვრებთა ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთო სახელწოდებაა.

ჩვენ უადგილობის გამო აქ საერთოდ არ ვეხებით მეგრულ-ლაზურ თუ სხვა ქართულ ტოპონიმებს, რომლებიც აფხაზეთის მიწა-წყალზე აგრეთვე ფართო მასშტაბით ვრცელდებოდა და ვრცელდება.

ასეთი იყო ისტორიული აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ზოგიერთი სურათი, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ОЧЕРКИ ИЗ ИСТОРИИ СРЕДНЕВЕКОВОЙ СВАНЕТИ

Резюме

В работе изложены проблемы истории одного из уголков Грузии — Сванети, в частности: генеалогия феодальной фамилии Дадишкелианов, границы их владений, характер социально-экономических отношений княжества, присоединение его к России, проведение крестьянской реформы и др.

В работе затронуты также некоторые вопросы истории средневековой сванетской церкви, в частности ее характер, тесные связи с другими христианскими центрами как на родине, так и за ее пределами. Показана специфика некоторых институтов сванетской церкви (Хорепископ, Сакдришвили и др.).

В приложении рассматриваются некоторые топонимы исторической Сванети, а также вопрос об этнической принадлежности миссиониров Абхазии.

На основе анализа древнейших письменных источников, материальных и духовных памятников, архивных, этнографических и фольклорных данных, а также учета специальной литературы освещена социально-экономическая структура средневековой Сванети, ее культурно-политическая жизнь. Критически рассмотрены взгляды разных авторов, придерживавшихся порой полярно противоположных концепций в оценке общего уровня развития Сванети в ту или иную эпоху.

Одна из концепций, проявившаяся преимущественно в этнографической литературе, разобщает и отрывает друг от друга уровни общественного развития равнинных и горных регионов одной страны. Концепция эта придает решающее значение географической среде. На этой основе и создана теория о т. н. «горном феодализме», в котором фактически ничего подлинно феодального не подразумевается. По этой концепции, в горных краях Грузии для возникновения феодального общества и развития феодальных отношений не было никаких условий, в результате чего там не произошла феодальная дифференциация и не возникли соответствующие сословия.

Чрезмерное преувеличение значения древнейших пережиточных явлений и игнорирование решающих факторов общественного развития привели к тому, что сторонники данной концепции во всех сферах общественной жизни Сванети увидели лишь первобытнородовые институты и соответствующие общественные отношения (в результате они получили «первобытно-патриархальную Сванетию», которая якобы вплоть до XX века характеризовалась «родовым и общинным землевладением», «военной демократией», «семейной и сельской общиной», «племенно-языческим единством», «теократией», «народным правлением», «родовой архитектурой» и т. п.).

В этнографических и исторических исследованиях, согласно этой концепции, полностью игнорировались такие решающие институты и явления общественного развития, как частная собственность на основные средства производства (частное землевладение и животноводство, домашнее производство, торговля и т. д.), характерная лишь для классового (в данном случае феодального) общества.

Использование указанного метода исследования привело к забвению того непреложного исторического факта, что Сванети всегда являлась органической и неотделимой частью грузинского государства, активным участником его прогрессивного развития, что скидывает со счетов также элементы передовой для своего времени сванской материальной и духовной культуры.

В результате такого искусственного и необоснованного расщепления исторических процессов в равнинных и горных районах Грузии, преднамеренной архаизации быта ее горного населения, придания сохранившимся некоторым пережиткам отсталости всеобщего и универсального характера, во многих исследованиях общественный строй и быт горцев Грузии предстал перед нами гораздо примитивнее, чем это было на деле. Не были учтены памятники местной материальной и духовной культуры, а также сильное и преобразующее влияние грузинской цивилизации не только на быт горного населения Грузии, но и на культурный прогресс народов Кавказа и всего Ближнего Востока.

В некоторых этнографических и исторических исследованиях можно заметить тенденцию диаметрального разделения общественного развития не только в горных и равнинных регионах Грузии, но даже в отдельных общинах и селах маленькой Сванети. Утверждается, что между уровнями их общественного развития якобы существовали формационные различия.

Согласно этим искусственным схемам, «Вольная Сванетия», в силу своего географического положения, на всем протяжении

средневековья стояла на месте и вплоть до конца XIX в. не смогла уйти дальше патриархально-родового строя, здесь не было сословного деления и эксплуатации человека человеком, все люди были свободными и равными.

Отдельные авторы, не считаясь с данными документальных письменных источников о существовании в Сванети различных сословий, утверждают, что социальная дифференциация здесь якобы ограничилась превращением общинника в свободного крестьянина и исключают возможность развития здесь хотя бы одного характерного для феодализма института. Такими примитивными и предвзятыми суждениями стараются они доказать, что сванетские азнауры (варги) ничем не превосходили простых крестьян.

К сожалению, подобный примитивизм и тенденциозность характерны и для рассуждений многих авторов об уровне общественного развития всего кавказского нагорья.

Сторонники второй концепции, основоположниками которой были Димитрий Бакрадзе, Иванэ Джавахишвили, Павле Ингороква, Нико Бердзенишвили, Георгий Чубинашвили, Шалва Амиранашвили и др., дают правильную оценку уровня общественного развития средневековой Сванети.

По этой концепции, несмотря на некоторую отсталость Сванети, связанную с тяжелыми природно-хозяйственными условиями, в результате положительного воздействия ряда исторических факторов (постоянная связь с равнинными районами страны, как и со всем внешним миром и др.) в Сванети происходила имущественно-сословная дифференциация общества, имел место хозяйственный и культурный прогресс. Географическая среда и суровый климат не могли приостановить развития общества, о чем наглядно свидетельствуют его дифференциация на азнауров и крестьян, а в дальнейшем и формирование тавадов (Дадишкелиани, Геловани, Гардапхадзе).

Показателями довольно высокого общественного развития средневековой Сванети являются также замечательные архитектурные, хозяйственные, фортификационные и жилищные строения, чеканка по золоту, монументальная живопись, развитое земледелие, животноводство, домашнее производство, богатый фольклор и т. д.

შინაარსი

შესავალი . 3

თავი პირველი

სვანეთის სამთავრო

1. დადიშქელიანთა გენეალოგია 7
2. დადიშქელიანთა სამთავროს მოსახლეობა და საზღვრები . . . 15
3. დადიშქელიანთა სამთავროს შეერთება რუსეთთან . . . 19
4. სოციალური ურთიერთობა 43
5. საგლეხო რეფორმა დადიშქელიანთა სამფლობელოში . . . 55

თავი მეორე

სვანეთის ეკლესიის ისტორიისათვის
(ქორეპისკოპოსი და საყდრისშვილები) . . 67

თავი მესამე

სვანეთის ისტორიის პრობლემები

1. სვანეთის სოციალური სტრუქტურა და მისი სხვანაირი გააზრების ზოგიერთი რეცედივი 91
2. მთიანეთის ისტორიის პრობლემა კრებულში — „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში“ 132

დამატება

რაჭა-ლეჩხუმისა და აფხაზეთის ზოგიერთი სვანური ტოპონიმი

1. რაჭა-ლეჩხუმის სვანური ტოპონიმია 173
2. ვინ იყვნენ მისიმიანები 198

Очерки из истории средневековой Сванети (резюме) 213

Геронти Александрович Гасвиани

ОЧЕРКИ ИЗ ИСТОРИИ СРЕДНЕВЕКОВОЙ СВАНЕТИ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1991

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

GA 4560

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ყ ე ე ბ ე ნ ა ვ ა
მხატვარი ვ. ო ნ ი ა ნ ი
მხატვრული რედაქტორი ბ. ლ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ბ ო ყ ე ნ ი ა
კორექტორი დ. ჩ ხ ვ ი მ ი ა ნ ი
გამომშვები ე. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

კადიეცი წარმოებას 29.12.1990; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.4.91;
ქაღალდის ზომა 60×90; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 13.9;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.20;

ტირაჟი 10000; შეკვეთა № 3215;

ფასი 3 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19